სინთეზირებული კომპლექსნაერთების შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების შესწავლით და მიღებული მონაცემების თავისუფალი (არაკოორდინირებული) კოლხიცილის სპექტრთან შედარებით დადგენილია, რომ კობალტის, ნიკელის, თუთიის და კადმიუმის ჰალოგენიდების (ქლორი, ბრომი, იოდი), კომპლექსებში ორგანული ლიგანდის – კოლხიცილის მოლეკულები ასრულებს ტრიდენტატურ – ციკლური ლიგანდის ფუნქციას, კოორდინირდება ზემოაღნიშნულ კომპლექსწარმოქმნელ ლითონებთან კარბონილთა ჯგუფების ჟანგბადატომებითა და ამიდური ჯგუფის აზოტის ატომის მეშვეობით. აღნიშნულის დასტურია, თავისუფალი (არაკოორდინირებული) კოლხიცილის შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში უპირატესად C=O ჯგუფის შესაბამისი სავალენტო რხევების ν(CO) სიხშირეთა 1660სმ⁻¹ გადანაცვლება კობალტის, ნიკელის, სპილენძის, თუთიისა და კადმიუმის ქლორიდული კომპლექსნაერთების სპექტრების შესაბამის რხევათა სიხშირეების გრძელტალღიან უბანში 1600სმ⁻¹ (ცხრილი 2), ე.ი. რხევათა სიხშირეების შემცირება შეადგენს 60სმ⁻¹, რაც აშკარად მიანიშნებს M←O=C ღონორულ-აქცეპტორული ანუ კოორდინაციული ბმების წარმოქმნაზე.

ცხრილი 2. ზოგიერთი რხევის სიხშირე (სმ⁻¹) და მათი მიკუთვნება კოლხიცილის შემცველ ლითონთა კოორდინაციული ნაერთების შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში

მიკუთვნება	CuCl ₂ Colch ₂ ·2H ₂ O	ZnCl ₂ Colch ₂ ·3H ₂ O	NiCl ₂ Colch ₂ ·3H ₂ O	Zn(NCS) ₂ Colch ₂ ·H ₂ O	Cd(NCS) ₂ Colch ₂ ·H ₂ O	Co(NCS) ₂ Colch ₂ ·H ₂ O	Ni(NCS) ₂ Colch ₂ ·H ₂ O
ν(OH), ν(NH)	≈3300	≈3440	≈3386 3263	3425 3278	3448	3420 3286	3417 3302
N(CH), ν(CH ₃)	2939 2840	3020 2939 2858	3050 2930 2854	≈3010 2939 2846	3054 2939 2846	2924 2854	3000 2939 2854
N(CN) _{NCS} ⁻	–	–	–	≈2075	2075	2067	2106 2160
N(C=O)	≈1601	1600	1600	1658	1658	1660	1658
N(CC) _{ბირთვის}	1590	1584	1589	1589	1589	1589	1589
δ _{as} (CH ₃)	1450	1442	1448	1457	1458	1458	1450
δ _s (CH ₃)	1392?	1385	1380	1396 (1350)	1396 (1350)	1386	1380
ν(C–O)	1257	1250	≈1253	1257	1252	1257	1250
ν(MN)	509 456	≈510 489?	≈504 ≈460	509 486	532? 486	509 424	≈500 445

მეორე მხრივ, ამინოჯგუფის NH-ის სავალენტო რხევის სიხშირე ν(NH), რომელიც დაფიქსირებულია თავისუფალი (არაკოორდინირებული) კოლხიცილის მოლეკულის ინფრაწითელი სპექტრის 3240სმ⁻¹ უბანში, სინთეზირებული კომპლექსნაერთების სპექტრებში შემცირებულია 3100-3140სმ⁻¹-მდე, რაც დასტურია იმისა, რომ აღნიშნულ კომპლექსებში ადგილი აქვს M←NH კოორდინაციული ბმების არსებობას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სინთეზირებული კომპლექსნაერთების შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების შესწავლის საფუძველზე დადასტურებულია, რომ კობალტის (II), ნიკელის (II), სპილენძის (II), თუთიისა და კადმიუმის ნაერთებში კოლხიციანის მოლეკულა არის ტრიდენტატური ლიგანდი – ორი კარბონილის ჯგუფის (2CO) ორი ჟანგბადისა და ამიდური ჯგუფის (-NH) აზოტის ატომებით და, შესაბამისად, 4- და 7-წევრიანი ლითონოციკლების წარმოქმნით (ნახაზი 2).



ნახ. 2. კოლხიციანის 4- და 7-წევრიანი ლითონოციკლები ჰალიდურ ბიოკომპლექს-ნაერთებში $[MColchH_2O]X_2 \cdot (n-1)H_2O$ (სადაც, $M = Co(II), Ni(II), Cu(II), Zn, Cd; X = Cl^-, Br^-, I^-; Colch$ – კოლხიციანი, $n = 2,3$)

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა კოლხიციანთან კობალტის (II), ნიკელის (II), სპილენძის (II), თუთიისა და კადმიუმის თიოციანატური კომპლექსნაერთების შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში, სადაც ინტენსიური ზოლები შესაბამისობაშია კარბონილის ჯგუფის (C=O) სავალენტო რხევის სიხშირესთან $\nu(CO) \approx 1658 \text{ cm}^{-1}$ მაშინ, როდესაც თავისუფალი (არაკოორდინირებული) კოლხიციანის შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრში კარბონილთა ჯგუფების (C=O) შესაბამის სავალენტო რხევათა სიხშირეებიც $\nu(C=O)$ თითქმის იმავე ფარგლებშია $\approx 1660 \text{ cm}^{-1}$. ზემოაღნიშნული ამკარად მიგვანიშნებს, რომ კომპლექსწარმოქმნელ ლითონთა ატომებთან თიოციანიტურ ნაერთებში კოლხიციანის 7-წევრიანი კარბონილური ჯგუფით კოორდინაცია გამოირიცხვება.


საკვლევი კომპლექსების ინფრაწითელ სპექტრებში ისევე, როგორც კოლხიციანთან ლითონთა ჰალოგენიდების კომპლექსნაერთთა შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში, ამინოჯგუფის შთანთქმის ზოლები $\nu(NH)$ გადანაცვლებულია გრძელტალღიან უბანში $\approx 90-150 \text{ cm}^{-1}$ -ით, თავისუფალი კოლხიციანის შთანთქმის სპექტრის შესაბამის ზოლთან შედარებით ($\approx 3240 \text{ cm}^{-1}$), რაც მიანიშნებს ლითონ-აზოტის ($M \leftarrow NH$) კოორდინაციული ბმის არსებობაზე. თიოციანატური კომპლექსნაერთების შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში დაფიქსირებულია შთანთქმის ზოლები, რომლებიც შესაბამისობაშია კოლხიციანის 4-წევრიანი ლითონციკლის კარბონილის (C=O) ჯგუფის შესაბამის რხევის სიხშირე $\nu(CO)$ -თან ($\approx 1590-1601 \text{ cm}^{-1}$), ე.ი. შემცირებულია $\approx 50-60 \text{ cm}^{-1}$. სავალენტო რხევის სიხშირის აღნიშნული შემცირება მიანიშნებს ამ კარბონილური ჯგუფის ჟანგბადის ატომით ლითონთა კომპლექსწარმოქმნელ ატომებთან მისი კოორდინაციის შესახებ.

ცხრილში 2 მოცემულია რხევათა სიხშირის ზოგიერთი მიკუთვნება, რომლებიც ნაპოვნია სინთეზირებულ ბიოკომპლექსნაერთთა ინფრაწითელ სპექტრებში და სრულ შესაბამისობაშია სხვა მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში მოტანილ ანალოგიურ მონაცემებთან [12-14].

კომპლექსნაერთების $M(NCS)_2Colch \cdot H_2O$ (სადაც, $M = Co, Ni, Cu, Zn, Cd; Colch$ – კოლხიციანი) შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში NCS^- ჯგუფის $\nu(CN)$ -ს შეესაბამება ძლიერი ინტენსიური შთანთქმის ზოლი $\approx 2075-2106 \text{ cm}^{-1}$ უბანში. აღნიშნულ კომპლექსნაერთთა შთანთქმის ინფრაწითელ სპექტრებში ასევე ნაპოვნია რხევების სიხშირეთა ზოლები $780-800 \text{ cm}^{-1}$ ფარგლებში, რომლებიც შესაბამისობაშია $\nu(CS)$ -ჯგუფის რხევის სიხშირესთან. ეს მონაცემები დასტურია იმისა, რომ თიოციანატო NCS^- -ჯგუფები უშუალოდ კოორდინირებულია კომპლექსწარმოქმნელ ლითონთა ატომებთან აზოტის ატომთა მეშვეობით (ნახ. 4), ე.ი. ხორციელდება იზოთიოციანატური სტრუქტურა $M \leftarrow NCS$.


ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კოლხიციანთან ლითონების თიოციანატოკომპლექსებში მისი მოლეკულები გამოდის ბიდენტატურ-ციკლური (4-წევრიანი ციკლი), ხოლო NCS^- -აცილოჯგუფები შიგასფერული იზოთიოციანატური ლიგანდების როლში ტეტრაედრული ან ბრტყელ-კვადრატული კონფიგურაციით კომპლექსწარმოქმნელ ატომთა გარშემო. ამავე ბიოკომპლექსნაერთებში წყლის მოლეკულების შიგაკოორდინაციულ სფეროში განლაგების შემთხვევაში, რომლის ნიშნები ინფრაწითელ

სპექტრთან იკვეთება (იხ. ნახ. 3, რხევის სიხშირე $\nu(\text{OH}) \approx 3001\text{-}3417\text{cm}^{-1}$) მოსალოდნელია ოქტაედრული კოორდინაციის გაფორმება. ამჟამად მიმდინარეებს შესაბამის ბიოკომპლექსნაერთთა მონოკრისტალების მიღება და სრული რენტგენსტრუქტურული გამკვლევის ჩატარება, სპექტრული კვლევებით მიღებული მონაცემების გადასამოწმებლად.



ნახ. 3. ბიოკომპლექსნაერთის [Co(NCS)₂Colch]H₂O შთანქმის ინფრაწითელი სპექტრი

წინაკლინიკური პირველი კვლევის მიხედვით სინთეზირებული ბიოკომპლექსნაერთები კოლხინთან იწვევს ავთვისებიან სიმსივნეთა გარკვეულ რეგრესს თავებში და დიდი ალბათობაა იმისა, რომ ისინი დადებით გავლენას მოახდენენ სხვადასხვა სახის სიმსივნურ წარმონაქმნთა მკურნალობისას ძაღლებში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გაგრძელდეს როგორც თეორიული, ასევე ექსპერიმენტული მიზანმიმართული კვლევები, რამეთუ ალკალოიდთა და მის შემცველ ბიოკოორდინაციულ ნაერთთა გავლენის შესწავლა უჯრედული დაყოფის პროცესზე არ არის სპეციფიკური სიმსივნეთა უჯრედთათვის და, რომ ალკალოიდთა რაოდენობითი გადიდება აუცილებელი პირობაა დადებითი ეფექტის მოსახდენად, სიმსივნეთა ზრდის შესაჩერებლად (რაც აახლოებს კიდევ ლეტალურ დოზას).



ნახ. 2. კოლხინთან იზოთიოციანატური ბიოკომპლექსნაერთების $[M(NCS)_2Colch]H_2O$ (სადაც, $M = Co(II), Ni(II), Cu(II), Zn, Cd$; Colch – კოლხინი) აღნაგობა იწ-სპექტრული მონაცემების საფუძველზე

ამ თვალსაზრისით წინაკლინიკური (in vitro) მონაცემები დამაიმედებელია, კერძოდ, ვირთხის ღვიძლის მიტოზზე ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით კობალტის ბიოკომპლექსნაერთის 10 მკ დოზის დროს მთლიანად იშლება უჯრედის ბირთვი, მაშინ, როდესაც 1 მკ დოზა თითქმის არ ახდენდა გავლენას უჯრედული დაყოფის პროცესზე.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ შესრულებული ექსპერიმენტულ-თეორიული სახის სამუშაოების პირველ ეტაპზე მიღებულია საკმარისი კარგი შედეგები: ზოგიერთი ბიოლითონის მარილისა (ქლორიდი, ბრომიდი, იოდიდი, თიოციანატი) და ალკალოიდ კოლხინის ეთანოლ-წყალხსნარებიდან კრისტალურ მდგომარეობაში მიღებულია 20 ახალი (საწყის ეტაპზე 7, ხოლო შემდგომ 13) ბიოკოორდინაციული ნაერთი, დადგენილია მათი სინთეზის ოპტიმალური პირობები, ქიმიური შედგენილობა, ნაერთთა ინდივიდუალობა, შეფერილობა, ხსნადობა სხვადასხვა გამხსნელში, დნობის ტემპერატურები, შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების შესწავლით მათი სავარაუდო აღნაგობა, ქიმიური ბმის ტიპები და სხვ.

დადასტურებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბიოკომპლექსნაერთებში კოლხინი შეიძლება აღმოჩნდეს პოლიდენტატური ლიგანდის როლში. ჩატარებული სპექტრული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბიოლითონთა ჰალოგენიდურ ნაერთებში კოლხინი ასრულებს ტრიდენტატურ-ციკლურ ფუნქციას – ორი კარბონილის ჯგუფის ჟანგბადის ორი ატომისა და ამინოჯგუფის აზოტის ატომის მეშვეობით მაშინ, როდესაც თიოციანატურ ბიოკომპლექსნაერთებში კოლხინი გვეკვლინება ბიდენტატურ-ციკლური ლიგანდის როლში – ერთი კარბონილური ჯგუფის ჟანგბადატომისა და ამინოჯგუფის აზოტატომის მეშვეობით.

ორივე ტიპის კომპლექსნაერთში ძირითადად ხორციელდება ტეტრაედრული კოორდინაცია: პირველ შემთხვევაში – ტრიდენტატურ-ციკლური კოლხინის და წყლის მოლეკულის საშუალებით (ჰალოგენები განლაგებულია კომპლექსის გარე სფეროში), ხოლო მეორეში – ბიდენტატურ-ციკლური კოლხინის მოლეკულისა და ორი მონოდენტატური თიოციანატური ჯგუფის (განლაგებულია კომპლექსის შიგა სფეროში) აზოტის ატომებით (იზოთიოციანატური სტრუქტურა).

ექსპერიმენტით დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი ანტიმიკრობული აქტივობით გამოირჩევა ტეტრაედრული აღნაგობის კობალტის იზოთიოციანატური ბიოკომპლექსნაერთი $[Co(NCS)_2Colch]H_2O$ ანუ მისი ალტერნატიული ოქტაედრული კონფიგურაციის კომპლექსი $[Co(NCS)_2Colch \cdot 2H_2O]$, რომლის ანტიმიკრობული აქტივობა ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის მიმართ 2-3-ჯერ უფრო მაღალია თავად

კოლხიციინთან შედარებით. ექსპერიმენტული სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის ვაქცინებისა და შრატების („ბაქტერიოფაგი“) სამეცნიერო ცენტრში.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Machoshvili P.I., Tsvitsivadze T.I., Mirvelashvili D.M., Didmanidze N.N. Координационные соединения металлов с колхицином. Химический Журнал Грузии. 2005, 5(3).
2. Pelletier, Caventon. Ann. Chim. Phys., 1820 (II), 14, 82.
3. Albo, Arch. Sci. phys. nat. 1901, IV, 12, 227.
4. Oberlin. Monatsh., 1888, 9, 870.
5. Chemnitius. J. pr. Chem., 1928, 118, 29.
6. Grier. Yearbook Pharm., 1923, 611.
7. Saifert. Deut. Apoth. Z., 1943, 58, 71.
8. Gillet. Ann. Pharm. Franc. 1944, 2, 152.
9. Coll, Preoni. Rev. Farm. 1930, 72, 187.
10. Boyland, Mawson. Biochem. j., 1938, 32, 1204.
11. Merck. Pharm. Zentralhalle, 1916, 57, 619.
12. Буллами Л. Инфракрасные спектры сложных молекул. 1963, М., ИЛ.
13. Накомото К. Инфракрасные спектры неорганических и координационных соединений. 1966, М., Мир.
14. Machoshvili P.I. Химия гидразиδοკომპლექსვ металлов. 1966, М., Наука.

SYNTHESIS, STRUCTURE, AND PROPERTIES OF ANTI-CANCER BIO-COORDINATION COMPOUNDS WITH PLANT ALKALOIDS

T.I.Tsvitsivadze, R.I.Machoshvili, N.Sh.Chigogidze, R.Sh.Kldiashvili, R.A.Skhiladze, G.A.Sulakvelidze
Research Centre for Study of Biologically Active Substances of the Georgian Technical University

SUMMARY

20 new bio-coordination compounds had been extracted in crystalline form from water-ethanol solutions based on chlorides, bromides, iodides and thiocyanates of cobalt, nickel, copper, zinc and cadmium with plant alkaloid of colchicine (molecular formula $C_{22}H_{25}NO_6$ – Colchicum) of following composition: $MX_2 \cdot Colch \cdot nH_2O$; where $M=Co(II), Ni(II), Cu(II), Zn, Cd$; $X=Cl^-, Br^-, I^-, NCS^-$; Colch – colchicine, $n=1, 2, 3$. Optimal conditions for synthesis of bio-coordination compounds had been determined. Their structure had been studied on the basis of spectral analysis. Preliminary clinical studies revealed their anti-tumor properties. Intensive purposeful works are conducted in this direction.

СИНТЕЗ, СТРОЕНИЕ И СВОЙСТВА ПРОТИВООПУХОЛЕВЫХ БИОКООРДИНАЦИОННЫХ СОЕДИНЕНИЙ С РАСТИТЕЛЬНЫМИ АЛКАЛОИДАМИ

Т.И.Цивцивадзе, Р.И.Мачхошвили, Н.Ш.Чигогидзе, Р.Ш.Клдиашвили, Р.А.Схиладзе,
Г.А.Сулаквелидзе

*Научный центр по исследованию биологически активных веществ
Грузинского Технического Университета*

РЕЗЮМЕ

Выделены в кристаллическом состоянии из водно-этанольных растворов 20 новых биокоординационных соединений на основе хлоридов, бромидов, иодидов и тиацианатов кобальта, никеля, меди, цинка и кадмия с растительным алкалоидом колхицином (молекулярная формула $C_{22}H_{25}NO_6$ - Colchicum) состава: $MX_2 \cdot Colch \cdot nH_2O$; где $M=Co(II), Ni(II), Cu(II), Zn, Cd$; $X=Cl^-, Br^-, I^-, NCS^-$; Colch – колхицин, $n=1, 2, 3$. Установлены оптимальные условия синтеза биокоординационных соединений. На основе спектрального анализа изучено их строение, а по предварительным клиническим исследованиям выявлены противоопухолевые свойства. В этом направлении ведутся интенсивные научные работы.

ფიტოჰორმონების როლი კარტოფილის *in vitro* ბამრავლებაში

რუსუდან მდივანი, ნიკოლოზ ზარნაძე, ვენედიქტე წერეთელი

ახალგაზრდა მეცნიერთა ცენტრი (კავშირი) იზოტოპები

შესწავლილია ფიტოჰორმონების (Indole-3-butiric acid და Gibberellic acid, Ga3) გავლენა კარტოფილის ქსოვილის უჯრედიდან *in vitro* მიკროკლონალური გამრავლებით გენეტიკურად ერთგვაროვანი, ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებისაგან თავისუფალი სათესლე მასალის მიღება მერისტემული კულტურის გამოყენების გზით.

დადგენილია, *in vitro* პირობებში მცენარის მწვანე მასისა და ფესვთა სისტემის განვითარებისათვის საკვები არის საუკეთესო შემადგენლობა: მურაშიგე - სკუვის ერთობლივი კომბინაცია გიბერელინთან (1 მგ/ლ) და აუქსინთან (0,1 მგ/ლ). შედეგი განპირობებულია ფიტოჰორმონების გარკვეული ზემოქმედებით უჯრედის და ქსოვილის გენეტიკურ პროგრამაზე.

მცენარის ჰორმონალური სისტემები, რომელსაც ეძღვნებოდა ჩვენი ადრეული მიმოხილვა [1], წარმართავენ მცენარის ვეგეტაციის ყველა ეტაპზე მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების გასაოცარ მრავალფეროვნებას. ფიტოჰორმონების მრავალფუნქციურ მოქმედებას განპირობებს ერთი და იგივე ჰორმონის სხვადასხვა რეცეპტორთან დაკავშირება და შესაბამისი შემსვედრი რეაქციების განხორციელება [2-4]. *in vitro* კულტურაში, პროცესების მართვისათვის, აუცილებელია ზრდა-განვითარების ბიოლოგიური რეგულატორების - ფიტოჰორმონების მონაწილეობა.

კარტოფილს აქვს მიდრეკილება მრავალი დაავადების მიმართ, რაც საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას და ბოლქვების ხარისხს. ამასთან, კარტოფილის ბოლქვებში და ნიადაგში, რომელშიც მცენარე იზრდება, გროვდება პათოგენები. ამიტომ, დაავადებების მიმართ მდგრადი კარტოფილის წარმოება დამოკიდებულია მუდმივად განახლებადი უვირუსო სათესლე მასალის მარაგზე.

სამუშაოს მიზანია: კარტოფილის ქსოვილის უჯრედიდან *in vitro* მიკროკლონალური გამრავლებით მივიღოთ გენეტიკურად ერთგვაროვანი, ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებისაგან თავისუფალი სათესლე მასალა მერისტემული კულტურის გამოყენების გზით; ფიტოჰორმონების მონაწილეობით განვახორციელოთ უჯრედის და ქსოვილის გენეტიკურ პროგრამაზე გარკვეული ზემოქმედება [5,6].

ეგზოგენური ფიტოჰორმონების სხვადასხვა პროპორციების დამატება არეგულირებს ენდოგენური ჰორმონების სინთეზს, რაც მქლავდება უჯრედის და ქსოვილის სხვადასხვაგვარ მორფოგენეტიკურ რეაქციებში [7]. ამდენად, ჩვენს მიერ, კარტოფილის *in vitro* მიკროკლონალური გამრავლებისათვის სტიმულატორებად შერჩეულ იქნა შემდეგი ნივთიერებები:

- აუქსინი (Indole-3-butiric acid), ფესვწარმოქმნის დასაჩქარებლად, რომელიც, აუქსინებს შორის, გამოირჩევა მცენარეთა ქსოვილებში შედარებით მაღალი მდგრადობით [8];
- გიბერელინის მჟავა (Giberellic acid, Ga3), რომელიც მოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარების ყველა ძირითად პროცესზე [9].

ფიტოჰორმონები ცუდად იხსნებიან წყალში, ამიტომ წინასწარ 100 მგ ნივთიერებას ვხსნიდით მცირე რაოდენობის სპირტში (0,5 - 2,0 მლ) ვაცხელებდით სრულ გახსნამდე და მიგვყავდა 100მლ-მდე (1 მლ შეიცავდა 1 მგ ნივთიერებას).

სტიმულატორების სხვადასხვა კონცენტრაციები ემატებოდა კომბინირებულ საკვებ არეებს (M&S - მურაშიგე და სკუვი ვიტამინებით) სტერილიზაციის წინ (10). ცდებში გამოიცადა გიბერელინის 3 ვარიანტი კონცენტრაციებით 1 მგ/ლ, 1,5 მგ/ლ და 2 მგ/ლ. აუქსინის საცდელი კონცენტრაციები იყო 0,1 მგ/ლ, 0,3 მგ/ლ და 1 მგ/ლ. თვითოეული სტიმულატორის ცალკეული კონცენტრაციებისთვის გამოიცადა ყველა შესაძლო კომბინაცია წინასწარ შემუშავებული სქემით (ცხრილი 1).

ცხრილი 1. სტიმულატორების გავლენა *in vitro* მცენარეთა ზრდასა და ფესვთა სისტემის განვითარებაზე

დასახელება / კონცენტრაცია	აუქსინი 0,1 მგ/ლ	აუქსინი 0,3 მგ/ლ	აუქსინი 1,0 მგ/ლ	კონტროლი (M&S ვიტამინებით)
გიბერელინი 1,0 მგ/ლ	9	5	4	6
გიბერელინი 1,5 მგ/ლ	10	6	5	7
გიბერელინი 2,0 მგ/ლ	7	4	3	2
კონტროლი (M&S ვიტამინებით)	5	3	2	1

თვითოეული კომბინაცია გამოიცადა 1000 მცენარეზე. მცენარეთა ზრდა და ფესვთა სისტემის განვითარების ხარისხი შეფასდა 10 ბალიანი სისტემით.

ცდების შედეგებით დადგინდა, რომ *in vitro* პირობებში მცენარეთა მწვანე მასისა და ფესვთა სისტემის განვითარებისათვის საუკეთესო პირობა არის კომბინაცია: გიბერელინის 1,5მგ/ლ და აუქსინის 0,1მგ/ლ რაოდენობების ერთობლივად საკვებ არეებში დამატება. აღნიშნული კომბინაციის გამოყენების დროს სინჯარის მცენარეების მწვანე მასა კარგად არის განვითარებული, ფოთლის ფირფიტა სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული, ხოლო ფესვთა სისტემა წარმოადგენს უხვად დატოტვილ ძლიერ მასას. აღინიშნება მცენარეთა სწრაფი ზრდა, რაც *in vitro* მცენარეების დაჩქარებული (2 კვირა, ნაცვლად სტანდარტული სამი კვირისა) მიკროკლონური გამრავლების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია კარტოფილის სათესლე მასალის კომერციული წარმოებისათვის.

ჰორმონალური სისტემა მჭიდრო კავშირშია უჯრედის გენეტიკურ აპარატთან. ფიტოჰორმონები მოქმედებენ არა მხოლოდ დნმ-ის მეთილირების ხარისხზე, რითაც არეგულირებენ გენების ექსპრესიას, არამედ უკავშირდებიან ცილებს - რეპრესორებს, რასაც მივყავართ სტრუქტურული გენების აქტივაციასთან და განსაზღვრული ფერმენტების სინთეზთან. შესაბამისად, საკვებ არეში ჰორმონების შეფარდების ცვლილებით შესაძლებელია, გარკვეული ხარისხით, შევცვალოთ უჯრედის და ქსოვილის გენეტიკური პროგრამები. ეს პროცესები ცნობილია როგორც უჯრედების და ქსოვილების დედიფერენციაცია, რედიფერენციაცია და დიფერენციაცია. ფიტოჰორმონებს აქვთ უნარი შეცვალონ უჯრედის მემბრანებში შეღწევადობა. აუქსინების და გიბერელინების მოქმედებით ხორციელდება უჯრედიდან პროტონების გამოტანა, რასაც მივყავართ უჯრედის კედლის შემყავებადდე, რითაც სუსტდება კავშირები ცელულოზურ ფიბრილებს შორის პექტინოვანი ნივთიერებების ნაწილობრივი მჟავური ჰიდროლიზის შედეგად. ამიტომ უჯრედის კედელი ხდება უფრო ელასტიური და ამით იძენს გაჭიმვადობის უნარს [11-16].

სწორედ ეს პროცესები რეგულირდება, ჩვენს შემთხვევაში, აუქსინის და გიბერელინის გარკვეული კონცენტრაციებისათვის. *in vitro* მცენარეების საუკეთესო ზრდა-განვითარება მიიღწევა მურაშივე - სკუვის საკვები არეების ერთობლივი კომბინაციით გიბერელინთან (1 მგ/ლ) და აუქსინთან (0,1 მგ/ლ).

სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით
(გრანტი № 10/07)

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. რ. მღვიანი, ნ.ზარნაძე, ვ.წერეთელი. ფიტოჰორმონები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 38, №2-3, 234-243.
2. Hartweck L. M. 2008. Gibberellin signaling. *Planta*. 2008, 229, 1—13.
3. Griffiths J., Murase K., Rieu I., Zentella R., Zhang Z.L., Powers S.J., Gong F., Phillips A.L., Hedden P., Sun T.P., Thomas S.G. Genetic characterization and functional analysis of the GID1 gibberellin receptors in *Arabidopsis*. *Plant Cell*. 2006. 18, 3399—3414.
4. Chow B., McCourt P. 2006. Plant hormone receptors: perception is everything. *Genes Develop.* 2006, 20, 1998—2008.

5. Бутенко Р.Г. Биология культивируемых клеток высших растений *in vitro* и биотехнологии на их основе. Монография, ФБК-Пресс, 1999. 159 с.
6. Катаева Н.В., Бутенко Р.Г. Клональное микроразмножение растений. М., 1983.
7. Калинин Ф.Л., Кушнир Г.П., Сарнацкая в.в. Технология микрклонального размножения растений. Киев, Наукова думка, 1992.
8. Ауксин и его синтетические аналоги. <http://eco-siol.ru/htmls/auksin.htm>.
9. Аксенова Н.П., Константинова Т.Н., Ложникова В.Н., Голяновская С.А. Влияние длины дня и фитогормонов на клубнеобразование у картофеля в культуре *In Vitro*. Физиология растений, 2009, 56, № 4, 500-509.
10. Сорокина И.К., Старичкова Н.И., Решетникова Т.Б., Гринь Н.А. Основы биотехнологии растений. Культура клеток и тканей. www.sgu.ru/files/nodes/10465/1.
11. Ауксины. Физиология растений. <http://fizrast.ru/razvitie/rost/fitogormony.html>.
12. Андреев. И.М., Тимофеева Г.В., Минкина Ю.В., Ковалева Л.В. Изменения внутриклеточного pH пыльцевых зерен *Petunia hybrida* под действием экзогенных фитогормонов. Физиология растений, 2007, 54, № 5, 707-714.
13. Бутенко Р.Г. Рост и дифференциация в культуре клеток растений. Рост растений и природные регуляторы. М., изд. Наука, 1977, 280 с.
14. Гамбург К.З., Рекославская Н.И., Швецов С.Г. Ауксины и культурах тканей и клеток растений. Новосибирск, изд. Наука, 1990, 190с.
15. Головацкая И.Ф. Регуляция гиббереллинами роста, развития и гормонального баланса растений *Arabidopsis*. Физиология растений, 2008, 55, №3, 348-354.
16. Olszewski N., Sun T.P., Gubler F. Gibberellin signaling: biosynthesis, catabolism, and response pathways. *Plant Cell*. 2002, 14, 61-80.

IMPORTANCE OF PHYTOHORMONES FOR *IN VITRO* MULTIPLICATION OF POTATO

Rusudan Mdivani, Nikoloz Zarnadze, Venedikte Tsereteli
The Center of Young Scientists Isotope

SUMMARY

The results of testing of potato micro multiplication are given in the article. Effects of different composition of media on regeneration and plants' forming have been investigated. The right way of media preparation for *in vitro* cultivation of cells and tissue culture has been selected the following composition: Murashige-scug + Gibberellic acid (Ga3) 1.5 mg/l + Aucsin 0.1 mg/l, which gives highest possible effect.

ГОРМОНАЛЬНЫЕ СИСТЕМЫ И РАЗМНОЖЕНИЕ РАСТЕНИЙ *IN VITRO*

Р.В.Мдивани, Н.К.Зарнадзе, В.С.Церетели
Центр (союз) молодых ученых – Изотопы

РЕЗЮМЕ

Проведены работы по микрклональному размножению картофеля *in vitro*. Изучено влияние состава питательной среды на процессы регенерации и формирования растений. Правильным направлением приготовления питательных сред для культивирования клеток и тканей *in vitro* можно считать применение композиций: среда Мурашиге-Скуга + Гиббереллиновая кислота (Гк3) 1,5 мг/л + Ауксин 0,1 мг/л, что способствует достижению максимального эффекта.

ზოგიერთი ორბანული საღებრის შემცველი ჩამდინარე წყლების გაწმენდის რეაგენტული, რადიაციული და ოზონური მეთოდების ეფექტურობის შეფასება

რიმზეტ თუშურაშვილი, მერაბ ფანჩვიძე, ციური ბასილაძე, გივი ხიდეშელი, გენრიეტა შანიძე, მანანა მამარდაშვილი, ნინო კვიციანი
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 რაფიელ ავლადის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი*

ჩატარებულია საღებრის „პირდაპირი წითელი-2C“-ს შემცველი ჩამდინარე წყლების გაწმენდის რეაგენტული, რადიაციული-ქიმიური და ოზონური მეთოდების ეფექტურობის შეფასება. ნაჩვენებია, რომ რეაგენტულ-ქიმიურ მეთოდებში ზოგიერთი დანამატის გამოყენება სხვადასხვა კომბინაციით ეფექტურად აუფერულებს საღებრს 97%-დე, მაგრამ ამ დროს დიდია რეაგენტების ხარჯი. დადგენილია, რომ საღებრის 1,66.10⁻⁵ მ/ლ წყალხსნარის გამა-დასხივებისას (D = 0,15 კგრი) გაუფერულების ხარისხი შეადგენს მხოლოდ 47%-ს, მაშინ როცა 0,5გ/ლ ნატრიუმის პერსულფატის დამატებისას ეს სიდიდე 82%-ია. საღებრის ხსნარებზე ოზონის ზემოქმედების შესწავლამ აჩვენა, რომ 1,66.10⁻⁵ მ/ლ ხსნარის 10 წამით ოზონირებისას გაუფერულების ხარისხი აღწევს 100%-ს. ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოზონური მეთოდი ყველაზე ეფექტურია საღებრების შემცველი ჩამდინარე წყლების გასაწმენდად.

საქართველოში და, კერძოდ, ქ.თბილისში ძალზედ აქტუალურია სხვადასხვა მინარევებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის საკითხი. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქსოვ-სამღებრო სამაქროების ჩამდინარე წყლები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ სხვადასხვა ორგანულ საღებრს, კერძოდ, არომატული ჯგუფის შემცველ ტოქსიკურ ნაერთებს, რომლებიც განსაკუთრებით მავნა მოსახლეობისათვის. ამდენად, ასეთი წყლების გასუფთავება ეკოლოგიური მნიშვნელობის პრობლემაა.

დღეისათვის ცნობილია ჩამდინარე წყლების გაწმენდის რამდენიმე მეთოდი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამი მათგანი: რეაგენტული, რადიაციული-ქიმიური და ოზონური, რომლებიც, ჩვენი აზრით, ძალზედ საინტერესოა და პერსპექტიული. სამუშაოში შესწავლილია აღნიშნული მეთოდების გამოყენება საღებრის – „პირდაპირი წითელი-2C“-ს მაგალითზე და ჩატარებულია მათი ეფექტურობის შეფასება. განვიხილოთ ეს მეთოდები ცალ-ცალკე.

1. რეაგენტული მეთოდი


რეაგენტულად გამოყენებულ იყო მანგანუმშემცველი ნაერთები, კალციუმის ოქსიდი, ორ- და სამვალენტური რკინის მარილები, ასკანას თიხა. ამ რეაგენტების ქმედების შესწავლა ხდებოდა როგორც ცალ-ცალკე, ასევე მათი კომბინაციით სხვადასხვა თანაფარდობით.

ჩვენს მიერ ჩატარდა ცდები სამაქროდან აღებულ ჩამდინარე წყლებზე. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ როგორც ორ- ასევე სამვალენტური რკინის სულფატი ჩაუმქრალი კირის თანაობისას წმენდს ხსნარებს „პირდაპირი წითელი-2C“-საგან 92-97%-ით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კოაგულანტების დანახარჯები საკმაოდ დიდია: 1გრამ საღებრზე საშუალოდ იხარჯება 25-30 გრამი რკინის მარილი და 2-3 გრამი ჩაუმქრალი კირი. ამდენად, ხელოვნურად მიღებული არაორგანული კოაგულანტების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ტექნიკურ - ეკონომიკური თვალსაზრისით.

მეთოდის მანათიანობის გასაუმჯობესებლად კოაგულანტად გამოყენებულ იქნა საქართველოში არსებული ბენტონიტები, კერძოდ, ასკანას თიხა. მაგრამ მხოლოდ მისი გამოყენება არ იძლევა პრაქტიკულ შედეგს. ამიტომ ჯერ ვამატებდით კალციუმის ოქსიდს, შემდეგ კი ასკანას თიხას. ამ დროს წარმოიქმნებოდა მღვრიე ხსნარი, რომელიც იწმინდებოდა 20-30 წუთში და გამოიყოფოდა ფერადი ნალექი, ხსნარი კი უფერულდებოდა. გაუფერულების ხარისხი დამოკიდებულია თიხის, კალციუმის ოქსიდის და საღებრის ხსნარის მოცულობით თანაფარდობაზე. გაუფერულების ხარისხის მაქსიმალური მნიშვნელობა შეადგენს 97%-ს [1].

ასევე ჩატარდა ცდები სხვადასხვა მეთოდით მიღებული მანგანუმის დიოქსიდის დამატებით „პირდაპირი წითელი-2C“-ს 8,3.10⁻⁵ მ/ლ ხსნარზე შემდგომი დაყოვნებით. გაუფერულების ხარისხს ვადგენდით ფოტოკოლორიმეტრ KФК – 2-ით.

ნახ.1-ზე მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ რადიაციულად მიღებული MnO_2 -ს დამატებისას და 2 საათით დაყოვნების შემდეგ ხსნარი უფერულდება 50%-ით. დიოქსიდის რაოდენობის ზრდით პროცესი ინტენსიურდება და დაწყებული 8გ/ლ დიოქსიდიდან დაწყებული გარდაქმნა პრაქტიკულად უცვლელია. ანალოგიური შედეგები მიიღება ქიმიურად სინთეზირებული დიოქსიდის დამატებისას, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში სტაციონარული მდგომარეობა მიიღწევა 8გ/ლ დიოქსიდის დამატებისას.



ნახ. 1. „პირდაპირი წითელი-2C“-ს $8,3 \cdot 10^{-5}$ მ/ლ ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება დამატებული რადიაციულად (1) და ქიმიურად (2) მიღებული მანგანუმის დიოქსიდის რაოდენობაზე (გ/ლ)

თუ შევადარებთ ქიმიურად და რადიაციულად სინთეზირებული მანგანუმის დიოქსიდის გამოყენებით მიღებულ შედეგებს შეიძლება დავასკვნათ, რომ ქიმიურად მიღებული დიოქსიდის დანამატი (4გ/ლ) უფრო ეფექტურად მოქმედებს „პირდაპირი წითელი-2C“-ს შემცველი ხსნარების გაუფერულებაზე (89%), მაშინ როცა მეორე შემთხვევაში იგი მხოლოდ 71%-ია.

გარდა ამ რეაგენტებისა გამოვიყენეთ მანგანუმის შემცველი კარბონატული მადანი. ცდებმა გვიჩვენა, რომ ამ მადნის დამატება 2-8გ/ლ რაოდენობით პრაქტიკულად არ იწვევს ხსნარის გაუფერულებას. მადნის რაოდენობის შემდგომი ზრდით კი გაუფერულების ხარისხი იზრდება და 22გ/ლ მადნის დამატებისას აღწევს მაქსიმუმს - 90%-ს. ასეთი რაოდენობით კარბონატული მადნის დამატება კი არ არის მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ დანამატად ავიღეთ 8გ/ლ მადანი და 4გ/ლ ქიმიურად სინთეზირებული მანგანუმის დიოქსიდი. მიღებული შედეგების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 8გ/ლ მადნის დამატებისას გაუფერულების ხარისხი 10%-ია, ხოლო 8გ/ლ დიოქსიდის დროს - 71%, მაშინ როცა მათი ერთობლივი დამატებისას ეს სიდიდე აღწევს 99%-ს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა დანამატის საგრძნობლად ნაკლები რაოდენობების ერთობლივად გამოყენებისას მიიღწევა ხსნარის პრაქტიკულად სრული გაუფერულება.

2. რადიაციული მეთოდი

საღებრების წყალხსნარების რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნა მკვლევართა ინტერესს იწვევს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე [2]. ეს ინტერესი, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ დასხივებისას საღებრების ინტენსიური შეფერილობა სუსტდება და, ამდენად, შესაძლებელია მათი გამოყენება, როგორც მაღალმგრძობიარე დოზიმეტრებისა. ეს გაუფერულება შეიძლება იყოს შექცევადი ან შეუქცევადი. პირველი პროცესი განპირობებულია საღებრის რეაქციით ჰიდრატირებულ ელექტრონთან ან წყალბადის ატომთან. ამ პროცესების ცოდნა ხელს უწყობს ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების მექანიზმის დადგენას ისეთ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან სისტემებში, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა კოფერმენტები (ფლავინები, ნიკოტინამიდები, უბიქინონები), რადგანაც საღებრების და აღნიშნული ნაერთების რადიოლიზის მექანიზმში გარკვეული ანალოგიები შეინიშნება.


მეორე მხრივ, საღებრების წყალხსნარების რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნა სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობისაა, კერძოდ, საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის დარგში.

წინამდებარე სამუშაოში შესწავლილია საღებრის „პირდაპირი წითელი-2C“-ს წყალხსნარების გარდაქმნა. დასხივება ტარდებოდა კობალტ 60-ს გამა-დანადგარზე ოთახის ტემპერატურაზე 0,1 კგრეი/სთ დოზის სიმძლავრით.

ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად, დასხივებისას ადგილი აქვს საღებრის გაუფერულებას. კერძოდ, 8,3.10⁻⁵ მ/ლ წყალხსნარის 90 წუთით დასხივებისას ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა მცირდება 0.19-დან 0,1-დე (ნახ.2). გაუფერულების ინტენსიურობის გაზრდის მიზნით ხსნარს ვუმატებდით დამჟანგველს - ნატრიუმის პერსულფატს ზრდადი რაოდენობით: 0,025 - 7,5გ/ლ. პირველ რიგში შევისწავლეთ მხოლოდ დამჟანგველის გავლენა გაუფერულების პროცესზე. ცდებით დამტკიცდა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საღებრის უმნიშვნელო გაუფერულებას 90 წუთის განმავლობაში - =0.19-ან 0.16-დე (ნახ.2,1).

მხოლოდ რადიაციის ზემოქმედება იწვევს ხსნარის შედარებით ინტენსიურ გაუფერულებას (ნახ.2.2). გაუფერულების ხარისხი 90 წუთი დასხივების შემდეგ შეადგენს 55%-ს.

გამოსხივების და დანამატის ერთდროული ქმედების შედეგები მოტანილია ნახ.2.3-5-ზე. ცხადია, რომ დანამატის კონცენტრაციის ზრდით 0,025 - 0,5გ/ლ ინტერვალში გაუფერულების ხარისხი იზრდება, ხოლო 1,2- 7,5გ/ლ ინტერვალში პრაქტიკულად უცვლელია და შეადგენს 90%-ს[3].



ნახ. 2. საღებრის ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება გასხივების დროზე:

- 1 - 2 გ ნატრიუმის პერსულფატის დამატება გასხივების გარეშე, 2 - საღებარი დანამატის გარეშე,
- 3 - 0,005 გ პერსულფატი, 4 - 0,1 გ პერსულფატი, 5 - 1,5 გ პერსულფატი

მიღებული შედეგებიდან ცხადია, რომ შესწავლილი საღებრის მაქსიმალური გაუფერულება გამოსხივების და დამჟანგველის ერთდროული ქმედებისას მეტია, ვიდრე დამჟანგველის გარეშე დასხივებისას. ამავე დროს, დასხივების და დამჟანგველის ერთობლივი გავლენა მეტია არა მარტო მათი ცალ-ცალკე ქმედებისა, არამედ მათი ჯამისაც. ცხადია, რომ რადიაციის და დამჟანგველის კომბინირებული ზემოქმედება ხასიათდება ე.წ. სინერგიზმით.


ცდების მონაცემების საფუძველზე აგებულია შესწავლილი ხსნარების რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნის კინეტიკური მრუდები, რომელთა საშუალებით გამოთვლილია საღებრის გარდაქმნის რადიაციულ-ქიმიური გამოსავლის მნიშვნელობები. დანამატის კონცენტრაციის ზრდით (0,025 - 1გ/ლ ინტერვალში) იზრდება 0,4-დან 1,4*1/100 ელექტრონვოლტამდე. 1,25 - 7,5 გ/ლ კონცენტრაციებისას გამოსავალი უცვლელია და შეადგენს 1,5*1/100ევ.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რადიაციის და დამჟანგველის ერთობლივი ქმედება საგრძნობლად ზრდის მაღალი ენერგიების გამოყენების გამოყენების სფეროს.

3. ოზონური მეთოდი

გარდა ზემოაღნიშნული მეთოდებისა, გამოვიყენეთ დესტრუქციული მეთოდი, რომელიც ეფუძნება ორგანული ნაერთების მოლეკულების დრმა გარდაქმნას, რაც გამოწვეულია ჟანგვა-აღდგენითი რეაქციებით. ამ მიზნით არჩეულ იქნა ისეთი ძლიერი დამჟანგველი, როგორცაა ოზონი. ცდები ჩატარდა „პირდაპირი წითელი-2C“-ს სხვადასხვა კონცენტრაციის მოდელოურ ხსნარებზე ლაბორატორიაში აგებული ოზონატორის გამოყენებით. ოზონ-ჰაერის ნაკადის კონცენტრაცია შეადგენდა 0,013 გ/ლ, წარმადობა - 3გ/სთ. საღებრის კონცენტრაციას ვადგენდით ფოტოელექტროკოლორიმეტრ KΦK – 2-ით 540 ნმ-ზე.

ცდებით დადგენილია, რომ ოზონის ზემოქმედებისას ადგილი აქვს პირდაპირი წითელი-2C-ს ეფექტურ გარდაქმნას, რომლის ხარისხი დამოკიდებულია ხსნარის კონცენტრაციაზე. 8,3.10⁻⁵მ/ლ ხსნარისათვის ოზონოლიზის პროცესში ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა ექსპონენციალურად მცირდება და 30 წამის შემდეგ პრაქტიკულად ნულის ტოლია (ნახ.3.1). 1,66.10⁻⁵მ/ლ ხსნარში თუ საწყისი D=0,2, უკვე 10 წამის შემდეგ ეს სიდიდე ასევე პრაქტიკულად ნულია. ანალოგიური სურათია უფრო მაღალი კონცენტრაციის ხსნარებში, იმ განსხვავებით, რომ აქ გაუფერულების პროცესი უფრო ნელია.



ნახ. 3. „პირდაპირი წითელი-2C“-ს შემცველი წყალხსნარების გარდაქმნა ოზონირების დროსთან დამოკიდებულებით: 1 – 8,3·10⁻⁵მ/ლ, 2 – 1,66·10⁻⁵მ/ლ

თუ შევადარებთ სამივე მეთოდით მიღებულ შედეგებს, ცხადია, რომ ერთი და იგივე კონცენტრაციის ხსნარის (1,66.10⁻⁵მ/ლ) რადიოლიზისას (1,5სთ) ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა მცირდება 0.19-ან 0.1-დე და, შესაბამისად, გაუფერულების ხარისხი 47%-ია. ნატრიუმის სულფატის დამატებით (0,5გ/ლ) კი ეს სიდიდე 82%-ია. ოზონოლიზის დროს კი იგივე ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა 10 წამის შემდეგ ნულს უტოლდება, რაც შეესაბამება 100%-იან გაუფერულებას.

რაც შეეხება რეაგენტულ მეთოდს, მართალია, ამ შემთხვევაში გარკვეულ პირობებში გაუფერულების ხარისხი აღწევს 97%-ს, მაგრამ ცდებით მტკიცდება, რომ, უპირველეს ყოვლისა, წარმოიქმნება ნალექი, რაც მოითხოვს ხსნარის დამატებით გაფილტვრას, რითაც საგრძნობლად უარესდება გაწმენდის ხარისხი. ამავე დროს აუცილებელი ხდება დანამატის დიდი რაოდენობით შეტანა, რაც არ არის მიზანშეწონილი ტექნიკურ - ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საღებრების შემცველი ჩამდინარე წყლების გასაწმენდად ყველაზე ეფექტურია ოზონური მეთოდი.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. ქარცივაძე ი., შანიძე გ., კვიციანი ნ., ფანჯიძე მ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2008, ტ. 34, №3, გვ. 340-342.
2. Пикаев А.К. Современная радиационная химия. Радиолит газом и жидкостей. М. «Наука», 1986, 440 с.
3. Тушурашвили Р.Г., Панчвидзе М.В., Шанидзе Г.В. Известия Национальной Академии Наук Грузии, Серия химическая, 2009, т. 35, № 4, с. 461-463.

ESTIMATION OF THE EFFICIENCY OF REAGENT, RADIATION AND OZONE METHODS OF PURIFICATION OF THE SEWAGE, CONTAINING VARIOUS ORGANIC DYES

Rimzet Tushurshvili, Merab Panchvidze, Tsiuri Basiladze, Givi Khidesheli, Genrieta Shanidze, Manana Mamardashvili, Nino Kvirkvekia

*Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

SUMMARY

Estimation of the efficiency of reagent, radiation-chemical and ozone methods of purification of the sewage, containing the dye "Direct red - 2C" has been carried out. It was shown that in some cases the use of various reagents as the additives in various combination leads to efficient decolouration of the dye up to 97%, but it should be noted a high consumption of the reagents in this case. It was established that at gamma-irradiation ($D=0,15\text{kGy}$) of aqueous solution of the dye ($1,66\cdot 10^{-5}\text{M}$) decolouration degree comprises 47% whereas at an addition of 0,5g/l sodium persulfate this value attains 82%. The study of ozone action on mentioned solutions has shown that at ozonization of $1,66\cdot 10^{-5}\text{M}$ solution decolouration degree attains 100%. Thus, from the comparison of obtained data it should be concluded that ozone method is the most efficient for purification of sewage, containing organic dyes.

ОЦЕНКА ЭФФЕКТИВНОСТИ РЕАГЕНТНОГО, РАДИАЦИОННОГО И ОЗОННОГО МЕТОДОВ ОЧИСТКИ СТОЧНЫХ ВОД, СОДЕРЖАЩИХ НЕКОТОРЫЕ ОРГАНИЧЕСКИЕ КРАСИТЕЛИ

Р.Г.Тушурашвили, М.В.Панчвидзе, Ц.М.Басиладзе, Г.И.Хидешели, Г.В.Шанидзе,
М.И.Мамардашвили, Н.М.Квирквелия

*Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе
Тбилисский государственный университета им. И. Джавахишвили*

РЕЗЮМЕ

Проведена оценка эффективности реагентного, радиационно-химического и озонного методов очистки сточных вод, содержащих краситель «Прямой красный – 2С». Показано, что в отдельных случаях использование некоторых добавок в различной комбинации приводит к эффективному обесцвечиванию красителя до 97%, однако, в этом случае надо отметить большой расход реагентов. Установлено, что при гамма-облучении ($D = 0,15 \text{ кГр}$) $1,66\cdot 10^{-5} \text{ м/л}$ водного раствора красителя степень обесцвечивания составляет только 47%, тогда как при добавлении 0,5г/л персульфата натрия это значение достигает 82%. Исследование воздействия озона на упомянутые растворы показало, что при озонировании $1,66\cdot 10^{-5} \text{ м/л}$ раствора в течение 10 секунд степень обесцвечивания достигает 100%. Таким образом, из сравнения полученных данных можно заключить, что озонный метод является наиболее эффективным для очистки сточных вод, содержащих красители.

**ზოგიერთი მძიმე ლითონის შემცველობა სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში –
სალბი სამკურნალოს ფოთლებში (SALVIA OFFICINALIS L.) მისი ფენოლოგიური
ბანვითარების სხვადასხვა ეტაპზე**

ლიანა ენუქიძე, თამარ ჭელიძე, მანანა ჩანკაშვილი, თონა ლოლაძე, მანანა ჭურაძე*
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი

დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიული მეთოდით განისაზღვრა მძიმე ლითონების – სპილენძის, ტყვიის, კადმიუმისა და თუთიის შემცველობა სამკურნალო ნედლეულში – სალბი სამკურნალოს ფოთლებში. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სალბი სამკურნალოს ფოთლებში განსაზღვრავი მიკროელემენტები ხასიათდებიან კონცენტრაციის კანონზომიერი შემცირებით გაზაფხულიდან შემოდგომამდე. კონცენტრაციის მინიმალური შემცირება ემთხვევა ვეგეტაციის ორ ბოლო ეტაპს და შეესაბამება განვითარების ფენოლოგიურ ეტაპებს – „ზრდასრული ფოთლები“ და „ძველი ფოთლები“, ანუ როცა ხდება სამკურნალო მცენარის შეგროვება





გარემოს – წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ტექნიკური დაბინძურების ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება სამკურნალო მცენარეების ხარისხისა და ეკოლოგიური სისუფთავის კონტროლის წარმოება. დაბინძურებულ ტერიტორიაზე შეგროვებული სამკურნალო მცენარეები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ახდენს რა უარყოფით გავლენას შინაგანი ორგანოების მუშაობასა და მათში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. მძიმე ლითონები სამკურნალო ნედლეულიდან გადადიან წამალ-ფორმებში, ხოლო შემდეგ ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში [1]. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალური ხდება სამკურნალო მცენარეებში მძიმე ლითონების რაოდენობრივი შემცველობის დადგენა. მძიმე ლითონების მარილებიდან ყველაზე მეტად ტოქსიკურია კადმიუმის, ტყვიის, თუთიის, სპილენძის, კობალტისა და ნიკელის მარილები, რომლებსაც ახასიათებთ კანცეროგენული თვისებები [2]. ამავე დროს, მძიმე ლითონები გარკვეული რაოდენობით წარმოადგენენ შეუცვლელ კომპონენტებს ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ისინი არიან ფერმენტული სისტემის შემადგენელი კომპონენტები და ფერმენტების აქტივატორები [3,4], იღებენ მონაწილეობას ჟანგბადის გადაადგილებაში. მცირე დოზებით მძიმე ლითონები ასტიმულირებენ ფოტოსინთეზურ აქტივობასა და მცენარეების სხვა სასიცოცხლო პროცესებს [5-6].

კვლევების დიდი ნაწილი ეძღვნება მძიმე ლითონების დაგროვებას იმ მცენარეებში, რომლებიც იზრდებიან ავტომაგისტრალებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან ახლოს [7]. ზოგიერთ ნაშრომში [8] წარმოდგენილია მონაცემები მძიმე ლითონების შემცველობის განსაზღვრის შესახებ საერთო სინჯში სეზონური დინამიკის გაუთვალისწინებლად. ნაშრომში [9] შესწავლილია ტყვიისა და კადმიუმის შემცველობა ნიადაგში, სალბის ფესვებში, ღეროსა და ფოთლებში. ნაჩვენებია, რომ სალბის ორგანოები მძიმე ლითონებს აგროვებენ არათანაბრად. კადმიუმის ყველაზე დიდ რაოდენობას აკუმულირებენ ფოთლები, ტყვიისას – ყვავილოვანი ნაწილი. კადმიუმის მაქსიმალური რაოდენობა აღმოჩენილი იქნა სალბში „Salvia nutans L.“, ტყვიის – სალბში „Salvia Tesquisola Klok. Et Pobed“. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა მძიმე ლითონების დაგროვების შესწავლა სამკურნალო მცენარეებში, კერძოდ, სალბი სამკურნალოს (Salvia officinalis L.) ფოთლებში მათი შეგროვების პერიოდში. ეს უკანასკნელი კი ითვალისწინებს კვლევის ჩატარებას მცენარის ფენოლოგიური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სალბი სამკურნალო მრავალწლიანი ნახევრადუჩქოვანი მცენარეა. სამედიცინო მიზნით გამოიყენება მისი ფოთლები. სალბის შეგროვება ხდება ივნის-ივლისსა და სექტემბერ-ოქტომბერში. მისი გალენური პრეპარატები გამოიყენება ხახის, ცხვირ-ხახისა და ზედა სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების დროს. არსებობს აღნიშნული პრეპარატებით გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების მკურნალობის კლინიკური გამოცდილება [10].

ჩვენს მიერ ადრე დადგენილი იქნა [11] მძიმე ლითონების შემცველობის ცვლილება კავკასიური ცაცხვის ფოთლებში მათი ფენოლოგიური განვითარების ოთხ ეტაპზე. ნაჩვენებია, რომ მძიმე ლითონების შემცველობა კავკასიური ცაცხვის ფოთლებში მცირდება პირველი ეტაპიდან მეოთხე ეტაპამდე.

სალბი სამკურნალოს ფოთლებში მძიმე ლითონების განსაზღვრის მიზნით კვლევები ტარდებოდა 2012 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით. ფოთლების ნიმუშები მისი განვითარების სხვადასხვა ფენოლოგიურ ეტაპზე მოწოდებული იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაკობოტანიკის ლაბორატორიის მიერ და ის აღებული იყო ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთიდან. სინჯის შერჩევა, მომზადება და დამუშავება ხდებოდა ჩვენს მიერ



ადრე შემუშავებული მეთოდის მიხედვით [12]. ისევე, როგორც ნაშრომში [11], სალბის ფოთლებში მძიმე ლითონების შემცველობის სეზონური ცვლილების შესწავლისას ვითვალისწინებდით მათი განვითარების ოთხ ფენოლოგიურ ეტაპს. თითოეული ფენოლოგიური ეტაპის დახასიათება ჩვენს მიერ არის მოცემული ნაშრომში [11]. მძიმე ლითონებს (სპილენძი, ტყვია, კადმიუმი, თუთია) სალბის ფოთლებში ვსაზღვრავდით დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიული მეთოდით IV-1 პოლაროგრაფის გამოყენებით.

ნახ. 1. სალბის 5 ბუჩქის ფოთლებში მძიმე ლითონების შემცველობის დიაგრამა მათი განვითარების სხვადასხვა ფენოლოგიურ ეტაპზე: 1 – ზრდის დასაწყისი; 2 – ინტენსიური ზრდა; 3 - ზრდასრული ფოთლები; 4 - ძველი ფოთლები

სალბის 5 ბუჩქის ფოთლებში მძიმე ლითონების შემცველობის ცვლილების დინამიკის შესწავლამ სხვადასხვა ფენოლოგიურ ეტაპზე აჩვენა კანონზომიერება, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 1-ზე. სალბის ფოთლებში ყველა შესწავლილი მიკროელემენტის შემცველობა მაქსიმალური იყო განვითარების პირველ ფენოლოგიურ ეტაპზე – “ზრდის დასაწყისი”. განვითარების მეორე ფენოლოგიურ ეტაპზე – “ინტენსიური ზრდა” - აღინიშნება საკვლევი მიკროელემენტების კონცენტრაციის უმნიშვნელო შემცირება. მათი კონცენტრაციის შემცირება უფრო შესამჩნევი ხდება შემდეგი ფენოლოგიური ეტაპისას – “ზრდასრული ფოთლები”. ამ პერიოდში აწარმოებენ სალბის ფოთლების პირველ მოკრეფას. და ბოლოს, მძიმე ლითონების, განსაკუთრებით სპილენძის, ყველაზე დაბალი კონცენტრაცია შეიმჩნევა ბოლო, ყველაზე დაბალი კონცენტრაცია შეიმჩნევა ბოლო,

დამამთავრებელ ფენოლოგიურ ეტაპზე - “ძველი ფოთლები” – სექტემბერში, როცა აწარმოებენ სალბის ფოთლების მეორე მოკრეფას.

მძიმე ლითონების კონცენტრაციის კანონზომიერი სეზონური ცვლილებები სხვადასხვა ხის ფოთლებში აღნიშნულია როგორც ჩვენს მიერ [11], ასევე სხვა მკვლევარების შრომებშიც [13]. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მძიმე ლითონების შემცველობის სეზონურმა რყევამ შეიძლება მიაღწიოს ათჯერად მნიშვნელობას. თუმცა კი, როგორც წესი, ბევრი სახეობის მცენარეებში კონცენტრაცია იცვლება 1.5-3-ჯერ.

ჩვენს კვლევებში კავკასიური ცაცხვის ხის შემთხვევაში დარეგისტრირდა ცალკეული მიკროელემენტის კონცენტრაციის დაახლოებით 4-6-ჯერ შემცირება [11], სალბის ფოთლების შესწავლილ ნიმუშებში კი – 1.5-4-ჯერ. მაგალითად, სპილენძის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია – 20.01÷28.6 მგ/კგ მშრალ ნარჩენში შეინიშნება ფოთლებში, რომლებიც არიან გაფურჩქნის სტადიაში. შემდეგ ფენოლოგიურ ეტაპებზე სპილენძის კონცენტრაცია კანონზომიერად მცირდება და „ძველ ფოთლებში“ მინიმალურია – 5.0÷7.15 მგ/კგ მშრალ ნარჩენში. ანალოგიურად მცირდება სხვა მძიმე ლითონების კონცენტრაციებიც: თუთიის შემთხვევაში ფოთლების გაფურჩქნის სტადიაზე მისი კონცენტრაცია

შეადგენს $42 \div 46.5$ მგ/კგ-ს, „ძველ ფოთლებში“ კი – $14.8 \div 17.3$ მგ/კგ-ს; ანალოგიურად ტყვიისათვის საწყის ეტაპზე – $1.62 \div 2.07$ მგ/კგ-ს, ხოლო „ძველ ფოთლებში“ – $0.99 \div 1.725$ მგ/კგ-ს; კადმიუმის შემთხვევაში – $1.24 \div 1.9$ მგ/კგ და $1.03 \div 1.46$ მგ/კგ.

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მიკროელემენტების (სპილენძი, ტყვია, კადმიუმი, თუთია) შემცველობა სალბი სამკურნალოს ფოთოლში გამოირჩევა არსებითი სეზონური დინამიკით. ბუნებრივია, რომ მათი კონცენტრაცია დამოკიდებულია მცენარის პოპულაციურ-სახეობრიობაზე, ინდივიდუალურ განსაკუთრებულობასა და გარემოს ეკოლოგიური ფაქტორების გარე კომპლექსებზე.

სალბი სამკურნალოს ფოთლებში განსასაზღვრავი მიკროელემენტები ხასიათდებიან კონცენტრაციის კანონზომიერი შემცირებით გაზაფხულიდან შემოდგომამდე. კონცენტრაციის მინიმალური შემცირება ემთხვევა ვეგეტაციის ორ ბოლო ეტაპს და შეესაბამება განვითარების ფენოლოგიურ ეტაპებს – „ზრდასრული ფოთლები“ და „ძველი ფოთლები“, ანუ როცა ხდება სამკურნალო მცენარის შეგროვება.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. ქარცივაძე ი., შანიძე გ., კვიციანი ნ., ფანჯიძე მ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2008, ტ. 34, №3, გვ. 340-342.
2. Пикаев А.К. Современная радиационная химия. Радиолит газы и жидкостей. М. «Наука», 1986, 440 с.
3. Тушурашвили Р.Г., Панчвидзе М.В., Шанидзе Г.В. Известия Национальной Академии Наук Грузии, Серия химическая, 2009, т. 35, № 4, с. 461-463.

MAINTENANCE OF SOME HEAVY METALS IN MEDICINAL VEGETATIVE RAW MATERIALS – LEAVES OF THE SAGE (*SALVIA OFFICINALIS* L.) AT VARIOUS PHENOLOGICAL STAGES OF ITS DEVELOPMENT

Liana Enukidze, Tamar Chelidze, Manana Chankashvili, Teona Loladze, Manana Churadze*

*Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Tbilisi State Medical University, I.Kutateladze Institute of Farmacochemistry*

SUMMARY

Determined the content of heavy metals - copper, lead, cadmium and zinc in the leaves of medicinal materials - sage by differential pulse polarography. Studies have shown that the content of these metals in the leaves of sage differs significant from spring to autumn. The minimal concentration observed at the two final stage that corresponds to the "trained leaves" and "old leaves", when collect indicated leaves.

СОДЕРЖАНИЕ НЕКОТОРЫХ ТЯЖЕЛЫХ МЕТАЛЛОВ В ЛЕКАРСТВЕННОМ РАСТИТЕЛЬНОМ СЫРЬЕ – ЛИСТЯХ ШАЛФЕЯ ЛЕКАРСТВЕННОГО (*SALVIA OFFICINALIS* L.) НА РАЗЛИЧНЫХ ФЕНОЛОГИЧЕСКИХ ЭТАПАХ ЕГО РАЗВИТИЯ

Л.Г.Енукидзе, Т.Р.Челидзе, М.В.Чанкашвили, Т.Ж.Лоладзе, М.В.Чурадзе*

Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе

Тбилисский государственный университета им. И. Джавахишвили

**Тбилисский Государственный Медицинский Университет, Институт фармакохимии им. И.*

Кутателадзе

РЕЗЮМЕ

Методом дифференциально-импульсной полярографии определено содержание ионов тяжелых металлов – меди, свинца, кадмия и цинка в лекарственном растительном сырье - листьях шалфея лекарственного. Проведенные исследования показали, что определяемые микроэлементы характеризуются снижением концентрации в листьях шалфея лекарственного от весны к осени. Максимальное снижение концентрации приурочено к двум последним этапам вегетации и соответствует фенологическим этапам развития «зрелые листья» и «старые листья», т.е. когда происходит сбор лекарственного сырья.

ХИМИЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ

МИНЕРАЛЬНЫЙ И ОРГАНИЧЕСКИЙ СОСТАВ СОПОЧНОЙ ГРЯЗИ (ПЕЛОИДА) ПОЛПОЙ-ТЕБИ

Н.В.Бокучава, Д.Г.Джинчарадзе, Л.О.Эбаноидзе
Грузинский Технический Университет

Впервые изучены физические и физико-химические показатели сопочной грязи Полпой-Теби, а также химическая природа, качественный и количественный состав минеральных и органических веществ, в том числе биологически активных, таких, как гуминовые вещества, микроэлементы, органические кислоты и малоизученные, ранее неидентифицированные полициклические ароматические углеводороды.

Сопочные грязи - это продукт извержения грязевых вулканов. Глинистые образования выходят на поверхность по трещинам земной коры в местностях, богатых нефтью и газом. Пелоид представляет собой бархатистую на ощупь, маслянистую, густую, вязкую массу серовато-белого цвета. Состоит из нерастворимых (кремнезем, глинозем, оксид железа и др.) и растворимых (соли различных металлов) минеральных и органических веществ (углеводов, жиров, продуктов разложения животных и растений) [2,3,5].

Сопочные грязи обладают высоким индексом пластичности, большой липкостью и сравнительно высокой влажностью при крайне низком содержании сероводорода [1]. Этими свойствами, а также химическим, гранулометрическим составом обусловлено лечебное воздействие грязей.

Наличие в Грузии грязевых вулканов предопределило традиционное и многолетнее применение пелоидов для лечебных целей, что успешно продолжается в настоящее время и имеет перспективы развития.

В рамках проводимого нами систематического исследования химического состава, физических и физико-химических свойств пелоидов Грузии [1] данное сообщение представляет собой характеристики ранее не исследованного месторождения сопочной грязи Полпой-Теби, расположенного в крайне восточной части Грузии.

Месторождение Полпой-Теби представляет собой 165 действующих и 15 потухших холмов, грифонов и сальз. Относительная высота холмов 0,5 - 1,0 метр. Действующие грифоны и сальзы выделяют грязь, воду, нефть и газ.

Лечебная грязь как природное образование представляет собой сложную физико-химическую систему, отдельные компоненты которой находятся в динамическом равновесии между собой. В составе грязи выделяют органическую и неорганическую (минеральную) части, находящиеся в твердом (твердая фаза), жидком (жидкая фаза) и газообразном (газовая фаза) состоянии. В структурном отношении лечебную грязь принято разделять на три основные части: грубодисперсную (остов), тонкодисперсную (коллоидный комплекс) и жидкую (грязевой раствор). Грязевой раствор (отжим) являет собой жидкую часть грязи и обычно состоит из воды и растворенных в ней минеральных солей, органических веществ и газов. Это наиболее подвижная, а следовательно, и наиболее активная в терапевтическом отношении часть пелоида. Содержание солей в грязевом растворе составляет 0,01 - 400,00 г/л и более.

Минерализация грязевого раствора пелоида Полпой-Теби составляет 16,7 г/л. Ионно-солевой состав относится к хлоридно-натриевому типу (табл.1).

Таблица 1. Химический состав грязевого раствора пелоида Полпой-Теби, г/л

Na ⁺ + K ⁺	Ca ²⁺	Mg ²⁺	Fe ²⁺	Cl ⁻	SO ₄ ²⁻	HCO ₃ ⁻ + CO ₃ ²⁻	H ₂ SiO ₃	Минерализация
5,7050	0,0060	0,0480	0,0008	5,3700	0,0783	5,4360	0,0430	16,6871
<p>формула химического состава $M_{16,7} \frac{Cl_{60}(HCO_3^- + CO_3^{2-})_{39}}{(Na^+ + K^+)_{98} Mg_2}$</p>								

Минеральная (зольная) часть лечебных грязей состоит из нерастворимых в воде минералов и соединений, трудно- и легкорастворимых солей. Эти минеральные вещества могут находиться в грязях в различном состоянии - в виде твердых частиц, гелей, растворов.

Из нерастворимых в воде веществ преобладают глинистые породы, глинистые минералы, минералы группы кремнезема, известняки и доломиты. Встречаются также железосодержащие минералы. Соединения алюминия почти всегда присутствуют как часть глинистых пород.

Химический анализ твердой фазы Полпой-Теби (табл.2) показал, что содержание SiO_2 составляет 47,8%, Al_2O_3 - 15,2%, сумма кальциево-магнезиального скелета колеблется в пределах 13%.

Таблица 2. Оксидный состав твердой фазы пелоида Полпой-Теби, %

SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	CaO	MgO	SO_3	Na_2O	K_2O
47,8	15,2	5,9	7,5	3,9	1,8	4,6	2,2

Грубодисперсная часть или остов грязи представляет собой твердую основу или так называемый "скелет" грязевой массы, состоящий из частиц диаметром более 0,001мм различного происхождения - кристаллов, солей, минералов и т.д. Остов грязи различается как по механическому (гранулометрическому), так и по минералогическому составу. Засоренность грязи частицами размером более 0,25мм не должна превышать 2-3%. В то же время излишне мелкий состав скелета грязи делает её чрезмерно "мягкой", текучей, неспособной "держать форму" (грязевую аппликацию, грязевую лепешку).

Лечебная грязь Полпой-Теби содержит 17,6% частиц размером менее 0,001мм, что даёт основание характеризовать её как мелкодисперсную. Кристаллический скелет составляет 26% (табл.3).

Таблица 3. Механический состав сопочной грязи Полпой-Теби, %

Кристаллический скелет	Частицы размером, мм				
	>0,25	0,25÷0,1	0,1÷0,01	0,01÷0,001	<0,001
26	0,1	0,1	2,2	6,0	17,6

Тонкодисперсная часть, или коллоидный комплекс грязи представляет собой её пластичную, гидрофильную основу, обеспечивающую влагеёмкость, а следовательно и тепловые свойства грязи. Обычно коллоидный комплекс включает в себя в различных соотношениях гидротроиллит, разложившееся органическое вещество и минеральные (чаще глинистые) частицы, а также некоторое количество кремниевой кислоты, поглощенные ионы и др. Количество тонкодисперсной части достигает 60-70% и более от массы сухого вещества грязи.

Исследование физических и физико-химических свойств пелоида Полпой-Теби показало значительное содержание влаги - 60%, высокие показатели липкости и сопротивления сдвигу, определяющие пластичность. Реакция среды щелочная (рН - 8,6). Содержание золы составляет 88%, что обусловлено, в основном, наличием глинистых прослоек. Для исследуемой грязи характерна восстанавливающая способность, на что указывает величина окислительно-восстановительного потенциала (табл.4).

Таблица 4. Физические и физико-химические параметры пелоида Полпой-Теби

Влажность, %	Объемный вес, мг/см^3	Липкость, дин/см^2	Сопротивление сдвигу, дин/см^2	Теплоемкость, кал/см^2 , сек	Теплоудерживающая способность, сек	Теплопроводность, кал/см^2 , сек	рН	Eh, mV	Зольность, %
60	1,28	2782	1992	0,69	223	0,0037	8,6	-120	88

Газы в сопочных глинах образуются как за счет биологических процессов, так и в результате химических реакций. Газы чаще находятся в растворенном состоянии, но могут находиться и в свободном состоянии. Среди газов, прежде всего надо отметить сероводород (0,1%). По химическому составу газы в пелоиде Полпой-Теби относятся к углеводородным. Основными компонентами являются метан и его гомологи (92,7-92,9%). Содержание диоксида углерода колебалось в пределах 1,1-9%. Содержание аргона составило 0,0826-0,3640%, гелия - 0,0014-0,0045%. В итоге можно отметить, что газы в изучаемом объекте имеют показатели, присущие газам нефтяных и газовых месторождений.

Известно, что в лечебных глинах в большом количестве содержатся микроэлементы, многие из которых биологически активны и играют определенную роль в лечебном действии пелоидов.

Таблица 5. Элементный состав пелоида Полпой-Теби, %

Rb	Pb	Sr	Fe	Mn	Ag	Cr	Ba	Sn	Co	Ni	Ti	I	Br	Ca	Zn
$1,2 \cdot 10^{-2}$	$1,6 \cdot 10^{-3}$	$3,3 \cdot 10^{-2}$ $\pm 6,0 \cdot 10^{-2}$	3,6±4,6	$5,6 \cdot 10^{-2}$	$1,4 \cdot 10^{-4}$	$6,1 \cdot 10^{-3}$	0	0	$1,4 \cdot 10^{-3}$	$8,0 \cdot 10^{-3}$	0,29±0,56	$2,34 \cdot 10^{-2}$	$4,56 \cdot 10^{-2}$	5,6	$8,6 \cdot 10^{-2}$

При рассмотрении полученных результатов можно отметить, что для пелоида Полпой-Теби характерны относительно высокие концентрации биологически активных элементов Fe, Ba, Sr, особенно йода и брома.

Химический состав органических веществ лечебных грязей весьма сложен и зависит от состава исходного материала, характера и кратности его биологической переработки. Важнейшими компонентами органических веществ являются битумы 4-20% органической массы, водорастворимые 1-12%, гуминовые 17-60%, легкогидролизующиеся 8-52%, трудногидролизующиеся вещества 2-14%. При наличии органических веществ нефтяного происхождения в их составе появляются нафтеновые кислоты, непредельные углеводороды, асфальтены. Разложившееся органическое вещество в большинстве своем является коллоидом, входит в гидрофильно-коллоидный комплекс и придает глинам хорошие тепловые и вязко-пластичные свойства. Многие органические вещества имеют лечебное значение (битумы, гуминовые кислоты, жирные кислоты, аминокислоты и др.).


Таблица 6. Содержание основных органических компонентов пелоида Полпой-Теби

Доля от общего содержания органических веществ, %			
Битумы	Углеводороды, смолы, асфальтены	Гуминовые вещества	Органические кислоты
28	4,5	28	16

Среди специфических, ранее не исследованных органических соединений обращает внимание наличие полициклических ароматических углеводородов (ПАУ), в том числе и обладающих высокой токсичностью (нафталин, аценафтен, флуорен, фенантрен, флуорантрен, пирен, хризен).

Анализ ПАУ был выполнен методом высокоэффективной жидкостной хроматографии (ВЭЖХ) (рис.1). Наряду с информацией о качественном составе ПАУ были получены данные, характеризующие их количественное содержание.

На хроматограмме отмечены пики: 24 при использовании ультрафиолетовых детекторов (УФ) и 20 в случае люминесцентных детекторов (ЛЮМ), принадлежащие ароматическим соединениям невыявленной природы. Из них лишь некоторая часть была идентифицирована (табл.7).



რის. 1. Хроматограммы разделения ПАУ

Таблица 7. Содержание полициклических ароматических углеводородов в пелоиде Полпой-Теби

ПАУ	Время удерживания Rt, (сек) по УФ	Подтверждение по ЛЮМ	Содержание, мкг/г в сухой грязи
Нафталин	410	+	0,30
Аценафтен + Флуорен	449	-	1,90
Фенантрен	509	+	0,10
ДМБА* + Флуорантрен	599	+	0,40
Пирен	672	+	0,20
Хризен	839	+	0,50

* - диметилбензантрацен

Таким образом, проведенные комплексные исследования позволили впервые получить сведения о химической природе пелоида Полпой-Теби, включая данные о количественном содержании и качественном составе неорганических и органических соединений, в том числе обладающих биологической активностью. К ним относятся как вещества, присутствие которых в других лечебных глинах установлено или предполагается (гуминовые вещества, микроэлементы, минеральные микрокомпоненты, нефтяные компоненты, органические кислоты и др.), так и малоизученные, ранее неидентифицированные соединения ПАУ.

Наряду с полученными нами данными о физических и физико-химических свойствах, минералогическом и механическом составе, эти сведения могут служить основой, на которой по-новому, научно обоснованно могут решаться вопросы, связанные с объяснением механизма лечебного

действия пелоида и оценкой перспективности использования сопочной грязи Полпой-Теби и пелоидов других месторождений в профилактических, лечебных и других (косметических, агрономических) целях.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Нана Бокучава. Лечебные грязи Грузии, "Технический Университет", 2009, 150 стр.
2. Эбралидзе Т.И., Бидзинашвили Г.П. и др. Грязевые вулканы Грузии, Тбилиси, ВНИГНИ, 1976, стр. 37-112
3. Мария Полевая. Целебная глина, лечебные грязи, Санкт-Петербург, Изд-во "Весь", 2004, 95 стр.
4. Лечебные грязи Киргизской ССР, Фрунзе, 1973, вып. 10, стр. 22-60
5. Мария Милаш. Целебная глина и лечебные грязи, Москва, Изд-во "Сева", 2006, 155 стр.
6. В.Д. Казьмин. Грязелечение. Ростов-на-Дону, "Феникс", 2001, 285 стр.

პოლპოი-თების ვულკანური ტალახის (პელოიდის) მინერალური და ორგანული შემადგენლობა

ნანა ბოკუჩავა, დავით ჯინჯარაძე, ლიანა ებანოიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პირველად შესწავლილია პოლპოი-თების ვულკანური ტალახის ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, ქიმიური ბუნება, მინერალური და ორგანული ნაერთების თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობა, მათ შორის ბიოლოგიურად აქტიურების, როგორცაა ჰუმინური ნივთიერებები, მიკროელემენტები, ორგანული მჟავები, ასევე ნაკლებად შესწავლილი, ადრე არაიდენტიფიცირებული პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები.

MINERAL AND ORGANIC COMPOSITION OF POLPOI-TEBI VOLCANIC MUD (PELOID)

Nana Bokuchava, David Jincharadze, Liana Ebanoidze
Georgian Technical University

SUMMARY

The study of Polpoi-Tebi volcanic mud performed for the first time. Namely, stated physical and physicochemical data, chemical nature, qualitative and quantitative composition of mineral and organic matter, including biologically active ones, like humic substances, microelements, organic acids and fairly studied, non-identified earlier polycyclic aromatic hydrocarbons.

ჭიათურის მანგანუმის მადნის ლამისებრი ნარჩენების საცავში არსებული მასალის ბუნების შესწავლა

ეკატერინე მაცაბერიძე, ეკატერინე ნიკოლეიშვილი, არჩილ სარუხანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შესწავლილია ჭიათურის მადნის გამდიდრების ლამისებრი ნარჩენების ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობა, ნაჩვენებია, რომ კულსაყარში ხანგრძლივი განთავსების გამო ნარჩენების მინერალოგიური შედგენილობა შეიცვალა. დადგენილია, რომ მანგანუმის ჯგუფის მინერალების შემცველობა 20,7 მას. %-დან შემცირდა 17,6 მას. %-მდე.

ჭიათურის მადნის გამდიდრების ლამისებრი ნარჩენები არაერთი ათეული წლის განმავლობაში ინახება მათთვის განკუთვნილ საცავში და საორიენტაციო გათვლებით მათი ოდენობა 20 მლნ ტ-მდე უნდა იყოს. ამ მაჩვენებლით ისინი იმ სიდიდეს უტოლდება, რომელიც ტექნოგენურად წოდებულ ნელეულს ახასიათებს.

მრავალი კვლევებით დადგენილია, რომ საცავში არსებული მასალა შეიძლება გამოყენებული იყოს მანგანუმის კვლავწარმოებისათვის, თუმცა ღიად რჩება მეორადი ნარჩენების საკითხი, რომელთა ოდენობა არ იქნება მითითებულზე ნაკლები და ისევე უარყოფითად იმოქმედებს გარემოზე, როგორც მოქმედებს დღეს არსებული. გარდა ამისა, არსებული ნარჩენებიდან მანგანუმის მაქსიმალურად ამოღებისათვის აუცილებელია იმის ცოდნაც, თუ როგორი იქნება ლამისებრი მასა მრავალი ათეული წლის განმავლობაში საცავში შენახვისას.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის გარკვევა, რა ბუნებისაა საცავში განთავსებული მასალა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევადაა გამოზრდილი ჩვენს მიერ შესრულებული კვლევა.

ლამისებრი ნარჩენები ათეული წლების განმავლობაში, სხვადასხვა ტექნოლოგიებით რამდენადმე განსხვავებულ ოთხ გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიიღებოდა [1, 2]. ლამი, ზოგადად, წარმოიქმნებოდა წვრილმარცვლოვანი მასების (0-16მმ) დამუშავებით (გამორეცხვით, გაუწყლოებით, დალექვით და ა.შ.) და მიიმართებოდა საცავში, რომელიც დღეს დამბებით გამოყოფილ ფართობებს წარმოადგენს. ბუნებრივი „დაწურვის“ შედეგად გამოყოფილმა წყალმა „ღურღუმელას“* ხეობის ქანობზე ტბა წარმოქმნა.

იმისათვის, რომ მოგვეცოდინა საშუალება შეგვეფასებინა ის, თუ რა ცვლილებები განიცადა ლამისებრმა მასამ დროის განმავლობაში, საჭირო იყო დაგვედგინა შედარების ამოსავალი „წერტილი“ – ლამის საწყისი ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობა. ეს ზემოთ მითითებულ ნაშრომთა დახმარებით შეეძლო.

გამოქვეყნებული მონაცემებით [1, 2], ელემენტთა და ოქსიდთა შედგენილობა, აგრეთვე მინერალოგიური შედგენილობა ცხრ. 1 და 2-შია მოცემული.

ცხრილი 1. რივ ელემენტთა და ოქსიდთა შედგენილობა

მასალა	ელემენტთა ოდენობა, მას. %			ოქსიდთა შემცველობა, მას. %						ხურებითი დანაკარგები
	Mn	P	S _{საერთო}	MnO ₂	SiO ₂	Al ₂ O ₃	CaO	MgO	Fe ₂ O ₃	
საწყისი მადანი	23,4	0,16	0,21	17,8	34,6	5,62	4,50	1,35	2,6	13,03
ლამი	14,00	0,17	0,20	6,9	55,8	8,30	3,56	1,77	3,4	9,10

ცხრილი 2. მადნისა და ლამის მინერალოგიური შედგენილობა, მას. %

მასალა	ფოსფატები და სოლიკატები სზე	კვარცი	მარმურული ფაზა	Mn-ის შემცველობა	მანგანიტი		პიროლუ-ზიტი		ფსილო-მელანი		მადნეული კარბონატები		
					მინერალი	Mn	მინერალი	Mn	მინერალი	Mn	მინერალი	Mn	
მადანი	0,6	26,9	28,1	44,4	23,4	18,4	11,5	3,6	3,5	4,1	2,56	18,3	5,5
ლამი	0,7	34,2	44,4	20,7	11,0	4,4	2,8	1,4	0,9	4,3	2,56	10,6	2,8

* ასე უწოდებს ამ ხეობას ადგილობრივი მოსახლეობა

ჩვენი ყურადღება ცხრ. 2-ში მოტანილმა მონაცემებმა მიიპყრო. მათი მიხედვით გამოდის, რომ გამდიდრების შედეგად მანგანიტიდან მხოლოდ ~24, პიროლუზიტიდან ~78, კარბონატული მადნეულიდან ~58 მასური პროცენტი (მას.%) ამოიღება ცალკეული მინერალიდან, ხოლო ფსილომელანის ოდენობა თითქმის უცვლელი რჩებოდა. ეს მონაცემები გვიჩვენებს სხვადასხვა მინერალების დამოკიდებულებას წყალთან. ამ მხრივ ყველაზე უმდგრადი პიროლუზიტი გამოდის, შემდეგ კარბონატული მადნეული და მანგანიტი. რაც შეეხება ფსილომელანის უცვლელობას, იგი მისი ბუნებით უნდა აიხსნას, რომელსაც ნათლად მისი ოქსიდური ფორმულა ამჟღავნებს ($mMnO \cdot MnO_2 \cdot nH_2O$).


ღლეს ლამად (slime) ხსენებული, საცავში მოთავსებული მასალა მორუხო-შავი ფერის წვრილდისპერსიულ ქვიშის მსგავსია. ამ ქვიშის გრანულომეტრიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი ძირითადი მასა 0,2-0,6 ზომის მარცვლებისგან შედგება (~88 მას.%) და მარცვლების მხოლოდ ~12 მას.% ხასიათდება 0,1-0,2 მმ ზომით.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაკვირვების შედეგად ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, რომ საცავის მასალის ოქსიდური შედგენილობა უმნიშვნელოდ იცვლება, თუ არ ჩავთვლით მასში შემავალი წყლის შემცველობას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სინჯების აღების დროზე. ამ მასალის გასაშუალოებული შედგენილობა შემდეგია (მას. %-ში): $P_2O_5 - 0,35$; $SiO_2 - 54,23$; $MnO_2 - 7,86$; $TiO_2 - 0,27$; $Al_2O_3 - 7,73$; $Fe_2O_3 - 0,23$; $MnO - 6,30$; $CaO - 3,76$; $MgO - 1,27$; $BaO - 0,69$; $K_2O - 1,82$; $Na_2O - 1,02$; $CO_2 - 3,59$; $SO_3 - 0,63$; $H_2O - 7,35$.

თუ შევადარებთ ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებს [1,2]-ში მოცემულ „სალი“ ლამისებრი ნარჩენების ოქსიდურ შედგენილობას (ცხრ. 1), ადვილად შევაჩვენებთ, რომ დამთხვევა SiO_2 -ის, Al_2O_3 -ის, CaO -ის, MgO -სა და Fe_2O_3 -ის შემთხვევაში დამაკმაყოფილებელია, გარდა MnO_2 -სა, რადგან ცხრ. 2-ში მოტანილი მონაცემების გადაანგარიშებით მიიღება ჩვენს მიერ მოცემული სიდიდეების შესადარებელი მნიშვნელობა.

ჩვენს მიერ დადგენილი საცავის მასალის ქიმიური შედგენილობის ცხრ. 1-ის მონაცემებთან შედარებით ირკვევა, რომ ამ მასალას თითქმის არ განუცდია ცვლილებები. სინამდვილეში ცვლილებები საგრძნობია, რაც მჟღავნდება საკვლევი მასალის მინერალოგიური შედგენილობით.

პეტროქიმიამში მიღებული მრავალკომპონენტური სისტემის ქიმიური შედგენილობის მინერალოგიურზე გადაანგარიშების ხერხით [3,4] დაფიქსირებული შედეგები მოცემულია ცხრ. 3-ში.



ნახ. 1. საცავში განთავსებული მასალის დიფრაქტოგრამა

ცხრილი 3. საცავის მასალის მინერალოგიური შედგენილობა

მასალის შემადგენელი ინგრედიენტები	რაოდენობა, მას. %	მასალის შემადგენელი ინგრედიენტები	რაოდენობა, მას. %	
Ap: $10\text{CaO}\cdot 3\text{P}_2\text{O}_5\cdot \text{H}_2\text{O}$ აპატიტი	0,84	Or: $\text{K}_2\text{O}\cdot \text{Al}_2\text{O}_3\cdot 6\text{SiO}_2$ ორთოკლაზი	8,74	
Ru: TiO_2 რუტილი	0,27		Ab: $\text{Fsp Na}_2\text{O}\cdot \text{Al}_2\text{O}_3\cdot 6\text{SiO}_2$ ალბიტი	8,13
Ba-Su: BaSO_4 ბარიტი	1,05		An: $\text{CaO}\cdot \text{Al}_2\text{O}_3\cdot 2\text{SiO}_2$ ანორთიტი	5,98
FeS ₂ : პირიტი	0,58	Cc: CaCO_3 კალციტი	3,12	
Gtt: $\text{Fe}_2\text{O}_3\cdot \text{H}_2\text{O}$ გოეთიტი	2,91	Mc: MgCO_3 მაგნეზიტი	2,52	
Tt: $\text{K}_2\text{O}_3\cdot 2\text{Al}_2\text{O}_3\cdot 2\text{H}_2\text{O}$ კაოლინიტი	0,70	Mc': MnCO_3 როდოქროზიტი	2,36	
Mu: $\text{K}_2\text{O}\cdot 3\text{Al}_2\text{O}_3\cdot 6\text{SiO}_2\cdot 2\text{H}_2\text{O}$ მუსკოვიტი	1,99	Mang: $\text{MnO}_2\cdot \text{Mn}(\text{OH})_2$ მანგანიტი*	5,00	
Gl: $(\text{K}_2\text{Na}_2)_2\text{O}_3\cdot 7\text{SiO}_2\cdot 6\text{H}_2\text{O}$ გლაუკონიტი	1,71	Psi: $\text{H}_2\text{O}\cdot 1,14\text{MnO}\cdot 2,26\text{MnO}_2$ ფსილომელანი*	5,00	
H: $\text{CaO}\cdot 7\text{Al}_2\text{O}_3\cdot 7\text{SiO}_2\cdot 6\text{H}_2\text{O}$ ჰეილანდიტი	4,12	Ptr: $27,33\text{MnO}_2\cdot \text{MnO}\cdot 2,83\text{H}_2\text{O}$ პიროლუზიტი*	1,50	
Mt: $\text{Al}_2\text{O}_3\cdot 4\text{SiO}_2\cdot \text{H}_2\text{O}$ მონტმორილიონიტი	0,94	Wad: $\text{MnO}_2\cdot 2\text{MnO}\cdot 7,62\text{H}_2\text{O}$ ვადი	3,04	
Ht: $\text{Al}_2\text{O}_3\cdot 2\text{SiO}_2\cdot 2\text{H}_2\text{O}$ ჰალუაზიტი	0,80	Q: SiO_2 კვარცი	31,35	
		Op: $\text{SiO}_2\cdot 2,2\text{H}_2\text{O}$ ოპალი	3,53	
* - მოცემულია [3]-ში არსებული მონაცემები		H ₂ O – არასტრუქტურული წყალი	3,99	
			Σ100,17	

პეტროქიმიური გადაანგარიშების შედეგები დამაკმაყოფილებელ შესაბამისობაშია რენტგენოფაზური ანალიზით მიღებულთან. ნახაზზე 1 მოცემული დიფრაქტოგრამა საკმაოდ მკაფიოდ აფიქსირებს გაანგარიშებით მიღებული მინერალებისათვის დამახასიათებელ რეფლექსებს, თუმცა მათი გაშიფვრისას წყალშემცველი ალუმინსილიკატებისა და მანგანუმშემცველი (მადნეული) ფაზების, ისევე, როგორც მინდვრისშპატურის, ინდივიდუალიზაცია ვერ მოხერხდა. ამის მრავალი ობიექტური მიზეზი არსებობს, რომელთა შორის ძირითადად კარკასული და ფენოვანი სილიკატების კრისტალოქიმიური ჯგუფების ფარგლებში შესაძლო იზომორფიზმია და სტრუქტურათა შერევა. რაც შეეხება მადნეულ ფაზას, მასში შეძვარილი მინერალების ინდივიდუალიზაციას ართულებდა მანგანუმშემცველი მინერალების მარცვლების მცირე ზომები და რეფლექსების სიახლოვე – ცხრ. 3-ში მითითებული ამ ფაზების კრისტალოქიმიური ჯგუფების იდენტიფიკაცია საკმაო სიზუსტით მოხერხდა.

კვლავ შევადაროთ მიღებული შედეგები არსებულთან (ცხრ. 2). ამისათვის საჭირო გახდა ჩვენი მონაცემები დაგვეფიქსირებინა ცხრ. 2-ის ფორმაში, რამაც გამოიწვია როდოქროზიტის მადნეულის ნაწილში გადატანა, რადგან ეს მინერალი სხვა კარბონატებთან იზომორფულია. გარდა აღნიშნულისა,

ცხრ. 3-ში მოტანილი შედგენილობიდან მოცილებულ იქნა მიერთებული წყალი და მასა გადაანგარიშებულ იქნა 100%-ზე.

მიღებული შედეგები ცხრ. 4-შია მოცემული.

ცხრილი 4. „სალი“ ლამის (1) და საცავში მოთავსებული მასალის (2) მინერალოგიური შედგენილობის შედარება (მას. %)

მასა- ლები	ფოსფატები	სილიკატები და სხვ.	კვარცი	მადნეული, ფაზა	Σ	მადნეული ფაზის შედგენილობა				
						მანგანოზი	პაროლუზიტი	სილიმენი	მადნეული კარბონატი	Wad, MnO ₂ ·2MnO·7,62H ₂ O კაიდი
1	0,7	34,2	44,4	20,7	100,00	18,4	3,6	4,1	18,3	-
2	0,87	45,30	36,26	17,57	100,00	5,20	1,56	5,20	2,45	3,16
	+0,17	+11,1	-8,14	-3,13		-13,2	-2,04	+1,1	-15,85	+3,16

ირკვევა, რომ ლამის საცავში ათწლეულობით შენახვის გამო მინერალოგიური შედგენილობა საგრძნობლად შეიცვალა. [1,2]-ში ფოსფატებად ხსენებული შემადგენელი (ჩვენს შემთხვევაში – აპატიტი) რამდენადმე იზრდება. იზრდება მნიშვნელოვნად „სილიკატებად და სხვად“ ხსენებული შემადგენელი, რომელშიც, ჩვენი ვარაუდით, შედიან აქცესორული მინერალები (Ru, Ba-Su, FeS₂, Gtt), წყალშემცველი ფენოვანი (Kt, Mt, Ht, Mu, Cl) და კარკასული (H) ალუმინსილიკატები, მინდვის შპატები (Fsp, Or, Ab, An) და კარბონატები (Cc და Mc), ასევე მნიშვნელოვნად მცირდება კვარცის და ოპალის ოდენობა (Q და Op) და საგრძნობლად – „მადნეული ფაზა“.

იმის დადგენა, რა უნდა იყოს ლამის მინერალოგიური ცვლილების მიზეზები, საჭიროებს დეტალურ შესწავლას, თუმცა წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით რიგი მოსაზრების შემოთავაზება შესაძლებელია.

გასაგებია, რომ ლამიდან რიგი შემადგენლის მოცილებით დანარჩენის მატებაა მოსალოდნელი. ამდენად კვარცისა და მადნეული ფაზის კლება უნდა იყოს დანარჩენ შემადგენელთა ზრდის მიზეზი. „კვარცის“ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კვარციც და ოპალიც ლამში წვრილდისპერსულ მდგომარეობაშია და ნაწილი მათგანი, რომელთა მარცვლების ზომა კოლოიდურს უახლოვდება, გაჰყვება იმ წყალს, რომელიც დღეს დამბებს მიღმაა. რატომ არ შეეძლო მაშინ წყლიან ალუმინსილიკატებსაც გაჰყოლოდნენ ამ წყალს, რადგან ეს მინერალები ძირითადად კოლოიდმაგვარებია, მეტადრე თუ მათზე იმოქმედებს წყალი, მოხვედრილი წვიმისა და მლხობი თოვლის სახით? სავარაუდოდ, ნაწილი წლის გარკვეულ დროს გაჰყვება წყალს, თუმცა რიგი მათგანი წყლის „შთანთქმისადმი“ მიდრეკილი, მაგალითად Mt, H, დარჩება მათთვის ჩვეულ მდგომარეობაში. დარწმუნებით მხოლოდ „მადნეული ფაზის“ შემცირების მიზეზებზე შეიძლება მსჯელობა – იგი ნამდვილად მიჰყვება ალნიშნულ წყალს, რაზედაც ამ ფაზის თვისებრივი მინერალოგიური შედგენილობა მეტყველებს.

აქ გამოთქმული მოსაზრებები მეტწილად ვარაუდის დონეზეა. უფრო დამაჯერებლად დადგენილ მოვლენებზე შესაძლებელია მსჯელობა სალი ლამის ისეთივე დეტალური მინერალოგიური შედგენილობის არსებობისას, როგორც შემოთავაზებულია წინამდებარე ნაშრომში.

დასასრულს შეიძლება დავასკვნათ, რომ საცავში მოთავსებულმა ლამმა, ამ საცავის არსებობის დროის განმავლობაში ~3 მას.% მანგანუმის ოქსიდები „დაკარგა“ და რაც უფრო მეტხანს „შეინახავით“ მინერალთა მიღებულ კონგლომერატს, მით უფრო დაკარგავს იგი მეორადი მანგანუმის მიღების პერსპექტივებს. ამ შემთხვევაში კონგლომერატი მხოლოდ რიგი სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობათა მისაღებად ვარგისი ტექნოგენური ნედლეული გახდება.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Отчет по теме «Определение оптимального содержания кремнезема в Чиатурских концентратах, используемых для выплавки силикомарганца». №369/79. Рук. С.М. Мазмишвили, 1978 – 504с.
2. З.Н. Симонгулов . Разработка технологии выплавки силикомарганца из низкосортных марганцевых концентратов, обеспечивающая повышение извлечения марганца. Дисс. на соиск. уч. ст. к.т.н. по спец. 05.16.02. Тб., ГПИ, 1983, - с. 27-49.
3. მულტიმინერალურ სისტემებში სილიკატებისა და მინის წარმოქმნის შესაფასებლად თერმოდინამიკურ მონაცემთა ბაზის შექმნა. ე. მაცაბერიძის ავტორეფერატი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ, თბ., 2011.
4. ე.თ. ნიკოლეიშვილი. „Seime-SiO₂-CaCO₃-Na₂CO₃“ ფსევდოლოთხმაგი სისტემების რიგი კომპოზიციის მაღალტემპერატურული ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესწავლა. საკანდ. დის. ავტ., თბ., 2005, 42 გვ.
5. Г.А. Авалиани. Марганцевые месторождения Грузии. М., Наука, 1982, - 172с.

STUDY OF NATURE OF MATERIAL SITUATED IN THE STORAGE OF SLIME SCRAPS OF CHIATURA MANGANESE ORE

E.Matsaberidze, E.Nikoleishvili, A.Sarukhanishvili
Georgian Tehnical University

SUMMARY

Chemical and mineralogical composition of material situated in the storage, intended for slime scraps of Chiatura manganese ore dressing, is considered. It is shown that mineralogical composition of this material is changed as a result of long-term “keeping”. It is established that the amount of minerals of manganese group contained in it, is reduced from 20,7 mass % to 17,6 mass %.

ИЗУЧЕНИЕ ПРИРОДЫ МАТЕРИАЛА, НАХОДЯЩЕГОСЯ В ХРАНИЛИЩЕ ШЛАМОВЫХ ОТХОДОВ ЧИАТУРСКОЙ МАРГАНЦЕВОЙ РУДЫ

Э.Л.Мацаберидзе, Э.Т.Николеишвили, А.В.Саруханишвили
Грузинский технический университет

РЕЗЮМЕ

Рассмотрен химический и минералогический состав материала, находящегося в хранилище, предназначенном для шламовых отходов обогащения чиатурской марганцевой руды. Показано, что в результате продолжительного «хранения» существенно изменился минералогический состав этого материала. Установлено, что количество содержащихся в нем минералов марганцевой группы уменьшилось с 20,7 мас. % до 17,6 мас. %.

საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზების მეთოდური რეკომენდაციები

დამიტრი ერისთავი, ნაზიბოლა კუციავა, ლეილა გვერდწითელი, მარინე დემეტრაძე, ქეთევან ციხისელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზების მეთოდური რეკომენდაციები, საზოგადოების შესაძლო ჩართვისა და მონაწილეობის საკითხები სახელმწიფო ეკოლოგიურ პროგრამებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ალტერნატიული საინფორმაციო არხების შექმნა ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი გავცელებისათვის, “კონტროლისა” და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ეკოლოგიური სამსახურებისაგან, რომლებიც ხშირად განიხილავენ გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებულ ინფორმაციას თავისი ინტერესებიდან გამომდინარე.

ეკოლოგიური მონიტორინგი არის ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვების, შეფასებისა და პროგნოზირების ერთიანი საინფორმაციო სისტემა, რომელიც აგროვებს, სისტემაში მოყავს და ანალიზებს ინფორმაციას: ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე; გარემოს დამაბინძურებელ წყაროებზე და ზემოქმედების ფაქტორებზე; მთლიანობაში გარემოს დასაშვებ ცვლილებებზე და დატვირთვაზე; ბიოსფეროს არსებულ რეზერვებზე.

ამრიგად, ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემაში შედის დაკვირვება როგორც ბიოსფეროს ელემენტების მდგომარეობაზე, ასევე ანთროპოგენული ზემოქმედების წყაროებზე და ფაქტორებზე [1,3].

არსებული ამოცანების გადაწყვეტის ხასიათის მიხედვით, ეკოლოგიური მონიტორინგის კლასიფიკაციის მიმართ არსებობს სხვადასხვა მიდგომა. პირველ ცხრილში წარმოდგენილია კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს ეკოლოგიური მონიტორინგის მთელ ბლოკს – დაკვირვებას ბიოსფეროს აბიოტური შემადგენლების ცვლილებებზე და ეკოსისტემების უკურუაქციებს ამ ცვლილებებზე.

ცხრილი 1. ეკოლოგიური მონიტორინგის კლასიფიკაციის ბლოკი

გარემოზე ზემოქმედების წყაროების მონიტორინგი	ზემოქმედების წყაროები	
გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების მონიტორინგი	ზემოქმედების ფაქტორები	
ბიოსფეროს მდგომარეობის მონიტორინგი	ბუნებრივი გარემო	
	გეოფიზიკური მონიტორინგი: ატმოსფერო; ოკეანე; ხმელეთის ზედაპირი მდინარეებითა და ტბებით, მიწისქვეშა წყლები.	ბიოლოგიური მონიტორინგი: ბიოტა

მონიტორინგის სისტემა ხორციელდება რამდენიმე დონეზე, რომელსაც შეესაბამება სპეციალური პროგრამები:

- იმპაქტური - ძლიერი დაბინძურების ზემოქმედების შესწავლა ლოკალურ მასშტაბში – (ი);
- რეგიონული - დამაბინძურებელი ნივთიერებების მიგრაციისა და ტრანსფორმაციის, რეგიონული ეკონომიკისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების პრობლემების წარმოჩენა - (რ);
- ფონური - ბიოსფერული ნაკრძალების, სადაც გამოირიცხულია ნებისმიერი სამეურნეო მოღვაწეობა - (ფ).

მორე ცხრილში მოცემულია ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის გლობალურ სისტემაში მიღებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის კლასების მიხედვით [1,3].

იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი გარემოს სისუფთავეს საზოგადოების არსებობისათვის კარდინალური მნიშვნელობა აქვს, დღესდღეობით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დასმულია საკითხი გარემოს გაჭუჭყიანებაზე სახელმწიფო ორგანიზაციის პარალელურად საზოგადოებრივი მონიტორინგის წარმოების აუცილებლობის შესახებ.

კონკრეტული საწარმოს მიერ გარემოს დაბინძურების დონის ობიექტური განსაზღვრისათვის, მავნე ემისიების კონცენტრაციის გაზომვა სახელმწიფო ორგანიზაციის პარალელურად, უძვობესია წარმოებდეს აგრეთვე დამოუკიდებელი კომერციული ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელიც მუშაობს და კომპეტენტურია გარემოს დაცვის საკითხებში, რაც უზრუნველყოფს გაზომვების მეთოდისა და აპარატურის უნიფიცირებას და გამორიცხავს მიღებული შედეგების შეუთანხმებლობასა და სიჭრელეს. ცხადია, რომ ასეთი მიდგომა გამორიცხავს გარემოს დაბინძურების ხარისხის მიკრომომხდელ მიდგომას.

ცხრილი 2. დამაბინძურებელი ნივთიერებების კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის კლასების მიხედვით

კლასი	დამაბინძურებელი ნივთიერება	გარემო	პროგრამის ტიპი
1	გოგარდის დიოქსიდი	ჰაერი	ი; რ; ფ
	რადიონუკლიდები	საკვები	ი; რ.
2	ოზონი	ჰაერი	ი. (ტროპ.) ფ. (სტრატ.)
	ქლორორგანული შენაერთები და დიოქსინები	ბიოტა, ადამიანი	ი; რ.
	კადმიუმი	საკვები, წყალი, ადამიანი	ი.
3	ნიტრატები, ნიტრიტები	წყალი, საკვები	ი.
	აზოტის ოქსიდები	ჰაერი	ი.
4	ვერცხლისწყალი	საკვები, წყალი,	ი; რ.
	ტყვია	ჰაერი, საკვები	ი.
	ნახშირბადის დიოქსიდი	ჰაერი	ფ.
5	ნახშირბადის ოქსიდი	ჰაერი	ი.
	ნავთობის ნახშირწყალბადები	ზღვის წყალი	რ; ფ
6	ფტორიდები	მტკნარი წყალი	ი.
7	აზბესტი	ჰაერი	ი.
	დარიშხანი	სასმელი წყალი	ი.
8	მიკრობიოლოგიური დაბინძურება	საკვები	ი; რ.
	რეაქტივისუნარი ნახშირწყალბადები	ჰაერი	ი.

მესამე ცხრილში წარმოდგენილია საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის ადგილი ეკოლოგიურ მონიტორინგში.

ცხრილი 3. საზოგადოების მონაწილეობა ეკოლოგიურ მონიტორინგში


მონიტორინგის სახეები	დაკვირვებისა და შეფასების ობიექტები	საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობა
დამაბინძურებელი წყაროებისა და ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი	ჩანადენები, ემისიები, ნარჩენების განთავსება და შემდგომი უტილიზება, რესურსებისა და მზა პროდუქციის გამოყენება	საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგი სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში ზემოქმედების წყაროებზე შესაძლებელია იყოს ძალზე ეფექტური. მძლავრი ხელსაწყოების ბაზა აუცილებელი არ არის: უამრავი ამოცანა შესაძლებელია გადაწყდეს მარტივი მეთოდებით, მათ შორის ისეთი, რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ აღჭურვილობას (ვიზუალური დაკვირვებები, ფოტოდოკუმენტირება და ა.შ.).
ზემოქმედების შედეგების მონიტორინგი	ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ზემოქმედების ფაქტორები	ამ სახის მონიტორინგის ეფექტურობა ასევე შესაძლებელია იყოს ძალზე მაღალი. როგორც წესი, ის საჭიროებს ზოგიერთ აღჭურვილობას, რომლის არჩევა დამოკიდებულია მუშა ჯგუფის მიერ არჩეული ამოცანის გადაჭრაზე.
ბიოსფეროს მდგომარეობის მონიტორინგი	გეოფიზიკური მონიტორინგი ატმოსფერო; ოკეანე; ხმელეთის ზედაპირი მდინარეებითა და ტბებით. ბიოლოგიური მონიტორინგი (ბიოტა)	საზოგადოების მოქმედების არეალი აქაც არსებობს – ძირითადად ინტენსიური ზემოქმედების ზონებში ბიოტის დაცვის ნაწილში. მაგრამ, მთლიანობაში საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ეფექტურობა ამჟამად არცთუ ისე მაღალია.

ყველა სამუშაო, რომელსაც ასრულებს სახელმწიფო ეკოლოგიური მონიტორინგი, არ არის აუცილებელი შეასრულოს საზოგადოებამ, რადგანაც ძირითად მიზანს, რომელსაც ისახავს საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგი, მდგომარეობს ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდაში საზოგადოებისათვის. ეს კი მიიღწევა ინფორმაციაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემცირებით, დამატებითი ინფორმაციის მოპოვებით, რომელსაც არ ფლობს სახელმწიფო სამსახურები და ასევე მთელი არსებული ინფორმაციის განზოგადებული ანალიზით და მისი ადაპტაციით ყველა დონის აუდიტორიისათვის.

როგორც წესი, საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგი ხორციელდება აქტიური ზომების გატარების მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები არჩევენ მიმართვას სახელმწიფო სტრუქტურებში, ზოგიერთ შემთხვევაში ახდენენ ზეწოლას უშუალოდ საწარმოებზე, ზოგჯერ გეგმავენ პირდაპირ მოქმედებებს შერჩეული ობიექტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგი განუყოფელია საზოგადოებრივი ეკოლოგიური კონტროლისგან და წარმოადგენს მისთვის საინფორმაციო ბაზას.

საზოგადოებრივ ეკოლოგიურ მონიტორინგს შეუძლია ეფექტურად შეასრულოს შემდეგი ფუნქციები: ალტერნატიული საინფორმაციო არხის შექმნა; ეკოლოგიური კონტროლის ოპერატიულობის ამაღლება და მოსახლეობის ეფექტური ინფორმირება საგანგებო შემთხვევებში; დაკვირვება ობიექტებზე, რომლებიც არ არიან ჩართული სახელმწიფოს გარემოს დაცვითი სამსახურების ეკოლოგიური მონიტორინგის პროგრამაში; იმ პრობლემებზე ყურადღების მიპყრობა, რომლებიც ადრე გამოკვეთილი არ იყო; ეკოლოგიური განათლების ამაღლება და განვითარება.

საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზების მეთოდური რეკომენდაციები შეგვიძლია სრულად და, ამავე დროს, კომპაქტურად წარმოვადგინოთ შემდეგ ბლოკ-სქემაზე:



მეოთხე ცხრილში მოტანილია დანადგარები და ანალიზის მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელება.

ცხრილი 4. საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელებლად საჭირო დანადგარები და ანალიზის მეთოდები.

დანადგარის ტიპი	შესაძლებელი გამოყენების სფერო
კონდუქტომეტრი ანუ წყალხსნარების წინაღობის გასაზომი ხელსაწყო	წყლის მინერალიზაციის შეფასება, ელექტროლიტების (მარილების, ტუტეების, მჟავების) ჩამონადენის წყაროების ლოკალიზაცია.
pH-მეტრი, იონომეტრი	წყალბადის მაჩვენებლის დადგენა, ხოლო იონო-სელექტური ელექტროდების გამოყენებისას – ვადგენთ ნიტრატების, ქლორიდების და სხვა იონების არსებობას.
აირანალიზატორი	ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე მინარევები ნახვერადრაოდენობრივად განსაზღვრა.
ფოტოელექტრო-კოლორიმეტრი	სინჯების სათანადო მომზადებისას, წყლის ჰაერის, ნიადაგის, ბიოლოგიური ქსოვილების ანალიზი.
აირადი ქრომატოგრაფი	ატმოსფეროს და წყლის შემადგენლობაში ორგანული მინარევების განსაზღვრა.

უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მოღვაწეობენ ეკოლოგიური მონიტორინგის სფეროში, მიღებულ შედეგებს გადასცემენ:

- გადაწყვეტილების მიმღებ პირებს;
- გარემოს დაცვის სფეროს სპეციალისტებს;
- საზოგადოების ფართო ფენებს.

ეს ფართო აუდიტორია მოიცავს ეკოლოგიური განათლების სხვადასხვა დონის ჯგუფებს. ამიტომ, მიზნის მისაღწევად უნდა მომზადდეს რამდენიმე დონის საინფორმაციო მასალა, ცალკე სახელმწიფო

მოხელეებისათვის, ამ დარგის სპეციალისტებისათვის, ფართო საზოგადოებისათვის. იმისათვის, რომ მოპოვებული ინფორმაცია მიღებული და გასაგები იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის, საჭიროა სამი-ოთხი დონის (სხვადასხვა სიროთულის) საინფორმაციო მასალის მომზადება.

ყველაზე სრული, ობიექტური ინფორმაცია, ცხადია, უნდა აისახოს სამეცნიერო-ტექნიკურ ანგარიშში, რომლის მიზანია მთელი კვლევის პროცესის საფუძვლიანი აღწერა, ყველა დეტალის დოკუმენტირება, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების წარმოდგენა.

გარემოს დაცვის სფეროში ჩატარებულ კვლევებს თან უნდა სდევდეს ანოტაცია, რომელშიც აღწერილია ჩატარებული სამუშაოს ძირითადი შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები. ამ ანგარიშის ნაწილის გადაცემა შესაძლებელია უფრო ფართო წრის დაინტერესებული პირებისათვის.

ამრიგად, გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი მონიტორინგის ჩასატარებლად საჭიროა ფართომასშტაბური კვლევების ჩატარება გარემოში მოხვედრილი ანთროპოგენული და ბუნებრივი ნივთიერებების შემცველობის და შემადგენლობის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. ამისათვის აუცილებელია ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების ხარისხის დადგენა, რომლისთვისაც იღებენ შესაბამის სინჯებს და ახდენენ ამ სინჯების გამოკვლევას ანალიზის სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. სინჯების აღება უნდა მოხდეს სპეციალური ხელსაწყოებისა და დანადგარების საშუალებით სერთიფიცირებულ, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციაში, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების თავსებადობას ეკოლოგიური მონიტორინგის სხვა სისტემებით მიღებულ შედეგებთან [1,2].

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Гусева Т.В. и др. Как организовать общественный экологический мониторинг. М.Соц.-Эколог. Союз 1998 254 с.
2. Манита М.Д. и др. “Современные методы определения атмосферных загрязнений населенных мест”. Изд. „Медицина“, Москва, 1980, 254с.
3. Назаров И.М., Николаев А.Н., Фридман Ш.Д. „Основы дистанционных методов мониторинга загрязнения природной среды”. Ленинград, Гидрометеиздат.1983, 265с.

METHODOLOGICAL RECOMMENDATIONS ON ORGANIZATION OF PUBLIC ECOLOGICAL MONITORING

D.V.Eristavi, N.A.Kutsiava, L.V.Gverdsiteli, V.B.Demetradze, K.O.Tsikhiseli

Georgian Technical University

SUMMARY

In the paper are considered methodological recommendations on organization of public ecological monitoring, possibility of community involvement and participation in national ecological programs, establishment of alternative information channels for acquisition and dissemination of information with the purpose of “control” and independency from government ecological services, often interpreting the information on the environmental condition proceeding from their own interests.

МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ ПО ОРГАНИЗАЦИИ ОБЩЕСТВЕННОГО ЭКОЛОГИЧЕСКОГО МОНИТОРИНГА

Д.В.Эристава, Н.А.Куцава, Л.В.Гвердцители, М.Б.Деметрадзе, К.О.Цихисели

Грузинский Технический Университет

РЕЗЮМЕ

Рассматриваются методические рекомендации по организации общественного экологического мониторинга, возможности подключения и участие общественности в государственных экологических программах, создание ими альтернативных информационных каналов получения и распространения информации, для „контроля“ и независимости от государственных экологических служб, часто трактующих информацию о состоянии окружающей среды, исходя из своих интересов.

სამთო წარმოების ნარჩენების ბიოქიმიური გამდიდრების ეფექტურობის შეფასება

ლია ცერცვაძე, ჟუჟუნა პეტრიაშვილი, თემურ იაშვილი, შორენა პეტრიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში მოცემულია სამთო წარმოების ნარჩენების და ქანების ბიოქიმიური მეთოდით გამდიდრების შედეგები გალწარმოქმნილი მიკროორგანიზმების გამოყენებით. დამუშავებული მეთოდის წარმოებაში გამოყენება იძლევა საბადოების უნარჩენო ათვისების საშუალებას, რაც გამოიხატება არა მარტო ძირითადი, არამედ თანმსლები კომპონენტების მოპოვებაში, მაგალითად, ოქროსი და იშვიათი ლითონების, რომლებიც აუცილებელია ტექნიკური პროგრესისთვის.

სამთო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე ვერ უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მაქსიმალურ გამოყენებას, რის შედეგადაც ბევრი საჭირო და ძვირადღირებული კომპონენტის მოპოვება ვერ ხერხდება და ის რჩება ნარჩენებში. თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმას, რომ დროთა განმავლობაში კონდიციური მადნები მცირდება, ხოლო ტექნიკის მოთხოვნები ზოგიერთ იშვიათ ელემენტებზე იზრდება, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტექნოლოგიების დამუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო ელემენტების მოპოვებას არაკონდიციური მადნებიდან, ნარჩენებიდან და ზოგადად ქანებიდან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში ორ ათეულ წელზე მეტია ტარდება კვლევები გალებებაში მონაწილე მიკროორგანიზმების მეშვეობით წარმოების ნარჩენებიდან და ქანებიდან სხვადასხვა ელემენტის ამოღების პერსპექტივის დადგენის მიზნით. საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის გრანტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაოები რადიოაქტიური და იშვიათი ლითონების ღარიბი მადნებიდან, ნარჩენებიდან და ქანებიდან მიღების მიზნით (1). შემდგომ წლებში ეს კვლევები სხვადასხვა სუბსტრატებზე გაგრძელდა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მეთოდის დაზუსტება, დახვეწა, შეფასება და სათანადო რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ძირითადი სამუშაოები ჩატარდა ჭიათურის მანგანუმის საბადოს და მადნეულის სპილენძის საბადოს წარმოების ნარჩენებიდან ბიოქიმიური დამუშავებით იშვიათი და კეთილშობილი ლითონების ამოწვლილვის მიზნით.

ლითონების გამოტუტვისთვის გამოყენებული იყო მიკრობული თანასაზოგადოება, რომელიც მონაწილეობას იღებს გალებების პროცესებში. გამონატუტ ხსნარში მიკროორგანიზმების შემადგენლობის და რაოდენობის შესწავლამ აჩვენა, რომ გამოტუტვაში მონაწილეობს ცნობილი მიკროორგანიზმების ფართო სპექტრი. შესწავლილი იყო მიკროორგანიზმების სხვადასხვა ჯგუფი, რომელმაც გვიჩვენა, რომ ლითონების გამოტუტვის პროცესში ჩართულია მიკრობების ძალიან დიდი რაოდენობა, რომელთა შემცველობა მილიონობითაა გამომტუტავ სუსპენზიის 1 მილიმეტრში.

სხვადასხვა ტიპის წარმოების კულების და ნარჩენების ბაქტერიული გამოტუტვის შესწავლამ გამოავლინა რიგი ლითონების გამდიდრების ან გამოტუტვის გარკვეული ტენდენციები (3). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად გამოტანა ხდება ამა თუ იმ ლითონის გამდიდრების დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოტუტვის, ანუ გამოტანის სიჩქარე ნაკლებია გამდიდრების სიჩქარესთან შედარებით სხვა, უფრო მოძრავი ელემენტების გამოტანის ხარჯზე და საბოლოოდ ვლბულობთ გამდიდრების ეფექტს. ბაქტერიული გამოტუტვის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამდიდრება ხდება ბიოლოგიურად კარგად გამომტუტავი როგორც არაიშვიათი, ასევე იშვიათი ელემენტების გამოტუტვის ხარჯზე.

ელემენტების საკმაოდ მკაფიო დაყოფა გამოტუტვის და გამდიდრების უნარით საშუალებას იძლევა დამუშავებული მეთოდიკა გამოვიყენოთ წარმოების ნარჩენების და ქანების გამდიდრებისთვის, რათა ელემენტების შემცველობა მიტანილ იქნას ტრადიციული მეთოდებით მოპოვებისთვის საჭირო კონდიციამდე. ფაქტობრივად, მეთოდის გამოყენება იძლევა ქანის ან ნარჩენის მადნად გადაქცევის საშუალებას. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა მადნეულის სამთო-გამდიდრებელი წარმოების მაგალითზე ოქროს გამდიდრება მისი შემდგომი მიღების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საბადოს უფრო რაციონალურად გამოყენებას.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ოქრო არის ერთ-ერთი იმ ლითონების რიგიდან, რომელთა კონცენტრაცია ბაქტერიული დამუშავების შედეგად მკვეთრად იზრდება გამოტუტულ მასაში. ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მადნეულის წარმოების ნარჩენებში და ამ რეგიონის ქანებში არსებული ოქროს მცირე რაოდენობა შეიძლება მიტანილ იქნას მისი მიღების საჭირო კონდიციამდე. მაგალითად, თუ ოქროს შემცველობა ბარიტ-პოლიმეტალური მადნების გამდიდრების კულებში შეადგენდა 0.875გ/ტ, 20 დღიანი ბაქტერიული დამუშავების შედეგად მისი შემცველობა გახდა 1.07 გ/ტ. ამასთან ერთად გამოტუტავ ხსნარშიც, მისი აორთქლების შემდეგ ოქროს შემცველობა შეადგენდა 0.252გ/ტ (ცხრ. 1).

ცხრილი 1. ზოგიერთი ლითონიური ელემენტების შემცველობა მადნეულის წარმოების მადნებისა და ნარჩენების საწყის ნიმუშებში (500-იანი ინდექსით), გამოტუტავ ხსნარებში (300-იანი ინდექსით.) და გამოტუტულ ნარჩენში (400-იანი ინდ.)

ნიმუშის ნომერი	Au (0,0043)		Th (13)		Sr (340)		Rb (150)		Sc (10)		Ta (2,5)	
	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%
510	0,875	100	1,91	100	704	100	15,8	100	2,77	100	0,493	100
310	0,252		0,385		424				2,51		0,023	
410	1,07	118	2,02	102,1	732	100,4	10,4	34	3,36	116	0,631	123,5
511	6,86	100	0,601	100	492	100	9,04	100	2,48	100		
311	0,02		0,098		71,8		2,19		3,04		0,056	
411	9,14	128,5	1,12	179,6	397	22	9,77	104	3,42	132	0,302	
515	0,0216	100	3,00	100	75,6	100	23,3	100	7,66	100	0,76	100
315	0,0106		0,63		151				6,00			
415	0,385	1875	3,49	113	83,4	107	23,1	3	8,70	110	1,23	156,5
512	5,56		0,388	100	59,8	100	8,76	100	1,55	100	0,11	100
312	0,022		0,125		160				3,29			
412	1,45	75	1,13	288	50,2	17	19,1	215	4,14	263	0,287	258
517	0,0046	100	1,92	100	165	100	20,3	100	6,86	100	0,428	100
317	0,0047				174				1,56		0,0201	
417	0,0036	61,2	1,97	100,8	183	108	20,4	100,4	7,51	107	0,371	14,9
518	0,009	100	12,5	100	58,5	100	150,0	100	6,06	100	1,45	100
318	0,005		9,23		185		11,1		4,47		0,14	
418	0,168	1824	11,2	12	190	317	144,0	7	6,26	100,9	1,60	107,9

ნიმუში 510-ბარიტ-პოლიმ. მადნის კულები., 511-სპილ. კონც., 512-სპილ.კოლჩ. მადნ. ნარჩ., 515-მეორადი კვარც. ნარჩ., 517-გაკვარც. ტუფი., 518-კვარცპორფირული ტუფი.

მეორადი კვარციტების ნარჩენებში ოქროს შემცველობა შეადგენდა 0.0216გ/ტ, გამოტუტულ მასაში- 0.385გ/ტ, აორთქლებულ მასაში - 0.0106გ/ტ. საინტერესოა რეგიონის მცირე რაოდენობის ოქროს შემცველი ქანების გამდიდრების შედეგები. მაგალითად, კვარცპორფირული ტუფის ბაქტერიული დამუშავების შედეგად ოქროს 0.009გ/ტ შემცველობით მისი რაოდენობა გაიზარდა 0.168გ/ტ-მდე, რაც შეადგენს 1824%-ით ზრდას. ზემოთ მოცემული შედეგები მოღებულია გამოტუტვის და გამდიდრების 1 ციკლის შედეგად, ხოლო გამოტუტვის ციკლის განმეორება უკვე გამოტუტული ნარჩენებიდან ზრდის ლითონის შემცველობას საჭირო კონდიციამდე (ცხრ.2).

ცხრილი 2. ზოგიერთი ლითოფილური ელემენტის შემცველობა ქანებში, გამონატუტ ხსნარში და გამოტუტულ მასაში

ქანის ტიპი	Au (0,0043)		Th (13)		Cs (3,7)		Sr (340)		Rb (150)		Sc (10)		Ta (2,5)	
	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%	გ/ტ	%
გრანიტი (საწყისი)	0,013	100	19,7	100	0,85	100	119	100	103	100	9,0	100	1,03	100
გრანიტი (ხსნარი)	0,0146		9,43				223				7,05			
გრანიტი (გამოტუტული მასა)	0,062	193,8	31,6	157	1,37	157,1	190	156	98,3	7	11,1	120,0	1,59	151,1
ქვიშაქვა (საწყისი)	0,0051	100	13,8	100	7,35	100	103	100	53,9	100	23,1	100	1,26	100
ქვიშაქვა (ხსნ.)	0,0054		0,51				173				4,60			
ქვიშაქვა (გამოტუტ.მასა)	0,0054	103	17,6	124,2	7,82	101,3	116	109	63,5	114	29,7	125	1,66	128,4
კვარციტი (საწყ.)	0,0216	100	3,00	100			75,6	100	23,3	100	7,66	100	0,76	100
კვარციტი (ხსნარი)	0,0106		0,63				151				6,00			
კვარციტი (გამოტუტ.მასა)	0,385	1875	3,49	113	0,124		83,4	107	23,1	3	8,70	110	1,23	156,5
კვარცპორფირი (საწყისი)	0,009	100	12,5	100	1,91	100	58,5	100	150,0	100	6,06	100	1,45	100
კვარცპორფ. (ხსნ.)	0,005		9,23		0,172		185		11,1		4,47		0,14	
კვარცპორფირი (გამოტუტ.მასა)	0,168	1824	11,2	12	1,69	13,5	190	317	144,0	7	6,26	100,9	1,60	107,9

შესწავლილი იშვიათი ელემენტებიდან გალიუმი და ინდიუმი მიეკუთვნება იმ ელემენტთა კატეგორიას, რომლებიც მდიდრდება ბაქტერიული დამუშავების შედეგად. ლითოფილური ელემენტებისაგან გამდიდრების ტენდენციას ამჟღავნებს ცეზიუმი - 101-204%-მდე, სკანდიუმი - 263%-მდე, ტანტალი - 108-434%-მდე, ცირკონიუმი - 500%-მდე.

ძალიან საინტერესო ვგუფს შეადგენს ლანთანიდები, რომელთაგანაც გამდიდრების მკაფიო ტენდენციით გამოირჩევა ლანთანი, ტერბიუმი, იტერბიუმი, ლუტეციუმი, ნეოდიმი, ერბიუმი. დანარჩენი ელემენტები ხასიათდება უფრო მეტად გამოტანის ტენდენციით. უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სუბსტრატში ერთიდაიგივე ელემენტმა შეიძლება გამოამჟღავნოს ხან გამდიდრების, ხან გამოტანის ტენდენცია. ამიტომ ფაქტიურად ყველა ელემენტის გამდიდრება შესაძლებელია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დეფიციტის დროს.

მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ნარჩენებსა და ქანებში ზოგიერთი ელემენტის საწყისი და მისი გამდიდრებული შემცველობა 20 დღიანი ბაქტერიული დამუშავების შედეგად.

უნდა ითქვას, რომ ცხრილებში მოტანილი მონაცემები განსაზღვრულია საზღვარგარეთის სხვადასხვა ლაბორატორიებში გამოყენებული თანამედროვე მეთოდებით, როგორცაა: ნეიტრონულ-აქტივაციური, რენტგენო-ფლოუორესცენტური, ატომურ-ემისიური, და ატომურ-აბსორბციული.

მიღებული შედეგები გვაძლევს აღნიშნული მეთოდების წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციის საფუძველს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ძირითადი, ისე თანმხლები ელემენტების მოპოვებას და საბოლოოდ, საბადოების უფრო რაციონალურ ათვისებას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Церцвадзе Л.А., Петриашвили Ш. Г., Использование гелеобразующих микроорганизмов в целях утилизации отходов горного производства. Сб. «Сергиевские чтения», вып. 7, Москва, ГЕОС, 2005.
2. Церцвадзе Л.А., Петриашвили Ж.Д., Яшвили Т.Г., Петриашвили Ш.Г. Биохимическая очистка хвостов и отходов горно-обогатительных производств Грузии. Тр. Международной научно-технической конференции «Охрана окружающей среды и устойчивое развитие», ТГУ, Тбилиси, 2010.
3. Челидзе Т., Церцвадзе Л., Меликадзе Г., Петриашвили Ж. Моделирование геомиграционных процессов загрязнения прилегающих к маднеульскому месторождению территорий. Сб. «Сергиевские чтения», вып. 11, 2009.
4. Mosulishvili L., Kirkesali E., Tsertsvadze L. etc. Biotechnology in Georgia for various applications. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 2№3, 2008.

THE MINING WASTES BIOCHEMICAL TREATMENT'S EFFECT ASSESSMENT

Lia Tsertsvadze, Zhuzhuna Petriashvili, Temur Iashvili, Shorena Petriashvili
Georgian Technical University

SUMMARY

The article illustrates the possibilities of enriching the expensive and precious metals using gleying microorganisms. Introducing our method will allow to make mining of the deposits waste-free or reduced wastes. Apart from this it will be possible to produce not only the main metals, but also the associated expensive components, including the gold and rare metals for technicaproggress.

ОЦЕНКА ЭФФЕКТИВНОСТИ БИОХИМИЧЕСКОЙ ОБРАБОТКИ ОТХОДОВ ГОРНЫХ ПРОИЗВОДСТВ

Л.А.Церцвадзе, Ж.Д.Петриашвили, Т.Г.Яшвили, Ш.Г.Петриашвили
Грузинский Технический Университет

РЕЗЮМЕ

В статье приводятся результаты обогащения отходов горных производств и пород биохимическим методом с использованием гелеобразующих микроорганизмов. Разработанный метод позволит осуществить безотходное освоение месторождений с извлечением не только основных, но и сопутствующих ценных компонентов, включая золото и редкие металлы, необходимые для технического прогресса.

ლითონით დაფარული ალმასის ბრანშულბის ელექტროიმპულსური შეცხობა

ზურაბ ოქროსცვარიძე, თამაზ ბაციკაძე*, იზოლდა კახნიაშვილი, ლევან ჩხიკვაძე, ნოდარ ვაჩეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
*ფერდინანდ თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

ელექტროიმპულსური შეცხობა ტარდებოდა APC 800x600 მარკის ალმასის გრანულბებზე, რომლებიც ჰიდრომეტალურგიული მეთოდით იყო პლაკირებული ავტოკლავში. პროცესის მოდელირება ხორციელდებოდა ПП-2, მარკის გრაფიტის მარცვლებზე. მიღებული ნიმუშები ადვილად პრეპარირდებოდნენ. ელექტრონულ-მიკროსკოპიული კვლევით დადგენილი იქნა პლაკირებული ნიკელის ფენის ნანოკრისტალური აღნაგობა, რომლის ნაწილაკების ზომაა 800 – 1200Å და რომელთაც მრავალი სტრუქტურული დეფექტი გააჩნიათ. ნიკელისა და გრაფიტის ელექტროიმპულსური შეცხობის დროს ფაზათა გამყოფ საზღვარზე წარმოიქმნებოდა მეტასტაბილური ფაზა, რომელიც შემდგომში იშლებოდა ევტექტიკურ კომპონენტებად. ეს ადასტურებს პლაკირებული ფენის ზედაპირზე ძალიან მაღალი ტემპერატურის არსებობას, რომელსაც ფენის ზედაპირი პრაქტიკულად პლაზმურ მდგომარეობაში გადაჰყავს. ამ დროს ალმასი არ ხურდებოდა გრაფიტიზაციის დონემდე და ინარჩუნებდა თავის ძირითად თვისებებს – სიმტკიცეს და სისაღეს.

კრისტალური აგებულების ფხვნილების შეცხობა – ეს ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი ფიზიკურ-ქიმიური ტექნოლოგიური პროცესია პოლიკრისტალური მასალების მისაღებად სტრუქტურული მდგენელების გარკვეული თანაფარდობით. ყოველივე ეს გვაძლევს განსაზღვრული მექანიკური და საექსპლუატაციო თვისებების მქონე შეცხობილი ნაკეთობების მიღების საშუალებას.

ახალი მასალების მისაღებად გამოყენებულია ფხვნილების დაწნევისა და შეცხობის ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები, როგორცაა ფხვნილების გლინვა, ექსტრუზია, იზოსტატიკური დაწნევა, ცხელი დინამიკური დაწნევა, დაწნევა აფეთქებით და სხვ. ყველა ამ ტექნოლოგიური პროცესით მიღებულმა ნაშაბდებმა შესაბამისი გამოყენება ჰპოვეს ახალ თანამედროვე ტექნიკაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ტექნიკურმა პროგრესმა საკმაოდ გაზარდა ძნელად დასამუშავებელი ნაკეთობების ნომენკლატურა, რომელთა დამუშავება რთულია ჩვეულებრივი სწრაფმჭრელი ფოლადებით ან სალი შენადნობებით. ზემოაღნიშნულმა წარმოქმნა პირობები, რათა შემუშავებულიყო ზესალი მასალები – ბუნებრივი ან ხელოვნური ალმასის კრისტალების ჩანართებით. ამავე დროს გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს მათი ისეთი თვისებების შეხამება, როგორცაა მაღალი ცვეთამდეგობა და შრომისუნარიანობა, დასამუშავებელი ნაკეთობის ზედაპირის მაღალი ხარისხი და ჭრის სიჩქარე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ფხვნილთა მეტალურგიის კლასიკური მეთოდებით (მათ შორის ცხელი დინამიკური დაწნევით) ასეთი ნაკეთობის მიღება ამჟამად შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ისეთი თანამედროვე შეცხობის ტექნოლოგიური პროცესის შექმნა, რომელიც არ დაუკარგავდა ალმასის კრისტალებს სიმტკიცეს და საჭირო თვისებებს და მოგვეცა დაბალი დნობის ტემპერატურის მქონე ლითონური მატრიცის (მაგალითად – ღურალუმინის) განმტკიცების ან მისი ფოლადის დაფისებრი კრისტალებით არმირების და სხვა კომბინაციების გამოყენების საშუალებას.

ამ მხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია უკრაინის ეროვნული აკადემიის მასალათმცოდნეობის პრობლემების ინსტიტუტის სამუშაოები, სადაც დამუშავებულია ასეთი მასალების შეცხობა ელექტროიმპულსური მეთოდით, ანუ დიდი სიმკვრივის მქონე დენის ძალის გატარებით ფხვნილოვან მასალებში, როდესაც შეცხობის პროცესის მიმდინარეობა და დამთავრება ხდება წამის მეათედებში. ნაჩვენებია, რომ ასეთი შემოქმედების შედეგად იცვლება გრანულომეტრული და ქიმიური შემადგენლობა, ხვედრითი ზედაპირი, ფხვნილის ნაწილაკების ფორმა და ხდება ნანოზომის ლითონთა კარბიდების და ინტერმეტალიდების სინთეზი [1].

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს უკრაინის ნაციონალური აკადემიის მასალათმცოდნეობის პრობლემების ინსტიტუტთან, კერძოდ, ამ მიმართულების ხელმძღვანელთან აკდემიკოს ა.ი. რაიჩენკოსთან, ვისი ხელმძღვანელობითაც ტარდებოდა ნიკელით პლაკირებული ალმასის კრისტალების შეცხობა ელექტროიმპულსური მეთოდით.


ექსპერიმენტული ნაწილი

APC 800 - 600 (ზომებით 600-800 მკმ) მარკის ალმასის გრანულების პლაკირებას ვახდენთ პიდრომეტალურგული მეთოდით. ლითონების ალდგენა (Ni, Co და სხვ.) ხდებოდა შესაბამისი მარილების წყალხსნარებიდან აირადი წყალბადის საშუალებით მაღალი წნევის პირობებში.

პარალელურად პლაკირების პროცესს ვსწავლობდით გრაფიტის ფხვნილებზე (ზომები 80-100 მკმ) ასეთი სისტემის კომპოზიტიზე გაადვილებულია ნიმუშების პრეპარირება და შემდგომში მათი ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევა (განჭოლვით და სკანირებით).

როგორც ალმასის გრანულების, ასევე გრაფიტის ფხვნილის ნიკელით პლაკირებას ვაწარმოებდით 5 ლიტრიან ავტოკლაავში, სადაც ვათავსებდით 30 გ/ლ კონცენტრაციის ამიაკის წყალხსნარს, რომელსაც ვამატებდით 50-70 გ ალმასის გრანულებს ან გრაფიტის ფხვნილს. იმავე ხსნარს ვამატებდით ნიკელის სულფატს ($\text{NiSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$) კონცენტრაციით 50-100 გ/ლ, ამონიუმის სულფატს $[(\text{NH}_4)_2\text{SO}_4]$ კონცენტრაციით 130-160 გ/ლ და ანტრაქინონს (კატალიზატორი) 2 გ/ლ რაოდენობით. შემდგომ ვახდენდით ავტოკლაავის ჰერმეტიზაციას და სისტემის შებერვას (გაწმენდას) აირადი აზოტით. აზოტის გატარების შემდეგ ავტოკლაავში ვწნეხდით აირად წყალბადს წნევით $P = 2,5$ მპა-მდე. ხსნარის მორევის სიჩქარე შეადგენდა 50 ბრ/წთ. ხსნარს ვახურებდით $120-130^\circ\text{C}$ -მდე ელექტროლუმენის საშუალებით, გახურების სიჩქარე შეადგენდა $50^\circ\text{C}/\text{სთ}$. ხსნარს ეკავა ავტოკლაავის მოცულობის 0,7-0,8 %. პროცესის დამთავრების შემდეგ ავტოკლაავიდან გამოვკვნიდა როგორც ალმასის პლაკირებული გრანულები, ასევე გრაფიტის ფხვნილი, რომლებსაც ვრეცხავდით წყალში და ვაშრობდით წყალბადის გარემოში.


პლაკირების პროცესში ხსნარიდან ალდგენილი ლითონი პირველ რიგში ავსებს სხვადასხვა ტიპის ტეხებს, ბზარებს და მათ საფეხურებს, რის გამოც დასაპლაკირებელი გრანულები ან ფხვნილები ღებულობენ უფრო მომრგვალებულ ფორმას. სურ.1 მოცემულია საწყისი და პლაკირებული ფხვნილების მორფოლოგიური სურათი ალმასისათვის (ა) და გრაფიტისათვის (ბ).



საწყისი

ა) პლაკირებული $\times 50$ 


საწყისი

ბ) პლაკირებული $\times 109$

სურ. 1. საწყისი და პლაკირებული ფხვნილების მორფოლოგია: ა) ალმასისათვის; ბ) გრაფიტისათვის


გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ დასაპლაკირებელი ფხვნილის ზედაპირის თანაბარი აქტივაციის შედეგად, პლაკირების ჰეტეროგენული პროცესიდან გამოძინარე, მათზე პრაქტიკულად

თანაბარი სისქის პლაკირებული ფენა წარმოიქმნება და მასზე დასაპლაკირებელი ფხვნილის ზომები გავლენას არ ახდენს (სურ.2).



სურ. 2. პლაკირებული ფხვნილების კვეთის მიკროსტრუქტურა და პლაკირებული ფენის განაწილების სურათები სისტემებისათვის: ა) ალმასი + ნიკელი; ბ) გრაფიტი + ნიკელი.

პლაკირებული ფენების ზედაპირის რასტრულმა და ელექტრონულ-მიკროსკოპულმა კვლევამ აჩვენა, რომ იგი შედგება წვრილდისპერსული, სფერული ფორმის მდგენელებისაგან (სურ.3.ა), ხოლო გამჭოლი ელექტრონულ-მიკროსკოპული ანალიზით დადგინდა, რომ პლაკირებულ ფენას გააჩნია ნანოკრისტალური აგებულება მრავალი კრისტალური დეფექტით (ძირითადად ვაკანსიები). მისი კრისტალების ზომებია 800-1200Å (სურ.3.ბ)



სურ. 3. ა-პლაკირებული ფხვნილის რასტრული ელექტრონულ-მიკროსკოპული სურათი; ბ-ნიკელის ერთი მიკროკრისტალის მიკროფოტოგრაფია განჭოლვაზე.

პლაკირებული ფენების სტრუქტურული დეფექტების ევოლუცია მათი დაწნევის დროს ექვემდებარება პოზიტრონო-ანიჰილაციური კვლევის მეთოდს. აღნიშნული მეთოდით კვლევისას აღმოჩნდა, რომ მიყენებული დაწნევის ძალა, სტაციონალური ვაკანსიების კონცენტრაციას ზრდის და მათი რაოდენობა 10^{-14} აღწევს, რაც ვაკანსიების კონცენტრაციის ზედა ზღვარია, დამახასიათებელი დნობის ტემპერატურის წინა პერიოდისათვის.

ვაკანსიების ასეთი ჭარბი რაოდენობა დეფორმაციების დროს იწვევს ლითონური მასების ურთიერთგადატანას დიდი სიჩქარით და ისეთი პროცესების განვითარებას, როგორცაა ფორების წარმოქმნა და გადაკრისტალება.

სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად საინტერესო და აქტუალური იყო ისეთი სისტემების ელექტრონულ-იმპულსური მეთოდით შეცნობა, რომელიც წამის მეთაღებში ხორციელდება და იწვევს ფხვნილის ზედაპირის მაღალ ტემპერატურამდე გახურებას (თითქმის პლაზმურ მდგომარეობამდე), დიფუზური პროცესების დაჩქარებას და მასების დიდ მანძილზე გადატანას.

ელექტროიმპულსური მეთოდით ფხვნილთა შეცხოვის დროს გამოყენებული იყო მუდმივი დენი. გახურებისას ფხვნილი განიცდიდა მუდმივ დაწნევას, რომელიც პროცესის დამთავრების შემდეგ იხსნებოდა.


შეცხოვას ვაწარმოებდით ჯერ გრაფიტი + ნიკელის, ხოლო შემდეგ ალმასი + ნიკელის კომპოზიციურ სისტემებზე.

შეცხოვის დროს ფხვნილები განიცდიდნენ დაწნევას $P = 250-350$ მპა წნევისა და $I = 1500-2000$ ა/სმ² მუდმივი დენის სიმკვრივის პირობებში.

ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ “გრაფიტი-ნიკელი” სისტემის შეცხოვილ ნაკეთობას ვაცივებდით წყალში, შემდეგ კი მისგან ვამზადებდით მეტალოგრაფიულ შლიფს რასტრულ ელექტრონულ მიკროსკოპზე და მიკროანალიზატორებზე გარდამავალი ზონის გამოსაკვლევადა. რეაქტივით ($3HCl+HNO_3$) დამუშავების შემდეგ გარდამავალ ზონაში (სურ.4) ნიკელის მხრიდან შეინიშნება შავი და რუხი ფერის ჩანართები ზომით 1-2 მკმ.

როგორც მიკრორენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა აჩვენა რენტგენის სხივების შესაბამის გამოსხივებაში რუხი ფერის ჩანართები შეესაბამება Ni_3C . წერტილოვანი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ Ni შემცველობა Ni_3C 90% ტოლია (თეორიულად $Ni = 93\%$), ხოლო შავი ფერის ჩანართები კი გრაფიტს წარმოადგენს.

რენტგენოსტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, ნიმუშების ცუდი პრეპარირების და ასევე მათი ძალზე მცირე რაოდენობის გამო, Ni_3C და ევტექტიკური ჩანართები ($Ni + C$) არ აღმოჩნდა.




სურ. 4. $Ni + C$ გარდამავალი ზონის სტრუქტურა ელექტროიმპულსური შეცხოვის შემდეგ

თუ შევადარებთ მიღებულ შედეგებს “Ni-C” კლასიკური მდგომარეობის დიაგრამასთან (სურ. 5), შეიძლება მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ თხევად ნიკელში ნახშირბადის ხსნადობის მრუდზე მიღებული გადახრის წერტილი ($2100^{\circ}C$), შეესაბამება ნიკელის მეტასტაბილური კარბიდის - Ni_3C წარმოქმნას.

იგივე შედეგებია მიღებული სამუშაოში [2], სადაც $2200^{\circ}C$ -დან ნაწრთობ ნიმუშებში აღმოჩენილია მეტასტაბილური ევტექტიკა (ნიკელის მყარი ხსნარი + Ni_3C), რომელიც მაღალტემპერატურული მოწვის დროს იშლება გრაფიტის წარმოქმნით.


კვლევებიდან ჩანს, რომ ელექტროიმპულსური შეცხოვის დროს ფხვნილების პლაკირების ზედაპირზე ადგილი აქვს ტემპერატურის სწრაფ ზრდას, რომლის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ შესაძლებელია ფხვნილის ზედაპირი გადაიყვანოს პლაზმურ მდგომარეობაში. ეს პროცესი მიმდინარეობს ნანოკრისტალური აგებულების პლაკირებულ ფენებში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ “C-Ni” სისტემაში, გარდამავალ ზონაში, თხევად ნიკელში $2100^{\circ}C$ -ზე ადგილი აქვს Ni_3C მეტასტაბილური ფაზის წარმოქმნას, ხოლო შემდგომ მაღალტემპერატურული მოწვის დროს ეს უკანასკნელი იშლება ნიკელის და გრაფიტის წარმოქმნით. მიღებული შედეგი ემთხვევა ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს [3].

ანალოგიური ტექნოლოგიით იქნა ჩატარებული ელექტროიმპულსური შეცხოვის პროცესი “ალმასი+ნიკელი” სისტემის ფხვნილებზე, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მიღებული ცილინდრული ნაკეთობის გეომეტრიული პარამეტრები იყო მცირე, კონკრეტულად: $D = 10$ მმ, $h = 5$ მმ. რადგან აღნიშნული სისტემის ნიმუშებიდან პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მეტალოგრაფიული შლიფის მომზადება, გარდამავალი ზონის გამოკვლევა ალმასისა და ნიკელს შორის ჩატარდა ტენის ფრაქტოგრაფიაზე.



სურ. 5. C- Ni სისტემის მდგომარეობის დიაგრამა

აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროიმპულსური შეცხობის პროცესის დამთავრების შემდეგ, ნიმუშს ვაცივებდით თხევად აზოტში (-196°C) – 3 სთ-ის განმავლობაში, შემდეგ ვამაგრებდით სპეციალურ სამარჯვში სწრაფი დინამიკური დატვირთვის ქვეშ. ასეთი პროცესის შემდეგ ვღებულობდით ტრანსკრისტალურ ტენს, რომლის მორფოლოგია წარმოდგენილია მე-6 სურათზე.




სურ. 6. ალმასი-ნიკელის შეცხობილი ნიმუშის ტენის ფრაქტოგრამა


ტრანსკრისტალურ ტენს ვსწავლობდით რასტრულ ელექტრონულ მიკროსკოპზე. მაქსიმალური გადიდების შემთხვევაში ტენზე მოჩანს როგორც საკონტაქტო ზედაპირები (სურ.7, პოზ.1), ასევე ამ ადგილების გლუვი და დაძარღვული, დარღვეული (სურ.8. პოზ. 2) უბნები. ეს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დაძარღვული უბნები ასახავს იმ ადგილს, სადაც ტენი განვითარდა გარდამავალ ფენაზე და წარმოიქმნა მეტასტაბილური ევტექტიკა Ni+Ni₃C, რომელიც მაღალტემპერატურული მოწვის შედეგად შესაძლებელია დაიშალოს ევტექტიკის მდგენელ კომპონენტებად, ხოლო ტენის გლუვი ადგილი შეესაბამება იმ უბნებს, სადაც სუფთა გამდნარი ნიკელი ხელმეორედ გამოკრისტალდა.

ამრიგად, ჩატარებული კომბინირებული კვლევების შედეგად შემუშავებულია გრაფიტის ფხვნილის და ალმასის კრისტალების (გრანულების) ნიკელით პლაკირების ჰიდრომეტალურგიული მეთოდი. ტექნოლოგიური პროცესი პლაკირებული ფენის სისქის რეგულირების შესაძლებლობას იძლევა. ამ მეთოდით მიღებული ფენა ნანოკრისტალურია და მისი კრისტალების ზომებია 800-1200 Å;

ასეთ ნანოკრისტალურ სტრუქტურაში ძალზე განვითარებულია მარცვალთშორისი საზღვრები და აქედან გამომდინარე, მათში შეინიშნება წერტილოვანი დეფექტების – ვაკანსიების ჭარბი რაოდენობა, რომლის კონცენტრაცია უტოლდება ლითონის დნობის წინა პერიოდში არსებულ კონცენტრაციას (10⁻¹⁴);



სურ. 7. ტეხის ფრაქტოგრამაზე ალმასის გრანულების “შელულების” ადგილები



სურ. 8. ტეხის ფრაქტოგრამაზე ალმასის გრანულების “რღვევის” ადგილები

გამოკვლეულია, რომ ელექტროიმპულსური შეცხობის დროს, ფხვნილების საკონტაქტო ადგილებზე (ზედაპირებზე) დროის მცირე მონაკვეთში, სწრაფად ვითარდება მაღალი ტემპერატურა, რომელსაც აღნიშნული ადგილები გადაყავს პლაზმურ მდგომარეობაში, მაგრამ პროცესის მცირე ხანგრძლივობის გამო (წამის მეათედები) იგი ვერ აღწევს მარცვლის გულში და ამით უნარჩუნებს ალმასის გრანულებს ძირითად ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს;

ელექტროიმპულსური მეთოდით შეცხობილი გრაფიტი+ნიკელი და ალმასი+ნიკელი კრისტალების და ფხვნილების ნიმუშების მეტალოგრაფიული, მიკრორენტგენოსპექტრალური და ელექტროსკანირების მიკროსკოპული ანალიზებით დადგინდა, რომ ფაზათა შორის გარდამავალ ზონაში ადგილი აქვს მეტასტაბილურ Ni_3C კარბიდის წარმოქმნას, რომელიც ასევე შედის $Ni_3C + Ni$ მეტასტაბილურ ევტექტიკაში ერთ-ერთი სტრუქტურული მდგენელის სახით, რაც კარგ შესაბამისობაშია $Ni-C$ კლასიკური მდგომარეობის დიაგრამასთან, სადაც $2100^{\circ}C$ ადგილი აქვს აღნიშნული კარბიდის წარმოქმნას.

საინსტრუმენტო მასალების შესაცხობად, რომლებიც შეიცავენ ალმასის კრისტალებს, ელექტროიმპულსური შეცხობის ტექნოლოგიას თანამედროვე ფხვნილთა მეტალურგიაში ალტერნატივა არ გააჩნია.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. *О.Н. Сизоненко, Г.А. Баглюк, А.И. Райченко, А.А. Мамонова, Э.И. Тафтай, Е.В. Липян, А.С. Торпаков, А.Д. Зайченко, Д.А. Гончарук.* Электроразрядный синтез наноразмерных металл-углеродных композиционных порошков. Наносистемы, Наноматериалы, Нанотехнологии. Киев, 2012, т. 10, №1, с. 135 - 144
2. *И.Н. Чапорова.* Структура спеченных твердых сплавов, М., Металлургия, 1975, 247 с.
3. *А.И. Райченко.* Основы процесса спекания порошков пропусканием электрического тока, М., Металлургия, 1987, 127 с.

**ЭЛЕКТРОРАЗРЯДНОЕ СПЕКАНИЕ АЛМАЗНЫХ ГРАНУЛ,
ПЛАКИРОВАННЫХ МЕТАЛЛОМ**

З.Ш.Окроецваридзе, Т.Г.Бацикадзе*, И.Б.Кахниашвили, Л.А.Чхиквадзе, Н.А.Вачеишвили

*Грузинский технический университет***Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н.Тавадзе***РЕЗЮМЕ**

Электроразрядное спекание проводили на алмазных гранулах марки ARC 800×600, плакированных никелем, гидрометаллургическим методом в автоклаве. Моделирование процесса осуществлялось на зернах графита марки ПГ-2, плакированных никелем. Полученные образцы легко препарировались. Электронномикроскопическим исследованием установлено нанокристаллическое строение плакирующего слоя никеля с размером частиц 800 – 1200 Å, имеющих множество структурных дефектов. При электроразрядном спекании графита и никеля на границе раздела фаз образовывалась метастабильная фаза Ni₃C, которая впоследствии разлагалась на эвтектические компоненты (Ni и C). Это свидетельствует об образовании на поверхности плакирующего слоя очень высокой температуры, переводящей поверхность слоя практически в плазменное состояние. При этом алмаз не нагревался до уровня графитизации и сохранял свои основные свойства – прочность и твердость.

ELECTRODISCHARGE SINTERING DIAMOND GRANULES CLADMETAL

Zurab Okrostsvaridze, Tamaz Batsikadze*, Izolda Kakhniashvili, Levan Chkhikvadze, Nodar Vacheishvili

*Georgian Technical University*** Institute of Metallurgy and Materials Science. F. Tavadze***SUMMARY**

Electrodischarge sintering the diamond granules brand ARC 800 - 600, which plated of nickel, has been realized by hydrometallurgical method in an autoclave. Process modeling was carried out on grains of graphite grade PG-2, plated nickel. The resulting samples were prepared easily. Electron microscopic investigation has found nanocrystalline nickel plating layer structure with a particle size 800 - 1200 Å, with many structural Defect. With Electrodischarge sintering graphite and nickel at the interface formed metastable phase Ni₃C, which then decomposes to eutectic components (Ni and C). This is indicative of the formation on the surface of the cladding layer is very high temperatures, the surface layer is almost transforming into a plasma state. In this diamond is not warmed up to the level of graphitized and retain their basic properties - strength and hardness.

МЕТОД ФОРМОВАНИЯ ДЕТАЛЕЙ ОДЕЖДЫ ИЗ ПОЛИЭФИР-ИЗОЦИАНАТНЫХ КОМПОЗИТОВ

М.В.Датушвили

Кутаисский государственный университет А. Церетели merabidat@mail.ru

Рассмотрен вопрос создания деталей швейных изделий из полиэфир-изоцианатных композитов методом формования. Результаты зависимости объемного веса изделия от количества воды и изоцианата показали, что с увеличением количества воды резко возрастают весовые показатели образцов. В графическом виде представлены результаты зависимости физико-механических свойств образцов от количества диизоцианата. Результаты проведенных исследований имеют практическую значимость; их успешно можно использовать во многих отраслях народного хозяйства.

В процессе улучшения качества швейных изделий все большее значение приобретает обоснованный выбор материалов для одежды, а также рациональное их использование. Успешное решение упомянутых вопросов возможно только на основе глубоких знаний строения и свойств материалов, их ассортимента, методов испытания и оценки качества. Надо отметить, что новые по структуре и свойствам материалы создаются благодаря применению современных видов химических волокон и нитей, высококачественных кристаллов и отдельных материалов [1].

Среды большого количества полимеров, пригодных для производства деталей одежды, эластичный полиуретановый поропласт (пенополиуретан) занимает одно из ведущих мест.

Пенополиуретаны отличаются хорошими теплоизоляционными свойствами (коэффициент теплопроводности 0,032 ккал/м.ч.град) и легкостью (1 м² этого материала толщиной 0,3 см весит около 90-100 г) [2]. Полиуретановые поропласты в швейной промышленности в основном используются при изготовлении прокладочных материалов, а также плечевых накладок, бюстгальтеров, головных уборов и др. [3]. Пространственная форма деталей швейных изделий из полиуретанового пенопласта в основном достигается методом формования. Сущность метода заключается в том, что предварительно приготовленную полиэфир-изоцианатную композицию заливают в специальные ограничительные формующие приспособления (пресс-формы), в которых происходит вспенивание и образование полиуретанового поропласта. Изделие или детали изделия изготавливаются за 10÷15 мин.

Анализ литературных источников [4-5], а также наблюдение за процессами формования деталей швейных изделий из полиуретанового поропласта показал, что качество окончательного продукта во многом определяется условием проведения процесса формования, а также рецептурным соотношением компонентов полиэфир-изоцианатных композиций.

Технологический процесс получения формованных полиуретановых изделия состоит из следующих этапов: дозировка и смешивание исходных компонентов, заливка полиэфир-изоцианатной смеси в форму, термообработка, чистка и смазка формы.

Целью настоящей работы было исследование рецептуры полиэфир-изоцианатной композиции в зависимости от объемного веса исследуемого объекта. Исследование проводилось на формованных изделиях в виде чашки бюстгальтера. Качество полученных изделий определялось органолептически – по эластичности, характеру поверхности, характеру структуры пор в пеноматериале. В качестве исходного сырья использован слаборазветвленный полиэфир на основе полуилендиизоцианата с содержанием изомеров 2,4 – 65% и 2,6 – 35%; катализатор – диметилбензиламин; основной эмульгатор – неионогенного типа с гидроксильным числом 70, вспомогательный анионоактивный эмульгатор с кислотным числом 10; дистиллированная вода и парафиновое масло.

Результаты исследования зависимости объемного веса изделия от количества воды и диизоцианата представлены на графиках (рис. 1, 2).

Количественное соотношение толиулендиизоцианата в реакционной смеси во многом определяет физикомеханические свойства и визуальные особенности продукции. Зависимость свойств от содержания диизоцианата выражается коэффициентом – отношение практически взятого толиулендиизоцианата к теоретически рассчитанному, выраженное в процентах. Зависимость физико-механических свойств полиуретанового поропласта от коэффициента пены представлена на графиках (рис. 3, 4, 5).




Рис. 1. График зависимости объемного веса поропласта от количества воды в реакционной смеси




Рис.2. График зависимости количества толиулендиизоцианата от количества воды




Рис. 3. График зависимости предела прочности при растяжении от коэффициента пены с объемным весом поропласта: 1- 35 кг/м³; 2- 40 кг/м³; 3- 50 кг/м³




Рис. 4. График зависимости остаточной деформации от коэффициента пены




Рис. 5. График зависимости относительного удлинения при разрыве от коэффициента пены с объемным весом поропласта: 1- 35 кг/м³; 2- 40 кг/м³.

Как показывают результаты исследований, с увеличением коэффициента пены растет жесткость пеноматериала, уменьшается показатель остаточной деформации и относительное удлинение при разрыве.

С уменьшением коэффициента пены получают мягкие материалы с высоким относительным удлинением, но с пониженной прочностью на разрыв и с высоким значением остаточной деформации.

Исходя из того, что качество многих видов швейных и не только швейных изделий определяется его объемным весом можно сделать следующий вывод: результаты проведенных исследований успешно можно использовать во многих отраслях народного хозяйства.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Б.А. Бузов, Т.А. Модестова, Н.Д. Алименкова. Материаловедение швейного производства. – М.: Легкомбытиздат. 1986. - 424 с.
2. Дель Р.Л. и др. Гигиена одежды. М. Легкая индустрия. 1979.
3. М.В. Датуашвили. Разработка рационального пакета одежды специального назначения. – Кутаиси: 2009. -164 с.
4. Райт П., Комминг А. Поллиуретановые эластомеры: Пер. с англ. Л.: Химия. 1973. – 304 с.
5. Любортович С.А., Морозов Ю.Л., Третьяков О.Б. Реакционное формование полиуретанов. М.: Химия. 1990. – 288 с.

სამკერვალო ნაკეთობათა დეტალების ფორმირების მეთოდი პოლიეთერ- იზოციანატური კომპოზიტებისგან

მერაბ დათუაშვილი
ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ტანსაცმლის დეტალთა ფორმირების პროცესები პოლიეთერ-იზოციანატური კომპოზიტებისგან. ნაწარმის მოცულობითი მასის დამოკიდებულებამ წყლისა და იზოციანატის რაოდენობაზე აჩვენა, რომ წყლის მომატებით მკვეთრად იზრდება საბოლოო პროდუქტის წონითი მაჩვენებლები. სტატიაში გრაფიკული სახით წარმოდგენილია ნაწარმის ფიზიკო-მექანიკური თვისებების დამოკიდებულება დიიზოციანატის რაოდენობაზე. ჩატარებული კვლევების შედეგებს გააჩნია პრაქტიკული ღირებულება, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

METHOD OF FORMATION OF CLOTHING DETAILS FROM POLYESTER-ISOCYANATE COMPOSITES

Merab Datuashvili
Kutaisi A.Tsereteli State University

SUMMARY

Molding method of formation of clothing details from polyester-isocyanate composites have been considered. Results based on the volumetric weight for the amount of water and isocyanate showed that water increases sharply with increasing weights. The article also graphically view the results based on the physico-mechanical properties of samples the number of deizocianata. The results of the study have practical significance; they can be used successfully in many sectors of the economy.

ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

ИССЛЕДОВАНИЕ ВОЗМОЖНОСТИ РЕГЕНЕРАЦИИ ПОРИСТОГО МАТЕРИАЛА В ПРОИЗВОДСТВЕ ПОДОШВЕННЫХ РЕЗИН

Н.З.Ломтадзе

Кутаисский государственный университет им. А.Церетели

В статье приведены результаты исследований по разработке рецептуры и методике изготовления нового вида пористого подошвенного материала на основе хлорсульфированного полиэтилена (ХСПЭ) [1-3].

При изучении процесса порообразования в ХСПЭ было установлено, что органический порообразователь азодикарбонамид при температуре 160⁰С не только вспенивает, но и структурирует ХСПЭ. Комбинация же порообразователя ЧХЗ-21 и окиси магния является эффективным структурирующим агентом ХСПЭ [4].

Известно, что при повышенной температуре распад органического порообразователя происходит с образованием свободных радикалов [5], при взаимодействии которых с ХСПЭ и при участии окислов материала образуются межмолекулярные связи, легко разрушающиеся при механической пластикации.

Регенерацию пористого материала на основе ХСПЭ, свойства которого приведены в таблице 1 (первичный вулканизат), осуществляли на вальцах при температуре валков 30-35⁰С с фрикцией 1:1,3. После механической обработки пористого материала в течение 3-5 минут с вальцев снимали тонкую гладкую пленку регенерата. Увеличение продолжительности вальцевания пористого материала с 10 до 60 минут увеличивает предел прочности при растяжении и относительное удлинение сырого регенерата на 30%, а также увеличивает прочность, при этом получается более пластичный регенерат с гладкой поверхностью. Оптимальная продолжительность регенерации составила 20 мин.

Таблица 1. Свойства регенерата и вторичного вулканизата

Свойства	Материал						
	Первичный вулканизат	Вторичный вулканизат при продолжительности вальцевания регенерата, мин					
		10	20	30	40	50	60
Предел прочности при растяжении, Н/м ² 10 ⁵	34,4	44,8/30,7	70,5/36,1	71,1/38,1	69,9/40,6	72,2/36,5	69,2/41,7
Удлинение, %: относительное остаточное	220 8	152/49 7/2	205/61 9/2	190/62 9/2	204/71 9/2	196/61 9/2	197/65 9/2
Твердость по ТМ-2, усл.ед.	42	56/78	60/74	59/75	58/78	61/78	60/80
Плотность, г/см ³	0,48	0,64/1,25	0,7/1,26	0,71/1,24	0,7/1,3	0,75/1,28	0,7/1,32
Сопrotивление раздиру «грибком», Н/м10 ³	2,16	5,57/1,61	4,64/1,78	3,44/1,05	3,95/1,01	3,69/0,93	4,01/2,12
Приведенная прочность Н/м ² 10 ⁵	71,6	70/24,6	101/28,6	100/30,7	99/31,3	96,5/28,5	99/31,6
Приведенный раздир Н/м10 ³	4,5	8,7/1,3	6,6/1,4	4,9/0,9	5,6/0,8	4,9/0,7	5,7/1,6

Примечание: В числителе показатели вторичного вулканизата, в знаменателе – регенерата.

Известно, что интенсивное измельчение полимеров трехмерного строения сопровождается их механо-крекингом [6]. При вальцевании пористого материала на основе ХСПЭ происходит сложный механо-химический процесс. Образовавшиеся при механо-крекинге макрорадикалы могут рекомбинировать между собой с образованием новых структур. Этому [7] способствует увеличение продолжительности вальцевания материала и увеличение его степени измельчения, что обеспечивает наибольшее восстановление межмолекулярных связей, приводящее к повышению прочностных свойств сырого регенерата.

Полученный регенерат подвергали повторному структурированию при $155 \pm 2^\circ\text{C}$ без добавок каких-либо ингредиентов резиновой смеси.

Регенерат имеет невысокую пластичность, однако при температуре структурирования обладает текучестью и заполняет пресс-форму. В результате структурирования регенерата получается пористый материал «вторичный вулканизат» с комплексом удовлетворительных свойств. Следует отметить, что прочностные свойства вторичных вулканизатов не ниже первичных, а относительное удлинение несколько ниже, но несмотря на это, они выдерживают более 300000 циклов многократного растяжения.

Возможно, под действием температуры и давления при повторном структурировании образуется более совершенная структура, обеспечивающая высокий комплекс свойств вторичным вулканизатам по сравнению с первичными.

Для выявления возможности многократной регенерации пористого материала на основе ХСПЭ чистый регенерат, а также с добавлением 2 и 4 мас.ч. порообразователя ЧХЗ-21 на 100 мас.ч. регенерата подвергали структурированию и получали вторичные вулканизаты, которые вновь подвергали регенерации и структурированию.

В результате двукратной регенерации с последующим структурированием получается резина с высокими физико-механическими свойствами (таблица 2).

Таблица 2. Физико-механические свойства первичных, вторичных и третичных вулканизатов

Физико-механические показатели	Первичный вулканизат (пористая резина)	Содержание ЧХЗ-21, мас.ч. на 100 мас.ч. регенерата						
		Вторичный вулканизат			Третичный вулканизат			
		0	2	4	0	2	4	
Предел прочности при растяжении, $\text{H}/\text{M}^2 \cdot 10^5$	69,5	136	89	60	156	70	49	
Удлинение, %: относительное остаточное	270	270	190	150	193	159	120	
	10	14	10	8	17	9	7	
Напряжение ($\text{H}/\text{M}^2 \cdot 10^5$) при удлинении:								
	50%	16	27	20	16	35	18	14
	100%	38	60	47	33	66	44	29
	150%	54	88	74	47	97	65	42
Твердость по ТМ-2, усл.ед.	54	75	67	54	82	60	50	
Плотность, $\text{г}/\text{см}^3$	0,54	1,05	0,7	0,44	1,27	0,6	0,37	
Приведенная прочность $\text{H}/\text{M}^2 \cdot 10^5$	129	129,5	127	136,5	123	117	130	

Из данных таблицы 2 видно, что вторичные и третичные вулканизаты без введения порообразователя имеют такие же свойства, как и первичный вулканизат.

Установлено, что пористый материал на основе ХСПЭ можно подвергать многократной регенерации путем пластикации на вальцах.

Структурирование регенерата без добавок каких-либо ингредиентов резиновой смеси позволяет получить вторичные и третичные вулканизаты, физико-механические свойства которых находятся на уровне свойств первичных вулканизатов.

Введение в регенерат порообразователя ЧХЗ-21 позволяет получить вторичные и третичные вулканизаты пористой структуры с высокими физико-механическими свойствами.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Дюмина В.Г., Павлов С.А., Динзбург Б.Н. «Кожевенно-обувная промышленность», 1979, №5.
2. Дюмина В.Г., Павлов С.А., Сафрай Б.А., Динзбург Б.Н. «Кожевенно-обувная промышленность», 1980, №5.
3. Дюмина В.Г., Павлов С.А., Сафрай Б.А., Динзбург Б.Н. «Кожевенно-обувная промышленность», 1981, №4.

4. Дюмина В.Г., Павлов С.А., Динзбург Б.Н. «Каучук и резина», 1984, №1.
5. Сафрай Б.А... Синтетические материалы для низа обуви. М., «Легкая индустрия», 19785.
6. Барамбойм Н.К. Механохимия высокомолекулярных соединений. М., «Химия», 1991.
7. Каргин В.А., Слонимский Г.Л. Краткие очерки по физико-химии полимеров. М., «Химия», 1987.

**საღანჩე რეზინების წარმოებაში გამოყენებული ფოროვანი მასალის
რეგენერაციის შესაძლებლობის კვლევა**

ნ.ზ.ლომთაძე

ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ქლორსულფირებული პოლიეთილენის ფუძეზე დამზადებული ახალი ფოროვანი რეზინის რეცეპტურისა და დამუშავების ტექნოლოგიის კვლევა. დადგინდა, რომ ქლორსულფირებული პოლიეთილენის ფუძეზე დამზადებულმა ფოროვანმა მასალამ შიძლება გაიაროს მრავალჯერადი რეგენერაცია ლილვაკებზე პლასტიკაციის გზით. რეზინის ნარევის ნებისმიერი ინგრედიენტისა და სხვა დანამატის გარეშე რეგენერატის სტრუქტურირება გვაძლევს შესაძლებლობას მივიღოთ მეორადი და მესამეული ვულკანიზატები, რომელთა ფიზიკო-მექანიკური თვისებები დგანან პირველადი ვულკანიზატების დონეზე. რეგენერატში ფორწარმომქმნელის ЧХЗ-21 შეყვანა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ფოროვანი სტრუქტურის მეორადი და მესამეული ვულკანიზატები მაღალი ფიზიკო-მექანიკური თვისებებით.

**STUDY OF REGENERATION ABILITY OF POROUS MATERIAL IN THE PRODUCTION OF
PLANTAR RUBBERS**

N.Z.Lomtadze

Kutaisi A.Tsereteli State University

SUMMARY

In result of studies development of compounding and manufacturing technique of a new type of porous material based on chlorosulphonated Plantar polietilena (HSPÈ). Found that the foam can be HSPÈ on the basis of a multiple regeneration by plastikacii on rollers. Structuring regenerate without additives of any compound ingredient provides secondary and tertiary vulkanizaty, physical and mechanical properties which are at the level of the primary properties of vulkanizates. Introduction to ЧХЗ-21 rubber reclaim expanders are to receive secondary and tertiary vulkanizaty of porous structure with high physical and mechanical properties.

პეტრე დიმიტრის ძე ცისკარიშვილი (1902-1996)



საქართველოში ნახშირების ქიმიის კვლევის მამამთავარი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პეტრე ცისკარიშვილი დაიბადა 1902 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ, თელავის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის, დიმიტრი ცისკარიშვილის ოჯახში. ამ ოჯახში გაიზარდა 7 შვილი, ყველა ღირსეული და ცნობილი პიროვნება. სწავლა პეტრე ცისკარიშვილმა თელავის გიმნაზიაში დაიწყო, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1922 წელს და სწავლა განაგრძო ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. მალე ამ ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი), რომლის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებულებიც იყო იგი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან გამოავლინა სწრაფვა და სიყვარული მეცნიერული კვლევებისადმი. ეს

შეუმჩნეველი არ დარჩენია აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძეს, რომელმაც ახალგაზრდა კაცი მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრაზე მიიწვია საბუღალროდ და გზა გაუკაფა მეცნიერებაში.

1929 წელს დიდი ქართველი მეცნიერის, პეტრე მელიქიშვილის მოწაფის, ლევ პისარჟევსკის თაოსნობით ჩამოყალიბდა პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი, სადაც დაარსებისთანავე ანალიზური ქიმიის ლაბორატორიაში მიწვეულ იქნა 28 წლის პეტრე ცისკარიშვილი, რომელიც შემდგომ დაინიშნა ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1930-1932 წლებში ბატონი პეტრე ცისკარიშვილი ხელმძღვანელობს ანალიზური ქიმიის ლაბორატორიას. პარალელურად იგი მუშაობს მანგანუმის მადნის ანალიზური კვლევის მეთოდებზე. მან პირველმა შეიმუშავა მანგანუმის უმადლესი ჟანგეულების ნარეგების დაყოფა – დაცილების მეთოდი, ჩაატარა ათასზე მეტი ქიმიური ანალიზი ამიერკავკასიის მადნებისა. ამ საკითხებს მიეძღვნა მისი საკანდიდატო დისერტაცია.

ამ პერიოდიდან იწყება პეტრე ცისკარიშვილის მეცნიერული დაინტერესება საქართველოს ნახშირებით. 1932 წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ნახშირების ქიმიის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პეტრე ცისკარიშვილი. გაიშალა ფართო კვლევითი საბუღალროები ნამარხი ნახშირების ქიმიის სფეროში.

მისი გამოკვლევები საფუძვლად დაედო ახალციხის მურა ნახშირის ახალი საბადოს სამრეწველო ექსპლუატაციის საკითხის გადაწყვეტას. მან პირველმა შეისწავლა ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ნახშირებიდან მეტალურგიული კოქსის მიღების შესაძლებლობა, რაც შემდგომში ქარხნული გამოცდით დადასტურდა. ამ პრობლემის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მეტალურგიის შემდგომი განვითარებისათვის. ტყიბულის საბადოს უნიკალური ფისოვანი ნახშირის (რომელიც პეტრე ცისკარიშვილმა განსაზღვრა, როგორც რაბდოპისიტი) მრავალწლიანი და მრავალმხრივი შესწავლის შედეგად პირველად დადგინდა მისი პლასტიკური მასალების წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობა. ეს იყო ბუნებრივი მაღალმოლეკულური ნივთიერებებიდან – ფისოვანი ნახშირიდან ახალი, იაფფასიანი პლასტმასის მიღების პირველი წარმატებული ცდა. ამ უნიკალური ნახშირის სისტემატური გამოკვლევის შედეგად მეცნიერმა შექმნა ახალი, ორიგინალური მიმართულება მყარი ნამარხი საწვავების გამოყენების სფეროში. მან შეიმუშავა ნახშირების თერმული პლასტიფიკაციის მეთოდი, რომელიც დღეს სასწავლო სახელმძღვანელო ლიტერატურაშია დამკვიდრებული.

აი, რას წერს თვითონ ამ გამოკვლევებზე:

“ჩემი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ტყიბულის ქვანახშირის ერთი სახეობის – რაბდოპისიტის ბუნების დადგენა და მისი სამრეწველო-სამეურნეო გამოყენება. რესპუბლიკის მაშინდელი (1960-1970წწ.) უთავბოლო ხელმძღვანელობის გამო ჩვენი მუშაობის შედეგი დანერგული იყო არა საქართველოში, არამედ ქალაქ მინგიჩაურის ქარხანაში (აზერბაიჯანი). ქარხანამ ამ დანერგვის შედეგად რესპუბლიკას დიდი ეკონომიური სარგებელი მოუტანა. მე დამაჯილდოვეს ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პრემიით. ეს კვლევითი სამუშაოები არ დარჩათ უყურადღებოდ საბჭოთა კავშირში. უკრაინის სათანადო დარგის მეცნიერებმა ორ წიგნში აღნიშნეს ჩვენი სამუშაოს მაღალი დონე და ორივე წიგნი რეკომენდირებულია უმაღლეს სასწავლებელში დამხმარე სახელმძღვანელოდ ქვანახშირის ტექნოლოგიის სპეციალობით. ჩვენი დასკვნები მიღებულია უდავოდ. ორივე წიგნის ავტორი უკრაინელი პროფესორები არიან (სულ 6 ავტორი)”.

ამ მიმართულებით მისი კვლევა ნათლად ავლენს ავტორის ღრმა ერუდიციას მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის დარგში. მონოგრაფია “გამოკვლევები რაბდოპისიტური ნახშირების ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში” არის კაპიტალური ნაშრომი ნახშირების ქიმიის შესწავლის სფეროში. კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნდა სტატიებისა და საავტორო მოწმობების სახით. მათ ფართო რეზონანსი ჰპოვეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ საკითხებზე მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის დ.ი. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

შემდგომი კვლევა საფუძვლად დაედო ქუთაისში ლიტოპონის ქარხნის ბაზაზე პლასტმასების საწარმოთა პროექტირებასა და მშენებლობას. საცდელი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები კი საფუძვლად დაედო ელექტროსაიზოლაციო მასალების ფართო წარმოებას რაბდოპისიტის პლასტიფიკატის ბაზაზე. ეს საიზოლაციო მასალები ხასიათდებიან მაღალი თერმულ-მექანიკური მაჩვენებლებით და სრულიად უნიკალური, აბსოლუტური ტროპიკომდეგობით. არსებითია ისიც, რომ აღნიშნული პლასტმასები საკმაოდ იაფია ანალოგიური ტიპის სხვა ცნობილ მასალებთან შედარებით.

ამ პლასტმასების ნიმუშები არაერთგზის იყო დემონსტრირებული საბჭოთა კავშირის და საერთაშორისო გამოფენებზე და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

უაღრესად განათლებული მეცნიერის ინტერესების სფერო ქიმიის დარგში ერთი კერძო მიმართულებით არ შემოისაზღვრა. ჯერ კიდევ 1949 წელს პეტრე ცისკარიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოში მაღალმოლეკულურ ნაერთთა კვლევის პირველი ცენტრი. ეს იყო ქიმიის ინსტიტუტის მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია, სადაც განვითარდა ინტენსიური კვლევები მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის დარგში.

თავისი ნიჭი, გამოცდილება და ცოდნა პეტრე ცისკარიშვილმა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და კვალიფიციური კადრების ჩამოყალიბების საქმეს მოახმარა. მან სამშობლოს აღუზარდა არაერთი თაობის მეცნიერ-ქიმიკოსი. იგი იყო უაღრესად კეთილმოსურნე და ღირსეული პიროვნება. 1930-1940 წლებში ლექციებს კითხულობს საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში (დღეს ტექნიკური უნივერსიტეტი). აქვე აყალიბებს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას ქიმიურ ტექნოლოგიაში. 1943-1947 წ.წ. იყო პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფია, ორასზე მეტი სტატია, საავტორო მოწმობები. წლების განმავლობაში იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მყარი საწვავის ქიმიის სამეცნიერო საბჭოს უცვლელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის სექციის თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო და საკვალიფიკაციო საბჭოების წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი პეტრე ცისკარიშვილი არასოდეს ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი, მეცნიერებაში შეტანილი დიდი ღვაწილისთვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. მას მჭიდროდ სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა ისეთ დიდ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები სტანინკოვი, კარგინი, კაზანსკი, კორშაკი და სხვები.

ბატონი პეტრე ცისკარიშვილი მრავალმხრივ განთლებული ადამიანი გახლდათ. მან ძალიან კარგად იცოდა მსოფლიოს ისტორია და ლიტერატურა, გეოლოგია და გეოგრაფია, აგრონომია. მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკადემიკოს აკაკი შანიძესთან, რომელსაც ორჯერ ახლდა ექსპედიციაში ალვანსა და ტბათანაში, სადაც აკაკი შანიძე წოვა-თუშურ ენას იკვლევდა. შემდგომში, მოძიებული მასალებისა და სათანადო კვლევების შედეგად გამოცემულ წიგნზე, რომელიც აკადემიკოსმა ა. შანიძემ ბ-ნ პეტრე ცისკარიშვილს აჩუქა, სამანსოვრო წარწერა გააკეთა, სადაც მას დიდ მადლობას უძღვნდა “ტბათანაში წოვა-თუშურზე ერთად მუშაობის მოსაგონებლად”.

ახალგაზრდობის წლებში პეტრე ცისკარიშვილი ძალიან გატაცებული იყო ალპინიზმით და პროფესორ გიორგი ნიკოლაძესთან, რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და დიდ ალპინისტ იაგორ კახალიკაშვილთან ერთად არაერთხელ მონაწილეობდა ალპინიადებში და დალაშქრული ჰქონდა კავკასიონის ყველა მნიშვნელოვანი მწვერვალი. ქართული ალპინიზმისადმი მიძღვნილ წიგნებში და პუბლიკაციებში ეს კარგად არის გაშუქებული.

პეტრე ცისკარიშვილის მეუღლე იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პ. მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ელისაბედ ბენაშვილი. იგი პირველი დოქტორი ქალი გახლდათ საქართველოში ორგანული ქიმიის დარგში. მათ ჰყავთ 2 შვილი, 3 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი.

პროფესორ პეტრე ცისკარიშვილის ოჯახში ქიმიკოსთა ტრადიცია თანმიმდევრულად გრძელდება.

პროფესორი პეტრე ცისკარიშვილი გარდაიცვალა 1996 წელს. 2012 წელს მას 110 წელი შეუსრულდებოდა, რასაც ეძღვნება წარმოდგენილი მოსაგონარი. იგი დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიის რედაქცია

IN MEMORY OF PETRE TSISKARISHVILI

On June, 2012 was 110th anniversary from the date of birth of the famous Georgian scholar, Honored Scientist, Doctor of Technical Sciences, Professor Petre Tsiskarishvili. He is the founder of coal chemistry in Georgia and establisher of the first Scientific-Research Laboratory of Chemistry of High-Molecular Compounds. Petre Tsiskarishvili educated not one generation of scientist-chemists. He was highly educated, dignified and honorable person.

ПАМЯТИ П.Д. ЦИСКАРИШВИЛИ

15 ноября 2012 года исполнилось 110 лет со дня рождения известного грузинского ученого, заслуженного деятеля науки, доктора технических наук, профессора Петра Дмитриевича Цискаришвили. Он является основоположником химии угля и создателем первой научно-исследовательской лаборатории химии высокомолекулярных соединений в Грузии. Пётр Дмитриевич воспитал не одно поколение ученых-химиков, был многогранно образованным, добросердечным человеком и достойной личностью

აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი



საქართველოს ქიმიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მის რიგებს გამოაკლდა ქართველი მეცნიერი, მსოფლიოში აღიარებული ქიმიკოსი, საქართველოში ქიმიის მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მესაჯე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილი**.

გიორგი ციციშვილი დაიბადა 1915 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში ინტელიგენციისთვის კარგად ცნობილი ექიმის ლადო და მუსიკოსის ქსენია ციციშვილების ოჯახში. 1931 წელს 16 წლის ასაკში დაამთავრა თბილისის №107 გერმანული სკოლა, წარმოებაში მოიპოვა სამუშაო სტაჟი და 1932 წელს გახდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის, 1935 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

სწავლასთან ერთად იგი მუშაობდა უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმიური სხივების ლაბორატორიაში.

1937 წელს გიორგი ციციშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, ჩაირიცხა ასპირანტურაში და 1938 წლის დასაწყისში მივლინებული იყო ქ. მოსკოვში, ლ.კარპოვის სახ. სამეცნიერო-კვლევით ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ალექსანდრე ჟუხოვიცკის ხელმძღვანელობით მოამზადა და 1940 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. საქართველოში დაბრუნებისთანავე, ამავე წელს, გიორგი ციციშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, 1941 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში.

II მსოფლიო ომის დროს გიორგი ციციშვილი ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის ასამაღლებლად, 1944 წელს დაჯილდოვდა მედლით “კავკასიის დაცვისათვის”. ომის დამთავრების შემდეგ გიორგი ციციშვილმა გააგრძელა კვლევები თეორიული და ექსპერიმენტული ქიმიის დარგში და 1947 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ენციკლოპედიაში “მსოფლიოს გამოჩენილი ქიმიკოსები” (მოსკოვი, 1991) აღნიშნულია გიორგი ციციშვილის ამ პერიოდის ფუნდამენტური შრომების ჩამონათვალი ნივთიერების აღნაგობის შესწავლის დარგში – მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმის წარმოქმნის დროს წყალბადშემცველი ჯგუფის პოტენციური მრუდის ცვლილება და ვალენტური რხევების სიხშირის შემცირება (1939-42), ჰალოგენწყალბადების ასოციაციის თეორიული დასაბუთება და მათი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების გაანგარიშება (1942-50), მოლეკულებს შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის შესახებ ამოცანის ჩამოყალიბება და მისი გადაწყვეტის კვანტურ-ქიმიური მეთოდის შემუშავება (1944-47).

1947 წელს, აკადემიკოს ნ.მუსხელიშვილის პირადი ინიციატივით გიორგი ციციშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად და არჩეულ იქნა ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგედ. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სერიოზული სამუშაოები ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების დასახვეწად, სამეცნიერო კვლევების ახალი ბაზების შესაქმნელად, მისი ძალისხმევით 1950 წელს მთავრობის დადგენილებით ინსტიტუტს აღუდგა პეტრე მელიქიშვილის სახელი.

1950 წელს გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს – აკადემიკოსად,

ხოლო 1963 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ამავე წელს ჩამოყალიბებული ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ციციშვილი სათავეში ედგა საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. 1989 წლიდან იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი და პეტრე მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება გახდა სორბციული პროცესების კვლევა. ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს მიხეილ ღუბინინის თქმით, “გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილმა შექმნა საქართველოს აღსორბციული სკოლა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია” ქიმიურ მეცნიერებაში. გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალკვალიფიციური კადრები და შეიქმნა ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ჩასატარებლად, გამოკვლეულია სორბციული პროცესების სტატიკა, კინეტიკა და ენერგეტიკა. გამოკვლევის ობიექტებს ჯერ წარმოადგენდა საქართველოს მონტმორილონიტური თიხები, ხოლო 1960-იანი წლების დასაწყისიდან – სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითები, ცეოლითმაგვარი და სხვა მასალები. მონტმორილონიტური თიხების კვლევის შედეგად მიღებულია ახალი მონაცემები მათი აღნაგობის, მჟავური აქტივაციის პროცესის, სორბციული ჰისტერეზისის ხასიათის, ორთქლის სორბციული კინეტიკის, ულტრაფორიანობის ეფექტის, თიხებზე რადიოაქტიური იონების სორბციისა და სხვა თვისებების შესახებ. ამ მონაცემების თანახმად მონტმორილონიტები გვევლინება როგორც არაერთგვაროვანი სორბენტები მიკროფორებით და გარდამავალი ფორმებით, ეს უკანასკნელები განაპირობებენ სორბციულ მოცულობას, ასევე მნიშვნელოვანია ნაწილაკების გარე და შიგა აღსორბციული სივრცის განსხვავება.

გიორგი ციციშვილის პირველი მონოგრაფია, “სორბციული პროცესები” (თბილისი, 1959), სადაც გადმოცემულია ძირითადი თეორიული წარმოდგენები ორთქლისა და გახსნილი ნივთიერების სორბციის შესახებ, კვლევის ექსპერიმენტულ მეთოდებსა და ცდების უმნიშვნელოვანეს მონაცემებთან შერწყმით, დღესაც არის სამაგიდო წიგნი დარგის სპეციალისტებისათვის. გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულია საშუაობის დიდი ციკლი ცეოლითური მოლეკულური საცრების – აღსორბენტების, იონმიმომცველებისა და კატალიზატორების მისაღებად. შემუშავებულია ცეოლითების ჰიდროთერმული სინთეზის მეთოდები როგორც განსაკუთრებით სუფთა რეაქტივების, ასევე ბუნებრივი ალუმინსილიკატების, ძირითადად საქართველოს პერლიტისა და კლინოპტილოლიტმემცველი ტუფების გამოყენებით. კერძოდ, მოწოდებულია პერლიტის კომპლექსური გამოყენების მეთოდიკა A და X ტიპის ცეოლითების მისაღებად. დიდი ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა კათიონური ფორმის მიღებას და იონმიმომცვლითი პროცესების კვლევას, მომზადებულია ლითიუმის, კალიუმის, ცეზიუმის, ბარიუმის, ტყვიის, ნიკელის, კობალტის, კადმიუმის, სპილენძის, ვერცხლის და სხვა ცეოლითები. მიღებული ნიმუშების აღნაგობისა და თვისებების გამოკვლევა მიმდინარეობდა სორბციული, ქრომატოგრაფიული, სხვადასხვა სპექტრული, თერმოგრაფიული, კატალიზური და სხვა მეთოდებით. შესწავლილია ცეოლითების თვისებებზე მათი ტიპის, კათიონის სახეობისა და ჩანაცვლების ხარისხის გავლენა, გამოვლენილია ცეოლითებზე სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულების ურთიერთქმედების თავისებურება, რაც მიმდინარეობს კათიონებზე, ალუმინსილიკატური კარკასის მონაწილეობით. ცეოლითების ზედაპირის ენერგეტიკული რელიეფის მიკროკალორიმეტრული შესწავლის საფუძველზე მოწოდებულია ნახშირწყალბადების, ნახშირბადის დიოქსიდის, ამიაკისა და სხვა მოლეკულების აღსორბციის მექანიზმი განსხვავებული სტრუქტურის ცეოლითებზე. ინფრაწითელი სპექტროსკოპიის გამოყენებით დადგენილ იქნა L, ომეგა, ერიონიტის და ოფრეტიტის ტიპის ცეოლითების აღსორბციული ცენტრების ბუნება და მათი ფორმირების მექანიზმი. ცეოლითური კატალიზატორების შექმნასთან დაკავშირებით შესწავლილია დეკათიონირებული ფორმები და მიღებულია ულტრასტაბილური ცეოლითები.

გიორგი ციციშვილმა დიდი ინტერესი გამოავლინა საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების შესწავლისადმი და გახდა ამ ძვირფასი ნედლეულის შესწავლის, წარმოების ორგანიზებისა და პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. გიორგი ციციშვილის და მისი თანამშრომლების, ქართველ მეცნიერთა და ინჟინერთა მეცნიერული და საორგანიზაციო მუშაობების მეოხებით, თბილისი ცეოლითების კვლევის და გამოყენების აღიარებული სამეცნიერო ცენტრია. 1985 წელს გამოვიდა (გამომცემლობა “ქიმია”, მოსკოვი) გ.ციციშვილის, თანდრონიკაშვილის, გ.კიროვის და ლ.ფილიზოვას მონოგრაფია “ბუნებრივი ცეოლითები”, რომელიც 1990 წელს გამოცემული იყო პოლონურ ენაზე, ხოლო მისი განახლებული რედაქცია ინგლისურ ენაზე გამოვიდა 1992 წელს. მან საერთაშორისო

სამეცნიერო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა, როგორც ცნობილი ქიმიკოსი ტავერესი წერდა, ეს წიგნი “...იმსახურებს უმაღლეს რეკომენდაციას, რადგანაც იგი გამოსაყენებელია მრავალი დარგის სპეციალისტები-სათვის” (Zeolites, 1993, v. 13, p. 503).

გიორგი ციციშვილის და მისი თანამშრომლების სამეცნიერო ნაშრომები დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის (1965) და ალექსანდრე თვალჭრელიძის (1987) სახელობის პრემიებით, გიორგი ციციშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა – მრავალი მედლით და ორდენით, მათ შორის საბჭოთა კავშირის “ხალხთა მეგობრობის” (1985) და საქართველოს “ღირსების” (1995) ორდენებით.

გიორგი ციციშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღსორბციის დარგში მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და აღწვლელების მანძილზე იგი აქტიურად თანამშრომლობდა მრავალი ქვეყნის ავტორიტეტულ სპეციალისტებთან. 1958-59 წლებში იგი ეწვია ჩეხოსლოვაკიას და ამ ვიზიტების შედეგი იყო მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართველ, ჩეხ და სლოვაკ ქიმიკოსებს და ტექნოლოგებს შორის, კერძოდ – ქიმიის ინსტიტუტთან, ქ. პრაღა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი რუდოლფ ბრდიჩკა. ასევე ნაყოფიერი იყო გიორგი ციციშვილის ვიზიტები კუბის (1986, პროფესორი კარლოს გუტიერესი) და ვიეტნამის (1990, პროფესორი ხო ში თხონანგი) სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრებში. გიორგი ციციშვილმა დიდი წვლილი შეიტანა აღსორბციული მოვლენების კვლევების იმ საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში, რომლის ფარგლებში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის და ე.წ. “სოციალისტური ბანაკის” მკვლევარები ისეთი ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით, როგორებიცაა მიხეილ დუბინინი, კონსტანტინე ნიკოლაევი, ნიკოლაი პოლიაკოვი, ვლადიმერ სერპინსკი, ზოია გრიაზნოვა, ვალტერ შირმერი, ჰარი პფაიფერი, მარტინ ბიულოვი, გიორგი კიროვი და მრავალი სხვა. 1969 წელს ქ. ბრისტოლში (დიდი ბრიტანეთი) გამართულმა კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა მყარი სხეულების ზედაპირის კვლევას, სტიმული მისცა გიორგი ციციშვილისა და აღსორბციის და ცეოლითების კვლევის დარგში აღიარებული ავტორიტეტის, პროფესორ რიჩარდ ბარერის მრავალწლიან საქმიან ურთიერთობას. გიორგი ციციშვილს ასევე მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორებიცაა გეზა შაი, ლეონარდ სენდი, დონალდ ბრეკი, ედიტ ფლენიგენი, ჯონ ვარდი, ვალტერ მაიერი, ფრედ მამპტონი, რიჩარდ შეპარდი, ჰიდუო მინატო, ჰელმუტ კარგე, ლოვატ რისი და სხვ.

გიორგი ციციშვილმა დიდი ძალა მოახმარა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას – მისი ინიციატივით 1953 წლიდან ტარდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღსორბციების სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში და 1981 წლიდან იყო ცეოლითების კომისიის თავმჯდომარე, 1975 წლიდან მისი ინიციატივით გამოდის ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია”, 1977 წელს გიორგი ციციშვილი არჩეული იყო ცეოლითების საერთაშორისო ასოციაციის (IZA) საბჭოს წევრად, 1992 წელს მან ჩამოაყალიბა ცეოლითების საქართველოს ასოციაცია, რომელიც მისი თაოსნობით 1998 წელს გახდა ევროპის ცეოლითების ასოციაციათა გაერთიანების (FEZA) წევრი; 1992 წლიდან გიორგი ციციშვილი რედაქტორია ოთხენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) ქიმიური ლექსიკონისა, რომელიც დაიბეჭდა 2004 წელს.

განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებასა და მუშაობაში, მათ შორის აღსანიშნავია თბილისში, სოხუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარებული კონფერენციები და სიმპოზიუმები ცეოლითების კვლევისა და გამოყენების საკითხებზე, ასევე UPAC-ის კონგრესი (მოსკოვი, 1965), საერთაშორისო კონფერენციები მიძღვნილი ზედაპირული მოვლენების (ბრისტოლი, 1969), მოლეკულური საცრების (ვუსტერი, აშშ, 1970; ციურიხი, 1973, და სხვ.), აღსორბციის საკითხების შესწავლისადმი (ფლორენცია, 1971), პირველი საერთაშორისო კონფერენცია ბუნებრივი ცეოლითების კვლევის შესახებ (ტუსონი, აშშ, 1976) და სხვა სიმპოზიუმები (ბერლინი, 1978; ბუდაპეშტი, 1985; ტოკიო, 1986).

1981-1990 წ.წ. ბატონი გიორგი ხელმძღვანელობდა “ქიმიური კომპლექსის” სპეციალურ კომისიას, რომელიც ამუშავებდა ქიმიის სფეროში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების და მთლიანად, დარგის განვითარების გრძელვადიან პროგნოზებს. მონაცემები შეტანილია საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამაში.

გიორგი ციციშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომლის პროფესორი გიორგი ციციშვილი გახდა 1949 წელს, მას წაკითხული აქვს ლექციების კურსი, 1996 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოვიდა გიორგი ციციშვილის მონოგრაფია “კვანტური ქიმია”, მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი დისერტაცია ქიმიის სხვადასხვა დარგებში.

გიორგი ციციშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერებისა და ქვეყნისადმი სამსახურის ნათელი მაგალითია. იგი იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უაღრესად ნიჭიერი, კეთილმოსურნე და კორექტული პიროვნება, რომლის ღვაწლსაც შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიის სარედაქციო კოლეგია

CONDOLENCE

Department of Chemistry and Chemical Technology of the Georgian National Academy of Sciences, the Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry, and the Editorial Board of Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, chemical series, inform about untimely decease of Giorgi Tsitsishvili, Member of the Georgian National Academy of Science, well known and honoured scientist, Doctor of Chemical Sciences, and condole with his family, friends, and collaborators.

СОБОЛЕЗНОВАНИЕ

Отделение химии и химической технологии Национальной Академии наук Грузии, Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили и Редакционная коллегия химической серии Известий Национальной Академии наук Грузии с глубокой скорбью извещают о кончине известного учёного, доктора химических наук, профессора, заслуженного деятеля науки, академика НАН Грузии Георгия Владимировича Цицишвили, и выражают соболезнование семье, друзьям и сотрудникам покойного.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
ИЗВЕСТИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ქიმიის სერია
CHEMICAL SERIES
СЕРИЯ ХИМИЧЕСКАЯ

ISSN – 0132 – 6074

ტომი

Volume 39 № 1 - 2

Том

ჟურნალი დაარსდა 1975 წელს
The Journal is founded in 1975
Журнал основан в 1975 году

წელიწადში 4 ნომერი
4 numbers annually
4 номера в год

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2013

სარედაქციო კოლეგია

თანდრონიკაშვილი, ი.ჟორდანია, ი.რუჟილო (პოლონეთი), შ.სამსონია, ე.ქემერტელიძე, გ.ცინცაძე, ვ.ცინციშვილი (რედაქტორი), კ.ჯაფარიძე, თ.აგლაძე, ა.ბაკურიძე, ზ.ფაჩულია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება
თბილისი, რუსთაველის გამზირი 52

პასუხისმგებელი მდივანი რ.ცისკარიშვილი, მდივანი ქებრალიძე
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
0186 თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. № 5; ტელ. 254-15-62; ელ.ფოსტა: chematsne@posta.ge
ჟურნალის ელექტრონული ვერსია (ტომი 33, № 1-დან) იხილეთ ვებ-გვერდზე: www.ipoc.org.ge
სტატიების რეზიუმეებს აქვეყნებს Chemical Abstracts* და საქართველოს რეფერატიული ჟურნალი**

EDITORIAL BOARD

T.Andronikashvili, K.Japaridze, E.Kemertelidze, I.Jordania, Jan K.Rózylo (Poland), Sh.Samsoniya, G.Tsintsadze, V.Tsitsishvili (Editor), T.Agladze, A.Bakuridze, Z.Pachulia

Georgian National Academy of Sciences, Department of Chemistry and Chemical Technologies
52 Rustaveli av., Tbilisi

Executive Secretary R.Tsiskarishvili, K.Ebralidze

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

5 Politkovskaia str., Tbilisi 0186; tel.: 254-15-62; e-mail: chematsne@posta.ge

Digital version of Proceedings (from volume 33, No 1) see at web-site www.ipoc.org.ge

Abstracts of articles are published in Chemical Abstracts* and Georgian Abstracts Journal**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Т.Г.Андроникашвили, К.Г.Джапаридзе, И.С.Жордания, Э.П.Кемертелидзе, Я.К.Ружи́ло (Польша), Ш.А.Самсония, Г.В.Цинцадзе, В.Г.Цицишвили (редактор), Т.Р.Агладзе, А.Дж.Бакуридзе, З.В.Пачулия

Национальная Академия наук Грузии, Отделение химии и химических технологий
Тбилиси, проспект Руставели 52

Ответственный секретарь Р.П.Цискаришвили, секретарь К.Г.Эбралидзе

Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили

0186 Тбилиси, ул. А.Политковской 5; тел. 254-15-62; эл.почта: chematsne@posta.ge

Электронную версию журнала (начиная с тома 33, № 1) смотрите на веб-сайте www.ipoc.org.ge

Резюме статей публикуются в Chemical Abstracts* и Грузинском реферативном журнале **

* 2540 Olentangy River Road, P.O. Box 3012, Columbus, OH 43210-0012, USA, American Chemical Society

** LERL TECHINFORMI, <http://www.tech.org.ge>; www.tech.caucasus.net

შინაარსი

ელემენტოქიმია

გ.გლაძე, გ.გორელიშვილი, გ.წურწუშია, პ.ნიკოლეიშვილი, ვ.კვესელავა, რ.კურტანიძე, ლ.გელაშვილი. 9
წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაცია ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიურ რეაქტორში

გ.გლაძე, გ.წურწუშია, ნ.ქოიავა, ნ.გოვიშვილი, ლ.ბერიაშვილი, ი.ზარიძე, ი.კახნიაშვილი. ელექტროლიტური ლითონური მანგანუმისა და ელექტროლიტური მანგანუმის დიოქსიდის ერთდროული მიღება ანიონელექტრონული AMI 7001S მემბრანიან ელექტროქიმიურ რეაქტორში 17

ორბანული ქიმია

ზ.ასადოვი, ნ.სალამოვა, რ.რაგიმოვი, ა.ასადოვა, ი.ამიროვა. ორთოფოსფორმჟავის და აბუსალათინის ზეთის 39
საფუძველზე ნავთობის თხელი აპკებისგან წყლის ზედაპირის გასუფთავებისთვის*

ნ.ნ.სიღამონიძე, რ.ა.გაბოკიძე, რ.ო.ვარდაშვილი. ზოგიერთი 1,2-ტრანს-გლიკოზიდის სინთეზი და კვანტურ-ქიმიური გამოკვლევა* 44

ფიზიკური ქიმია

კ.სულაბერიძე, გ.ბეზარაშვილი, რ.ცანავა. ტრი-იზობუთილარსენიტის ნაწილობრივი გადაეთერების 49
კინეტიკა*

ი.ნახუცრიშვილი, ს.თავზარაშვილი, ხენჯის ზრდის ფორმალური კინეტიკა სარეაქციო ზედაპირის 52
გაზრდით*

ა.ნადირაძე, ქ.უკლება, ნ.კეკელიძე. $A^{111}B^V$ ტიპის ნახევარგამტარული ნაერთების GaP, GaAs, GaSb, InP, 55
InAs და InSb თერმოდინამიკური მდგრადობის შესახებ*

კ.ხაჩატურიანი, ლ.მაზარაძე. თერმოქიმიურად დამუშავებული დიატომიტის დაყოფითი უნარიანობა* 63

ვ.ციციშვილი. სპინური დინამიკა ჰეტეროდინამიურ სისტემებში* 67

მათემატიკური ქიმია

ქ.კუპატაძე, თ.ლობჯანიძე, მ.გვერდწითელი. კვანტურ-ქიმიური და მათემატიკურ-ქიმიური კვლევები 70
ნახშირწყლებში ჟანგვა-აღდგენითი შიდამოლეკულური გადაჯგუფებისა*

კოორდინაციულ ნაერთთა ქიმია

მ.ცინცაძე, ა.ამბულაშვილი, რ.კლდიაშვილი, ე.თოფურია, თ.ტუსიაშვილი, გ.ცინცაძე, ი.გველესიანი. 71
ჰექსამეთილენტეტრამინთან (ჰმტა) ლითონთა ნიტრატული კოორდინაციული ნაერთები

მ.კიკელიშვილი, კ.რუხაია, ი.დიდბარძე. ოთხნაწევრულ არსონიუმის მარილებთან სპილენძისა (I) და 77
ვერცხლის (II) ციანიდური და როდანიდული კომპლექსნაერთების თერმოგრაფიკული კვლევა*

ც.გაბელია, ე.სალუქვაძე, ლ.ჯაფარიძე, ნ.ლომთაძე, ვ.ჩიმაკაძე, ს.უროტაძე. რკინა-კობალტის შემცველი 79
კომპლექსების ანტიანემიური აქტივობა*

გ.მანველიძე, ნ.მაისურაძე. Co(II), Ni(II), Cu(II), Zn და Cd აცეტატების კოორდინაციული ნაერთების 82
სინთეზი და იწ-შთანთქმის სპექტრები*

ბარემოს ქიმია

ნ.ბოკუჩავა, დ.ჯინჭარაძე, ლ.ებანიძე, ი.ჯანელიძე. ტიულკი-ტაფას ფსევდოვულკანური ტალახის 83
(პელოიდის) ქიმიური შედგენილობა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

თ.გოგიბერიძე, რ.გიგაური, შ.ჯაფარიძე, ლ.დოლიძე. დარიშხანშემცველი ნარჩენების ტოქსიკურობის 88
ხარისხის შესწავლა თანამედროვე ტესტ მეთოდების გამოყენებით

ნ.ბეკოშვილი, მ.ცინცაძე, თ.უჩანეიშვილი. მტკვარსა და მის შენაკადებში მეტალების მრავალწლიანი 92
განაწილების შედეგები, სტატისტიკური დამუშავება და სიტუაციის განვითარების შეფასება

* რეზიუმე

ქიმიური ეკოლოგია

ადოლიძე, ი.მიქაძე, ნ.ქავთარაძე, ლ.დოლიძე, ნ.ბარბაქაძე, რ.ურდია. გარემოში დიოქსინების მიგრაციისა და დაბინძურების დეტოქსიკაციის შესახებ 95

ქ.ქოჩიაშვილი, ნ.ბარბაქაძე, რ.ცისკარიშვილი, თ.დგებუაძე, მ.ჯაფარიძე, ი.მიქაძე. მე-4 თაობის ინსექტიციდების გამოყენების შესაძლო გზები მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში 99

აბრტჰიზია

მ.ზაუტაშვილი, ლ.ეპრიკაშვილი, თ.კორძაზია, ნ.ფირცხალავა, მ.მაგანია, ი.რუბაშვილი. ბუნებრივი კომპოზიტების საფუძველზე მომზადებული ახალი არატრადიციული სასუქის გამოყენების შესაძლებლობა* 106

ქიმიური ტექნოლოგია

ე.გოზალიშვილი, ნ.ლუარსაბიშვილი, მ.მიქაბერიძე, დ.რამაზაშვილი, ლ.ახვლედიანი. კონსტრუქციული ფოლადების კოროზიული ქცევის პროგნოზირება 107

რ.ჩაგელიშვილი, ვ.გაფრინდაშვილი, ც.გაგნიძე, ვ.ბაღდავაძე, ა.კანდელაკი, მ.აგალიანი, ლ.წყალობაძე. ზოფნიტოს ოქროშემცველი ანტიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღება თიოკარბამიდული მეთოდით 112

მ.ყიფიანი, ზ.ოქროსცვარიძე, ლ.ჩხიკვაძე, ი.კახნიაშვილი. Ti-Si სისტემის კონგლომერირებული ფხვნილების კვლევა 118

ნ.ლომთაძე. ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენის კვლევა მოდიფიცირებული საფეხსაცმელე ფოროვანი რეზინების შეკლებაზე შენახვის დროს* 126

გასსენება – აკადემიკოსი ტიმოშუჩაზ ანდრონიკაშვილი 127
ინფორმაცია ავტორებისათვის 129

* რეზიუმე

CONTENTS

ELECTROCHEMISTRY

- G.Agladze, G.Gorelishvili, G.Tsursumia, P.Nikoleishvili, V.Kveselava, R.Kurtanidze, L.Gelashvili.* Electrogeneration of Hydrogen Peroxide in the Filter-Press Type Electrochemical Reactors* 16
- G.Agladze, G.Tsursumia, N.Koiava, N.Gogishvili, L.Beriashvili, I.Zaridze, I.Kakhniashvili.* The Joint Production of Electrolytic Metallic Manganese and Electrolytic Manganese Dioxide in Anionselective AMI 7001S Membrane Electrochemical Reactor* 28

ORGANIC CHEMISTRY

- Z.G.Asadov, N.V.Salamova, R.A.Ragimov, A.Z.Asadova, I.V.Amirova.* New Oil Collecting and Dispersing Chemicals on the Basis of Ethanolamines, Phosphoric Acid and Castor Oil for Purifying of Water Surface from Thin Oil Films* 39
- N.N.Sidamonidze, R.A.Gakhokidze, R.O.Vardiashvili.* Synthesis and Quantum-Chemical Investigation of Some 1,2-trans-Glycosides* 44

PHYSICAL CHEMISTRY

- K.Sulaberidze, G.Bezarashvili, R.Tsanava.* The Kinetics of Partial Transesterification of tri-Isobutylarsenite 45
- I.Nakhutsrishvili, S.Tavzarashvili.* Formal Kinetic of the Scale Growth with Increase of Reaction Surface* 52
- A.Nadiradze, K.Ukleba, N.Kekelidze.* About Thermodynamic Stability of A¹¹¹B^V Type Semiconductor Compounds GaP, GaAs, GaSb, InP, InAs and InSb* 55
- K.Khachaturian, L.Makharadze.* Separation Power of the Thermochemically Treated Diatomite* 63
- V.Tsitsishvili.* Spin Dynamics in Heterodynamical Systems* 67

MATHEMATICAL CHEMISTRY

- K.T.Kupatadze, T.E.Lobzhanidze, M.I.Gvertsiteli.* Quantum-Chemical and Mathematic-Chemical Investigation of Intermolecular Oxidation-Reduction Rearrangement In Carbohydrates 68

CHEMISTRY OF COORDINATION COMPOUNDS

- M.Tsintsadze, A.Mamulasvili, R.Kldiashvili, E.Topuria, T.Tusiashvili, G.Tsintsadze, I.Gvelesiani.* Coordinational Compounds of Metallic Nitrates with Hexamethylenetetramine (HMTA)* 74
- M.Kikalishvili, K.Rukhaia, I.Didbaridze.* Thermogravimetric Study of Copper (I) and Silver (I) Thiocyanate and Cyanide Complexes of Tetrasubstituted Arsonium Salts 75
- Ts.Gabelia, E.Saluqvadze, L.Djaparidze, N.Lomtadze, G.Chimakadze, S.Urotadze.* Antianemic Activity of Iron-Cobalt Containing Complexes* 79
- G.Manvelidze, N.Maisuradze.* Synthesis and IR-Spectra of Coordination Compounds of Co(II), Ni(II), Cu(II), Zn, and Cd Acetates with Larusan* 82

ENVIRONMENTAL CHEMISTRY

- N.Bokuchava, D.Jincharadze, L.Ebanoidze, I.Janelidze.* Chemical Composition and Physico-Chemical Parameters of Tiulki-Tafa Pseudo-Volcanic Mud (Peloid)* 87
- T.Gogiberidze, R.Gigauri, Sh.Japaridze, L.Dolidze.* Study of the Toxicity Quality of Arsenic-Containing Waste Using of Modern Test Methods* 90
- N.Bekoshvili, M.Tsintsadze, T.Uchaneishvili.* Results of Multiyear Metal Distribution in Kura River and Its Tributaries, Their Statistical Processing and Assessment of Developments* 94

CHEMICAL ECOLOGY

- A.Dolidze, I.Mikadze, N.Kavtaradze, L.Dolidze, N.Barbakadze, R.Uridia.* About Migration of Dioxins in the Environment and Detoxification of Pollution* 98
- K.Kochiashvili, N.Barbakadze, R.Tsiskarishvili, T.Dgebuadze, M.Japaridze, I.Mikadze.* Possible Ways of Using Insecticides of 4-th Generation in Pest Control* 103

* Summary

AGROCHEMISTRY

- M.Zautashvili, L.Eprikashvili, T.Kordzakhia, N.Pirtskhalava, M.Dzagania, I.Rubashvili.* The Possibility of Using Non-Traditional Fertilizers on Basis of Natural Composites * 106

CHEMICAL TECHNOLOGY

- E.Gozalishvili, H.Luarsabishvili, M.Mikaberidze, D.Ramazashvili, L.Akhvlediani.* Prediction of Corrosion Behavior of Structural Steels* 111

- R.Chagelishvili, V.Gaprindashvili, Ts.Gagnidze, J.Bagdavadze, A.Kandelaki, M.Avaliani, L.Tskalobadze.* Gold Recovery From Residues of the Vacuum-Thermal Processing of the Gold Containing Antimony Ore of Zopkhito by Thiocarbamid Method * 117

- M.Kipiani, Z.Ogrostsvaridze, L.Chkhikvadze, I.Kakhniashvili.* Ti-Si System Conglomerated Powders* 123

- N.Lomtadze.* Influence of Technology Factors on Shrinkage of the Modified Porous Rubber at Storage* 126

CONDOLENCE – Teimuraz Andronikashvili 128

INFORMATION for AUTHORS 129

* Summary

СОДЕРЖАНИЕ

ЭЛЕКТРОХИМИЯ

- Г.Р.Агладзе, Г.Г.Горелишвили, Г.С.Цурицумия, П.О.Николеишвили, В.М.Квеселава, Р.Р.Куртанидзе, Л.Г.Гелаишвили.* Электрогенерация пероксида водорода в электрохимических реакторах фильтр-прессного типа* 16
- Г.Р.Агладзе, Г.С.Цурицумия, Н.Ш.Коцава, Н.Ш.Гогвишвили, Л.Д.Бериашвили, И.Т.Заридзе, И.Б.Кахнаишвили.* Одновременное получение электролитического металлического марганца и электролизного диоксида марганца в электрохимическом реакторе, разделенном анионселективной мембраной АМІ 7001S* 28

ОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ

- З.Г.Асадов, Н.В.Саламова, Р.А.Рагимов, А.З.Асадова, И.В.Амирова.* Новые нефтесобирающие и диспергирующие реагенты для очистки водной поверхности от тонких нефтяных пленок на основе этаноламинов, ортофосфорной кислоты и касторового масла* 29
- Н.Н.Сидамонидзе, Р.А.Гахокидзе, Р.О.Вардиашвили.* Синтез и квантово-химическое исследование некоторых 1,2-транс-гликозидов 40

ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ

- К.Т.Сулаберидзе, Г.С.Безарашвили, Р.А.Цанава.* Кинетика частичной этерификации три-изобутил арсенита* 49
- И.Г.Нахуришвили, С.П.Тавзараишвили.* Формальная кинетика роста окарины с увеличением реакционной поверхности 50
- А.А.Надирадзе, К.З.Уклеба, Н.П.Кекелидзе.* О термодинамической стабильности полупроводниковых соединений типа $A^{III}B^V$ - GaP, GaAs, GaSb, InP, InAs и InSb* 53
- К.К.Хачатурян, Л.В.Махарадзе.* Разделительная способность термохимически обработанного диатомита 56
- В.Г.Цицишвили.* Спиновая динамика в гетеродинамических системах 64

МАТЕМАТИЧЕСКАЯ ХИМИЯ

- К.Г.Купатадзе, Т. Э.Лобжанидзе, М.И.Гвердцители.* Квантово-химическое и математическо-химическое исследование окислительно-восстановительной межмолекулярной перестановки в углеводах 70

ХИМИЯ КООРДИНАЦИОННЫХ СОЕДИНЕНИЙ

- М.Г.Цинцадзе, А.М.Мамулашвили, Р.Ш.Клдиашвили, Э.С.Топурия, Т.Н.Тусиаишвили, Г.В.Цинцадзе, И.О.Гвелесиани.* Координационные соединения нитратов металлов с гесаметилентетраминном (ГМТА)* 74
- М.Кикалишвили, К.Рухая, И.Дидбаридзе.* Термогравиметрическое исследование комплексных соединений цианида и роданида серебра (I) и меди (I) с солями четырехзамещенного арсония* 77
- Ц.С.Габелиа, Э.Ш.Салуквадзе, Л.К.Джапаридзе, Н.О.Ломтадзе, Г.А.Чимакадзе, С.Л.Уротадзе.* Антианемическая активность железо-кобальт-содержащего комплекса 78
- Г.М.Манвелидзе, Н.А.Майсурадзе.* Синтез и ИК-спектры поглощения ацетатных комплексов кобальта (II), никеля (II), меди (II), цинка и кадмия с ларусаном 80
- ХИМИЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ**
- Н.В.Бокучава, Д.Г.Джинчарадзе, Л.О.Эбаноидзе, И.Джанелидзе.* Химический состав и физико-химические показатели псевдовулканической грязи (пелоида) Тюлки-Тапа 87
- Т.Б.Гогиберидзе, Р.И.Гигаури, Ш.С.Джапаридзе, Л.Д.Долидзе.* Изучение степени токсичности мышьяксодержащих отходов с применением современных тест методов* 91
- Н.Р.Бекошвили, М.Г.Цинцадзе, Т.Г.Учанейшвили.* Результаты многолетнего распределения металлов в р. Кура и ее притоках, их статистическая обработка и оценка развития ситуации* 94

* Резюме

ХИМИЧЕСКАЯ ЭКОЛОГИЯ

А.В.Долидзе, И.И.Микадзе, Н.А.Кавтарадзе, Л.А.Долидзе, Н.Г.Барбакадзе, Р.З.Уридия. О миграции диоксинов в окружающей среде и детоксикации загрязнения* 98

К.Н.Кочиашивили, Н.Г.Барбакадзе, Р.П.Цискаришвили, Т.А.Дгебуадзе, М.З.Джапаридзе, И.И.Микадзе. Возможные пути использования инсектицидов 4-го поколения в борьбе с вредителями* 103

АГРОХИМИЯ

М.Г.Зауташвили, Л.Г.Эприкашвили, Т.Н.Кордзахия, Н.В.Пирицхалава, М.А.Дзаганя, И.М.Рубаишвили. О возможности использования нетрадиционных удобрений на основе природных композитов 104

ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

Э.И.Гозалишвили, Н.Н.Луарсабишвили, М.П.Микаберидзе, Д.Р.Рамазашвили, Л.А.Ахвледiani. Прогнозирование коррозионного поведения конструкционных сталей* 111

Р.Д.Чагелишвили, В.Н.Гаприндашвили, Ц.М.Гагнидзе, Дж.Багдавадзе, А.Канделаки, М.А.Авалиани, Л.Ш.Цкалобадзе. Извлечение золота тиокарбамидным методом из отходов вакуум-термической переработки золотосодержащих сурьмяных руд месторождения Зопхито* 117

М.Кипиани, З.Окроецваридзе, Л.Чхиквадзе, И.Кахниашвили. Конгломерированные порошки Ti-Si системы* 123

Н.З.Ломтадзе. Влияние технологических факторов на усадку модифицированной пористой резины при хранении 124

СОБОЛЕЗНОВАНИЕ – Т.Г.АНДРОНИКАШВИЛИ 128
ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ 129

* Резюме


წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაცია ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიურ რეაქტორში

გიორგი აგლაძე, გიორგი გორელიშვილი*, გიგლა წურწუშია**, პაატა ნიკოლეიშვილი*, ვალენტინა კვესელავა*, რუსუდან კურტანიძე*, ლელა გელაშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


შესწავლილია წყალბადის პეროქსიდის კათოდური გენერაცია ჟანგბადის აღდგენით გაზ-დიფუზიურ ელექტროდზე მცირე და მსხვილი ლაბორატორიული ზომის ფილტრ-პრესული ტიპის კათიონიტური მემბრანით (Nafion 117) გაყოფილ ელექტროქიმიურ რეაქტორებში ელექტროლიტების ტუმბოთი ცირკულაციისა და ერლიფტის პირობებში. დადგენილია, რომ ელექტროლიტების ტუმბოთი ცირკულაციის პირობებში მცირე ზომის რეაქტორში (გაზ-დიფუზიური კათოდის ფართი 4 სმ²) და მსხვილ ლაბორატორიულ რეაქტორში (გაზ-დიფუზიური კათოდის ფართი 100 სმ²) პროცესი მიმდინარეობს სტაბილურად და წყალბადის პეროქსიდის დენითი გამოსავლი შეადგენს შესაბამისად ~95% და, ~90% 2 სთ განმავლობაში. ერლიფტით ცირკულაციის პირობებში ელექტროგენერაციის პროცესი მიმდინარეობს შედარებით დაბალი დენითი გამოსავლით (<85%). მსხვილ ლაბორატორიულ რეაქტორში ხვედრითი ენერჯის ხარჯი შეადგენს 6.6 ვტსთ/გ, ხოლო მოცულობითი დროითი გამოსავალი 0.6 გ/სმ³სთ.

წყალბადის პეროქსიდის წყალხსნარები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვით საქმიანობაში, როგორც „მწვანე რეაგენტი“ [1,2,3]. წყალბადის პეროქსიდის ~2%-მდე განზავებული ხსნარები შესაძლებელია მიღებული იქნას უშუალოდ მონმარების ადგილზე ჰაერის ჟანგბადის კათოდური აღდგენით განვითარებული ზედაპირის მქონე ნანო-ნახშირბადის ნაწილაკებით მოდიფიცირებულ, ე.წ. გაზ-დიფუზიურ ელექტროდებზე [4]. ასეთი ტიპის ელექტროდების კათოდური პოლარიზაციისას სამი ფაზის (მყარი-თხევადი-აირი) შეხების ადგილზე ეფექტურად მიმდინარეობს წყალბადის პეროქსიდის გენერაცია:




გაზ-დიფუზიურ კათოდებზე წყალბადის პეროქსიდის გენერაციისათვის გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ელექტროქიმიური რეაქტორებიდან ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა ე.წ. ფილტრ-პრესული ტიპის რეაქტორები, რომლებშიც შედარებით ადვილია აირის და ხსნარების მიწოდება-გამოყვანა, რეაქტორში საჭირო წნევების დარეგულირება და თბური რეჟიმის შენარჩუნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროცესის ნორმალურ რეჟიმში ჩატარებას. სამუშაოებში [4,5] ფილტრ-პრესული რეაქტორის გამოყენებით შესწავლილი იყო წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავალზე ელექტროლიზის პირობების - კათოდური დენის სიმკვრივის, კათოლიტის pH-ის, ტემპერატურისა და კათიონიტური მემბრანის გავლენა. დადგენილი იყო, რომ ელექტროსინთეზის მიმდინარეობისას გაზ-დიფუზიური კათოდის ზედაპირი და მიმდებარე ფენა ტუტიანი ხდებოდა, რაც განაპირობებდა მიღებული წყალბადის პეროქსიდის დაშლას და მისი დენით გამოსავლის შემცირებას. ამიტომ კათოდზე მიმდინარე რეაქციისათვის პროტონის მიწოდების და წარმოქმნილი წყალბადის პეროქსიდის დიფუზიის დაჩქარებისათვის აუცილებელია კათოლიტის ინტენსიური ცირკულაცია ტუმბოს ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავალზე კათოლიტის და ანოლიტის ცირკულაციის გავლენა, რომელიც განხორციელდა ტუმბოს და ერლიფტის გამოყენებით. ექსპერიმენტები ჩატარებული იყო მცირე გაბარიტიან ლაბორატორიულ ფილტრ-პრესულ რეაქტორში (გაზ-დიფუზიური კათოდის მუშა ფართი - 4 სმ²) და გამსხვილებული ზომის ფილტრ-პრესულ დანადგარზე (გაზ-დიფუზიური კათოდის მუშა ფართი 100 სმ²), რომლებიც აწყობილი იყო ნახ. 1-ზე მოცემული სქემის მიხედვით.




ნახ. 1. წყალბადის პეროქსიდის კათოდური გენერაციისათვის გამოყენებული ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიური რეაქტორის ანაკრების სქემა: 1 - კათიონიტური მემბრანა Nafion 117; 2 - რეზინის შუასადებები; 3 - გაზ-დიფუზიური კათოდი; 4 - პერფორირებული უჟანგავი ფოლადის კათოდური დენმიმყვანი; 5 - აირის კამერა; 6 - ანოდი $Ti-TiO_2-RuO_2$; 7 - ხსნარების შესასვლელი საცირკულაციო მილტუჩები; 8 - ანოლიტის გამანაწილებელი “სფეისერი”; 9 - კათოლიტის გამანაწილებელი “სფეისერი”; 10 - დამაფიქსირებელი ფოლადის ფილები

წყალბადის პეროქსიდის კათოდური ელექტროგენერაციისათვის გამოყენებული იყო გაზ-დიფუზიური ელექტროდი Black Pearls 2000; ანოდი - ტიტანის ბადე მოდიფიცირებული $TiO_2-RuO_2-IrO_2$ ფენით. კათოდური და ანოდური არეები განცალკევებული იყო კათიონიტური მემბრანა Nafion 117-ით. აირის კამერაში მიწოდებული ჰაერის წნევა შეადგენდა 38-39 მმ წყ.სვ.; კათოლიტის (250 მლ 0.5M Na_2SO_4) და ანოლიტის (250 მლ 1M H_2SO_4) ცირკულაციის სიჩქარე შეადგენდა 1000 მლ/წთ; კათოდური დენის სიმკვრივე - 0.05 ა/სმ². ელექტროგენერირებული წყალბადის პეროქსიდის კონცენტრაციის განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო ცნობილი ტიტრაციის მეთოდი სტანდარტული 0.1N $KMnO_4$ -ის ხსნარის გამოყენებით.




ნახ. 2. წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის დანადგარის პრინციპული სქემა ელექტროლიტების ტუმბოებით ცირკულაციის პირობებში (..... აირის ნაკადი)

ნახ.2-ზე მოცემულია წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის დანადგარის სქემა, სადაც კათოლიტი და ანოლიტი ტუმბოების საშუალებით ცირკულირებდა შესაბამისი შუალედური რეზერვუარების გავლით რეაქტორის კათოდურ და ანოდურ განყოფილებებს შორის.



ნახ. 3. წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავალის ცვლილება დროში ლაბორატორიულ რეაქტორში (გაზ-დიფუზიური კათოდის მუშა ფართი 4 სმ²) ელექტროლიტების მოცულობითი სიჩქარით 1 ლ/წთ ტუმბოებით ცირკულაციის პირობებში; კათოლიტი - 0.5M Na₂SO₄; ანოლიტი - 1M H₂SO₄; t = 25°C


როგორც ნახ.3 ჩანს, პირველი 30 წთ განმავლობაში H₂O₂ მიიღება 100%-ანი დენით გამოსავალით, ხოლო ერთ საათში მცირდება 98%-მდე და მომდევნო 0.5 საათის განმავლობაში დენით გამოსავალი სტაბილიზირდება და შეადგენს 95%.




ნახ. 4. წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის დანადგარის სქემა ელექტროლიტების ერლიფტით ცირკულაციის პირობებში (..... აირის ნაკადი)

წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის პროცესში ელექტროლიტების ტუმბოთი ცირკულაცია შეცვლილი იქნა ე.წ. ერლიფტის გამოყენებით (ნახ.4), რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ანოდზე გამოყოფილი ჟანგბადით წატაცებული ანოლიტი, რომელიც გამოდის ელექტროლიზერის ზედა ნაწილიდან, ხვდება დიფუზორში, სადაც კომპრესორიდან მიწოდებული ჰაერის გამოყენებით მიემართება ანოლიტის რეზერვუარში. ამ უკანასკნელიდან ანოლიტი კვლავ მიეწოდება ელექტროლიზერს, ხოლო აირების ნარევი სილიკატების გავლით (ტენის მოსაცილებლად) - გაზ-დიფუზიური კათოდის კამერას. აირის კამერაში წნევის რეგულირება ხორციელდებოდა აირის გამოსასვლელში არსებული წყლის მანომეტრისა და ფაქიზი რეგულირების სარქველის გამოყენებით. კათოლიტის ერლიფტით ცირკულაციისათვის რეაქტორის ზედა ნაწილიდან გამოშვებული კათოლიტი წარიტაცება აირის კამერიდან გამოსული ჰაერის ნაკადით დიფუზორში, საიდანაც იგი მიემართება კათოლიტის რეზერვუარში. ამ უკანასკნელიდან კათოლიტი, ღონეთა სხვაობის გამო, თვითდინებით კვლავ მიეწოდება რეაქტორის კათოდურ განყოფილებას.

ნახ.5-ზე ნაჩვენებია წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავლის ცვლილება დროში, როდესაც ორივე ელექტროლიტი - ანოლიტი და კათოლიტი ცირკულირებდა ერლიფტით. ასეთ პირობებში ცდის ნორმალურად ჩატარებას ხელს უშლიდა აირის კამერაში წნევის ცვალებადობა, რაც იწვევდა გაზ-დიფუზიური ელექტროლის ხშირ "ჩაძირვას" (სამი ფაზის არსებობის შეწყვეტას) და შესაბამისად წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავლის შემცირებას 2 სთ შემდეგ 87%-მდე.




ნახ. 5. წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავლის ცვლილება დროში ანოლიტისა და კათოლიტის ერლიფტით ცირკულაციის პირობებში; კათოლიტი - 0.5M Na₂SO₄; ანოლიტი - 1M H₂SO₄; t = 25°C




ნახ. 6. წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის სქემა კათოლიტის ერლიფტით მოძრაობის პირობებში და ანოლიტის ცირკულაციის გარეშე

ნახ.6-ზე ნაჩვენებია H_2O_2 -ის ელექტროგენერაციის დანადგარის სქემა კათოლიტის ერლიფტით მოძრაობის პირობებში და ანოლიტის ცირკულაციის გარეშე. სქემის მიხედვით რეაქტორის აირის კამერას ჰაერი მიეწოდება კომპრესორის ერთი ხაზიდან, ხოლო მეორე ხაზიდან უშუალოდ კათოლიტის საცირკულაციო კონტურს. კათოლიტის ასეთი სქემით ცირკულაციის დროს რეაქტორის აირის კამერაში ჰაერის წნევა და დენი პროცესის განმავლობაში ინარჩუნებდნენ წინა სქემასთან შედარებით სტაბილურ მნიშვნელობებს და 2 სთ შემდეგ წყალბადის პეროქსიდის გამოსავალი 95%-ია (ნახ.7).




ნახ. 7. წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავლის ცვლილება დროში კათოლიტის ერლიფტით ცირკულაციის პირობებში და ანოლიტის ცირკულაციის გარეშე



ნახ. 8. მსხვილ ლაბორატორიულ რეაქტორში ($S_{კათ.} = 100$ სმ²) წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავლის ცვლილება დროში ელექტროლიტების ტუმბოებით ცირკულაციის პირობებში

ცდების სერია ჩატარებული იყო მსხვილლაბორატორიული ელექტროქიმიური რეაქტორის (გაზ-დიფუზიური ელექტროდის მუშა ფართი შეადგენდა 100 სმ²) გამოყენებით შემდეგი პირობების დაცვით: კათოდი – უჟანგავი ფოლადის დენმიმყვანი, რომელზედაც დაფენილი იყო გაზ-დიფუზიური ელექტროდი Black Pearls 2000 (გაზრდილი ჰიდროფობურობით); ანოდი – ტიტანის ბაღე მოდიფიცირებული TiO_2 - RuO_2 ოქსიდებით; კათიონგაცვლითი მემბრანა – Nafion 117; კათოლიტი – 500 მლ 0.5M Na_2SO_4 ; ანოლიტი – 250 მლ 1M H_2SO_4 ; ჰაერის წნევა აირის კამერაში – 37-38 სმ წყ.სვ.; კათოდური დენის სიმკვრივე 0.05 ა/სმ²; დენის ძალა 5 ა. ელექტროლიტების ცირკულაცია ტუმბოს საშუალებით ხორციელდებოდა 1079 მლ/წთ მოცულობითი სიჩქარით. გამსხვილებული ტიპის რეაქტორში H_2O_2 -ის დენით გამოსავალი 2 სთ განმავლობაში მცირდება 95%-დან 85%-მდე (ნახ.8), მაშინ როდესაც მცირე ზომის რეაქტორში დროის იმავე შუალედში მცირდებოდა 100%-დან 95%-მდე (იხ. ნახ.3).




ნახ. 9. კათიონიტური მემბრანით განცალკევებულ მსხვილ ლაბორატორიულ რეაქტორში ($S_{კათ.} = 100$ სმ²) ელექტროგენერირებული წყალბადის მასის ზრდა დროში კათოლიტის და ანოლიტის ტუმბოთი ცირკულაციის პირობებში; მასბა 3.5 გ; კათოლიტი – 0.5M Na_2SO_4 ; ანოლიტი – 1M H_2SO_4 ; t = 25°C

ამის მიზეზი შეიძლება იყოს გამსხვილებულ რეაქტორში მცირე ზომის რეაქტორთან შედარებით დროის ერთეულში ~25-ჯერ მეტი რაოდენობით H₂O₂ გენერაცია და შესაბამისად, უფრო კონცენტრირებულ ხსნარებში მისი ქიმიური დაშლის გაზრდილი სიჩქარე. გამსხვილებულ რეაქტორში წყალბადის პეროქსიდის მასის ზრდა დროში მოცემულია ნახ.9-ზე. ამ მონაცემებიდან შესაძლებელია გავთვალეთ გამსხვილებული ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიური რეაქტორის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორცაა ენერჯის ხვედრითი ხარჯი (E_s) და მოცულობითი დროითი გამოსავალი (g) [6]. ხვედრითი ენერჯის ხარჯი შეიძლება გამოისახოს შემდეგი განტოლებით: E_s = UIt/m, სადაც U - ძაბვა აბაზანაზე, ვ; I - დენის ძალა, ა; t - დრო, სთ; m - გენერირებული წყალბადის მასა, გ. განტოლებაში შესაბამისი სიდიდეების ჩასმით მივიღეთ:

$$E_s = 3.5 \times 5 \times 2 / 5.3 = 6.6 \text{ ვტსთ/გ}$$

რეაქტორის მოცულობით-დროითი გამოსავალი გამოითვლება ფორმულით: $g = a_e i \phi^c M / v_e F$, სადაც a_e – ელექტროდის ხვედრითი ფართობი (ელექტროდის ფართი გაყოფილი რეაქტორის კათოლიტის მოცულობაზე, სმ²/სმ³); i – დენის სიმკვრივე (ა/სმ²); φ^c – დენით გამოსავალი (უგანზომილებო); M – წყალბადის პეროქსიდის მოლური მასა (გ/მოლ); v_e – ელექტრონთა რიცხვი ელექტროდულ რეაქციაში (უგანზომილებო); F – ფარადეის რიცხვი (26.8 ა სთ/მოლ). შესაბამისი რიცხვითი სიდიდეების ჩასმით მივიღეთ:


$$g = 100 / 50 \times 0.5 \times 0.95 \times 34 : 2 \times 26.8 = 0.6 \text{ გ/სმ}^3 \text{ სთ}$$



ნახ. 10. წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის დანადგარის პრინციპული სქემა ელექტროლიტების ერლიფტით ცირკულაციის პირობებში

ნახ.10-ზე ნაჩვენებია წყალბადის პეროქსიდის მიღების დანადგარის სქემა (S_კ = 100 სმ²), სადაც კომპრესორის ორი დამოუკიდებელი მილიდან ჰაერის ერთი ნაკადი გამოიყენება ელექტროლიტების საცირკულაციოდ, მეორე ნაკადი კი რეაქტორის აირის კამერაში ჰაერის მისაწოდებლად. ამ სქემაში ელექტროლიტების საცირკულაციო კონტური განსხვავდებოდა ნახ.4-ზე მოცემული კონტურისგან იმით,

რომ კომპრესორის ერთ-ერთი მილიდან გამოსული ჰაერი შეერეოდა დიფუზორში არა კათოლიტს, არამედ ანოლიტს, საიდანაც ხსნარი ხვდებოდა ანოლიტის რეზერვუარში. რეზერვუარში აირთა წნევათა სხვაობის ხარჯზე ხორციელდებოდა ანოლიტის ცირკულაცია. ანოლიტის რეზერვუარიდან გამოსული აირის ნაკადი შესაბამისი დიფუზორის გავლით ახდენდა კათოლიტის ნაკადის ცირკულაციას. ასეთ პირობებში ჩატარებული ცდების შედეგად, მსგავსად მცირე ზომის რეაქტორში მიღებული შედეგებისა, გამსხვილებულ რეაქტორში წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავალი შედარებით დაბალია და 2 სთ განმავლობაში მცირდებოდა 83%-დან 75%-მდე (ნახ.11).



ნახ. 11. მსხვილ ლაბორატორიულ რეაქტორში წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავლის ცვლილება დროში ელექტროლიტების ერლიფტით მუშაობის შემთხვევაში

ამრიგად დადგენილია, რომ წყალბადის პეროქსიდის გენერაცია გაზ-დიფუზურ კათოდზე მცირე და გამსხვილებული ზომის ფილტრ-პრესული ტიპის კათიონიტური მემბრანით Nafion 117 გაყოფილ ელექტროქიმიურ რეაქტორებში ელექტროლიტების ტუმბოებით ცირკულაციის პირობებში მიმდინარეობს სტაბილურად და მაღალი დენით გამოსავლით: მცირე ზომის რეაქტორში (კათოდის ფართი $S_k = 4 \text{ სმ}^2$, $i = 0.05 \text{ ა/სმ}^2$) H_2O_2 -ის დენით გამოსავალი პირველი 30 წთ-ის განმავლობაში 100%-ია, ხოლო დროში ნელა მცირდება და 2 სთ-ის შემდეგ შეადგინა 95%; გამსხვილებულ რეაქტორში ($S_k = 100 \text{ სმ}^2$, $i = 0.05 \text{ ა/სმ}^2$), იგივე პირობებში, H_2O_2 -ის დენით გამოსავალი 95%-დან შემცირდა 85%-მდე. მიღებული შედეგებით დაბალი დენით გამოსავალი ახსნილია გამსხვილებულ რეაქტორში დროის ერთეულში ელექტროგენერირებული წყალბადის პეროქსიდის ~25-ჯერ მეტი რაოდენობის წარმოქმნით და კონცენტრირებულ ხსნარში მისი გაზრდილი ქიმიური დაშლით. აღნიშნულ რეაქტორში ხვედრითი ენერჯის ხარჯი შეადგენს 6.6 ვტს/გ, ხოლო მოცულობით-დროითი გამოსავალი - 0.6 გ/სმ³ სთ.

დადგენილია, რომ ანოლიტისა და კათოლიტის ერლიფტით ერთდროული ცირკულაციის შემთხვევაში წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაცია მიმდინარეობს არასტაბილურად და შედარებით დაბალი გამოსავლით, რაც გამოწვეულია რეაქტორის კათოდის აირის კამერაში ჰაერის წნევის ხშირი ცვალებადობის გამო გაზ-დიფუზური ელექტროდის ე.წ. ნაწილობრივი ან მთლიანი „ჩაძირვით“. წყალბადის პეროქსიდის ელექტროგენერაციის პროცესი შედარებით სტაბილურად და მაღალი დენით გამოსავლით მიმდინარეობს, თუ ერლიფტი განხორციელებულია დამოუკიდებელი ჰაერის ნაკადით, რომელსაც კავშირი არ აქვს რეაქტორის აირის კამერის ჰაერით კვების ხაზთან.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით № AR/338/6-440/11 (ხელშეკრულება № 10/04). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Корниенко В.Л., Колягин Г.А., Салтыков Ю.В. ЖПХ, 1999, т. 72, № 3, с. 353.
2. Yamataka I., Hashimoto T., Ichihashi R., Otsuka K. Electrochimica Acta, 2008, V.53, p. 4824.
3. Корниенко В.Л., Колягин Г.А. Российский химический журнал, 2005, т. 49, №5, с. 129.
4. G. Agladze, G. Tsurtsunia, B.-I. Jung, J.-S. Kim and G. Gorelishvili, J. Appl. Electrochem, 2007, 37:375-383.
5. G. Agladze, G. Tsurtsunia, V. Kveselava, G. Gorelishvili, P. Nikoleishvili, N. Kochiashvili, S.-G. Park, K.-S. Kang, T.-I. Kim. Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, Chemical Series, 2008, № 1, V. 34, p. 21.
6. Evald Heitz/ Gerhard Kreiza. Principles of Electrochemical Engineering. New York: VCH, 1986, p.120.

**ELECTROGENERATION OF HYDROGEN PEROXIDE
IN THE FILTER-PRESS TYPE ELECTROCHEMICAL REACTORS**

Giorgi Agladze, Giorgi Gorelishvili*, Gigla Tsurtsunia**, Paata Nikoleishvili*, Valentina Kveselava*,
Rusudan Kurtanidze*, Lela Gelashvili*
*Ivane Javakhishvili Tbilisi Stat University
Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry
**Georgian Teechnical University

SUMMARY

Cathode generation of hydrogen peroxide by oxygen reduction at gas-diffusion electrodes has been studied in the filter-press type electrochemical reactors of small as well as of large scale size, separated by cation-exchange membrane (Nafion 117), upper circulation of the electrolytes by pumps and air-lifts. It was established that at pump circulation in a small-size reactor (cathode surface area (S_c) – 4 cm²) as well as in large-size one (S_c = 100 cm²) the process is stable and hydrogen peroxide current efficiency comprises nearly 95% and 90%, respectively, during 2 hours. At air-lift circulation the electrogeneration of H₂O₂ is characterized by lower current efficiency (<85%). Specific electric power consumption in large-scale reactor comprises 6.6 W h/g and volume-temporal yield – 0.6 g/cm³h.

**ЭЛЕКТРОГЕНЕРАЦИЯ ПЕРОКСИДА ВОДОРОДА В ЭЛЕКТРОХИМИЧЕСКИХ
РЕАКТОРАХ ФИЛЬТР-ПРЕССНОГО ТИПА**

Г.П. Агладзе, Г.Г.Горелишвили*, Г.С.Цурцумия**, П.О.Николеишвили*, В.М.Квеселава*,
Р.Р.Куртанидзе*, Л.Г.Гелашвили*
*Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили
Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе
**Грузинский технический университет

РЕЗЮМЕ

Изучена катодная генерация пероксида водорода восстановлением кислорода на газ-диффузионных электродах в электрохимических реакторах фильтр-прессного типа, малогабаритного и укрупненного масштабов, разделенных катионитовой мембраной (Nafion 117), в условиях циркуляции электролитов насосами и эрлифтом. Установлено, что в условиях циркуляции электролитов насосами в малогабаритном реакторе (площадь поверхности катода – 4 см²) и в укрупненном реакторе (площадь поверхности катода – 100 см²), процесс протекает стабильно и выход по току пероксида водорода в течение 2 ч составляет приблизительно 95% и 90%, соответственно. В условиях циркуляции эрлифтом процесс электрогенерации протекает сравнительно с низким выходом по току (<85%). Удельный расход электроэнергии в укрупненном реакторе составляет 6.6 Вт ч/г, а объемно-временной выход – 0.6 г/см³ч.

**ელექტროლიტური ლითონური მანგანუმისა და ელექტროლიზური მანგანუმის
დიოქსიდის ერთდროული მიღება ანიონ-ელექტიტური AMI 7001S მემბრანისა
ელექტროქიმიურ რეაქტორში**

გიორგი აგლაძე, გიგლა წურწუშია^{*,**}, ნანა ქოიავა^{*}, ნათელა გოგიშვილი^{*}, ლევან ბერიაშვილი^{*,**},
ირაკლი ზარიძე^{*}, იზოლდა კახნიაშვილი^{*,**}

** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ანიონ-ელექტიტური AMI 7001S (Membranes International Inc., USA) მემბრანით აღჭურვილ ლაბორატორიულ ელექტროქიმიურ რეაქტორში შესწავლილია მანგანუმისა და ამონიუმის სულფატების კონცენტრაციების, ტემპერატურის, სელენის ნართების დანამატების, კათოდური დენის სიმკვრივის ცვლილების გავლენა ლითონური მანგანუმის დენით გამოსავალზე ერთდროულად ანოდზე კომპაქტური ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მიღების პირობებში.

ელექტროლიზური ლითონური მანგანუმი (ელმ) და ელექტროლიზური აქტიური მანგანუმის დიოქსიდი (ემდ) მანგანუმის მადნების ღრმა გადამუშავების უმნიშვნელოვანესი პროდუქტებია. ამჟამად მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქტების ძირითადი, პრაქტიკულად მონოპოლური მიწოდებელია ჩინეთი. უკანასკნელი ინფორმაციით, სწორედ ამ მონოპოლიისგან თავის დაღწევის მიზნით სხვა ქვეყნებში განზრახულია ახალი, მძლავრი საწარმოების შექმნა. კერძოდ, 2011 წლის ბოლოს ყაზახეთში, ალმა-ატის მახლობლად, ერთობლივმა ყაზახურ-გერმანულმა კომპანიამ დაიწყო 30 000 ტ/წ წარმადობის ელექტროლიზური ლითონური მანგანუმის ქარხანის აშენება; 500 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადება არის განზრახული ველიკოტოკმაკსკის (უკრაინა, ქ.ზაპოროჟიეს ოლქი) მანგანუმის მადნის საბადოს ათვისებაში და ელექტროლიზური ლითონური მანგანუმისა და ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის ქარხნების მშენებლობაში; კომპანია American Manganese Inc. გეგმავს 2013 წლის მე-2 კვარტლისათვის არიზონაში ელექტროლიზური მანგანუმის 3500 ფუტი/დღეში წარმადობის ობიექტის გაშვებას. მექსიკაში, ავსტრალიაში, იაპონიაში ემდ-ს ქარხნების რეკონსტრუქცია-გაფართოებაა დაგეგმილი.

მანგანუმშემცველი პროდუქტების – ელმ-ს და ემდ-ს მიღების ტექნოლოგიური ციკლების (მადნის შრობა, დაფქვა მაღალ-ტემპერატურული აღდგენა, გამოტუტვა, მანგანუმის სულფატის წყალხსნარების ელექტროლიზი ემდ-ს ანოდზე, ხოლო ელმ-ს კათოდზე მიღებით) იდენტურობის მიუხედავად, დღემდე მათი ერთდროული მიღება ერთ რეაქტორში ვერ ხერხდება ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი (აშშ, იაპონია, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი), რომლებიც ამ პროდუქტების ძირითადი მწარმოებლები არიან. ცნობილი ტექნოლოგიებით მსოფლიო პრაქტიკაში მათ წარმოებას ახორციელებენ ცალ-ცალკე მოქმედ ქარხნებში, გამოტუტვა-გაწმენდის და ელექტროლიზის სტადიებზე ხსნარების ცირკულაციის განცალკევებული წრედების შექმნის აუცილებლობის გამო. ამის მიზეზია ის, რომ კათოდზე ლითონური მანგანუმის მისაღებად საჭირო ნეიტრალური არის (pH 6,5-8,5) შესანარჩუნებლად ხსნარში შეაქვთ ბუფერული დანამატი 150-180 გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$. მაგრამ ამონიუმის იონების შედარებით მაღალი კონცენტრაცია ($C_{(\text{NH}_4)_2\text{SO}_4} > 50$ გ/ლ) დაუშვებელია ელექტროლიტში ანოდზე მსხვილკრისტალური, γ მოდიფიკაციის კომპაქტური მანგანუმის დიოქსიდის მისაღებად [1]. იგი მკვეთრად აუარესებს ემდ-ს ელექტროქიმიურ აქტიურობას თუთია-მანგანუმის გალვანურ ელემენტში, რაც ამ პროდუქტის გამოყენების ძირითად სფეროს წარმოადგენს.

ელმ-ის მიღების ელექტროლიზურებში მკვებავი ხსნარი მიეწოდება კათოდურ არეში, სადაც ოპტიმალურ 30-38°C ტემპერატურაზე ხდება კათოდზე ლითონური მანგანუმის გამოლექვა. ხსნარი გამოქოლი, არასელექტიური დიაფრაგმის გავლით გაედინება კათოდური არიდან ანოდურ არეში, სადაც ანოდზე მიმდინარეობს ჟანგბადის გამოყოფა. თანაური პროდუქტის სახით ანოდზე მიიღება წვრილდისპერსული მანგანუმის დიოქსიდი, რომელიც გადადის ხსნარში და ანოდური შლამის სახით წარმოების გამოუყენებელ ნარჩენს შეადგენს. ეს იწვევს მანგანუმის უქმ დანაკარგს და მისი ამოღების კოეფიციენტის შემცირებას. გარდა ამისა, ანოლიტში მიღებული წვრილდისპერსული მანგანუმის დიოქსიდის მოხვედრა კათოდზე იწვევს გამოლექილი მანგანუმის გახსნას გალვანური წყვილის -

Mn/MnO₂ მოქმედების გამო და ასევე დიაფრაგმის გაჭედვას. ამრიგად, ელმ-ის ცნობილ ტექნოლოგიაში ანოდზე დენი უსარგებლოდ იხარჯება ჟანგბადისა და მანგანუმის დიოქსიდის წვრილდისპერსული შლამის მიღებაზე. რაც შეეხება ელმ-ს, მისი მიღებისას წარმოებაში იყენებენ უდიაფრაგმო ელექტროლიზერებს. საანოდე მასალად გამოყენებულია გრაფიტი, ტყვია ან ტიტანი; ამ უკანასკნელზე მიიღება შედარებით სუფთა პროდუქტი, მაგრამ 90⁰C-ზე ქვემოთ, გოგირდმჟავას შედარებით მაღალი კონცენტრაციისას (C_{H₂SO₄} > 45 გ/ლ) და > 1 ა/დმ² დენის სიმკვრივეებზე იფარება პრაქტიკულად გაუმტარი ტიტანის ოქსიდური ფენით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ძაბვას აბაზანაზე. ემდ-ს ელექტროსინთეზის სამრეწველო პროცესში კათოდზე მჟავა ხსნარებში მიმდინარეობს წყალბადის გამოყოფა, რაც კათოდური დენის უქმ ხარჯს იწვევს.

ელმ-ისა და ემდ-ს მიღებისას მკვეთრად განსხვავებულია ელექტროლიზის პროცესების ტემპერატურული რეჟიმები (<38⁰C ელმ-ს და >90⁰C ემდ-ს მიღებისას); ასევე განსხვავებულია ელექტროლიტების შემადგენლობა და წარმოებაში გამოყენებული გამჭოლი დიაფრაგმების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს კათოლიტიდან ანოლიტში ამონიუმის იონების მოხვედრის შესაძლებლობის თავიდან აცილებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები წარმოადგენენ ხელისშემშლელ ფაქტორებს ერთდროულად ერთ რეაქტორში ელმ-ს კათოდზე და ემდ-ს ანოდზე მიღების განხორციელებაში.

ჩვენს მიერ ადრე შესრულებულ სამუშაოში [2] ნაჩვენებია იყო კათოლიტიდან ანოლიტში ამონიუმის იონების გადასვლის აღკვეთის შესაძლებლობა რუსული წარმოების ჰეტეროგენული ანიონსელექტიური MA-40 მემბრანით აღჭურვილ რეაქტორში, სადაც ელმ მიიღებოდა კათოდზე, ხოლო ანოდზე - ემდ. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ MA-40 მემბრანის სამუშაო ტემპერატურის დასაშვები ზედა ზღვარი შეადგენდა 50⁰C, ამიტომ მისი გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 30 სთ-ზე მეტი ხანგრძლივობის მუშაობის შემდეგ იგი კარგავდა სელექტიურობას NH₄⁺ და განსაკუთრებით H⁺ იონების შედწვევის მიმართ ანოლიტიდან კათოლიტში, რადგან დროში იზრდებოდა ამონიუმის კონცენტრაცია ანოლიტში, ხოლო კათოლიტი მჟავიანდებოდა.


წინამდებარე სამუშაოში მემბრანა MA-40 შეცვლილი იქნა ანიონსელექტიური მემბრანით AMI-7001S (აშშ კომპანია MEMBRANES INTERNATIONAL INC.), რომელიც, მწარმოებლის სპეციფიკაციის მიხედვით, ადრე წარმატებით იქნა გამოცდილი 90⁰C ტემპერატურამდე ელექტროლიზის პროცესებში. თერმოდევი ანიონსელექტიური AMI-7001S მემბრანის მაღალი სელექტიურობა – უნარი არ გაატაროს ამონიუმის კათიონები ელექტროლიზის პირობებში ნაჩვენებია იყო ჩვენს წინა სამუშაოში [3].

ერთ ელექტროქიმიურ რეაქტორში ამ ორი პროცესის - კათოდზე ელმ-ისა და ანოდზე ემდ-ს ერთდროული მიღებისას ანოლიტის მაღალი ტემპერატურა თბოგადაცემის ხარჯზე მემბრანის გავლით იწვევს კათოლიტის გაცხელებას ლითონური მანგანუმის მიღებისათვის დასაშვებზე (35-38⁰C) უფრო მაღალ ტემპერატურებამდე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შედარებით მაღალი ტემპერატურის ფარგლებში კათოლიტში ლითონური მანგანუმის დენითი გამოსავლის სიდიდის დადგენა კათოლიტის შედგენილობისა და მისი pH-ის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით.

წარმოდგენილ სამუშაოში ნაჩვენებია ანიონსელექტიური AMI 7001S მემბრანით აღჭურვილი ლაბორატორიული ელექტროქიმიური რეაქტორის კათოლიტში მანგანუმის და ამონიუმის სულფატების სხვადასხვა კონცენტრაციების, ტემპერატურის, სელენის ნაერთების დანამატების და კათოდური დენის სიმკვრივეების ცვლილების გავლენა ლითონური მანგანუმის დენით გამოსავალზე ერთდროულად ტიტანის ანოდზე კომპაქტური ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მიღების პირობებში.

1. ექსპერიმენტული ნაწილი

1.1. გამოყენებული დანადგარი და ელექტროქიმიური რეაქტორი. საექსპერიმენტო დანადგარი (ნახ.1) შედგება მუდმივი დენის წყაროსაგან (1), ფთოროპლასტისგან დამზადებული ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიური რეაქტორისაგან (2), რომელიც გაყოფილია ანიონსელექტიური AMI-7001S მემბრანებით (3) განაპირა (თითოეული 500 მლ მოცულობის) ანოდურ უჯრედებად (4) და შუა (230 მლ მოცულობის) კათოდურ (5) უჯრედად, კათოლიტის საცირკულაციო კონტურისაგან და მასში ჩართული pH-ის საკონტროლო მზომი ხელსაწყოთაგან (MP512, SANXIN, ჩინეთი). მემბრანის საერთო მუშა ფართი შეადგენდა 150 სმ².




ნახ. 1. ელმ-სა და ემდ-ს ერთდროული მიღების დანადგარის სქემა:

1 - მუდმივი დენის გამმართველი; 2 - ფთოროპლასტიკისგან დამზადებული ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიური რეაქტორის კორპუსი; 3 - ანიონ-სელექტიური მემბრანა AMI 7001S; 4 - ანოდური განყოფილებები; 5 - კათოდური განყოფილება; 6 - კვარცის მილში მოთავსებული გამაზურებელი (ელექტროსპირალი); 7- სიფონები ანოლიტში ხსნარის მუდმივი დონის შესანარჩუნებლად; 8 - ავზი რეაქტორიდან გამოძვალ კათოლიტში pH-ის გაზომვისათვის; 9 - ავზი კათოლიტის pH-ის დაკორექტირებისათვის; 10 - მაგნი-ტური სარეველა; 11 - თერმომეტრი; 12 - ბიურეტი კათოლიტში გოგირდმჟავას ხსნარის დამატებისათვის - pH-ის მუდმივი სიდიდის შესანარჩუნებლად; 13 - კათოლიტის საცირკულაციო ტუმბო; 14 - ავზი აღჭურვილი ელექტროგამაზურებელით კათოლიტის ტემპერატურისა და მოცულობითი სიჩქარის რეგულირებისათვის

კათოდური უჯრედის ზედა მხარეზე არსებული მილტუჩიდან გამოძვალა ხსნარი თვითდინებით ხვდებოდა პლასტმასის კოლექტორში მოთავსებული pH-მეტრის ელექტროდებით აღჭურვილ ავზში (8) და შემდეგ ავზში (9), სადაც მას pH-ის კორექტირებისათვის ემატებოდა გოგირდმჟავას 45%-იანი ხსნარი. დაკორექტირებული კათოლიტი ტუმბოთი (13) გადაიქაჩებოდა დამწვევ ავზში (14), საიდანაც იგი თვითდინებით 0,1 ლ/წთ მოცულობითი სიჩქარით მიეწოდებოდა რეაქტორს. ანოდურ უჯრედებში 90-92°C ტემპერატურა მიიღწეოდა მათში ჩაშვებული კვარცის გამაზურებლების (6) გამოყენებით, ხოლო ანოლიტის მუდმივი დონე შენარჩუნებული იყო სიფონის გამოყენებით და ემატებოდა ცხელი წყლი ან საწყისი ანოლიტი. ფტოროპლასტმასისგან დამზადებული ლაბორატორიული ელექტრო-ქიმიური რეაქტორის ესკიზი თავისი გეომეტრიული ზომებით მოცემულია ნახ. 2-ზე.

კათოდურ მასალად გამოყენებულია ტიტანის და უჟანგავი ფოლადის სავარცხლის ფორმის ელექტროდები ($S_{\text{კათ}} = 42.8 \text{ სმ}^2$), ხოლო ანოდურ ტიტანის გოფრირებული ფორფიტები ($S_{\text{ანოდ}} = 158 \text{ სმ}^2$). ელექტროდების ასეთი ფორმების გამოყენება გამოწვეულია კათოდური დენის სიმკვრივის ($3.5 - 4 \text{ ა/დმ}^2$) თითქმის ოთხჯერ მეტი სიდიდით ანიოდური დენის სიმკვრივესთან (1 ა/დმ^2) შედარებით, რაც საჭიროებს ბრტყელი ფორმის ანოდების გამოყენებას და ზღუდავს კომპაქტურ, მცირე ზომის ელექტროლიზერში ცილინდრული ფორმის ანოდების გამოყენებას გამოდინარე მათი გომეტრიული ფართიდან. ცდის წინ ხდებოდა ელექტროდების დამუშავება ზუმფარის ქაღალდით, ირეცხებოდა წყლით და ბოლოს ზედაპირი იფშინდებოდა სპირტში დასველებული ბამბით. გაშრობის შემდეგ ელექტროდების აწონვა ხდებოდა ელექტრონულ სასწორზე (JA 1203B, ჩინეთი) გრამებში მუასედი სიზუსტით. ელექტროქიმიურ რეაქტორში ჩაშვებამდე კათოდის ზედაპირი დამუშავდებოდა სოდიან ხსნარში დასველებული ბამბის ტამპონით, ირეცხებოდა გამოხდილი წყლით და ამის შემდეგ ხდებოდა დენის ქვეშ

მისი კათოლიტში ჩაშვება. მუდმივი დენის წყაროდ გამოყენებულია ჩინური წარმოების დენის გამმართველი YK – AD6025 (AC/DC), რომელიც გალვანოსტატურ პირობებში ელექტროლიზის ჩატარების საშუალებას იძლევა.




ნახ. 2. ლაბორატორიული ელექტროქიმიური რეაქტორის ესკიზი მასში ელექტროდების, მემბრანების და ანოდურ არეში კვარცის მინაში ჩასმული გამახურებლების განლაგებით

1.2. კათოლიტის და ანოლიტის მომზადება და ანალიზური პროცედურები. კათოლიტის და ანოლიტის ხსნარები მზადდებოდა რუსთავეის “ემო-ს” ქარხნის მიერ გამოშვებული მანგანუმის სულფატის მონოჰიდრატის ბაზაზე. კათოლიტის მომზადებისას მანგანუმის სულფატის ხსნარს ემატებოდა ქიმიურად სუფთა კვალიფიკაციის ამონიუმის სულფატი და ამიაკის დამატებით მიღებული ხსნარის pH დაიყვანებდა 6.5 – 7-მდე. შემდეგ ხსნარი ცხელდებოდა 70°C-მდე და ინტენსიური მორევის პირობებში ემატებოდა ამონიუმის სულფიდის ხსნარი სხვადასხვა ლითონური (Ni, Co, Fe და სხვ.) მინარევების დასაღებად. ამონიუმის სულფიდი მიიღებოდა ნატრიუმის სულფიდზე გოგირდმჟავას მოქმედებით გამოყოფილი გოგირდწყალბადის გატარებით ამიაკიან წყალში. კათოლიტი გაცივების შემდეგ იფილტრებოდა ქალაღის ფილტრით 2-ჯერ და კორექტირდებოდა pH ქიმიურად სუფთა გოგირდმჟავათი. ანოლიტის მომზადებისას საწყისი მანგანუმის სულფატის ხსნარი კორექტირდებოდა ნატრიუმის ტუტით 6.5 – 7 pH-მდე, ცხელდებოდა 70°C-მდე, ემატებოდა ნატრიუმის სულფიდი ინტენსიური მორევის პირობებში და გაცივების შემდეგ იფილტრებოდა ქალაღის ფილტრით. შემდეგ ხდებოდა სუფთა მანგანუმის სულფატის ხსნარის შემქმნა სუფთა გოგირდმჟავათი და საბოლოოდ ხელახლა იფილტრებოდა. ხსნარებში მანგანუმის იონების კონცენტრაციის განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო ფოლგარდის და პოტენციომეტრული ტიტრაციის ცნობილი მეთოდები, ხოლო ამონიუმის სულფატის გასაზღვრისათვის – კიელდალის და ფორმალდეჰიდური მეთოდები [4-6]. კათოლიტიდან ანოლიტში შესაძლო გადასული ამონიუმის იონების მინარევების თვისობრივ შემოწმებას ვახდენდით ნესლერის რეაქტივის გამოყენებით.

ელექტროქიმიურ რეაქტორში ჩადგამდე ანიონსელექტიური მემბრანა AMI-7001S მუშავდებოდა 5%-იანი Na₂SO₄-ის ხსნარით 48 სთ განმავლობაში, შემდეგ ირეცხებოდა გამოხდილი წყალით და ინახებოდა სუფთა, დისტილირებულ წყალში.

მემბრანიან ელექტროქიმიურ რეაქტორში ელმ და ემდ ერთდროული მიღებისას ელექტროდებზე და ხსნარში იონების მიგრაციისას მიმდინარე რეაქციები და პროცესები შეიძლება შემდეგი სქემით გამოვსახოთ:



ჯამური რეაქციიდან ჩანს, რომ ანოლიტში წარმოქმნილი გოგირდმჟავას ელექტროქიმიური ექვივალენტი $q_{\text{H}_2\text{SO}_4} = 2 \times 98 / 2 \times 26.8 = 3.66$ გ/ასთ. ამიტომ ანოლიტში მჟავას გამოსავალის ანგარიშის დროს ვითვალისწინებდით ამ სიდიდეს. ლითონური მანგანუმის და მანგანუმის დიოქსიდის დენითი გამოსავლები ისაზღვრებოდა წონითი მეთოდის გამოყენებით. ელექტროლიზის შემდეგ კათოდზე გამოლექილი მანგანუმის ზედაპირი პასივდებოდა 5% K₂Cr₂O₇-ის ხსნარში ჩაშვებით 10 წმ განმავლობაში, ირეცხებოდა გამდინარე წყალში და 50-60°C-ზე გაშრობის შემდეგ ხდებოდა აწონვა ელექტრონულ სასწორზე. ტიტანის ანოდზე გამოლექილი მანგანუმის დიოქსიდის ჩამოყრის შემდეგ მიღებული ფხვნილი ირეცხებოდა ცხელი დისტილირებული წყლით, შრებოდა თერმოსტატში 100°C-ზე 20 სთ განმავლობაში და საბოლოოდ ხდებოდა აწონვა ელექტრონულ სასწორზე.

2. ექსპერიმენტის შედეგები და მათი განხილვა

2.1. ტემპერატურისა და ამონიუმის სულფატის კონცენტრაციის გავლენა ლითონური მანგანუმის დენით გამოსავალზე.

მემბრანიანი რეაქტორის (ნახ.2) ანოლიტში 90-92°C ტემპერატურის შენარჩუნებისას, როდესაც კათოლიტი და ანოლიტი არ ცირკულირებდა, კათოლიტში ტემპერატურამ მემბრანის გავლით გადაცემული სითბოს ხარჯზე მიაღწია 70-72°C, ხოლო სამი ლიტრი კათოლიტის 0.1 ლ/წთ მოცულობითი სიჩქარით ცირკულაციისას კათოლიტში ტემპერატურამ შეადგინა 50-52°C. ცნობილია, რომ ტემპერატურის მომატებით იზრდება წყლის იონური ნამრავლი [7]:

t°C	20	25	30	40	50	60	70	80	90	100
K _w · 10 ¹⁴	0.86	1	1,89	3,8	5,6	12,6	21	34	52	74

შესაბამისად, გაზრდილ ტემპერატურებზე ნეიტრალური გარემოს pH არ იქნება 7 –ის ტოლი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ ტემპერატურაზე ნეიტრალურ არეში უნდა იყოს დაცული ტოლობა $[\text{H}^+] = [\text{OH}^-]$ და გამოვიყენებთ განტოლებას $[\text{H}^+] = [\text{OH}^-] = K_w^{0.5}$, სადაც K_w წყლის იონური ნამრავლია, შეიძლება გამოვიანგარიშოთ ნეიტრალური ხსნარის pH-ის მნიშვნელობა ტემპერატურისაგან დამოკიდებულებით. მაგალითად,

50°C-ზე $[\text{H}^+] = [\text{OH}^-] = (5,6 \cdot 10^{-14})^{0.5} = 2,36 \cdot 10^{-7}$; pH 6,627;

70°C-ზე $[\text{H}^+] = [\text{OH}^-] = (21 \cdot 10^{-14})^{0.5} = 4,58 \cdot 10^{-7}$; pH 6,34.

მაშასადამე, ტემპერატურის გაზრდით ნეიტრალური არის pH მცირდება, რადგან შესამჩნევად იზრდება წყლის იონური ნამრავლი.

ტემპერატურის გავლენა მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარების pH-ზე დაფიქსირებული აქვთ რ. აგლაძეს და ე. უნგიაძეს [8], სადაც ნაჩვენებია, რომ ტემპერატურის გაზრდით მცირდება ელექტროლიტის pH. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით [9] მიღებული იქნა ანალოგიური შედეგი, რომლის თანახმად მანგანუმ - ამონიუმის სულფატების {15-45 გ/ლ Mn²⁺ + 30-100 გ/ლ (NH₄)₂SO₄} ხსნარებში ტემპერატურის მომატებით pH-ის სიდიდე მცირდება, განსაკუთრებით მანგანუმის იონების

კონცენტრაციის გაზრდით. ტემპერატურის გაზრდით 20-70°C ფარგლებში მანგანუმის ჰიდრატწარმოქმნის pH მცირდება, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა და მანგანუმის იონების კონცენტრაცია; მისი სიდიდე პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული ამონიუმის სულფატის კონცენტრაციაზე. ცხრილებში (1) და (2) მოტანილია მემბრანიანი რეაქტორის კათოლიტში ტემპერატურის გავლენა ლითონური მანგანუმის დენით გამოსავალზე.

ცხრ. 1. მემბრანიანი რეაქტორის კათოლიტში (კათოდი ტიტანი) ლითონური მანგანუმის დენით გამოსავლის დამოკიდებულება ტემპერატურაზე: კათოლიტი: 25 გ/ლ Mn^{2+} + 160 გ/ლ $(NH_4)_2SO_4$, $i_p = 3,5$ ა/დმ²; ანოლიტი: 53 გ/ლ Mn^{2+} + 25 გ/ლ H_2SO_4 , $i_a = 0,9$ ა/დმ², $t = 93^{\circ}C$, ელექტროლიზის ხანგრძლივობა 2 სთ; 0.1 ლ/წთ სიჩქარით ცირკულირებადი კათოლიტის საერთო მოცულობა შეადგენდა 3 ლ.

№	კათოლიტის ტემპერატურა, t°C	კათოლიტის pH	ლითონური მანგანუმის დენით გამოსავალი, %	შენიშვნა
1	50	5,8	57,0	ანოლიტის დონის შენარჩუნება ხდებოდა გამომხდელი წყლის დამატებით.
2	60	5,8	39,5	
3	70	5,8	0	

ცხრ. 2. AMI-7001S ანიონსელექტიური მემბრანით განცალკევებულ ელექტროლიზერში ელემ-ისა და ემდ-ის ერთდროული მიღების ექსპერიმენტების შედეგები: 1 ლ კათოლიტის ცირკულაციის სიჩქარე 0.1 ლ/წთ. $i_p = 3,5$ ა/დმ²; $I_a = 0,9$ ა/დმ². ანოლიტის $t = 92^{\circ}C$; ცდის ხანგრძლივობა 4სთ.

№	კათოლიტის შედგენილობა		t, °C	pH _კ	Mn-ის დენით გამოს., %	ანოლიტის შედგენილობა		MnO ₂ დენ. გამოს., %	H ₂ SO ₄ დენ. გამოს., %	საშ. ძაბვა აბაზ., ვ
	C _{Mn2+} , გ/ლ	C _{(NH4)2SO4} , გ/ლ				C _{Mn2+} , გ/ლ	C _{H2SO4} , გ/ლ			
1	20,3	163,1	25	6,1-7,1	68,2	54,2	10	~ 100	80,67	3,35
2	20,3	163,1	35	6,3-7,2	66,5	54,2	10	~ 100	83,4	3,35
3	28,8	198,1	50	5,3-6,1	53,1	54,2	10	~ 100	93,3	3,3
4	24,75	164,26	60	5,4-5,6	39,5	53,25	30,1	~ 100	77,8	3,25
5	25,57	164,26	70	5,3-5,5	0	49,7	32,9	~ 100	75,3	3,25
6	24,75	166,95	70	4,0-5,8	0	54,45	30,4	~ 100	76	3,25
7	24,75	164,26	70	3,9-5,8	0	53,25	30,1	~ 100	75,33	3,25

შენიშვნა – ტიტანის კათოდზე გამოლექილი მანგანუმი (60⁰ჩ-ზე) აქერცლილი სახითაა, მაგრამ წვრილკრისტალური და მოვერცხლისფროა; გარეგნული სახით ემსგავსება დაბალ ტემპერატურაზე მიღებულ ლითონს.

ცხრილებიდან 1 და 2 ჩანს, რომ მემბრანიანი რეაქტორის კათოლიტში, რომლის შედგენილობა პრაქტიკულად ანალოგიურია ელემ-ის მიღების ცნობილ სამრეწველო ტექნოლოგიაში გამოყენებული ელექტროლიტის შედგენილობისა, ტემპერატურის გაზრდით მანგანუმის დენით გამოსავალი ეცემა და უკვე 70⁰C-ზე ტიტანის კათოდზე ლითონი არ მიიღება. მაგრამ კათოლიტში ამონიუმის სულფატის კონცენტრაციის შემცირებით შესაძლებელი გახდა ლითონური მანგანუმის გამოლექვა 70⁰C-ზეც (ცხრ. 3).


ცხრ. 3. კათოლიტის (3ლ) ცირკულაციით (0.1ლ/წთ) და გოგირდმჟავის კორექტირებით ჩატარებული ელემ-ისა და ემდ-ის ერთდროული მიღების შედეგები: $i_p = 3,5$ ა/დმ²; $I_a = 0,9$ ა/დმ². ანოლიტის $t = 92^{\circ}C$; ცდის ხანგრძლივობა 4სთ.

№	კათოლიტის შედგენილობა		t, კათ. °C	pH _კ	Mn-ის დენ. გამოს., %	ანოლიტის შედგენ.		MnO ₂ დენ. გამოს., %	H ₂ SO ₄ დენ. გამოს., %	საშ. ძაბვა აბაზ. ვ
	C _{Mn2+} , გ/ლ	C _{(NH4)2SO4} , გ/ლ				C _{Mn2+} , გ/ლ	C _{H2SO4} , გ/ლ			
1*	17,49	45,61	70	4,9-5,6	40,91	55,5	5	~ 100	90,2	3,6
2**	17,88	45,91	70	4,8-5,2	41,5	59,89	5,1	~ 100	97,2	3,6
5*	20,64	82,1	70	4,2-5,2	0	58,8	4,0	~ 100	94	3,55
6**	20,64	82,1	70	4,2-5,2	8,13	58,8	4,0	~ 100	96	3,55
7**	23,2	86,1	70	4,3-5,2	11,17	63,21	5,79	~ 100	90,15	3,6

* – კათოდი ტიტანი; გამოლექილი ლითონი გარეგნულად მოვერცხლისფროა, მაგრამ დანალექი აქერცლილია.

** – კათოდი უჟანგავი ფოლადი; გამოლექილი ლითონი მოვერცხლისფროა და ადვილ-ადვილ აქერცლილი.

ცხრ. 3-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ კათოლიტში ამონიუმის სულფატის კონცენტრაციის 165 გ/ლ-დან 45 გ/ლ-მდე შემცირებით (მანგანუმის იონების კონცენტრაცია 17-25 გ/ლ) შესაძლებელია ლითონური მანგანუმის მიღება 70°C-ზე, მაგრამ ამ დროს გამოლექილი ლითონი აქერცლილია, განსაკუთრებით ტიტანზე და შედარებით ნაკლებად უჟანგავ ფოლადზე. ეს შეიძლება აიხსნას 70°C-ზე ტიტანის გაზრდილი ქიმიური ურთიერთქმედებით კათოდზე გამოყოფილ წყალბადთან ტიტანის ჰიდრიდების შესაძლო წარმოქმნით, რაც სავარაუდოდ ხელს უშლის ლითონური მანგანუმის გამოლექვას. ექსპერიმენტების შედეგები აჩვენებს, რომ ამონიუმის კონცენტრაციის გაზრდით 45 გ/ლ-დან 82-85 გ/ლ-მდე მანგანუმის იონების პრაქტიკულად უცვლელი კონცენტრაციის (20 გ/ლ) პირობებში 70°C-ზე ლითონური მანგანუმის დენითი გამოსავალი 40%-დან ეკემა 0-მდე ტიტანის კათოდზე, ხოლო უჟანგავ ფოლადზე 8%-მდე. ამონიუმის სულფატის კონცენტრაციის ასეთი მავნე გავლენა მანგანუმის დენით გამოსავალზე შესაძლებელია აიხსნას მაღალ ტემპერატურაზე კათოდზე გამოყოფილი აქტიური ლითონის ქიმიური ურთიერთქმედებით ამონიუმის იონთან:



რომლის სიჩქარე იზრდება ამონიუმის იონების კონცენტრაციის გაზრდით. ამ ვარაუდს ადასტურებს კათოდზე გამოყოფილი წყალბადის აირის თანმხლები ამიაკის მკვეთრი სუნე; ამასთან ერთად უჟანგავი ფოლადის კათოდზე შეიმჩნეოდა გამოლექილი ლითონის გახსნილი უბნები.

2.2. ტემპერატურისა და მანგანუმის იონების კონცენტრაციის გავლენა მანგანუმის დენით გამოსავალზე.

კათოლიტში მანგანუმის იონების კონცენტრაციის გაზრდით რეაქციის სიჩქარე (1) მცირდება სავარაუდოდ ამონიუმის იონების აქტივობის შემცირების ხარჯზე, რაზეც მიუთითებს ცხრ.4-ში მოცემული შედეგები.

ცხრ. 4. ელემ-ისა და ემდ-ის ერთდროული მიღების ცდის პირობები:
 $i_a = 3,5 \text{ ა/დმ}^2$; $i_s = 0,9 \text{ ა/დმ}^2$, ანოლიტის $t = 93^\circ\text{C}$; ცდის ხანგრძლივობა 4 სთ.

№	კათოლიტის შედეგნილობა		$t_{\text{კათ.}}$ °C	pH _კ	Mn-ის დენ. გამოს., %	ანოლიტის შედეგნილობა.		MnO ₂ დენ. გამოს., %	H ₂ SO ₄ დენ. გამოს., %	საშ. ძაბვა აბაზ., g
	C _{Mn²⁺} გ/ლ	C _{(NH₄)₂SO₄} გ/ლ				C _{Mn²⁺} გ/ლ	C _{H₂SO₄} გ/ლ			
1	41,91	115,7	32	3,9	58,83	54,45	10	~ 100	96,42	3,7
2	41,91	121,7	40	3,9	48,75	53,25	30	~ 100	99,54	3,7
3	40,5	123,9	45	5,2	51,48	52,3	32	~ 100	97,2	3,7
4	40,5	123,9	60	5,2	30,8	52,3	30	~ 100	98,59	3,6
5*	42,1	115,8	60	5,2	40,42	53,6	30	~ 100	82,88	4
6	41,44	121,1	30	5,0	61,3	54,45	10	~ 100	99	3,7
7	53,26	126	70	4,9	39,5	54,45	25,5	~ 100	95,6	3,6
8	53,95	91	50	5,9	46,8	50,2	10	~ 100	88,43	3,58
9	53,95	91	50	5,7	47,21	51,5	25,5	~ 100	90	3,63
10	53,95	89,5	70	5,3	39,5	51,5	25,5	~ 100	92	3,6
11	50	66	50	5,3	51,12	51,3	30,5	~ 100	95	3,56
12	50	66	70	5,3	36,5	51,3	30,5	~ 100	96,5	3,6

შენიშვნა: 5* ცლა ჩატარებულია $i_a = 6,25 \text{ ა/დმ}^2$ -ზე.

აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემების შეჯამების შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს დიოქსინების ჰაერში მოხვედრის პროცესების ჩამონათვალი მათი ხვედრითი წილის მიხედვით: საყოფაცხოვრებო ნაგვის და სამედიცინო ნარჩენების დაწვა, ცემენტის წარმოება, ხე-ტყის დაწვა, ღიზელის საწვავის გამონაბოლქვი, ბუნებრივი ხანძრები, სპილენძის ჯართის გადადნობა, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ნალექი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამაბინძურებელი პროცესია სახიფათო ნარჩენების დაწვა. შეიძლება ითქვას, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვის პროცესის დროს წარმოქმნილი დიოქსინის მსგავსი ნივთიერებების რაოდენობა თითქმის 1000-1500-ჯერ მეტია ვიდრე სახიფათო ნარჩენების დაწვის დროს წარმოქმნილი ტოქსიკური ნაერთები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგვის დასაწვავი ღუმელების ტოქსიკურ ემისიებზე არანაკლებ სახიფათოა ხანძრები სანაგვეებზე ანდა სახლის ეზოებში ნაგვისა და ჩამოყრული ფოთლების ღია დაწვა.

სადღეისოდ მთავარი პრობლემაა ქლორის გამოყენება მრეწველობაში მრავალი პროდუქციის მისაღებად, რომელთა შეცვლა ახლო მომავალში არ არის რეალური და არც ეკოსფეროდან ქლორის ნარჩენების გამოყოფის პრობლემის გადაწყვეტაა მოსალოდნელი [3,4]. ამდენად, დიოქსინების ძირითადი წყარო არის ქლორორგანული მასალის დაწვა, განსაკუთრებით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. აქვე უნდა აღინიშნოს დიოქსინების მიგრაციის ზეგავლენა გარემოზე. ამ ნაერთების შემცველობაზე მონიტორინგი სისტემატურად მიმდინარეობს და შეიძლება ატმოსფეროში მისი შემცველობის კლების

ტენდენცია, რაც განპირობებულია გარემოს დაცვის ღონისძიებების გააქტიურებით. დიოქსინებით დაბინძურების ღონისა და მისი წყაროების ინვენტარიზაცია მიმდინარეობს საქართველოშიც, მაგრამ მცირე დაფინანსების გამო შეზღუდულია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: ყოველწლიურად ატმოსფეროდან დაღეჭილი დიოქსინების რაოდენობა აჭარბებს ყოველწლიური ემისიის ღონეს; რიგი შეზღუდვების გამო შესაძლებელია ექსპერიმენტული მონაცემების არასწორი განსაზღვრა; არის მეორადი ემისიებიც, რომლის შეფასება რაოდენობრივად შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ ადრე წარმოქმნილი დიოქსინები და მასალები გადაიტანება გარემოს სხვადასხვა ფენებს შორის. ეს გადატანა შეიძლება მოხდეს აორთქლების, ატმოსფეროდან ნაწილაკების სველი და მშრალი დაღეჭვის, აღსორცის, ეროზიის, ქარის და წყლის ნაკადების მეშვეობით. დიოქსინების მსგავსი ნაერთები ხასიათდებიან მდგრადობით გარემოში, რის გამოც ხდება მათი დაგროვება და გადანაწილება ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესაბამისად. ასე რომ, ბიოსფეროზე ახდენს გავლენას არა მხოლოდ მიმდინარე გამოტყორცნები, არამედ მრავალი წლით ადრე წარმოქმნილიც. მთლიანობაში უნდა შემცირდეს დიოქსინების მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში.

ღიდ ბრიტანეთში ჩატარებული ინვენტარიზაციის შესაბამისად ნიადაგსა და ბიოტაში დიოქსინების რაოდენობის თანაფარდობა არის 1000:1, თანაც მცენარეში ფესვთა სისტემიდან ხვდება დიოქსინების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ ძალზე უმნიშვნელო ნაწილი - 0.006-0.02%. მცენარეები დიოქსინების ძირითად ნაწილს შთანთქავენ ჰაერიდან და ამასთან ერთად ეს პროცესი არის წონასწორული. აქედან გამომდინარე, მათი ბიოკონცენტრირება მცენარეში ძალზე მცირეა და ძირითადად ნიადაგში ხდება დაგროვება. განსხვავებით მცენარეებისაგან, ცხოველებში გაცილებით მნიშვნელოვანი დაგროვებაა და იგი გადადის კვების ჯაჭვში, თუმცა მათი რაოდენობა ბიოტაში მაინც მცირეა და ადამიანის ორგანიზმში დიოქსინების 95% ხვდება საკვებთან ერთად [5]. ითვლება, რომ დიოქსინების ადამიანის ორგანიზმიდან ნახევარგამოტანის პერიოდი შეადგენს დაახლოებით 7 წელს [6]. არამეტაბოლიზირებული დიოქსინი ძირითადად გროვდება ცხიმოვან ქსოვილებში და ღვიძლში. აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმზე დიოქსინების ზეგავლენის შესამცირებლად აუცილებელია არამართო მიმდინარე გამოტყორცნების შეწყობა, არამედ მათი მიგრაციის პრევენცია რათა არ მოხდეს ამ ნივთიერებების მოხვედრა კვების ჯაჭვში.

დეტოქსიკაციის მეთოდების განხილვის დროს უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დიოქსინები არ წარმოადგენენ სერიოზულ საფრთხეს იმ შემთხვევაში, თუ 4 ლატერული ჰალოგენის ატომიდან მოცილებული იქნება ერთ-ერთი. ძალზე სახიფათო ნივთიერებების გასანადგურებლად ყველაზე მარტივია მაღალტემპერატურული დაწვა ან პიროლიზი, მაგრამ ქლორირებული ორგანული ნივთიერებების შემთხვევაში მაღალტემპერატურული პროცესები წარმოადგენენ დიოქსინებით გარემოს დაბინძურების ძირითად წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს სისტემატური სამუშაოები დაწვის დროს დიოქსინების გამოტყორცნის შესამცირებლად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაწვა იყოს განხილული ნიადაგისა და სხვა მყარი მატრიცების დეტოქსიკაციის უსაფრთხო მეთოდად. რაც შეეხება თხევად სამრეწველო ქლორშემცველ ნარჩენებს, მათი დაწვა ასევე ძალზე სახიფათოა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დექლორირების ალტერნატიული ტექნოლოგიების შემუშავებას დაწვის გარეშე. არსებობს დიოქსინების დესტრუქციის მთელი რიგი დაბალტემპერატურული მეთოდები, რომელთა პრაქტიკული გამოყენება მომავლის საქმეა. ჩვენი ყურადღება გამახვილებულია დექლორირების მეთოდზე რომელიც არ იწვევს გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას.

ადრე აღვნიშნეთ, რომ დიოქსინების წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ნარჩენების დაწვის დანადგარები. ამ დროს წარმოქმნილი და ნაწილობრივ დაჭერილი მფრინავი ნაცარი შეიცავს დიოქსინების მნიშვნელოვან კონცენტრაციას (რამოდენიმე ათეული ნგ/გ-ზე - საერთაშორისო ტოქსიკურობის ექვივალენტი). ასეთი ნაცარი წარმოადგენს აქტივირებული ნახშირის, მეტალთა ოქსიდებისა და სხვადასხვა სორბირებული ორგანული ნივთიერებების რთულ ნარევეს. ნაჩვენებია, რომ გახურების დროს 200-400°C ფარგლებში ნაცარში დიოქსინები წარმოიქმნება საკმაოდ ინტენსიურად.

ამასთან ერთად, ჟანგბადის კონცენტრაცია აირად ფაზაში ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას დიოქსინების წარმოქმნაზე, თუმცა ვერ ინჰიბირებს მათ წარმოქმნას. ზოგიერთ შემთხვევაში თერმოლამუშავების ხანგრძლივობა მოქმედებს ტოქსიკურობის შემცირებაზე. 100°C-ზე მაღალი ტემპერატურის დროს ხდება ორგანული ნივთიერებების აორთქლება, რაც შეიძლება გამოიყენებულ იქნას მათი მოცილებისა და შემდგომი დაშლისათვის. დექლორირებისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება მეტალები და მეტალთა არააქროლადი მარილები, რომელთაც შეუძლიათ წარმოქმნან თერმულად მდგრადი ქლორიდები. ყველაზე მეტი რაოდენობით კვლევები ჩატარებულია კალციუმის ოქსიდზე, ვინაიდან ის ხელმისაწვდომი რეაგენტია [7,8]. ასევე გამოიყენებულია ალუმინი და მაგნიუმი და მათი ოქსიდები დიოქსინების დესტრუქციისათვის 500-800°C-ზე. 300-400°C-ზე კალციუმის ოქსიდი იწვევს არაარომატული ქლორირებული ნახშირწყალბადების დექლორირებას CaCl_2 , CaClOH , CO_2 , CaCO_3 და სხვა პროდუქტების წარმოქმნით. კალციუმის ოქსიდზე 500-900°C-ზე მიმდინარეობს დექლორირება ნახშირბადის მონოოქსიდის, წყლის, მარილმჟავას, ბენზოლის, ფენოლისა და ქლორბენზოლების წარმოქმნით. კალციუმის ოქსიდი 1000°C-ზე “მდულარე ფენაში” 300-ჯერ ამცირებს პოლიქლორირებული არომატული ნაერთების ჯამურ გამოფრქვევას [9]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულია კვლევები ნიადაგში დიოქსინების დექლორირებისათვის კალციუმის ოქსიდის გამოყენებით გახურების გარეშე [10]. იგივე პროცესი ჩატარებულია 80-250°C-ზე და მისი ეფექტურობა იყო 90%-ზე მეტი. ნიადაგის გახურების გამოყენება პრობლემატურია, ვინაიდან ამ დროს შესაძლებელია დიოქსინების აორთქლება კალციუმის ოქსიდის შეტანის დროს.

ჩვენი საბუთაოს მიზანია გახურების გარეშე დიოქსინებით ყველაზე მეტად დაბინძურებული ეკოლოგიური სისტემის - ნიადაგის გაწმენდა კალციუმის ოქსიდის და სხვა ბუნებრივი დანამატების გამოყენებით დექლორირების მიზნით გახურების გარეშე. შერჩეული იქნება ფოროვანი მინერალური დანამატები, ასევე მათი მოდიფიცირებული ფორმები კალციუმის, მაგნიუმის და მანგანუმის ოქსიდებით, რათა დადგინდეს ოპტიმალური პირობები დიოქსინებით დაბინძურებული ნიადაგების გასასუფთავებლად, ან დამაბინძურებლების კონცენტრაციის შესამცირებლად. ამ შემთხვევაში სასარგებლო იქნება კომპლექსური მიდგომის გამოყენებაც, რათა ნიადაგის მუავიანობის განეიტრალებასთან ერთად შეიქმნას ოპტიმალური პირობები ადგილობრივი მიკროორგანიზმების და სოკოების ცხოველყოფილობის გააქტიურებისათვის, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს ნიადაგში დამაბინძურებლების შემცირებას უსაფრთხო დონემდე წვის გარეშე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. ქავთარაძე ნ., მიქაძე ი., ჩანქსელიანი დ., ბარბაქაძე ნ., ურიდია რ., დოლიძე ა. სახიფათო ქიმიური ნარჩენების საერთაშორისო მართვის სტრატეგია და ადგილობრივი პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა”, შრომების კრებული, ქუთაისი, 2012, 82-84;
2. A. Dolidze, I. Mikadze, N. Kavtaradze, L. Dolidze, R. Uridia, M. Stepanishvili. Alternatives of pesticide residues neutralization considering local conditions and possibilities. Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, 2012, 38, 2-3, 259-261;
3. Мюир Т., Эдер Т., Малдун Р., Лернер С. Применение стратегии практической ликвидации к сырью химической промышленности – хлору / Пер. с англ. Е. Макровой; Под ред. Т. Марковой. - Иркутск: Изд-во инст. географии, 1999. - 33 с;
4. Юфит С.С. Мусоросжигательные заводы –помойка на небе. -М.: Два мира, 1998. - 42 с;
5. US EPA. Exposure and Human Health Reassessment of 2,3,7,8-Tetrachlorodibenzo-*p*-Dioxin (TCDD) and Related Compounds. Path 1, V.2, -Washington, DC, EPA/600/P-00/001Ab, 2000. - 628p;
6. McLachlan M. Bioaccumulation of hydrophobic chemicals in agricultural food chains // Environ. Sci. Technol. - 1996. - V.30. - P.252-259;

7. Gullett B.K., Bruce D.F., Bruce K.R. Thermal Treatment of 1,2,3,4-Tetrachlorodibenzo-*p*-dioxin by Reaction with Ca-Based Sorbents at 23-300 °C // Environ. Sci. Technol. - 1997. - V.31, Iss.7. - P.1855-1862;
8. Li Y.-X., Li H., Klabunde K.J. Destructive Adsorption of Chlorinated Benzenes on Ultrafine (Nanoscale) Particles of Magnesium Oxide and Calcium Oxide // Environ. Sci. Technol. - 1994. - V.28, Iss.7. - P.1248-1253;
9. Dougherty R.C., Collazo-Lopaz H. Reduction of Organochlorine Emissions from Municipal and Hazardous Waste Incinerators // Environ. Sci. Technol. - 1987. - V.21. - P.602-604;
10. Einhaus R.L., Honarkhah I., Erickson P.M. Fate of Polychlorinated Biphenyls (PCBs) in Soil Following Stabilization with Quicklime. U.S. EPA, Risk Reduction Engineering Laboratory: Cincinnati, OH, 1991; EPA/ 600/2-91/052 (NTIS PB92-114487).

ABOUT MIGRATION OF DIOXINS IN THE ENVIRONMENT AND DETOXIFICATION OF POLLUTION

Avtandil Dolidze, Irma Mikadze, Nino Kavtaradze, Liparit Dolidze, Natia Barbakadze, Rusudan Uridia
P.Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Iv.Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Based on a review of literature and experimental data, is recommended a complex method of dechlorination of soil contaminated with pesticides, by adding of slaked lime without further heating, as well as creating the optimal conditions for biodegradation with activation of local soil biological agents.

О МИГРАЦИИ ДИОКСИНОВ В ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЕ И ДЕТОКСИКАЦИИ ЗАГРЯЗНЕНИЯ

А.В.Долидзе, И. И.Микадзе, Н.А.Кавтарадзе, Л.А.Долидзе, Н.Г.Барбакадзе, Р.З.Уридия,
Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили/Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили

РЕЗЮМЕ

На основе рассмотрения литературных и экспериментальных данных рекомендован комплексный метод дехлорирования загрязненных пестицидами почв путем внесения гашеной извести без дальнейшего подогрева, а также создания оптимальных условий биodeградации посредством активирования местных почвенных биологических агентов.

მე-4 თაობის ინსექტიციდების გამოყენების შესაძლო გზები მანქანების წინააღმდეგ ბრძოლაში

ქეთევან ქოჩიაშვილი, ნათია ბარბაქაძე, რუსუდან ცისკარიშვილი, თამარ დგებუაძე,
მაია ჯაფარიძე, ირმა მიქაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

ბუნებაში სხვადასხვა ორგანიზმებს შორის ურთიერთქმედება მიმდინარეობს კომუნიკაციური ნივთიერებების ხარჯზე, რომლებიც წარმოშობის მიხედვით განსხვავდებიან. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო პრეპარატებს: ფერომონებს, ოვენიოდებს, რეპელენტებს, ატრაქტანტებს და სხვ., რომელთა სინთეზირებაც შესაძლებელია ბუნებრივი ნელეულოდან გამოყოფილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და დაავადებათა გამომწვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსავლიანობის შენარჩუნებისა და ამალეების საქმეში. მავნე ორგანიზმებთან საბრძოლველად აქტიურად იყენებენ ქიმიურ ნივთიერებებს – პესტიციდებს, რომელთაც გააჩნიათ ტოქსიკური თვისებები ამა თუ იმ ცოცხალი ორგანიზმის მიმართ, ბაქტერიებიდან და სოკოებიდან დაწყებული, მცენარეებითა და მავნე თბილისხლიანი ცხოველებით დამთავრებული. ადრე გამოყენებული არაორგანული წარმოშობის პესტიციდები დღეისათვის მთლიანად შეცვლილია უფრო ეფექტური სინთეზური ორგანული ნაერთებით. ბოლო წლებში მიღებულია 10000-ზე მეტი სახეობის სხვადასხვა პესტიციდი: ინსექტიციდები, აკარიციდები, როდენტიციდები, ჰერბიციდები, ფუნგიციდები და სხვ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისათვის გამოყენებული ღონისძიებების წარმატება მკვეთრად დაამოკიდებული დაცვითი ღონისძიებების დროულ ჩატარებაზე, ასევე მცენარეთა მოვლის პროფილაქტიკური და აგროტექნიკური აქტივობების შერწყმაზე. დაცვის არსებული გზებიდან მნიშვნელოვანია აგროტექნიკური, მექანიკური, ბიოფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მიმართულებები. მათ ეფექტურობას განსაზღვრავს სამიში მავნებლების და მათი გავრცელების კერების დროული აღმოჩენა. დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის დროს კი წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია ძირითადი მავნებლებისა და დაავადებათა გამომწვევების ბიოლოგიური თავისებურებების, აგრეთვე კლიმატური პირობების გათვალისწინება. ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კვლევებს ეკოლოგიურად მცირე დატვირთვის მქონე პესტიციდების მიმართულებით.

ეკოლუციის პროცესში ბიოლოგიურ სახეობებს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის ურთიერთქმედება ქიმიური სიგნალების მეშვეობით. ცხოველებისა და მცენარეების მიერ გარემოში გამოყოფილ ცხოველქმედების პროდუქტებს სხვა ორგანიზმებისათვის შესაძლოა განსაზღვრული ბიოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფენ ქიმიურ კომუნიკაციებს ინდივიდებს შორის, იწვევენ საპასუხო რეაქციას იგივე სახეობის ინდივიდების მხრიდან. ცნობილია, რომ მცენარეები ხშირ შემთხვევაში გადარჩებიან ეკოლუციის პროცესში გამოძეშავებული საკუთარი დაცვითი მექანიზმების ხარჯზე. მათ მიერ გამოყოფილი ნივთიერებები აფრთხობენ მწერებს, ხელს უშლიან კვებაში, ამუხრუჭებენ მათ ზრდას და გამრავლებას. ხშირად გვხვდებიან მწერები, რომლებსაც ახასიათებთ მდგრადობა და მათი გამოყენება შესაძლებელია სელექტიურ პროგრამებში იმ მიზნით, რომ სხვადასხვა მავნებელ მწერთა მიმართ მცენარეთა გარკვეულმა ჯიშებმა გამოიმუშაონ იმუნიტეტი. მსგავსი კვლევები ჩატარდა აშშ-სა და კანადის საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურში [1-3].

მცენარეთა დაცვისათვის ასევე აქტუალურია ინსექტიციდების თემა. ტერმინი ინსექტიციდი გულისხმობს როგორც ბუნებრივ პროდუქტს, ისე სინთეზურ ნაერთს. ბუნებრივი ნაერთები განხილულია ორი ძირითადი მიზეზის გამო: მათ უმრავლესობას გააჩნია საყურადღებო თვისებები მწერების ერთიანი მენეჯმენტის სისტემაში. ინსექტიციდურ აქტივობად ითვლება უჯრედული მემბრანის პროტეინებზე ზემოქმედება და შედეგად, გამოხატული ტოქსიკური ეფექტი მწერებზე. ინსექტიციდის თითოეული კლასის სექციის სიდიდე ცვალებადია, რაც დამოკიდებულია ნაერთების რიცხვსა და არსებული ინფორმაციის მოცულობაზე. ლეტალური დოზა ეს არის დოზა, რომელიც კლავს საცდელი მწერების

ჯგუფის 50%-ს. თითოეულ ბუნებრივ ინსექტიციდს მოქმედების სხვადასხვა ბუნება აქვს. მავნე მწერების ორგანიზმში შეღწევის გზის მიხედვით შესაძლებელია ისინი დაიყოს 3 ძირითად ჯგუფად (ალსანიინაჟია, რომ მათი უმეტესობა ერთდროულად რამოდენიმე გზით სარგებლობს) [4] :

- **კონტაქტური ინსექტიციდები** – იწვევენ მწერის დაღუპვას მისი სხეულის ნებისმიერ ნაწილთან გარეგანი კონტაქტისას;

- **ნაწლავური ინსექტიციდები** – კვების ორგანოებით აღწევენ მწერთა ნაწლავებში, რომელიც ადვილად შთაინთქმება მსხვერპლის ორგანიზმის მიერ;

- **სისტემური ინსექტიციდები** – უნარი შესწევთ გადაადგილდნენ მცენარეთა სასუნთქ სისტემაში. მწერების დაღუპვა გამოწვეულია მათ მიერ მცენარეთა მოწამლული ნაწილის საკვებად გამოყენებით. ამით სისტემური ინსექტიციდები ემსგავსებიან ნაწლავურს.

მავნებელი მწერების ბიოლოგიის ღრმა შესწავლა მათ წინააღმდეგ პესტიციდების უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც თავს იჩენენ ინსექტიციდების გამოყენებისას, მდგომარეობს შემდეგში:

1. ინსექტიციდები ტოქსიკურია არა მხოლოდ მავნე მწერების, არამედ სხვა სასარგებლო ორგანიზმების მიმართაც;

2. მწერები, რომელთა წინააღმდეგაც გამოიყენება ინსექტიციდები სწრაფად გამოიშუშებიან მდგრადობას მათ მიმართ. ასე მაგალითად, ერთი ჯგუფის ინსექტიციდის სისტემატური გამოყენებისას ღრთა განმავლობაში მავნე ორგანიზმებს გამოიშუშავდება რეზისტენტულობა, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ახასიათებთ განვითარების შედარებით მოკლე ციკლის და სწრაფი გამრავლების უნარის მქონე სახეობებს. აქედან გამომდინარე, თუ საქმე გვაქვს ისეთ მავნებელთან, რომელთან ბრძოლაც შესაბამისი საშუალებით ვერ ხერხდება, საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი ინსექტიციდი, რომელიც გამოიყენებოდა იგივე მავნებლის სხვა ჯგუფის მიმართ.

როგორც წესი, ურთიერთქმედების თავისებურების მიხედვით ცოცხალი ორგანიზმების მიერ გამოყოფილ ნივთიერებებს 2 ჯგუფად ყოფენ - შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ურთიერთქმედების ნივთიერებები [5,6].

შიდასახეობრივი მოქმედების ქიმიურ ნივთიერებებს მიეკუთვნებიან ფერომონები, ანუ მეოთხე თაობის პესტიციდები და მწერთა ჰორმონები. აღნიშნულნი ხასიათდებიან მაღალი შერჩევითობით და ბიოლოგიური აქტივობით. მცენარეთა დაცვაში ფერომონები და მწერთა ჰორმონები გამოიყენება მავნე მწერთა რიცხოვნობის რეგულაციის მიზნით. ამ უკანასკნელთა მნიშვნელოვანი როლი განპირობებულია მრავალი სასარგებლო თვისებებით, რაც გულისხმობს მწერთა პოპულაციის შესახებ ზუსტი მონაცემების აღნუსხვას. ამ მონაცემების მიღება შესაძლებელი ხდება დაკვირვების გზით ფერომონიანი სქესმჭერების დახმარებით. ფერომონული პრეპარატები ნაკლებტოქსიკურია და საშუალებას იძლევა ვმართოთ მწერები, ბიოცენოზის სხვა ბიოლოგიურ ორგანიზმებზე ზემოქმედების გარეშე [7].

ქიმიური ბუნებით ფერომონები აქროლად ნივთიერებებს წარმოადგენენ და ადვილად ვრცელდებიან ჰაერში დიდ მანძილზე. ისინი გამოირჩევიან ლაბილურობით და ადვილად იშლებიან მზის სხივების, ტენიანობის და ტემპერატურის ზემოქმედებით. ისეთ მწერებში, როგორცაა ფუტკრები, ჭიანჭველები, ტერმიტები და ტარაკანები ქიმიური კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ნაკლებად აქროლადი ნივთიერებების მეშვეობით, რომლებიც მოქმედებენ შედარებით მოკლე დისტანციაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ფერომონს რამოდენიმე განმარტება აქვს, მაგრამ ამჟამად მიღებულია კარლსონის და ლუსერის (Karlson P., Luscher M. Nature. 183, 55, 1958) მიერ შემოთავაზებული განმარტება – “ფერომონები ცოცხალი ორგანიზმების მიერ გამოიშუშებული ნივთიერებებია, რომლებიც გამოიყოფიან გარემოში სპეციალური ჯირკვლებიდან და იწვევენ სპეციფიკურ საპასუხო რეაქციას (მახასიათებელ ქცევას განვითარების პროცესში) ერთი და იგივე სახეობის ბიოლოგიურ ერთეულში”. მ. ბარბიეს [7,8] მიხედვით სახელწოდება ფერომონი შედგება 2 ბერძნული ძირის: “გადატანა” და “აღზნება” შერწყმით. ისინი მწერების ორგანიზმსა და პოპულაციაში ითავსებენ სასიგნალო ფუნქციას. დადგენილია, რომ ფერომონებს მოქმედების ფართო სპექტრი გააჩნიათ და ქცევის სხვადასხვა სახეზე ახდენენ ზემოქმედებას: იზიდავენ სხვა სქესის ინდივიდებს (სქესის), აფრთხობენ განსაზღვრული ადგილებიდან (განგაშის), აიძულებენ მწერებს შეგროვდნენ ერთ კონკრეტულ ადგილზე (აგრეგაციული), ემსახურებიან ტერიტორიის მონიშვნას (კვალის ფერომონები) და სხვ.

ყოფილ სსრკ-ში XX საუკუნის 80-იანი წლებიდან შემუშავებულია ფერომონების კომპლექტების მიღების ტექნოლოგიური სქემა. პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე (სამუშაოს ხელმძღვანელი პროფესორი ავთანდილ დოლიძე) ორგანიზებულ იქნა საცდელი

წარმოება, რომელმაც უზრუნველყო კახეთის ზონის მევენახეობის მეურნეობები 600 000 ცალი ფერომონიანი სქესმჭერებით. პარალელურად ათვისებული იქნა აღმოსავლეთის ქლიავის და ვაშლის ნაყოფჭამიების ფერომონების სინთეზის სქემები, რითაც გადაწყდა ქვეყნის მეხილეობის ძირითადი მავნებლების საწინააღმდეგოდ ფერომონული პრეპარატების გამოყენების საკითხიც [9].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერების ქცევა სტიმულირდება და კონტროლირდება ქიმიური აგენტებით. ამ ქცევებს შეიძლება მივაკუთვნოთ საკვების, კვერცხების დასადები ადგილების და სქესობრივი პარტნიორების პოვნა და ა.შ. ქიმიური სატყუარები, ან ატრაქტანტები შეიძლება გამოვიყენოთ მავნე მწერების მიზიდვისათვის, ასევე წვეილებს შორის კავშირის გაწყვეტის მიზნით. მეცნიერ მეტკალფოვის [10] მონაცემებით ბორდოს ნარევი, ფუნგიციდია, რომელიც დიდი ხნის წინათ შეიქმნა საფრანგეთში და ამ დრომდე ეფექტურ საკვებ დეტერენტად რჩება. ის მზადდება სპილენძის სულფატის, ჩამქრალი კირისა და წყლისაგან და მოქმედებს როგორც საკვები დეტერენტი ფოთოლჭამიათა მიმართ. კარბამატები, ისეთები, როგორცაა სევინი-, ძირითადად გამოიყენებიან როგორც ინსექტიციდები, თუმცა არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია ზოგიერთი მწერის საკვებ დეტერენტადაც. მავნე მწერების მიმართ ტოქსიკურია ასევე პირეტრუმი, რომელიც ორფრთიანების *Glossina* და *Culicoides* – ის საკვები დეტერენტიცაა. რაც შეეხება სქესის ატრაქტანტებს, მეცნიერ ბეროზას [11] მონაცემებით იმისათვის, რომ წარმატებით გამოვიყენოთ ფერომონიანი სქესმჭერები საჭიროა მრავალი პარამეტრის გათვალისწინება: სქესმჭერის კონსტრუქცია, მისი სიმაღლე და ადგილმდებარეობა, ექსპლუატაციის ვადა, სატყუარას ნივთიერების ტიპი და მდებარეობა, ნივთიერების გამოყოფის სიჩქარე, მისი მდგრადობა და რაოდენობა, ეფექტურობის პერიოდი, სატყუარას ნივთიერებაში კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულება (თუ ის ნარევი), “მასპინძელი” კულტურის გავლენა, მანძილი რომელზეც ატრაქტანტი ავლენს აქტივობას, მწერის რეაქციის დრო, სქესმჭერისა და განადგურებისათვის გამოყენებული საშუალებების (უშრობი წებო, ინსექტიციდი ან სხვ.) ღირებულება. გარემოში სქესის ატრაქტანტების მასობრივმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს სამიზნე მავნებელი მწერის ორიენტაციის სისტემის შეცვლა და ამით ხელი ეშლებათ სქესობრივ პარტნიორებს ერთმანეთის მოძებნაში. სქესის ფერომონების სინთეზურად მიღების ძირითადი მეთოდს წარმოადგენს მეტალირება-ალკილირების რეაქცია, ვიტების რეაქცია, ჰიდრომიერების რეაქცია, ზოდეკეიჩ-კადიოს რეაქცია, ციკლების ფრაგმენტაცია და სხვ. ფერომონების სინთეზის თანამედროვე მიმართულებები ხელს უწყობენ მავნებლების რიცხოვნობის მარეგულირებელი ნივთიერებების მიღების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას, ასევე ფერომონებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურების შექმნის ახალი მიდგომების ძიებას.

მწერთა ჰორმონებითა და მათი ანალოგების მეშვეობით მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლა გავრცელებული პრაქტიკაა. ბუნებრივი იუვენალური ჰორმონები ანუ იუვენოიდები და სინთეზური ანალოგები იწვევენ შემდეგ ეფექტებს: ოვიციდური (ემბრიონალური განვითარების დათრგუნვა და ჭუპრის გამოჩეკვის თავიდან აცილება); მასტერილიზებელი მოქმედება (უნაყოფობა გადაეცემა დედებს პრეპარატით დამუშავებული მამრიდან); ზრდასრული მწერის დიაპაუზის დარღვევა (როცა მწერს ეღვიძება შეჯვარების და კვერცხის დადებისათვის არასასურველ პერიოდში). პირველად იუვენალური ჰორმონი აღმოჩენილი იქნა 1956 წელს. ასევე ცნობილია კანის ცვლის ჰორმონი α-ეკლიზონი და β-ეკლიზონი. როგორც წესი, ეკლიზონების ანალოგები აქტიურობით ბევრად ჩამორჩებიან იუვენალურ ჰორმონებს, თუმცა მათ უნარი შესწევთ დაარღვიონ მწერების ნორმალური გამრავლება-განვითარება. ეკლიზონები ხასიათდებიან ქემოსტერილური მოქმედებითაც. ისინი მდგრად ინდივიდებში ხელს უშლიან საკვერცხეების განვითარებას და კვერცხების წარმოქმნას.

იუვენოიდების სინთეზის მიმართულებით საინტერესო კვლევები ჩატარდა პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე. შედეგად ბუნებრივი და სინთეზური უჯერი ნაერთების დაშლის საფუძველზე შემუშავებულ იქნა მწერების ფერომონების და იუვენოიდების სინთეზის ეფექტური სქემა. აგრეთვე შემუშავებულია ახალი ოპტიკურად აქტიური ფერომონების იზოპრენოიდური და მეთილგანტოტვილი სტრუქტურები. სინთეზის გზით მიღებული ახალი იუვენოიდებიდან მნიშვნელოვანია დეკადინური მჟავები და მმარმჟავას ეთილის ეთერი. მწერების მიმართ ძლიერი აქტივობით გამოირჩევა პრეპარატი “ანემონი”, რომელიც რეკომენდირებულია მარცვლოვანი კულტურების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე აბრეშუმის ჭიის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის [12].

ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მისაღებად სინთეზის ნედლეულის ბაზის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილია საქართველოში არსებული მცენარეული ეთერზეთების კომპონენტების გამოყენებაც, ვინაიდან ჯერ კიდევ ასეული წლის წინ აღმოჩენილ იქნა, რომ სუნის

აქტიური საწყისის გამოყოფა თავისუფლად შეიძლება მცენარეებიდან, მათი ფრთხილი გახურებით და ცივ ზედაპირზე გამოყოფილი კონდენსატის შეგროვებით, რომელიც შედგებოდა ზეთისა და წყლის ფენისაგან. მოგვიანებით შეიმუშავეს ორთქლით გამოხდის მეთოდი და ამ დროს გამოყოფილ ზეთებს ეთერზეთები უწოდეს. ამ მცნებაში - “ეთერზეთები” - გაერთიანდნენ ნივთიერებები, გამოყოფილნი ექსტრაქციით ან გამოწურვით [13]. თვით ეთერზეთის უფრო აქროლადი ფრაქციები შედგებიან ნახშირწყალბადებისაგან, საერთო ფორმულით $C_{10}H_{16}$. მათი საერთო დასახელებაა ტერპენები, ხოლო შემდგომში ეწოდათ ტერპენოიდები. მრავალსაფეხურიანი ნატიფი ორგანული სინთეზის ეკონომიკურად მოგებიანი სქემის შესამუშავებლად კი სასურველია გერანიოლის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს რეპანისა და ვარდის ზეთების ძირითად კომპონენტს. შესაძლებელია სწორედ გერანიოლის საფუძველზე მიღებულ იქნას პოტენციური იუვენოიდი, ასევე საქართველოს მეხილეობის მავნებლის-კალიფორნიის ფარიანას სქესის ფერომონი.

მწერების იუვენალურ ჰორმონებთან ახლომდგომ ანალოგს თავისი ქიმიური აგებულებითა და მოქმედების ხასიათით წარმოადგენს ყველაზე მეტად გავრცელებული ინსექტიციდი - მეტოპრენი. პრეპარატს ახასიათებს მწერების განვითარების ყველა სტადიაზე ბიოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრი. მეტოპრენი მაღალტოქსიკურია მწერების მიმართ და დაბალტოქსიკურია თბილსისხლიანების მიმართ. მწერთა ჰორმონები არ იწვევენ ბიოქიმიურ ურთიერთქმედებას ორგანიზმებს შორის, ისინი ქიმიური რეგულატორები არიან და მოქმედებენ უშუალოდ იმ ორგანიზმში, რომელშიც ხდება მათი წარმოქმნა. მწერების სხეულის გარეგანი მკვრივი საფარველის პერიოდული ცვლა და ახალი საფარველით შეცვლა რეგულირდება ჰორმონ - ენდიზონით. იუვენალური ჰორმონი კი აუცილებელია ყველა მწერის იმაგოს სტადიაში კანის ყოველი ცვლის დროს, რათა ხელი შეეშალოს ახალი მწერის განვითარებას [14].

გარემოსათვის ნაკლებად სახიფათო პრეპარატებიდან ასევე აღსანიშნავია რეპელენტები ანუ დამფრთხობი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მავნე მწერების მიერ მიყენებული ზარალის შემცირებას და ამასთან ერთად ნაკლებად მოქმედებენ ენტომოფაუნაზე. მათი გამოყენება სოფლის მეურნეობის მავნებლების საწინააღმდეგოდ ფართომასშტაბიანია. საქართველოში მცენარეთა დაცვაში რეპელენტები თითქმის არ გამოიყენება, თუმცა მაღალგანვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ასეთი სახის პრეპარატებს გარკვეული ადგილი უკავიათ, განსაკუთრებით ინსექტიციდო-რეპელენტებს. ეს ძირითადად განპირობებულია რეპელენტური პრეპარატების შედარებითი სიძვირით და მათი გამოყენების ზოგიერთი სირთულით. საქართველოში ჩატარებულია კვლევები რეპელენტური თვისებების მქონე ნივთიერებების სინთეზის, ასევე პრეპარატული ფორმების დამზადების მეთოდიკის შემუშავების მიმართულებით. გასულ წლებში პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა ეფექტური პრეპარატები, ასევე შემუშავდა ოპტიმალური სქემები პრეპარატების მცირემასშტაბიანი წარმოებისათვის [6].

დღეისათვის ქიმიური ნივთიერებების ნაცვლად უკვე შეიმუშავებენ ბაქტერიულ, ვირუსულ და სხვა ანალოგიურ პრეპარატებს, რომლებიც როგორც წესი, ეფექტურობით ბევრად ჩამორჩებიან ქიმიურ პრეპარატებს, თუმცა მოქმედებენ მავნებელთა კონკრეტულ ჯგუფზე და უსაფრთხონი არიან სხვა მწერებისა და თბილსისხლიანი ცხოველების, ასევე ადამიანების მიმართ.

ამდენად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და დაავადებების გამომწვევებთან ქიმიური ურთიერთქმედების გამოყენებით ბრძოლის მრავალი გზა არსებობს, თუმცა ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. მრავალწლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების საიმედო დაცვისათვის აუცილებელია ყველა არსებული მეთოდის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება. ამ მოთხოვნებს პირდაპირ პასუხობს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, რომელიც დაცვის ღონისძიებების სისტემათა განვითარების უმაღლეს ეტაპად მიიჩნევა.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Ellis J. R., McCalla T.M. Effects of patulin and method of application on growth stages of wheat, Appl. Microbiol., 25, p. 562-566 (1973);
2. Huang C. Y. Effects of nitrogen fixing activity of blue-green algae on the yield of rice plants, Bot. Bull. Academia Sinica, 19, p. 41-52 (1978);

3. Rice E. L., Huang C. Y. Effects of decaying rice straw on growth and nitrogen fixation of a blue-green alga, *Bot. Bull. Academia Sinica*, 21, p.111-117 (1980);
4. Гар К. А, Методы испытания токсичности и эффективности инсектицидов. Москва, Изд. Колос, 1963, с. 93-97;
5. Райс Э. Природные средства защиты растений от вредителей. М.Мир, 1986, с. 184;
6. Барбье М. Введение в химическую экологию. М., 1978, с.229;
7. Чхуბианишвили Ц. А., Микробиологическая защита растений и продовольственных продуктов от вредителей. Бюллетень, Инф. Центр "Эко XXI век", 2001, Тбилиси, с. 106;
8. Емельянов В.А., Мыттус Э.Р. Половые феромоны насекомых. ЛСХА, 1987, с.40;
9. Possi R., Carpita A., Gaudenzi M. L. –Synthesis from Compounds by Wittig and Related Reactions, 1961, N 5, p. 359-361;
10. Sato F., Suzuki Y., Sato M. A stereo- and region-specific addition of μ^3 -trimethylsilylallyltitanium compound with aldehydes. A facile and stereocontrolled synthesis of E- and Z-terminal dienes. *Tetrahedron Lett.*, 1982, v.23, p. 4589-4592;
11. Becker D., Kimmel T., Cyjon (3Z, 6Z, 9Z)-3,6,9-nonadecatriene – a component of the sex pheromonal system of the *Giant looper, boarmia (Ascotis) selenaria Schiffermuler (Lepidoptera: Geometridae)* *Tetrahedron Lett.*, 1983, v. 24, p. 5505-5508;
12. Касрадзе В.Г, Зайнулин Р.А. Синтез аналогов ювенильных гормонов на основе 3-метил-264-декадиенов. Тезисы докладов конференции молодых ученых, Уфа, 1989, с.24;
13. Маравиева Д.А. Фармакогнозия. Москва, 1991, с. 152-167;
14. Miyaura N., Sugimoto H., Suzuki A. A stereosecific synthesis of conjugated (E,Z)- and (Z,Z)-alkadienes by a palladium-catalyzed cross-coupling reaction of 1-alkenylboranes with 1-alkenylbromides. *Tetrahedron Lett.*, 1981, v.24, p.1041-1044.

POSSIBLE WAYS OF USING INSECTICIDES OF 4-TH GENERATION IN PEST CONTROL

Ketevan Kochiashvili, Natia Barbakadze, Rusudan Tsiskarishvili, Tamar Dgebuadze, Maia Japaridze, Irma Mikadze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

In nature, the relationship between different organisms occurs due to the communication substances, which are various by origin. In the modern world practice more and more attention is paid to less environmentally hazardous preparations: pheromones, juvenoids, repellents, attractants, etc., which can be synthesized based on biologically active substances extracted from natural raw materials.

ВОЗМОЖНЫЕ ПУТИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ИНСЕКТИЦИДОВ 4-ГО ПОКОЛЕНИЯ В БОРЬБЕ С ВРЕДИТЕЛЯМИ

К.Н.Кочиашвили, Н.Г.Барбакадзе, Р.П.Цискаришвили, Т.А.Дгебуадзе, М.З.Джапаридзе, И.И.Микадзе

Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили, Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили

РЕЗЮМЕ

В природе, взаимоотношение между разными организмами происходит за счет коммуникационных веществ, которые разнообразны по происхождению. В современной мировой практике все больше внимания уделяется экологически менее опасным препаратам: феромонам, ювеноидам, репелентам, аттрактантам и др., которых можно синтезировать на основе биологически активных веществ, выделенных из природного сырья.

О ВОЗМОЖНОСТИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ НЕТРАДИЦИОННЫХ УДОБРЕНИЙ НА ОСНОВЕ ПРИРОДНЫХ КОМПОЗИТОВ

М.Г.Зауташвили, Л.Г.Эприкашвили, Т.Н.Кордзахия, Н.В.Пирцхалава, М.А.Дзаганя, И.М.Рубашвили

*Тбилисский государственный университет им. Ив.Джавахишвили
Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили*

На основе бурого угля и природного цеолита (гейландит – клиноптилолитового туфа), модифицированного катионами аммония и калия разработан субстрат, на котором в лабораторных условиях было исследовано его влияние на биометрические показатели произрастания фасоли.

В настоящее время возрастает интерес к применению цеолитовых туфов в народном хозяйстве и во многих сферах деятельности человека. Такой повышенный интерес к цеолитам обусловлен поистине уникальными свойствами этого минерала, который является перспективным материалом для очистки почв от тяжелых металлов, вредных органических и неорганических продуктов.

Цеолитовые туфы повышают коэффициент использования питательных веществ минеральных удобрений, предохраняют их от вымывания, увеличивают всхожесть семян и влажность почвы, снижая её кислотность. Внесение цеолитов повышает урожайность и улучшает качество сельскохозяйственной продукции [1].

В связи с этим во всём мире наблюдается тенденция к созданию субстратов для выращивания с/х растений с минимальным использованием почвы, т.е. к переходу от растениеводства к растениепроизводству. Особое внимание учёных в настоящее время привлечено к созданию субстратов на основе природных цеолитов седиментационного происхождения. Месторождения таких горных пород (цеолитов) широко представлены во всём мире. Значительные месторождения этих минералов имеются и в Грузии, причём с большим разнообразием их видов, а именно: анальцит – клиноптилолит – гейландит – ломонтит – филлипсит – морденитсодержащие горные породы. Грузинские месторождения в своём разнообразии уступают лишь месторождениями США. Следует отметить, что в этих породах, кроме вышеуказанных минералов содержатся микроэлементы, в количестве несколько грамм на тонну, что очень важно при их использовании в растениеводстве.

Цель настоящего исследования, заключается в разработке эффективного субстрата, не содержащего почву. В качестве заменителя почвы были использованы бурые угли Ахалцихского месторождения (Грузия), которые относятся к гумусово-сапропелитовой группе, и принадлежат к классу тощих бурых углей [2]. Они не находят значительного практического применения, но содержат в большом количестве органические вещества в виде гуминовых кислот, которые не растворимы в воде и поэтому не доступны в качестве питательных элементов для растений. Была предпринята попытка использования их в сочетании с природными цеолитами, исходя из предположения, что присутствие этих минералов в субстрате, будет содействовать переводу органических веществ, содержащихся в бурых углях в водорастворимые формы.

Исходными материалами для приготовления субстратов служили природный цеолит седиментационного происхождения (клиноптилолит), почва и бурые угли.

Природный цеолит – гейландит – клиноптилолитовый туф месторождения Тедзами, участок Хандаки (Грузия). Содержание основного минерала, в этой горной породе колеблется в пределах 70-80%, в катионном составе превалирует кальций [3].

Перспективность и целесообразность использования этих минералов (цеолитов) для выращивания с/х растений заключается в их хорошо выраженной катионообменной способности – катионы цеолитов легко могут обмениваться на другие катионы без нарушения структуры цеолита (клиноптилолит). Особенно они избирательны к катионам аммония (NH_4^+) и калия (K^+), основных питательных элементов растения, т.е. способны поддерживать оптимальный питательный рацион растений. В зависимости от вида цеолита катионная обменная ёмкость (КОЕ) отличается друг от друга в разы [4].

Модификация цеолита катионами аммония и калия, осуществлялась многократной обработкой исходного природного гейландит-клиноптилолитсодержащего туфа, 0,1н растворами NH_4Cl и KCl соответственно. В качестве второго компонента субстрата использовался бурый уголь.

В эксперименте использовался лугово-коричневый тип почвы, со слабощелочной реакцией водного раствора (рН=7.3-7.9). Почва характеризуется низким содержанием гумуса от 1.93 до 2.90%, по гранулометрическому составу относится к тяжёлым суглинкам.

Эксперимент осуществлялся в вегетационных сосудах, в трёх вариантах, каждый в трёх повторностях. Для испытания плодородия субстратов в качестве тестового растения по сравнению предыдущими работами [5,6] использовалась - фасоль. Начало эксперимента, март 2012 года, продолжительность эксперимента – три месяца.

В первом варианте – в качестве эталона использовалась почва (объект сравнения). Во втором варианте субстрат изготовлялся смешением тонкоизмельчённых (до зернения <1мм) следующих компонентов: 25% цеолита, модифицированного катионами аммония, 25% цеолита, модифицированного катионами калия и 50% почвы. Третий вариант – основной, подобен второму варианту, но вместо почвы использован бурый уголь – 50%.

Были определены следующие показатели: энергия прорастания (ЭП), относительная величина энергии прорастания (ОВЭП), всхожесть (В), относительная величина всхожести (ОВВ), а также такие биометрические показатели как: высота ростков (ВР) и относительная величина высоты ростков (ОВВР). Энергию прорастания определяли через семь дней после посева, а всхожесть на четырнадцатый день.

Анализ данных приведенных в таблице свидетельствуют о том, что добавка цеолитов к почве положительно сказывается на показателях прорастания и всхожести семян фасоли. Наибольшее возрастание энергии прорастания и всхожести имеет место при использовании цеолитов модифицированных катионами аммония и калия и бурого угля.

Таблица 1. Воздействие субстрата на всхожесть семян и высоту ростков фасоли.

Тип субстрата	Э.П.	О.В.Э.П.	В.	О.В.В.	В.Р. (см)	О.В.В.Р.
1) Почва (контроль)	86	-	90	-	49.0	-
2) цеолит-почва	93	0.07	96	0.06	55.6	0.12
3) цеолит-бурый уголь	99	0.06	100	0.04	59.0	0.06

Высокая биопродуктивность растений, выращенных на субстрате, состоящем из цеолита и бурого угля, по сравнению с биопродуктивностью в первом и втором вариантах, предположительно, может быть объяснена следующим образом. Работами, выполненными в 70-х годах прошлого столетия, было показано, что катионы, входящие в состав цеолитов, обладают способностью входить реакцию ионного обмена не только в водных растворах, но и в твёрдом состоянии, хотя реакция обмена в этом случае более замедлена [7]. В связи с этим, в субстратах возможен следующий механизм ионного обмена, когда катионы NH_4^+ и K^+ из цеолита вступают в реакции обмена с гуминовыми и фульвокислотами, образуя соответствующие соли растворимые в водной среде. В таком состоянии, эти образовавшиеся органические вещества могут способствовать гумификации субстрата, а также их усваиваемости растениями. С другой стороны, высокую биопродуктивность этого субстрата, предположительно, можно связать с образованием благоприятного микробного пейзажа для роста и развития растения, который имеет место в системе цеолит-органика [8].

Таким образом, разработанный органо-цеолитный субстрат на основе гейландит-клиноптилолитового туфа, модифицированного катионами аммония и калия и бурого угля, характеризуется высокой биопродуктивностью выращенных на нём растений и возможностью их длительного использования в растениеводстве.



Прорастание фасоли на различных субстратах:
1) Почва (контроль); 3) цеолит-почва; 4) цеолит-бурый уголь

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Химия и жизнь –XXI век. Ежемесячный научно- популярный журнал. М. 1997. стр. 61.
2. Mineral resources of Georgian GSSR, Tbilisi, 1938, p.1001-1050.
3. N.I. Skhirtladze, Sedimentary zeolites of Georgia, Tbilisi University press, 1991, 143p.
4. Tsitsishvili G.V., Andronikashvili T.G., Kirov G.N., Filizova, Natural Zeolites // Ellis Horwood Limited, England, 1992, 295 p.
5. T.G. Andronikashvili, T.N. Kordzakhia, M.G. Zautashvili, M.A. Dzagania. Annals of Agrarian Science, 2009, v.7, #1, p.16-18.
6. Andronikashvili T., Zautashvili M., Eprikashvili L., Pirtskhalava N., Dzagania M. New substrate of prolonging action on the basis of natural zeolite and brown coal for growing of agricultural crops. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2011, v.5, #2, p.101-106.
7. G.V. Tsitsishvili, K.E. Avaliani, M.G. Adolashvili (1968) The method of preparation of ion-exchanges form of zeolites, Patent USSR, #223784.
8. T.G. Andronikashvili, M.A. Kardava, M.K. Gamisonia (1997) Natural Zeolites - Sofia'95, Pensoft Sofia-Moscow, 111-112.

ბუნებრივი კომპოზიტების საფუძველზე მომზადებული ახალი არატრადიციული სასუქის გამოყენების შესაძლებლობა

მარინე ზაუტაშვილი, ლუბა ეპრიკაშვილი, თეიმურაზ კორძახია, ნინო ფირცხალავა, მაია ძაგანია, იმედა რუბაშვილი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
რეზიუმე

ლაბორატორიულ პირობებში ამონიუმისა და კალიუმის კათიონებით მოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლითისა (ჰეილანდიტი-კლინოპტილოლითის ტუფი) და მურა ნახშირის საფუძველზე მომზადებულ სუბსტრატზე, გამოკვლეული იყო ლობიოს აღმოცენების ბიომეტრიული მაჩვენებლები.

THE POSSIBILITY OF USING NON-TRADITIONAL FERTILIZERS ON BASIS OF NATURAL COMPOSITES

Marine Zautashvili, Luba Eprikashvili, Teimuraz Kordzakhia, Nino Pirtskhalava, Maia Dzagania, Imeda Rubashvili

*I.Javakhishvili Tbilisi State University
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

SUMMARY

On the basis of natural zeolite (heulandite – clinoptilolite-containing tuff) modified by ammonium and potassium cations and brown coal a substrate on which was investigated its effects on bean growing biometrics.

კონსტრუქციული ფოლადების კოროზიული ძვევის პროგნოზირება

ეთერ გოზალიშვილი, ნოდარ ლუარსაბიშვილი, მანანა მიქაბერიძე, დალი რამაზაშვილი, ლია ახვლედიანი

ფერდინანდ თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

შესწავლილია კონსტრუქციული ფოლადების კოროზია სრული ფაქტორული ექსპერიმენტის 2^2 დაგეგმვის მატრიცის მიხედვით შედგენილ მოდელურ ხსნარებში, რომლებიც მოიცავდა აგრესიული გრუნტის გამონაწვლილის და შავი ზღვის წყლის შესაბამის შედგენილობებს. განსაზღვრული იყო მათი საერთო კოროზიის სიჩქარეები და ზოგიერთი მათგანის მიდრეკილება ლოკალური კოროზიისადმი. მიუხედავად სტრუქტურული განსხვავებებისა, შესწავლილი ფოლადები ბუნებრივ არეში მიეკუთვნებიან კოროზიამდე ფოლადებს, კოროზიის სიჩქარით $<0,1$ მმ/წელი და მათი გამოყენება სრულიად შესაძლებელია ბუნებრივ პირობებში ექსპლუატირებულ ლითონურ კონსტრუქციებში.


გაზრდილი მექანიკური და კოროზიული მოთხოვნების გათვალისწინებით, არსებული და ინსტიტუტში შექმნილი ახალი ფოლადების გამოყენების არეალის გაფართოებისთვის აუცილებელია მათი კოროზიული თვისებების შეფასება.

შესწავლილი იყო კონსტრუქციული 30XHMA, 35XHMA, 38XH3MA და ინსტიტუტში შემუშავებული ეკონომიურადლეგირებული 20XГ2P ფოლადების კოროზია ბუნებრივი პირობების არეში ექსპლუატაციის მიზნით. კოროზიული კვლევები ჩატარებული იყო სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული ფოლადებიდან შედარებით მეტი მალეგირებული ელემენტების შემცველი 20XГ2P და 38XH3MA ფოლადების კოროზიის ლოკალური სახეებისადმი მიდრეკილების პროგნოზირება მოვახდინეთ დაჩქარებული პოტენციოდინამიკური ციკლური სკანირების მეთოდით [1,2]. საერთო კოროზიის სიჩქარეების დასადგენად გამოვიყენეთ ტაფელის ექსტრაპოლაციური მეთოდი [3] და დენის სიმკვრივების მიღებული მნიშვნელობების კოროზიის სიჩქარეზე გადათვლის სპეციალური პროგრამა "CORCALC"[4]. ხსნარები შედგენილი იყო სრული ფაქტორული ექსპერიმენტის 2^2 დაგეგმვის მატრიცის მიხედვით [5], სადაც ფაქტორთა ზედა და ქვედა დონე შეესაბამებოდა აგრესიული გრუნტის გამონაწვლილის [6] და შავი ზღვის წყლის [7] იონურ შედგენილობას. პოტენციალები მოცემულია ქლორ-ვერცხლის შედარების ელექტროდის მიმართ. ხსნარების დასამზადებლად გამოყენებული იყო K_2SO_4 -ის და $NaCl$ -ის ქიმიურად სუფთა რეაქტივები და დისტილირებული წყალი. თითოეულ პოზიციაზე ჩატარებული იყო სამი პარალელური ცდა ოთახის ტემპერატურაზე. დაგეგმვის მატრიცა და ხსნარების იონური შედგენილობა წარმოდგენილია ცხრ. 1-ში. შედარების მიზნით აღნიშნულ ფოლადებთან ერთად გამოცდილი იყო აგრეთვე დაბალნახშირბადიანი ფოლადი 3 (ფლ.3).

ცხრილი 1. დაგეგმვის მატრიცა 2^2 , ფაქტორების დონეები, მათი ცვლილების ინტერვალი და ხსნარების შედგენილობა

ფაქტორთა დონეები და ვარიანტების ინტერვალი		ხსნარის შედგენილობა ფაქტორების დონის მიხედვით, M			
		SO_4^{2-} (X_1)	Cl^- (X_2)		
ზედა დონე		0,286	0,271		
ქვედა დონე		0,111	0,027		
ნულოვანი დონე		0,198	0,192		
ვარიანტების ინტერვალი		0,088	0,122		
№	ხსნარის შედგენილობა, M		დაგეგმვის მატრიცა		
	SO_4^{2-}	Cl^-	X_0	X_1	X_2
1	0,111	0,027	+1	-1	-1
2	0,111	0,271	+1	-1	+1
3	0,286	0,027	+1	+1	-1
4	0,286	0,271	+1	+1	+1

ზოგადად, დაბალლევირებული ფოლადები არ არიან მიდრეკილი კოროზიის ლოკალური სახეებისადმი [1]. ლოკალური კოროზიის შესაძლებლობა შემოწმებული იქნა 38XH3MΦA და 20XГ2P ფოლადებისთვის №2 ხსნარში (ნახ.1). ლოკალური კოროზიის პარამეტრების (კოროზიის, რეპასივაციის, პიტინგის წარმოქმნის, ანოდურიდან კათოდური მიმართულებით გადასვლის პოტენციალების მნიშვნელობები, პისტერეზისის და პასივაციის დენის არ არსებობა) მიხედვით ასეთი კოროზიის საშიშროება ამ ფოლადებისთვის ქლორის იონების მაღალი შემცველობის ხსნარშიც კი არ არსებობს. მათთვის დამახასიათებელია თანაბარზომიერი კოროზია.



ნახ. 1. 38XH3MΦA (ა) და 20XГ2P (ბ) ფოლადების ციკლური სკანირების მრუდები №2 ხსნარში გადაღებული პირდაპირი (—) და უკუსვლით (- - -)

კოროზიის სიჩქარეების ექსპერიმენტული მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრ.2-ში. თითოეული ფოლადისთვის პარალელური ცდების დისპერსიების ერთგვაროვნებამ ოთხივე დონეზე კოხრენის კრიტერიუმის მიხედვით მოგვცა საშუალება დაგვედგინა ცდის ცდომილება და შეგვედგინა რეგრესიის საწყისი ხაზოვანი განტოლებები. კოეფიციენტების ნიშნადობის შემოწმების შემდეგ სტიუდენტის კრიტერიუმის მიხედვით (5%-იანი ნდობის ინტერვალის და $F=8$ თავისუფლების ხარისხისთვის) ყველა ფოლადისთვის, ქლორ- და სულფატიონების კონცენტრაციების შესწავლილ ზღვრებში ნიშნადი აღმოჩნდა თავისუფალი წევრი და ქლორის იონების კონცენტრაცია. რეგრესიის საწყისი და საბოლოო განტოლებები ფიშერის კრიტერიუმით აღეკვებურობის შეფასების შემდეგ წარმოდგენილია ცხრ.3-ში.

რეგრესიის საბოლოო განტოლებების კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქლორ-იონების კონცენტრაციის გავლენა შედარებით უფრო მნიშვნელოვანია 20XГ2P, 30XHMA, 38XH3MΦA ფოლადების კოროზიის სიჩქარეზე. ფლ.3 და 30XHMA ფოლადებისთვის ქლორ-იონების კონცენტრაციის გაზრდა განაპირობებს კოროზიის სიჩქარის ზრდას, ხოლო დანარჩენი ფოლადებისთვის - შემცირებას. ასეთივე არაცალსახა დამოკიდებულებაა დადგენილი ქლორ-იონების კონცენტრაციასა და კოროზიის სიჩქარეს შორის 20XГ2P ფოლადისთვის საქართველოს ბუნებრივი მტკნარი წყლის არეებში ქლორ-იონების გაცილებით ნაკლები შემცველობის ($<2E-04 M$) ხსნარებში [8].

შესწავლილი ფოლადები მიეკუთვნება ნახშირბადიან ფოლადებს ქრომის 1%-მდე შემცველობით. დაბალნახშირბადიანი ფლ.3-ის სტრუქტურა წარმოადგენს წვრილმარცვლოვან ფერიტს პერლიტის კრისტალთშორისი განლაგებით, სადაც ის წარმოქმნის ერთგვარ ბადეს სხვადასხვა მიმართულებით ორიენტირებული კრისტალებით, რაც განაპირობებს მიკროსტრუქტურის არაერთგვაროვნებას.

20XГ2P ფოლადის სტრუქტურა, გაცივების სიჩქარეზე დამოკიდებულების მიხედვით, შესაძლებელია იყოს როგორც ფერიტულ-პერლიტური, სადაც პერლიტს აქვს ფირფიტოვანი მორფოლოგია, ხოლო ფერიტი რეკრისტალიზებულია დისლოკაციების ძალიან დაბალი სიმკვრივით, ასევე ბენიტური, რომელიც შედგება დისლოკაციის დიდი სიმკვრივის მქონე ფერიტისა და მარტენსიტის კუნძულოვანი უბნებისგან. სტრუქტურის გავლენა ამ ფოლადის კოროზიის სიჩქარეზე ($\sim 0,1$ მმ/წელი) ბუნებრივი მტკნარი წყლის არეებში ძალიან მცირეა და არ აღემატება 2-3%-ს [8].

ცხრილი 2. ფოლადების კოროზიის დენის სიმკვრივის (i , ა/სმ²) ექსპერიმენტული მნიშვნელობები


ფოლადი	სსნარი, №	i_1	i_2	i_3	$i_{საშ}$
30XHMA	1	2,37E-06	2,25E-06	3,76E-06	2,79E-06
	2	5,62E-06	4,27E-06	5,01E-06	4,97E-06
	3	4,17E-06	1,78E-06	5,96E-06	3,97E-06
	4	5,31E-06	7,94E-06	4,73E-06	5,99E-06
35XHMF	1	1,66E-06	2,11E-06	2,82E-06	2,20E-06
	2	2,37E-06	2,24E-06	2,51E-06	2,37E-06
	3	3,16E-06	2,24E-06	2,54E-06	2,65E-06
	4	2,51E-06	1,58E-06	2,24E-06	2,11E-06
38XH3MF	1	7,16E-06	8,41E-06	8,04E-06	7,87E-06
	2	8,41E-06	3,76E-06	7,08E-06	6,42E-06
	3	1,06E-05	1,12E-05	9,40E-06	1,04E-05
	4	3,13E-06	1,12 E-05	6,35E-06	4,74E-06
20XГ2P	1	5,62E-06	5,01E-06	2,51E-06	4,38E-06
	2	6,31E-06	4,47E-06	2,66E-06	4,48E-06
	3	6,31E-06	5,62E-06	8,91E-06	6,95E-06
	4	4,22E-06	7,94E-06	3,76E-06	3,99E-06
ფლ.3	1	2,51E-06	2,37E-06	3,35E-06	2,74E-06
	2	4,27E-06	2,37E-06	5,62E-06	2,74E-06
	3	2,66E-06	2,40E-06	3,16E-06	2,74E-06
	4	3,16E-06	3,35E-06	5,96E-06	4,16E-06

ცხრილი 3. ფოლადების რეგრესიის განტოლებები და მათი საშუალებით გამოთვლილი კოროზიის სიჩქარეები

ფოლადი	რეგრესიის საწყისი განტოლება	რეგრესიის საბოლოო განტოლება	კოროზიის სიჩქარეები	
			ა/სმ ²	მმ/წელი
ფლ.3	$y=3,82E-06-9,40E-07X_1+1,08E-06X_2$	$y=3,82E-06+1,08E-06X_2$	4,90E-06	0,04
20XГ2P	$y=4,95E-06+1,30E-07X_1-7,14E-07X_2$	$y=4,95E-06-7,14E-07X_2$	4,24E-06	0,05
30XHMA	$y=4,43E-06+5,51E-07X_1+1,05E-06X_2$	$y=4,43E-06+1,05E-06X_2$	5,48E-06	0,05
35XHMF	$y=2,33E-06+4,67E-08X_1-9,00E-08X_2$	$y=2,33E-06-9,00E-08X_2$	2,24E-06	0,03
38XH3MF	$y=7,36E-06+2,13E-07X_1-1,78E-06X_2$	$y=7,36E-06-1,78E-06X_2$	5,58E-06	0,09

კონსტრუქციული 30XHMA ფოლადი მიეკუთვნება საშუალო ნახშირბადიან ფოლადებს. დაბალნახშირბადიანი ფოლადებისგან განსხვავებით ნახშირბადის შემცველობის ზრდა იწვევს ფოლადის სტრუქტურაში პერლიტური ფაზის შემცველობის ზრდას. ამ ფოლადებში ფერიტის წარმოქმნა ხდება აუსტენიტის საზღვარზე და არალითონური ჩანართებზე [9].


30XHMA ტიპის ფოლადის გადაცივებული აუსტენიტის დაშლის თერმოკინეტიკური დიაგრამა წარმოდგენილია ნახ. 2-ზე, საიდანაც ჩანს, რომ გადაცივებულ აუსტენიტს გააჩნია სტაბილურობა 500-670⁰C ინტერვალში. ხოლო მაღალტემპერატურულმა პლასტიკურმა დეფორმაციამ დააჩქარა აუსტენიტის დაშლა და გამოიწვია ფერიტის გამოყოფა გაცივების უფრო დიდი სიჩქარეებისას. ამასთან, შემცირდა ბენიტური გარდაქმნის ტემპერატურული ინტერვალი. ამგვარი გავლენა ძლიერდება დეფორმაციის ტემპერატურის შემცირებით. დიაგრამაზე პუნქტებით აღნიშნულია არეები, სადაც მიმდინარეობს 800⁰C-ზე 40%-ით დეფორმირებული აუსტენიტის დაშლა. დეფორმაციის გავლენით კინეტიკის ასეთი ცვლილების უარყოფითი მოქმედება სიმტკიცის მასასიათებლებზე გვიჩვენებს, რომ 0,1 ÷ 10 გრად/წმ სიჩქარით გაცივებისას მიიღება ფაზებს შორის დაძაბულობის მქონე ფერიტ-პერლიტ-ბენიტური ან ბენიტურ-მარტენსიტული სტრუქტურები.



ნახ. 2. ფოლად 30XHMA-ს გადაცივებული აუსტენიტის დაშლის თერმოკინეტიკური დიაგრამა

35XHMF ფოლადი დამატებით ლეგირებულია ვანადიუმით. ამ ფოლადებში ქრომი, მოლიბდენი და მანგანუმი თრგუნავენ პოლიგონალური ფერიტ-პერლიტის და ნემსისებური ფერიტის წარმოქმნას და ხელს უწყობენ ბეინიტური სტრუქტურის ფორმირებას [10]; ამასთანავე ცნობილია, რომ ქრომის 1%-მდე შემცველობა ზრდის კოროზიამდეგობას და ქლორ-იონების შემცველ ხსნარებში ახდენს ზედაპირის ქრომით პასივირებას [11]. 38XH3MF ფოლადში ნიკელის შემცველობა მომატებულია. ვინაიდან იგი მარტენსიტული კლასისაა (ნახ. 3), ამიტომ კონსტრუქციებში ის გამოიყენება თერმული დამუშავების, წრთობა-მოშვების შემდეგ. ასეთ მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი კოროზიის სიჩქარე რამდენადმე მომატებულია, მისი კოროზიამდეგობა დაბალნიკელიანი ფოლადების რიგისაა.

მიღებული შედეგების მიხედვით შესწავლილი ფოლადების კოროზიის სიჩქარეების მნიშვნელობათა სიახლოვე განპირობებულია მათი სტრუქტურების მსგავსებით. ბუნებრივი პირობების შესაბამის არეებში განსხვავებული კოროზიის სიჩქარეების მიუხედავად, მათი მნიშვნელობა რჩება დაბალი - < 0,1 მმ/წელი, რაც შეესაბამება კოროზიამდეგ ფოლადებს [12].



ნახ. 3. ფოლად 38XH3MF-ს გადაცივებული აუსტენიტის დაშლის თერმოკინეტიკური დიაგრამა

კონსტრუქციული 30XHMA, 35XHMF, 38XH3MF და ინსტიტუტში შემუშავებული ეკონომიურადლეგირებული 20XГ2P ფოლადები, მიუხედავად სტრუქტურული განსხვავებებისა თერმული დამუშავების შემდეგ, ბუნებრივ არეებში მიეკუთვნებიან კოროზიამდეგ ფოლადებს და კოროზიის

სინქარების გათვალისწინებით მათი გამოყენება შესაძლებელია ბუნებრივ პირობებში ექსპლოატირებულ ლითონურ კონსტრუქციებში.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Ullig's Corrosion Handbook. Practical Corrosion Prediction Using Electrochemical Techniques. Second Ed., 2000.
2. D.C.Silverman. Corrosion, Vol. 64, No. 8, 2008, p. 627-640.
<http://www.argentumsolutions.com/publications/CorrHndbkch68.pdf>
3. Г.Кеше. Коррозия металлов, М., «Металлургия», 1984, 399 стр.
4. Argentum Solutions, Inc. Sterling guidance on corrosion and materials degradation. [www. argentumsolutions.com](http://www.argentumsolutions.com)
5. NIST/SEMATECH e-Handbook of Statistical Methods. www.itl.nist.gov/div898/handbook
6. P.Lambert. Corrosion Protection Association. Steel Reinforced Concrete – Corrosion of the Reinforcing Steel. Monograph. 1. 2002.
7. შ.სიღამონიძე, გ.სუპატაშვილი, ს.ადამია. ქიმიის მოკლე ცნობარი. გამომც. “განათლება”, 1976, გვ. 161.
8. ლ. ახვლედიანი, ე. გოზალიშვილი, ნ. ლუარსაბიშვილი, მ. მიქაბერიძე, დ. რამაზაშვილი. 20XГ2P ფოლადის კათოდური დაცვის ოპტიმალური პოტენციალები საქართველოს ძირითად ბუნებრივ მტკნარ წყლებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია, ტ.36, №1, 2010, გვ. 99-103.
9. F.Ishikawa, T.Takahashi, T.Ochi. Intergranular Ferrite Nucleation in Medium-Carbon-Vanadium steels. Metallurgical and Materials Transactions A.V.25A, 1994, p.929-935.
10. N.Radovich, A. Koprivica, D. Glisichi, A. Fadel, D. Drobnjak. Influence of Cr, Mn and Mo on Structure and Properties of V Microalloyed Medium Carbon Forging Steels. MJoM, Vol 16(1), 2010, p.1-9.
11. C. Bosch and R.K. Poepperling. Influence of Chromium Contents of 0.5 to 1.0% on the Corrosion Behavior of Low Alloy Steel for Large Diameter Pipes in CO₂ Containing Aqueous Media. Conference Paper. CORROSION 2003, March, 2003, San Diego Ca. NACE International.
12. www.allstuktur.ru/materials-metal-12.html

PREDICTION OF CORROSION BEHAVIOR OF STRUCTURAL STEELS

E.Gozalishvili, H.Luarsabishvili, M.Mikaberidze, D.Ramazashvili, L.Akhvlediani

Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science

SUMMARY

The corrosion of structural steels was studied in the modal solutions corresponding to the planning matrix 2² including the ionic composition of an extract of an aggressive soil and seawater. The effect of the ionic composition of the solutions on the general corrosion rate of the steels and the disposition to local types of corrosion of some of them were determined. Despite the difference in structure of the steels they belong to the corrosion resistant steels with the general corrosion rate <0.1 mm/year and their use is possible as the metal constructions operated in the natural conditions.

ПРОГНОЗИРОВАНИЕ КОРРОЗИОННОГО ПОВЕДЕНИЯ КОНСТРУКЦИОННЫХ СТАЛЕЙ

Э.И.Гозалишвили, Н.Н.Луарсабишвили, М.П.Микаберидзе, Д.Р.Рамазашвили, Л.А.Ахвледiani

Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н.Тавадзе

РЕЗЮМЕ

Изучена коррозия конструкционных сталей в модельных растворах, соответствующих матрице планирования 2², включающей ионный состав вытяжки агрессивного грунта и морской воды. Определены влияние ионного состава среды на общую скорость коррозии этих сталей и склонность к локальным видам коррозии некоторых из них. Несмотря на различие в структуре, изученные стали принадлежат к коррозионностойким сталям с общей скоростью коррозии <0,1 мм/год и их применение вполне возможно в качестве металлических конструкций, эксплуатируемых в природных условиях.

ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადაშენების ნარჩენებიდან ოქროს ამოღება თიოკარბამიდული მეთოდით

რუსუდან ჩაგელიშვილი, ვახტანგ გაფრინდაშვილი, ცისანა გაგნიძე, ჯონდო ბაღდავაძე*, ალექსანდრე კანდელაკი*, მარინე ავალიანი, ლიანა წყალობაძე

*იჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რავლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
ფერდინანდ თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

დადგენილია ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადაშენების ნარჩენებიდან ოქროს ამოსაღებად თიოკარბამიდული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა. ექსპერიმენტულად შესწავლილია ნარჩენების თიოკარბამიდული გამოტუტვის პროცესზე ძირითადი ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა და დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები: ხსნარის შემადგენლობა – $\text{ThiO} - 0,5\%$; $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3 - 0,8\%$; $\text{H}_2\text{SO}_4 - 0,8\%$. გამოტუტვის რეჟიმი: ხანგრძლივობა – 4სთ; მყარი:თხევადი (მყ:თხ) = 1:3; სარეველას ბრუნვის სიჩქარე – 200ბრ/წთ; $t - 18 \div 25^\circ\text{C}$. ამ პირობებში ოქროს ამოღების ხარისხი $82 \div 87\%$ -ს. შემოთავაზებულია ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადაშენების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების უწყვეტი ტექნოლოგიური სქემა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგენილია ზემო რაჭის ზოფხითოს ანთიმონის საბადოს სამრეწველო მნიშვნელობა. ანთიმონის გარდა მადანი შეიცავს დარიშხანს, ოქროს და ვერცხლს, რაც მადნის ათვისების ინტერესს აძლიერებს.

ჩატარებულია კვლევები ზიფხითოს მადნიდან ანთიმონის ამოღების ტექნოლოგიის დასადგენად. კვლევის გათვალისწინებით შემოთავაზებულია მადნიდან ანთიმონის ამოღების ჰიდროელექტრომეტალურ-გიული მეთოდი [1]. მიუხედავად ტექნოლოგიის დადებითი შეფასებისა, არ ჩატარებულა კვლევები დარიშხანის, ოქროს და ვერცხლის ამოსაღებად და საბოლოოდ არ არის დადგენილი ანთიმონის მადნის გადაშენების კომპლექსური რაციონალური ტექნოლოგია.

მეტალურგიის ინსტიტუტში შესრულებულია კვლევები [2], რომლის მიხედვით ზოფხითოს ანთიმონის მადნიდან (კონცენტრატებიდან) ხდება ანთიმონის აორთქლება სულფიდის სახით $600-700^\circ\text{C}$ ტემპერატურაზე ვაკუუმში, რომლის დროსაც ანთიმონთან ერთად მიმდინარეობს დარიშხანის სულფიდის აორთქლებაც. მათი დაცილების შემდეგ ანთიმონი მიიღება სასაქონლო ანთიმონის სულფიდის (კრუდუმი) და მეტალური ანთიმონის სახით. მადნიდან მათი ამოღების შემდეგ ნარჩენში რჩება ოქრო და ვერცხლი.


ოქროს და ვერცხლის ალტერნატიული გამხსნელებიდან ტექნოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანად ეკოლოგიის და ეკონომიკის მოთხოვნილების თანამედროვე ეტაპზე მიიჩნევა ქიმიური მეთოდი-თიოკარბამიდის (თიოშარდოვანა) გამოყენებით[3], რადგანაც ეს მეთოდი ოქროს სხვა გამხსნელებზე მეტად პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს: ნაკლები ტოქსიკურობა გავრცელებულ ციანიდურ მეთოდთან შედარებით, კინეტიკური აქტივობა, კეთილშობილი ლითონებისადმი გამორჩეული სწრაფვა, სათანადო ფასი და საწარმოო მასშტაბით მისი მიღების შესაძლებლობა.

თიოკარბამიდული გამოტუტვის ფიზიკურ-ქიმიური პროცესის დასადგენად ჩატარებულია გამოკვლევები [4-6], დამუშავებულია ოქროსა და ვერცხლის საბადოების ჰიდრომეტალურ-გიული გადაშენების ტექნოლოგია, შესრულებულია სხვადასხვა შედგენილობის მადნების და კონცენტრატების გადასამუშავებლად თიოკარბამიდული მეთოდის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიური შეფასება და რეკომენდირებულია ამ გამხსნელის გამოყენება საწარმოო მასშტაბით ოქროსა და ვერცხლის მადნების გადასამუშავებლად [7]. განსზღვრულია, რომ თიოკარბამიდულმა ტექნოლოგიამ შეიძლება უზრუნველყოს ციანიდებსა და შედარებით უფრო მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური ეფექტი უპირველეს ყოვლისა იმ კომპლექსური მადნებისა და კონცენტრატებისთვის, რომლებიც ერთდროულად შეიცავენ ოქროს, ვერცხლს და სტიბიუმს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსნარებიდან ოქროსა და ვერცხლის გამოყოფის შემდეგ შესაძლებელია თიოკარბამიდული ხსნარების რეგენერაცია და მათი ხელმეორედ მრავალჯერ გამოყენება. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია და ეკონომიურად დასაბუთებულია თიოკარბამიდული გამოტუტვის საფუძველზე გაუმდინარე ჰიდრომეტალურ-გიული ტექნოლოგიის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

კარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების პროცესებისთვის ძირითად რეაგენტს წარმოადგენს თიოშარლოვანა(ThiO) – CS(NH₂)₂.

მდნებიდან ოქროს და ვერცხლის გასასხნელად გამოყენებულია თიოშარლოვანას მჟავა ხსნარები, რომლებშიც დამჟანგველად შეტანილია სამვალენტის რკინის სულფატი.

მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული კვლევებით [3] დადგენილია, რომ ოქროს გასხნის მექანიზმი თიოშარლოვანას მჟავა ხსნარებით დამჟანგველის თანაობისას შესაძლებელია მიმდინარეობდეს შემდეგი რეაქციით:



სადაც, n 4-ის ტოლი უნდა იყოს. ოქროს თიოკარბამიდული გამოტუტვა ტარდება ოთახის ტემპერატურაზე თიოკარბამიდის თერმოქიმიური დაშლის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად. იგივე მექანიზმით მიმდინარეობს ვერცხლის გასხნის პროცესი თიოშარლოვანას ხსნარებით.

ზოფხითოს ანთიმონის ოქროშემცველი მდნებიდან და ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების შესაძლებლობის დასადგენად ჩატარდა ექსპერიმენტები შემდეგი შემადგენლობის თიოშარლოვანას ხსნარების გამოყენებით: CS(NH₂)₂ -2%; Fe₂(SO₄)₃ -1%; H₂SO₄-1%. ხსნარის შედგენილობა დადგენილი იყო ჩვენს მიერ ადრე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა მდნეულის ოქროშემცველი მდნებიდან და მათი გამდიდრების ნარჩენებიდან ოქროს და ვერცხლის ამოღებას თიოკარბამიდული მეთოდით [8-11].

დაფქვის გარეშე აღნიშნული ნარჩენის ქიმიური გამოტუტვის შედეგად ოქროს ამოღების ხარისხმა შეადგინა 66,5-67,0%. სხვადასხვა დაწვრილმანების ხარისხის მქონე ნარჩენებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ ოქროს ამოღების ხარისხმა მსხვილ ფრაქციაზე (+0,4) შეადგინა 70,7% ხოლო წვრილ ფრაქციაზე (-0,4) – 81,2%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მდნის ქიმიური გამოტუტვის წინ სასურველია მდნის დაწვრილმანების ხარისხის გაზრდა.

ნარჩენის თიოკარბამიდული მეთოდით გამოტუტვამდე წინასწარ გოგირდმჟავით გამოტუტვამაც არ იქონია გავლენა ოქროს ამოღების ხარისხზე და შეადგინა 70%.

საკვლევად აღებული იყო ზოფხითოს ანთიმონის ოქროშემცველი მდნის კონცენტრატის ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენის ნიმუშები (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ზოფხითოს ანთიმონის ოქროშემცველი მდნის კონცენტრატის შედგენილობა ვაკუუმ-თერმული დამუშავების შემდეგ

Au, გ/ტ	Ag, გ/ტ	Sb, %	Fe, %	Cu, %	As, %	Si, %	Pb, %	Ni, %
5,5	12,0	1,0	2-5	0,02	0,7	64-70	0,1	0,1

ნარჩენებიდან ოქროს ამოღების ხარისხის გაზრდის მიზნით შესწავლილია პროცესის ძირითადი ფაქტორების გავლენა გამოტუტვის ხარისხზე. თავდაპირველად თიოშარლოვანას ხსნარის შედგენილობაში იცვლებოდა ThiO-ს კონცენტრაცია 0,5–2%-ის ფარგლებში. ექსპერიმენტების შედეგები მოცემულია ცხრილში 2. ცხრილიდან ჩანს, რომ უკეთესი შედეგი მიღწეულია, როცა ხსნარში თიოშარლოვანას კონცენტრაცია შეადგენს 0,5%-ს.

ცხრილი 2. თიოშარლოვანას ხსნარის კონცენტრაციის გავლენა ნარჩენიდან ოქროს ამოღების ხარისხზე თიოშარლოვანას ხსნარში: Fe₂(SO₄)₃ – 1%; H₂SO₄ – 1%
გამოტუტვის პირობები: წონაკი – 20გ; ხანგრძლივობა – 4სთ;
სარეველას ბრუნვის სიჩქარე – 200ბრ/წთ; მკ:თხ=1:5

ცდის №	ThiO-ს კონც.ხსნარში, %	გამოტუტვის შემდეგ ნალექის რაოდენობა, გ	ოქროს შემცველობა, გ/ტ	გამოტუტვის ხარისხი, %
1	0,5	19,15	1,11	80,68
2	1,0	19,05	3,33	42,33
3	1,5	19,105	2,22	61,45
4	2,0	18,99	4,44	23,34

ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში გამომომტუტავ სხნარში იცვლებოდა რკინის სულფატის კონცენტრაცია 0,3-1,0%-ის ფარგლებში. ცხრილში 3 მოტანილი შედეგებიდან ჩანს, რომ $Fe_2(SO_4)_3$ -ის კონცენტრაციის გაზრდით 0,3%-იდან 0,8%- მდე ოქროს ამოღების

ხარისხი გაიზარდა 32,4%-იდან 84,23%-მდე. რკინის სულფატის 1%-იანი სხნარის შემთხვევაში დაახლოებით იგივე შედეგია მიღებული. ამიტომ ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში ოპტიმალურად მივიჩნიეთ სხნარში 0,8% რკინის სულფატის შეტანა.

ცხრილი 3. თიოშარლოვანას სხნარში რკინის სულფატის კონცენტრაციის გავლენა ნარჩენიდან ოქროს ამოღების ხარისხზე

თიოშარლოვანას სხნარში: $ThiO - 0,5\%$; $H_2SO_4 - 1\%$
 გამოტუტვის პირობები: წონაკი - 22გ; ხანგრძლივობა - 4სთ;
 სარეველას ბრუნვის სიჩქარე - 200ბრ/წთ; მყ:თხ=1:5

ცდის №	$Fe_2(SO_4)_3$ -ს კონც.სხნარში, %	გამოტუტვის შემდეგ ნალექის რაოდენობა, გ	ოქროს შემცველობა, გ/ტ	გამოტუტვის ხარისხი, %
1	0,3	20,985	3,9	32,4
2	0,6	21,155	3,1	45,8
3	0,8	21,20	0,9	84,23
4	1,0	21,125	0,9	84,29

შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ $ThiO$ -ს სხნარში გოგირდმჟავას კონცენტრაციის გავლენა ოქროს ამოღების ხარისხზე. იგი იცვლებოდა 0,4%-იდან 1%-მდე. ამ სერიის ექსპერიმენტების მონაცემები მოტანილია ცხრილში 4.

ცხრილი 4. თიოშარლოვანას სხნარში გოგირდმჟავას კონცენტრაციის გავლენა ნარჩენიდან ოქროს ამოღების ხარისხზე

თიოშარლოვანას სხნარი: $ThiO - 0,5\%$; $Fe_2(SO_4)_3 - 0,8\%$
 გამოტუტვის პირობები: წონაკი - 22გ; ხანგრძლივობა - 4სთ;
 სარეველას ბრუნვის სიჩქარე - 200ბრ/წთ; მყ:თხ=1:5

ცდის №	H_2SO_4 -ს კონც.სხნარში, %	გამოტუტვის შემდეგ ნალექის რაოდენობა, გ	ოქროს შემცველობა, გ/ტ	გამოტუტვის ხარისხი, %
1	0,4	21,15	0,8	86,0
2	0,6	21,04	0,8	86,1
3	0,8	21,004	0,75	87,0
4	1,0	21,20	0,9	84,2

ცხრილიდან 4 ჩანს, რომ ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღების ხარისხი გოგირდმჟავას მოცემულ კონცენტრაციებზე დამაკმაყოფილებელია. გოგირდმჟავას 0,8%-ის შემთხვევაში ოქროს ამოღების ხარისხი ოდნავ მეტია და აღწევს 87%-ს, ექსპერიმენტების შემდეგ სერიებში ოპტიმალურად მივიჩნიეთ ნარჩენების გამოსატუტავად $ThiO$ -ს სხნარის შემდეგი შემადგენლობა: $ThiO-0,5\%$, $Fe_2(SO_4)_3-0,8\%$, $H_2SO_4 -0,8\%$.

ჩატარდა ექსპერიმენტების სერია, რომლის დროსაც ვცვალებთ პულპაში თანაფარდობა მყარი : თხევადთან (მყ:თხ). სხნარის რაოდენობა მყარ ნარჩენთან შედარებით იცვლებოდა 3-დან 6-მდე.

ცხრილი 5. გამოტუტვის პროცესში მყარი და თხევადი ფაზების თანაფარდობის გავლენა ნარჩენიდან ოქროს ამოღების ხარისხზე

თიოშარლოვანას სხნარი: $ThiO - 0,5\%$; $Fe_2(SO_4)_3 - 0,8\%$; $H_2SO_4 - 0,8\%$
 გამოტუტვის პირობები: წონაკი - 22გ; ხანგრძლივობა - 4სთ;
 სარეველას ბრუნვის სიჩქარე - 200ბრ/წთ;


ცდის №	მყარი:თხევადი (მყ:თხ)	გამოტუტვის შემდეგ ნალექის რაოდენობა, გ	ოქროს შემცველობა, გ/ტ	გამოტუტვის ხარისხი, %
1	1 : 3	21,36	1,0	82,65
2	1 : 4	21,29	2,0	64,81
3	1 : 5	21,004	0,75	87,0
4	1 : 6	21,09	2,2	61,65

ყველაზე მაღალი შედეგი მიღებულია მც:თხ=1 : 5. თანაფარდობის პირობებში – 87%, 1:3 თანაფარდობის დროსაც შედეგი მისაღებია – 82, 65%. რადგან რეაგენტების ხარჯი ამ შემთხვევაში საგრძნობლად არის შემცირებული, ოპტიმალურად მიჩნეულია თანაფარდობა მც:თხ=1:3.

ამრიგად, ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების ოპტიმალური პირობები:

- ხსნარის შემადგენლობა: $\text{ThiO} - 0,5\%$; $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3 - 0,8\%$; $\text{H}_2\text{SO}_4 - 0,8\%$
- გამოტუტვის რეჟიმი : ხანგრძლივობა – 4სთ; მც:თხ=1:3;
- სარეველას ბრუნვის სიჩქარე – 200ბრ/წთ; $t - 18 \div 25^\circ\text{C}$, წონაკი – 20გ

თიოზარდოვანას ხსნარში ოქროს ამოღების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს აქტიურ ნახშირზე ოქროს აღსორბცა, აქტიური ნახშირისა და ხსნარის დაცილება, აქტიური ნახშირიდან ძვირფასი ლითონების დესორბცა, რის შემდეგაც მიიღება კონცენტრირებული ხსნარები. ეს პროცესები შესწავლილი იქნა ადრე ჩატარებული კვლევების დროს [8-11].



ნახ. 1. ანთიმონიანი ოქროშემცველი მადნის ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების პრინციპული ტექნოლოგიური სქემა

თიომარდოვანას ხსნარებიდან ოქროს და ვერცხლის გამოლექვის რამოდენიმე მეთოდიდან – ცემენტაცია, ტუტით დალექვა, ელექტროლიზი – დადებითი და უარყოფითი მხარეების შედარების შედეგად დადგინდა, რომ სრულყოფილ მეთოდად ითვლება ელექტროლიზი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შეკრული ციკლით. იგი ამცირებს რეაგენტების ხარჯს, განსაკუთრებით თიომარდოვანასი. დესორბციის და ელექტროლიზის შეთავსება შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ საბოლოო პროდუქტი ძვირფასი ლითონების მაღალი შემცველობით, არ ბინძურდება თიომარდოვანას ხსნარი და ა.შ. ამ მიდგომას ალტერნატივა არა აქვს, რადგანაც შესაძლებლობას იძლევა რენტაბელურად გადავაშუშოთ ოქროს ისეთი დაბალი შემცველობის მადნები, რაც ჩვეულებრივი ციანიდური მეთოდით შეუძლებელია.

ჩვენი კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულია ზოფხითოს ანტიმონის ოქროშემცველი მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღების ტექნოლოგიური სქემა (ნახ. 1).

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. ვ.გაფრინდაშვილი. ანტიმონ-დარიშხანოვანი მადნის ჰიდრომეტალურგიული გადამუშავება. საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის შრომები. 1961, ტ. 2, გვ. 147-159.
2. გ.გველესიანი, ვ.ბაღდავაძე და სხვ. რაჭის (ზოფხითო) მადნებიდან ანტიმონის სულფიდის მიღება. საქ. მეც. აკად. «მაცნე», ქიმიის სერია, 1999, ტ. 2, №3-4, გვ. 329-334.
3. В.В. Лодейщиков, А.Ф. Панченко, О.Д. Хмельницкая. Тиокарбамидное выщелачивание золотых и серебряных руд. Сборник Акад. Наук СССР «Гидрометаллургия золота». Изд. «Наука», Москва, 1980г., с. 26-35.
4. В.В. Лодейщиков, Л.А. Шамис, И.А. Каковский, О.Д. Хмельницкая. Изв. вузов «Цветная металлургия». 1975, т.18, №2, с.77-81.
5. Chen C.K., Lung T.N., Wan C.C. Leaching of gold and silver with an acidic solution of thiourea.. J.» Hydrometallurgy», 1980, T.5, №2-3. p. 207-212.
6. А.Ф. Панченко и др. Тиокарбамидное выщелачивание золота из сурьмяных концентратов. «Цветная металлургия»,1987, №4, с. 27-29.
7. В.Е. Дементьев. Развитие идей И.Н. Плаксина в научных разработках Иргиредмета. Материалы международного совещания «Современные методы оценки технологических свойств труднообогатимого и нетрадиционного минерального сырья благородных металлов и алмазов и прогрессивные технологии их переработки». Плаксинские чтения 2004. г. Иркутск. 2004. стр. 3-8 .
8. გ.გველესიანი, ვ.გაფრინდაშვილი, თ.მეჭურჭლიშვილი, ვ.შავგულიძე, რ.ჩაგელიშვილი და სხვა. მადნეულის ოქროს და ვერცხლის შემცველი კვარციტების გადამუშავების თიოკარბამიდული პროცესის კვლევა. საქ. მეცნ. აკადემიის “მაცნე” ქიმიის სერია, 1999, ტ.25, №3-4, გვ.315-328.
9. Р.Д. Чагелишвили, В.Н.Гаприндашвили, Г.Г.Гвелесиани, Т.И.Мечурчлишвили и др. Переработка баритозолотосодержащей руды маднeульскогo месторождения. Ж.»Обогащение руд». Санкт-Петербург, 2006, №5, с.35-38.
10. Р.Д. Чагелишвили, В.Н.Гаприндашвили, Г.Г.Гвелесиани, Т.И.Мечурчлишвили и др. Извлечение золота и серебра из хвостов флотационного обогащения барит-полиметалличесой руды маднeульскогo месторождения. научно-технический и производственный журнал «Маркшейдерия и недропользование». 2009, №2 (40), «Геомар недр», Москва, с.68-71.
11. რ.ჩაგელიშვილი, ვ.გაფრინდაშვილი, გ.გველესიანი, მ.ავალიანი, ლ.წყალობაძე. მადნეულის სპილენძ-თუთიის კონცენტრატის პირო-ჰიდრომეტალურგიული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროსა და ვერცხლის ამოღება თიოკარბამიდული მეთოდით. საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის “მაცნე”, ქიმიის სერია, 2008, ტ34, №3,გვ.358-361.

GOLD RECOVERY FROM RESIDUES OF THE VACUUM-THERMAL PROCESSING OF THE GOLD CONTAINING ANTIMONY ORE OF ZOPKHITO BY THIOCARBAMID METHOD

Rusudan Chagelishvili, Vakhtang Gaprindashvili, Tsisana Gagnidze, Jondo Bagdavadze*, Aleksandre Kandelaki*, Marina Avaliani, Liana Tskalobadze

Rafiel Agladze Institute of Inorganic and Electro Chemistry, I. Javakhishvili Tbilisi State University
**Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science*

SUMMARY

It is established the possibility of the use of thiocarbamide method of gold extraction from residues of vacuum-thermal processing of gold containing antimony ore of Zophito deposit (Upper Racha, Georgia). Experimentally studied the influence of the main technological factors on the thiourea leaching process of residues and established optimum leaching conditions: Composition of the solution –ThiO-0,5%; $Fe_2(SO_4)_3$ -0,8%; H_2SO_4 -0,8%. Mode of Leaching: duration – 4 hours; Solid to liquid 1:3; Rotation speed of mixer 200 rev/min; Temperature – $18\div 25^{\circ}C$. In these conditions, the degree of the gold extraction is 82÷87%. It is proposed the continuous technological scheme of gold extraction by the thiocarbamide method from residues of vacuum-thermal processing of gold containing antimony ore of Zophito deposit.

ИЗВЛЕЧЕНИЕ ЗОЛОТА ТИОКАРБАМИДНЫМ МЕТОДОМ ИЗ ОТХОДОВ ВАКУУМ-ТЕРМИЧЕСКОЙ ПЕРЕРАБОТКИ ЗОЛОТОСОДЕРЖАЩИХ СУРЬМЯНЫХ РУД МЕСТОРОЖДЕНИЯ ЗОПХИТО

Р.Д. Чагелишвили, В.Н. Гаприндашвили, Ц.М. Гагნიдзе, Дж. Багдавадзе*, А. Канделаки*,
М.А. Авалиани, Л.Ш. Цкалобадзе

Институт неорганической химии и электрохимии Р.И. Агладзе
Тбилисского государственного университета им. Ивана Джавахишвили
**Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н. Тавадзе*

РЕЗЮМЕ

Установлена возможность использования тиокарбамидного метода извлечения золота из отходов вакуум-термической обработки золотосодержащей сурьмяной руды месторождения Зопхито (верхняя Рача, Грузия). Экспериментально изучено влияние основных технологических факторов на процесс тиокарбамидного выщелачивания остатков и установлены оптимальные условия выщелачивания: состав раствора – ThiO-0,5%; $Fe_2(SO_4)_3$ – 0,8%; H_2SO_4 – 0,8%. Режим выщелачивания: продолжительность – 4ч; Т:Ж=1:3; скорость вращения мешалки – 200об/мин; $t-18\div 25^{\circ}C$. В этих условиях степень извлечения золота составляет 82÷87%. Предложена бессточная технологическая схема извлечения золота тиокарбамидным методом из остатков вакуум-термической переработки золотосодержащей сурьмяной руды месторождения Зопхито

Ti-Si სისტემის კონგლომერირებული ფხვნილების კვლევა

მარინე ყიფიანი, ზურაბ ოქროსცვარიძე, ლევან ჩხიკვაძე, იზოლდა კახნიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია Ti-Si სისტემის კონგლომერირებული ფხვნილები, კერძოდ შერჩეულია ისეთი ქიმიური შემადგენლობის ფხვნილები, რომლებიც იძლევიან ტიტანის სილიკატების წარმოქმნის დროს მაღალ თერმულ ეფექტს. ასეთია მაგალითად, ნაერთი Ti_5Si_3 . შემუშავებულია ასეთი ფხვნილების მიღების კონგლომერირების ტექნოლოგია. შესწავლილია სწრაფი გახურების და გაცივების შემთხვევაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, როდესაც ფხვნილები ხვდებიან აირთერმული სინთეზის მაღალტემპერატურულ ჭავლში. დადგენილია, რომ ასეთ ნაღობში დაახლოებით 50%-ზე მეტს შეადგენს ნაერთი Ti_5Si_3 და მცირე რაოდენობით $TiSi$, $TiSi_2$ ნაერთები. აღნიშნულს გარდა, ნაღობი შეიცავს არალითონურ ჩანართებს TiO_2 და SiO_2 . ასეთი ტიპის კონგლომერირებული ფხვნილებით მიღებულ დამცავ დანაფარებს უნდა გააჩნდეთ დასაფარ მასალასთან მაღალი შეჭიდულობის ხარისხი, ანუ ადგეზიური და კოგეზიური სიმტკიცე, რომელიც გამოკვლეულ იქნება შემდეგ სამუშაოებში

ცვეთამდეგი, კოროზიამდეგი, მხურვალმდეგი, ქიმიურად მდგრადი, ელექტროიზოლიაციული, თბოიზოლიაციური და სხვა სახის დანაფარების გამოყენება გვეხმარება, რათა მკვეთრად შემცირდეს ლითონების, ასევე მათი ალდგენისთვის საჭირო რესურსების ხარჯები და იძლევა საშუალებას, რათა ამალდეს მანქანათა, მოწყობილებათა და ხელსაწყოთა ხარისხი, საიმედოობა და გამოყენების ხანგრძლივობა. მანქანების ტექნიკური დონის და ხარისხის ამალდება შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვა, ყველა სახის რესურსის ეკონომიის და სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველია [1].

ფხვნილების მეტალურგიის სფეროში ბოლოდროინდელმა მიღწევებმა, რომლებიც დაკავშირებულია მაღალხარისხიანი ფხვნილების ახალი მეთოდების და მიღების საშუალებების შემუშავებასთან, სტიმული მისცეს აირთერმული დამცავი დანაფარების ტექნოლოგიის სწრაფ განვითარებას [2]. ამ მასალების ბოლო თაობას გააჩნია მნიშვნელოვნად გაზრდილი ფიზიკო-ქიმიური და მექანიკური თვისებები. ამასთან ერთად გაცილებით გაუმჯობესდა დანაფარების დაფარვის დროს მიმდინარე პროცესების გაგების უნარი. ამან გააძლიერა თერმული დაფარვის ტექნოლოგიისადმი მომხმარებლის საიმედოობა.

აირალური დანაფარების მისაღებად ფართოდ გამოიყენება კომპოზიციური ფხვნილები [3]. მათგან განსაკუთრებით ინტერესს იწვევს თერმულად მორეაგირე კომპოზიციური ფხვნილები [3]. ასეთ ფხვნილებში მაღალ ტემპერატურულ არეში მოხვედრის დროს მიმდინარეობს მაღალტემპერატურული ეგზოთერმული რეაქცია, რის შედეგადაც ფხვნილები გამომტყორცნელი აპარატიდან დასაფარ ზედაპირამდე მოძრაობის დროს გამოყოფენ დამატებით თბურ ენერგიას, რაც საბოლოო სახით დადებითად აისახება როგორც დანაფარის მოჭიდულობის ხარისხზე, ასევე მის თვისებებზე [4].

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია სისტემა Ti-Si-ში კომპოზიციის განხილვა, სადაც მათი ურთიერთქმედების რეაქციის ტემპერატურის ადიაბატური მატება აღემატება ე.წ. სტანდარტულ, „კლასიკურ“ (Al-Ni; Ti-Ni) სისტემის კომპოზიციების ტემპერატურებს. სწორედ Ti-Si-ში სისტემის ფხვნილებს მაღალი გადახურების გამო, როცა ისინი ხვდებიან აირალური ალის ჩირადდანში, უნდა გააჩნდეთ დანაფარების მაღალი შეჭიდულობა - ადგეზიური და კოგეზიური სიმტკიცე. სამუშაოში მოცემულია ასევე კონგლომერირებული კომპოზიციური ფხვნილების მიღების ტექნოლოგია [2] და ტემპერატურის გავლენა მათში მიმდინარე სტრუქტურულ და ფაზურ გარდაქმნებზე.

ეგზოთერმულად მორეაგირე კომპოზიციური ფხვნილებისგან დანაფარების დაფარქვევისას მნიშვნელოვანია ნაწილაკების სითბოს წყაროდან გათბობის შეთავსება სითბოსთან, რომელიც გამოიყოფა რეაქციის მიმდინარეობისას [8].

$$\Delta T_{ად} = Q_p / C$$


სადაც, Q_p — ურთიერთქმედების თბური ეფექტია; C — თბოტევადობა

მეტალიდურ სისტემებში რეაქციის თბური ეფექტის ტემპერატურული ნამატი 300-1000K-ს აღწევს [5].


ეგზოთერმული რეაქციის მიმდინარეობისთვის აუცილებელია, რომ ფხვნილოვანი ნაწილაკი გარკვეულ ტემპერატურამდე გაცხელდეს. მორეაგირე სისტემებისგან დამოკიდებულებით ეს ტემპერატურა 600-1300°C-ს შეადგენს.

თერმონეიტრალურ კომპოზიციურ ფხვნილებში ეგზოთერმული რეაქცია არ მიმდინარეობს, ან მისი თერმული ეფექტი გასათვალისწინებლად მეტად უმნიშვნელოა, ამიტომაც მათი კომპოზიციების შესაძლო ვარიანტები აქ არ განიხილება [9].

ჩვენი სამუშაოსათვის, თერმულად მორეაგირე კომპოზიციური ფხვნილების შემადგენლობის შერჩევას, ვეყრდნობოდით მასალათა თვისებების შესახებ ლიტერატურაში უკვე არსებულ მონაცემებს. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა, რომ უფრო მნიშვნელოვანი თბური ეფექტები მიიღება Ti-Si კომპოზიციებში სურათი 1 მრუდი 9.



სურ. 1. ტემპერატურის ადიაბატური ზრდის დამოკიდებულება კომპოზიციაში მყოფი მეორე კომპონენტის %-ულ შემადგენლობასთან. 1. Cr-Al; 2. Cu-Al; 3. Fe-Al; 4. Ti-Ni; 5. Ti-Al; 6. Co-Si; 7. Co-Al; 8. Ni-Al; 9. Ti-Si; 10. Zn-Si; 11. Re-Si.



სურ. 2 Ti-Si-ის მდგომარეობის დიაგრამა

Ti-Si სისტემა: სურ.2-ზე მოცემულია Ti-Si მდგომარეობის დიაგრამა. წარმოქმნის ხუთი ტიპის სილიციდს: Ti_3Si ; Ti_5Si_3 ; Ti_3Si_4 ; $TiSi$; $TiSi_2$. მათი ქიმ. შემადგენლობა და სხვა ფიზიკო-მექანიკური თვისებები მოყვანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. სილიციდების ქიმიური შემადგენლობა და ფიზიკო-მექანიკური თვისებები. (K-კონგრუეტული დნობა; Пყ-დნობა პერიტექტიკული რეაქციით; Пд-პერიტექტიკული დაშლა)

სილიციდების ტიპები	ქიმიური შემადგენ %-ში (წონ)	კრისტალურ მესერი A-ში	პიკნომეტრ სიმკ. გ/სმ	რენტგენული სიმკ. გ/სმ	მდგრ. მდგ. მაქს. ტემპ. °C	გარდაქმნის ბუნება	თბ. ეფექტი ΔH° 298 კკალ/მოლ	მიკროსისალე HV მპა-ში	სიმტკ ზღ.σ ბ მპა-ში
Ti_3Si	Si=16,35 Ti=83,65	ტეტრაგონალური a=10,39; c=5,17; c/a=0,49			1170	Пд			
Ti_5Si_3	Si=26,08 Ti=73,97	ჰექსაგონალური a=7,46; c=5,16; c/a=0,69		4,31	2130	K	139 7,0	9860	11,0
Ti_3Si_4	Si=31,90 Ti=68,10	ტეტრაგონალური a=7,13; c=12,99; c/a1,82			1920	Пყ			
$TiSi$	Si=36,97 Ti=63,03	რომბოედრული a=3,63; b=4,99; c=6,54	4,21	4,32	1570	Пყ	39,2 3,0	10390	12,9
$TiSi_2$	Si=53,98 Ti=46,02	რომბოედრული a=8,27; b=4,81; c=8,56	4,02	4,043	1500	Пд	32,3 2,0	8920	11,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდი წარმოქმნის თბური ეფექტი გააჩნია Ti_5Si_3 -ს, შემადგენლობით Ti=73,57%, Si=26,08. აქედან გამომდინარე, ჩვენი შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენდა სილიციდი Ti_5Si_3 , რომლის შემადგენლობის კომპოზიციურ ფხვნილს ვღებულობდით კონგლომერირებით. საწყის კომპონენტებად ვღებულობდით სუფთა Ti და Si-ის ფხვნილებს. ტიტანის და სილიციუმის ფხვნილების ქიმიური შემადგენლობა და ზომები ასეთია:


- ფხვნ. Ti: Fe - 0,08-0,1%; Ni - 0,3%; Ca - 0,08-0,12%; Cl<0,03; H<0,35; O<0,3%;
ზომები მკმ-ში (X1000) - 50-75
- ფხვნ. Si: Fe - 0,1%; Ni - 0,06%; C - 0,64%; Cu - 0,15%; F - 0,15%; O - 0,018%;
ზომები მკმ-ში (X300)-25

საწყისი ფხვნილების მორფოლოგიას და ზომებს ვსწავლობდით რასტრულ ელ.მიკროსკოპსა და ოპტიკურ მიკროსკოპზე (სპეციალურად გაკეთებულ შლიფებზე).

სურ.3-ზე მოცემულია Ti-ის ფხვნილის მორფოლოგია, სადაც ჩანს ფხვნილის მარცვლების „ნატეხოვანი“ მორფოლოგია და თითქმის თანაბარდერიანი ზომებით. ასეთივე „ნატეხოვანი“ აგებულება გააჩნიათ Si-ის ფხვნილებს სურ.4.

ასეთი ტიპის Ti და Si-ის ფხვნილებს წინასწარ შერჩეული კონცენტრაციით ვურევდით ერთმანეთში სპეციალურ ამრევ მოწყობილობაში, 24 საათის განმავლობაში, თანაბარი ურთიერთგადანაწილების მისაღებად.


აღნიშნული კონცენტრაციის ფხვნილების კონგლომერირებას ვახდენდით სპეციალურ დანადგარზე, რომელიც შემუშავებულ და დამზადებულ იქნა ორგანიზაცია „დელტა“-ში, რომლის საერთო სურათი მოცემულია სურ.5-ზე.




სურ.3 Ti-ის ფხვნილის მორფოლოგია, აგებულება. რასტრული ელ.მიკროსკოპის ანალიზის შედეგები.



სურ.4 Si-ის ფხვნილის ოპტიკური მიკროსკოპიული ანალიზის სურათი.



სურ.5 კონგლომერირების დანადგარი ჩვენ საშუალოში შემკვრელი ნივთიერების სახით ვიყენებდით ტუტე მეტალის სილიკატის 25%-იან წყალხსნარს, ანუ თხევად მინას.




ნახ.6 დისკური გრანულატორის მუშაობის სქემა.

- 1- მშრალი კაზმის ბუნკერები;
- 2 - მბრუნავი დისკი; 3 - ფარსუნკა; 4 - დანა


კონგლომერირების დანადგარი, იგივე დისკური გრანულატორი წარმოადგენს გლუვ დისკს კიდეთი, რომელიც დახრილია ჰორიზონტისადმი კუთხით. ბუნკერიდან დისკზე უწყვეტად მიეწოდება მშრალი ფხვნილოვანი კაზმი, რომლის შრეზე გამაფრველიდან გაიფრქვევა შემკვრელი სითხე, ე.წ. თხევადი მინა. კაზმზე დაცემისას, თხევადი მინის წვეთები ზედაპირული დაჭიმულობის ძალით შეიტაცებენ ფხვნილის ნაწილაკებს და წარმოქმნიან გრანულების ჩანასახებს. ხახუნის და ცენტრიდანული ძალის წყალობით გრანულები ეკრობიან ფსკერს, ასევე დისკების ბორტებს და ამოდიან უწყვეტად მოწოდებული მშრალი კაზმის ზედაპირზე, მიდიან დანამდე და შემდეგ თავიდან ეშვებიან ქვემოთ, დისკის ბორტებისკენ, თან სველდებიან. მიღებული გრანულების ზომების რეგულირება ხდება დისკის დახრისა და ბრუნვის სიჩქარის ცვლილებით. ასეთ დისკურ გრანულატორში მშრალი კაზმის შერევა შემკვრელ ნივთიერებასთან და გრანულაცია შეთავსებულია. გადაღებულ იქნა თი-ში კონგლომერირებული ფხვნილის მიკროსტრუქტურები.

აღნიშნული შემადგენლობის კონგლომერირებული ფხვნილისაგან, რომელიც თავისი ქიმიური შემადგენლობით შეესაბამება Ti_5Si_3 -ს, მომზადდა მიკროშლიფი და შესწავლილი იქნა მისი მიკროსტრუქტურა (იხ.სურ.6). ხოლო სურ.7-ზე გამოტანილია მისი პლანომეტრია და განისაზღვრა რაოდენობრივი მეტალოგრაფიული ანალიზით (კონკრეტულად „როზივალის“ მეთოდით) ტიტანისა და

სილიციუმის %-ული შემადგენლობა. თეთრი უბნები არის ტიტანი, შავი კი – სილიციუმი და შესაბამისად აღმოჩნდა, რომ Ti=74%, Si=26%.



სურ.7 Ti-ში სისტემის კონგლომერირებული ფხვნილის მიკროსტრუქტურა.



სურ.8 Ti-ში სისტემის კონგლომერირებული ფხვნილის პლანომეტრიული სურათი.

მიკრორენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასეთი ტიპის ფხვნილებში ყველაზე მეტი მიკროუბნები შეინიშნება შემადგენლობით Ti=72%, Si=23%, ხოლო შემდეგ, მცირე რაოდენობით უბნები შემადგენლობით Ti=65%, Si=35% და კიდევ უბნები Ti=46%, Si=54%. ასეთი კონგლომერირებული ფხვნილი გაფრქვეულ იქნა აირალური დანადგარის საშუალებით (გაფრქვევის დისტანცია შეადგენდა 150მმ-ს) წყალში და შესწავლილ იქნა ჩირაღდნის ტემპერატურის გავლენა მის სტრუქტურულ ცვლილებებზე.



სურ. 9. წყალში გაფრქვეული კონგლომერირებული ფხვნილის მიკროსტრუქტურა.

სურათზე ჩანს, რომ მას გააჩნია ნადნობის ხასიათი გაზიანი და სტრუქტურა შეიცავს მრავალ ჩანართს: TiO₂, SiO₂-სახით. წყალში გაფრქვეულ ფხვნილებს ჩაუტარდათ რენტგენოფლუორესცენციური, მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზები. რენტგენო-ფლუორესცენსიურმა ანალიზმა აჩვენა Ti და Si-ის სხვადასხვა შემადგენლობები და ის შეესაბამება Ti=72-46%; Si=23-54%.

დასკვნები:

1. შეუშავებულ იქნა Ti-Si სისტემის აირალური დანადგარების მისაღები ფხვნილი, რომლებსაც სილიციუმის წარმოქმნის მაღალი თბური ეფექტიდან გამომდინარე, უნდა გააჩნდეს მაღალი ადგიური სიმტკიცე;
2. შეუშავდა Ti-Si სისტემის, კონკრეტულად კი Ti=74% და Si=26% (წონ.%) კონგლომერირების ტექნოლოგიური პროცესი, მიღწეულია ტიტანისა და სილიციუმის ურთიერთთანაბარი განაწილება ფხვნილოვანი კაზმის მთელ მოცულობაში;
3. აირალური დანადგარის ჩირაღდანში მოხვედრილი Ti-Si სისტემის კონგლომერირებულ ფხვნილებში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების შესასწავლად ისინი გაფრქვეულ იქნენ 150მმ დისტანციიდან წყალში. კვლევამ აჩვენა, რომ:

ა) რენტგენოფლოუორესცენციული ანალიზის მიხედვით, მათ მათი ქიმ. შემადგენლობა მერყეობს ფართო დიაპაზონში და იგი ტოლია: $Ti=72\%$ და $Si=23,0\%$ მსუბუქი მინარეების (H_2O_2 , N) ჭარბი რაოდენობა 6%;

ბ) მიკრორენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასეთ წყალში გაფრქვეული ფხვნილის მრავალი უბანი, დაახლოებით 50% შეესაბამება ქიმიურ შემადგენლობას:

$Ti=72\%$ და $Si=23,0\%$, რომელიც წარმოქმნის სილიციდს Ti_5Si_3 -ს, ხოლო მცირე რაოდენობით შეინიშნება უბნები ქიმ. შემადგენლობით: $Ti=65\%$, $Si=35,0\%$ და $Ti=46\%$, $Si=54,0\%$, შესაბამისად წარმოქმნიან სილიციდებს $TiSi$ -ს და $TiSi_2$ -ს;

გ) ასეთი წყალში გაფრქვეული ფხვნილების მეტალოგრაფიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მას გააჩნია მრავალი არალითონური ჩანართი SiO_2 და TiO_2 -ის სახით და ასევე მათ ახლოს, იგი ფოროვანია.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Порошковая металлургия и напыленные покрытия. В.Н.Анцифоров, Г.В.Бобров, Л.К.Дружинин и др. 1987
2. Металлы и сплавы. Справочник,, Под редакцией Ю.П.Солнцева НПО „Профессионал,, НПО „Мир и семья,, Санкт-Петербург, 2003
3. http://ru.wikipedia.org/wiki/Газотермическое_напыление
4. Hoffman J.W. Thermal sparying in Australian mining and secondary industries // Proc. 9th Thermal spray. conf. Hague, 1980
5. Определение свойств газотермических покрытий. Методическое руководство./ Захаров Б.М., Новиков В.Н., 1993
6. Теоретические основы технологии плазменного напыления. учебн. пособие, 2003, Пузряков А. Ф.
7. „Газотермическое напыление,, учеб. пособие/кол. авторов, под общей ред. Л.Х. Балдаева
8. „Реновация и упрочнение деталей машин методами газотермического напыления,, учеб. пособие Л.Х.Балдаева
9. “Warm spraying _ a novel coating process based on high-velocity impact of solid particles” Sci. Technol. Adv. Mater. 9 (2008)

Ti-Si SYSTEM CONGLOMERATED POWDERS

Marine Kipiani, Zurab Oqrostsvaridze, Levan Chkhikvadze, Izolda Kakhniashvili
Georgian Technical University

SUMMARY

Ti-Si system conglomerated powders are reviewed in the article. In particular, selected were the powders of such chemical composition, which provide high thermal effect during formation of titanium silicates. Developed is conglomeration technology for obtaining aforementioned powders. Studied are structural changes occurring in case of fast heating and cooling. When the powders appear in gas-thermal synthesis high-temperature flow, there is stated that in such a melt approximately more than 50% is the quantity of compound Ti_5Si_3 and less quantity of the compounds $Ti-Si-TiSi_2$. Besides abovementioned, the melt comprises non-metallic inclusions TiO_2 and SiO_2 . The protective coating obtained from such types of conglomerated powders should possess a high quality bonding, i.e. – adhesion and cohesion hardness, which will be investigated in further works.

КОНГЛОМЕРИРОВАННЫЕ ПОРОШКИ Ti-Si СИСТЕМЫ

М.Кипиани, З.Окросцваридзе, Л.Чхиквадзе, И.Кахниашвили
Грузинский Технический Университет

РЕЗЮМЕ

В работе рассмотрены конгломерированные порошки Ti-Si системы. Подобраны порошки такого химического состава, которые дают высокий термический эффект во время образования силикатов титана. Например, соединение Ti_5Si_3 . Разработанна технология конгломерирования таких порошков. Изучены структурные изменения во время быстрого нагрева и охлаждения, когда порошки попадают в высокотемпературном потоке газотермического синтеза. Установлено, что такие расплавы приблизительно на 50% и более состоят из соединения Ti_5Si_3 , а в меньших количествах - $TiSi$ и $TiSi_2$. Кроме этого в расплаве наблюдаются неметаллические включения TiO_2 и SiO_2 . В защитных покрытиях полученных из таких конгломерированных порошков, должно быть высокое качество сцепления с материалом для напыления, то есть адгезионная и когезионная прочность, которая будет исследованна в следующих работах.

ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

ВЛИЯНИЕ ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ ФАКТОРОВ НА УСАДКУ МОДИФИЦИРОВАННОЙ ПОРИСТОЙ РЕЗИНЫ ПРИ ХРАНЕНИИ

Н.З.Ломтадзе

Кутаисский государственный университет им. А.Церетели

В статье приводятся результаты изучения показателя усадки модифицированной пористой резины в процессе хранения в зависимости от отдельных компонентов рецепта и некоторых факторов методики производства. Время хранения модифицированной пористой резины, от момента изготовления до применения на обувных предприятиях, в среднем составило 60 дней.

В производственных условиях завода были изготовлены образцы цветной подошвенной модифицированной пористой резины из полимеров [1,2], перечисленных в таблице 1.

Таблица 1. Полимеры для изготовления цветной подошвенной модифицированной пористой резины

Полимер	Номер рецепта					
	1	2	3	4	5	6
СКМС-30РП	53	20		33	43	32,2
БС-45АК		33		13		
БС-45АКН			30			
СКД			15			
ПЭ низкой плотности				7		
Дуранит-15С					10	
БПС-55АКН(пиперилден-стирольный каучук)						20,5

Остальные ингредиенты в рецептурах применяли в дозировках, необходимых для достижения ординарной плотности, обеспечения технологичности смесей, но корректировка их была незначительна. Вулканизацию проводили при температуре 165⁰С на гидравлических прессах при комбинированном гидравлическом давлении в течение 12 мин. Толщина пластин – 8-10 мм.

После суточной пролежки часть пластин подвергли термообработке в камере при температуре 105⁰С в течение 1 часа 40 мин. Из термообработанной и исходной резины были вырублены образцы размером 200 x 30 мм, длину которых замеряли периодически на протяжении 60 дней.

Из тех же пластин резины вырубали образцы для определения усадки при 105⁰С. Для устранения влияния степени прогрева образцов модифицированной пористой резины на показатель усадки выдержка их в термостате продолжалась не 10, а 60 мин.

Физико-механические показатели резин, изготовленных по разным рецептам [3], приведены в таблице 2.

Как видно из таблицы 2, модифицированные резины характеризуются практически одинаковой плотностью, что исключает её влияние на физико-механические показатели, в том числе и на усадку.

На рисунке 1 представлена кинетика изменения длины образцов модифицированной пористой резины, что соответствует изменению габаритных размеров пластин в процессе их хранения. Как видно из этого рисунка, процесс термообработки значительно снижает абсолютную величину усадки (рецепты 1,2,3), но не устраняет ее полностью: с увеличением срока хранения пористых пластин их габариты все время монотонно уменьшаются.

Рисунок 2 демонстрирует изменение величины усадки модифицированной пористой резины, определяемой при 105⁰С, что в некоторой степени характеризует уменьшение размеров обувных деталей, изготовленных из пористой резины, в процессе термоактивации клеевой пленки. Термообработка модифицированной пористой резины и в этом случае положительно сказывается на величине ее усадки.

Тип полимера в рецептах модифицированной пористой резины одинаково влияет на величину усадки, определенную при нормальной температуре или при 105⁰С.

Сопоставляя данные рис. 1 и 2, можно заключить, что благоприятные сроки применения модифицированной пористой резины в обувном производстве зависят от вида применяемого полимера.

Таблица 2. Физико-механические показатели резин

Наименование показателя	Номер рецепта					
	1	2	3	4	5	6
После суточной пролежки						
Предел прочности при растяжении, Н/м ² .10 ⁶	16	20	28	23	21	22
Относительное удлинение, %	235	270	220	200	200	185
Остаточное удлинение, %	10	23	24	20	22	22
Твердость, усл.ед.	28	42	44	38	44	42
Сопротивление раздиру, Н/м.10 ³	1,8	3,5	3,6	3,4	2,6	2,8
Усадка при 105 ⁰ С, %						
За 10 мин	0,7	1,93	1,8	0,8	0,6	0,1
За 180 мин	4,8	6,2	5,9	4,2	3,6	2,4
Плотность, г/см ²	0,38	0,38	0,4	0,38	0,39	0,4
После суточной пролежки и термообработки						
Предел прочности при растяжении, Н/м ² .10 ⁶	19	28	35	23	26	23
Относительное удлинение, %	240	310	210	210	205	180
Остаточное удлинение, %	11	22	19	20	20	21
Твердость, усл.ед.	30	45	46	40	42	44
Сопротивление раздиру, Н/м.10 ³	2,8	4,2	4,3	3,6	2,8	3
Усадка при 105 ⁰ С, %						
За 10 мин	0,12	0,24	0,85	0,04	0,12	0,02
За 180 мин	1,95	2,9	3,4	2	1,95	0,64
Плотность, г/см ²	0,42	0,42	0,42	0,42	0,42	0,4




Рис.1. Изменение длины образцов модифицированной пористой подошвенной резины при хранении, изготовленной по рецептурам: 1-1;2-2;3-3;4-4;5-5;6-6; а - модифицированная резина нетермообразованная; б - модифицированная резина термообразованная




Рис.2. Изменение величины усадки модифицированной пористой подошвенной резины при хранении, изготовленной по рецептурам: 1-1;2-2;3-3;4-4;5-5;6-6; а - модифицированная резина нетермообразованная; б - модифицированная резина термообразованная

В случае применения резин на основе жесткоцепных полимеров разруб пластин и использование деталей для сборки обуви необходимо производить после десятидневного срока с момента выпуска резины, когда размеры пластин изменились незначительно, а величина усадки стабилизировалась. Разруб пластин резины на основе каучука БС-45АКН можно производить в более поздние сроки, чтобы усадка деталей не происходила на изготовленной обуви.

Незначительное влияние на величину усадки резины оказывает направление вырубки образцов. Образцы, вырубленные в направлении линии каландрования, характеризуются большей величиной усадки, чем вырубленные в перпендикулярном направлении. Разница в показателе сохраняется на всем протяжении процесса усадки.

Установлено, что чем мельче и равномернее поры резины, тем лучше ее показатели и меньше усадка. Наиболее равномерной и мелкой структурой пор из изучаемых резин обладали образцы на основе БПС-55АКН, дуранит-15С и ПЭ низкой плотности (рецепты 4,5,6).

Для снижения усадки пористой резины плотностью $0,3-0,5 \text{ г/см}^2$ на основе смолонаполненного каучука БС-45АКН необходимо введение в ее рецепт полимеров типа полистирола, высокостирольной смолы или полиэтилена, структура пор резины должна быть мелкой и равномерной.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. ГОСТ 12632-79 «Пластины и детали резиновые пористые для низа обуви». Москва, 1979.
2. Дюнина В.Г., Павлов С.А., Динзбург Б.Н. Каучук и резина, 1974, № 1, с. 24-26.
3. Махлис Ф.А., Федюкин Д.А. Технические и технологические свойства резин. Москва: «Химия», 1985, 235 с.

ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენის კვლევა მოდიფიცირებული საფეხსაცმელე ფორმის რეზინების შეკვებაზე შენახვის დროს

ნ.ზ.ლომთაძე

ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენის კვლევის შედეგები მოდიფიცირებული საფეხსაცმელე ფორმის რეზინების შეკვებაზე საწარმოო პროცესში ჩაშვებამდე მათი დაყოვნების პროცესში. დამზადებული იქნა სხვადასხვა კაუჩუკების ბაზაზე მოდიფიცირებული რეზინის რეცეპტურები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რაც უფრო მცირე ზომის და თანაბარი რაოდენობისაა საფეხსაცმელე რეზინაში ფორები, მით უფრო ნაკლებია მასალის შეკვების მაჩვენებელი, საუკეთესო მაჩვენებლები აჩვენა БПС-55АКН, дуранит-15С და ПЭ კაუჩუკების ფუძეზე დამზადებულმა რეზინებმა (რეცეპტი 4,5,6).

INFLUENCE OF TECHNOLOGY FACTORS ON SHRINKAGE OF THE MODIFIED POROUS RUBBER AT STORAGE

N.Z.Lomtadze

Kutaisi A.Tsereteli State University

SUMMARY

Results of studying of an indicator of shrinkage of the porous modified porous rubber are given in the present article in the course of storage from separate components of the recipe and some factors of a technique of production. It is established that the more small and more evenly a rubber time, the better it indicators less shrinkage. The most uniform and small structure of a time from studied rubbers samples on the basis of БПС-55АКН, дуранит-15С and PE of low density (recipes 4,5,6) possessed.

თეიმურაზ გიორგის ძე ანდრონიკაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პ.მელიქიშვილისა და ა.თვალჭრელიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს თავადაზნაურთა საზოგადოების წევრი, გამოჩენილი მეცნიერი თეიმურაზ გიორგის ძე ანდრონიკაშვილი. ფასდაუდებელია მისი წვლილი ისეთი სამეცნიერო მიმართულებების განვითარებაში, როგორებიცაა ქრომატოგრაფია, ცეოლითების სინთეზი, სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა, აგრეთვე ბუნებრივი ცეოლითების მასშტაბური გამოყენება სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვაში.

თ.ანდრონიკაშვილის შრომები სამეცნიერო საზოგადოებისათვის ფართოდაა ცნობილი. მისი შრომები იბეჭდებოდა გერმანიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთში, აშშ-ში, იტალიაში, უზბეკეთში, უკრაინაში, ლატვიაში. მისი შრომები ციტირებულია საზღვარგარეთის 500-ზე მეტ წამყვან საერთა-შორისო ჟურნალში. ბატონი თეიმურაზი იყო 700-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი და თანაავტორი, მათ შორის 10 მონოგრაფიისა რუსულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე.

თ.ანდრონიკაშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ქრომატოგრაფიის სამეცნიერო სკოლის შექმნას. ამ სფეროში მისი ფუნდამენტური კვლევები ფართოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. მის თანაავტორებად გვევლინებიან ქრომატოგრაფიის, ადსორბციისა და ცეოლითების კვლევის სფეროში ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან: აკადემიკოსები – გ.ციციშვილი და ნ.სხირტლაძე (საქართველო), ა.ბალანდინი (რუსეთი), კ.ტაშენოვი (ყაზახეთი); პროფესორები – ვ.ბერიოზკინი, კ.საკოდინსკი და ა.ტალმაჩოვი (რუსეთი), ზ.ვიტკევიჩი და ი.არუჟილო (პოლონეთი), ა.ანდერსონი (ლატვია), ი.გრაფილი (ჩეხეთი), ლ.სოიაკი (სლოვაკეთი), გ.კრაუზე და ხ.ტამი (გერმანია), გ.კიროვი და ლ.ფილიზოვა (ბულგარეთი), ო.ბანახი (უკრაინა).

თ.ანდრონიკაშვილმა მრავალჯერ ღირსეულად წარმოადგინა ჩვენი ქვეყანა საზღვარგარეთ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ადსორბენტების, ქრომატოგრაფიისა და ანალიზური ქიმიისადმი მიძღვნილი 200-მდე თათბირის, კონფერენციისა და სიმპოზიუმის მუშაობაში.

თეორიისა და პრაქტიკის აზრიანად შერწყმით თ.ანდრონიკაშვილს თავისი კვლევები ყოველთვის მიჰყავდა ორიგინალურ გადაწყვეტამდე და მათ პრაქტიკაში აუცილებელ გამოყენებამდე. მის მრავალსამუშაოს გამოყენებითი ხასიათი გააჩნია. ესაა ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. განსაკუთრებით საინტერესოა სამუშაოები ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების შესახებ მემცენარეობაში, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. ეს ნაშრომები ერთ-ერთი პირველი სამუშაოებია მსოფლიო პრაქტიკაში. თ.ანდრონიკაშვილის აზრით სწორედ ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება პასუხობს ყველა იმ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება ბიოლოგიურ მიწათმოქმედებას.

თ.ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით მზადდებოდა მაღალკვალიფიციური კადრები არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. იგი არის 6 სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოწაფეები უკრაინიდან – პროფესორი ო.ბანახი და ქ.მ.კ. ლ.სტრილჩუკი, რომლებმაც უკრაინაში შექმნეს ადსორბციისა და ქრომატოგრაფიის მსხვილი სამეცნიერო ცენტრი.

თ.ანდრონიკაშვილი მრავალი წლის გამწვანებაში იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ადსორბციისა და ქრომატოგრაფიის სამეცნიერო საბჭოების ბიუროების წევრი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ადსორბციის სამეცნიერო საბჭოს ცეოლითების სექციის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე”, ქიმიის სერია მთავარი რედაქტორი, ჟურნალების:

“საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, “აგრარული მეცნიერების მაცნე”, “Хроматографічного товариства” (უკრაინა), “Процессы нефтепереработки” და “Химические проблемы” (აზერბაიჯანი), “Scientific and Didactic Instruments” (პოლონეთი), სოროსის საერთო საგანმანათლებლო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2006 წლიდან კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღსორბციისა და ქრომატოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს საპატიო წევრი.

სამეცნიერო კვლევით საქმიანობას თანდრონიკაშვილი ნაყოფიერად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1967 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, სადაც 35 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციათა კურსს ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების კურსს ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი და აზერბაიჯანელი პედაგოგებისათვის. აკადემიკოსი თანდრონიკაშვილი იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (1993-2006 წ.წ.).

თანდრონიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერების უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია. მეცნიერულმა ერუდიციამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა, თავმდაბლობამ, სულიერმა სიკეთემ მოუპოვა მას უდიდესი ავტორიტეტი, იგი უკანასკნელ წუთამდე დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

თანდრონიკაშვილის სახით ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ღვაწლმოსილი მეცნიერის, ღირსეული მამულიშვილის და კოლეგის, უარესად გულთბილი, ყურადღებიანი, უშუალო ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიის სარედაქციო კოლეგია

CONDOLENCE

Department of Chemistry and Chemical Technology of the Georgian National Academy of Sciences, the Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry, and the Editorial Board of Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, chemical series, inform about untimely decease of Teimuraz Andronikashvili, Member of the Georgian National Academy of Science, well known and honoured scientist, Doctor of Chemical Sciences, and condole with his family, friends, and collaborators.

СОБОЛЕЗНОВАНИЕ

Отделение химии и химической технологии Национальной Академии наук Грузии, Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили и Редакционная коллегия химической серии Известий Национальной Академии наук Грузии с глубокой скорбью извещают о кончине известного учёного, доктора химических наук, профессора, заслуженного деятеля науки, академика НАН Грузии Теймураза Георгиевича Андроникашвили, и выражают соболезнование семье, друзьям и сотрудникам покойного.

ინფორმაცია ავტორებისათვის

ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია” აქვეყნებს სტატიებს ქიმიური მეცნიერების დარგში ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; მიმოხილვებისა და ინფორმაციული ხასიათის მასალების წარმოდგენა შესაძლებელია სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებით. გამოსაქვეყნებელი მასალის მოცულობა, ფორმატი და მისი წარმოდგენის სხვა პირობები შეთანხმებული უნდა იყოს პასუხისმგებელ მდივანთან, ავტორებმა ტექსტი უნდა წარმოადგინონ ელექტრონულ ფორმაში, Microsoft Word ფაილის (*.doc ან *.rtf) სახით, ნახაზები და სურათები – შავ-თეთრი გრაფიკული (*.bmp, *.dib, *.jpg, *.gif და სხვ.) ფაილების სახით. სამეცნიერო სტატიების ავტორების დასახმარებლად რედაქციის მიერ გათვალისწინებულია როგორც სტანდარტული ელექტრონული ფორმატები სამივე ენაზე, ისე სხვა ტექნიკური მომსახურება. Chemical Abstracts-სა (ინგლისურ ენაზე) და საქართველოს რეფერატულ ჟურნალში (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სტატიის რეფერირებისათვის ავტორი ვალდებულია გაითვალისწინოს შინაარსობრივი რეზიუმეების მომზადება ორივე ენაზე. სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებული საფასური უნდა იყოს გადარიცხული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ანგარიშზე “ლიბერთი” ბანკში № GE80LB0121115150495000, საიდენტიფიკაციო კოდი 203851536.

INFORMATION for AUTHORS

The journal “**Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Chemical series**” is publishing articles in a field of chemical sciences in Georgian, English, and Russian, reviews and informational/advertising materials may be submitted after consultations with the Editorial Board. Volume, format, and other details of contribution are to be discussed with the Executive Secretary; Authors submit texts of articles in a form of Microsoft Word files (*.doc or *.rtf), figures and pictures – as monochrome (*.bmp, *.dib) or black/white (*.jpg, *.gif, etc.) files. To help Authors of scientific articles, standard Georgian, English, and Russian formats are provided as well as other technical service and support. For references of the article in the Chemical Abstracts (in English) and in the Georgian Abstracts Journal (in Georgian and in English) authors are obliged to foresight substantial summaries in both languages. Agreed with the Editorial Board publishing expenses are to be paid at the Liberty Bank on the account of the Georgian National Academy of Sciences No GE80LB0121115150495000, identification code 203851536.

ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

Журнал “**Известия Национальной Академии наук Грузии. Серия химическая**” публикует статьи и краткие сообщения в области химических наук на грузинском, английском и русском языках; обзорные статьи и материалы информационного характера публикуются по предварительному согласованию с редакционной коллегией. Объем, формат и условия представления материала для публикации следует согласовать с ответственным секретарем; авторы должны представить тексты в виде файлов Microsoft Word (*.doc или *.rtf), а рисунки, чертежи и фотоснимки – в виде черно-белых графических (*.bmp, *.dib, *.jpg, *.gif и др.) файлов. Для оказания помощи авторам научных статей, редакция предусматривает стандартные электронные формы на всех трех языках, а также другую техническую поддержку. Для реферирования статьи в Chemical Abstracts (на английском языке) и Грузинском реферативном журнале (на английском и грузинском языках) авторам следует предусмотреть содержательные резюме на обоих языках. Оплата расходов по публикации производится перечислением согласованной с коллегией суммы на счёт Национальной Академии наук Грузии в банке «Либерти» № GE80LB0121115150495000, идентификационный код 203851536.

შენიშვნებისთვის – FOR COMMENTS – ДЛЯ ЗАМЕТОК